კვირის პალიტრა

N8 (3

ფასი
60 თეთ

სად და როგორ აპირებენ ერთად ცხოვრებას მამულიჩა და თეა გოგეჯიშვილი

„ვიცი, არავისთვის გემეტებოდი...“

სიყვარულისთვის გამოტანილი განაჩენი

რატომ დაჯახა სასიძოს სასიმამრომ ავტომანქანა

დედა-შვილი, რომელიც საქართველოს ნაკრებს სჭირდება

„როცა სტადიონზე ვარ, დათოს გოლი ყოველთვის გააქვს...“

ჯაბა ბოჯგუას უსილიკონო, ნატურალური, ბერძენი ქალი...

რატომ გაატარა სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორმა ვალენტინოზის დღე სამშობიაროში

აგრესიული დედამთილები და მამამთილის გამხარებელი რძალი...

ᲡᲐᲑᲐ SABA

ᲙᲐᲜᲓᲔᲚᲐᲙᲘᲡ Ქ.65 0160 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ. (+995 32) 39 44 54 www.saba.ge E.mail: sabaco@caucasus.net

№8 (350)
22 - 28 თებერვალი,
2007 წ. ფასი 60 თეთრი

■ მინიატურები
„ტრეფიკინგი პარლამენტურად“ ანუ გაქცეული
და გაგდებული დეპუტატები 3
■ ერთი კითხვა 4
■ ტრაგედია
სიყვარულისთვის გამოტანილი განაჩენი 6
■ დაიჯესტი 8
■ ჟურნალისტის როლში
რისთვის ემზადებიან თეა გობეჯიშვილი
და მამულიჩა 12
■ კრიმინალი
✓ ქალიშვილის შეურაცხყოფისთვის მამამ 20 წლის
ახალგაზრდას დანით 7 ჭრილობა მიაყენა 14
✓ დაკარგულ ბავშვებს ინტერპოლი ეძებს 16
■ რეალური
შეაბი.ge პარალელურ სამყაროში 17
■ ადამიანი
„ვაშლი ყუთებში ლპება, ბავშვებს
კი ეს მადლიანი ხილი ენატრებათ“ 21
■ პერსონა
პლეხანოველი ნიკო ლეკიშვილი, „ბირჟა“
და დაჭერას გადარჩენილი პროფესორი 22
■ ტანდემი
რა ურთიერთობა აქვს ჯაბა ბოჯგუას
ბერძენ მომღერალთან 24
■ ლეგიონერი
ქართველი ფეხბურთელის ფეხბედნიერი დედა... 26
■ ანტიდეპრესანტი 28
■ სასიძო
როგორ საცოლეს ეძებს დიტო ქისიშვილი 28
■ იმიჯი
„რონდოს“ წევრი
სილამაზის სალონში „იარაღით“ დადის 30

ნიკა არაბიძის საყვარელი სასმისები

„მამაჩემიც მოქეიფე კაცი იყო და უყვარდა განსხვავებული სასმისები. მაქვს, როგორც თიხის ჭინჭილები და ფიალები, ასევე ხის და მინის სასმისები... მთავარი მარტო დალევა ხომ არ არის? მთავარია, სუფრაზე დრო ატარო და სხვასაც ასიამოვნო“.

51

ვარსკვლავების დიეტა და ...

შიმშილობამ მის ჯანმრთელობას თავისი კვალი დააჩნია, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ექსპერიმენტების „წყალობით“, ჯენიფერს შვილის გაჩენა აღარ შეუძლია.

39

ნიკა მემანიშვილის მოგონებები

„6 წლის რომ ვიყავი, დეიდაშვილმა მიამბო და არ მავიწყდება. მარგივი ანეკდოტია: კაცი ლიანდაგზე ზის. მასთან მიდის მეორე კაცი, რომელიც ეუბნება – ცოტა ჩაიწიე, მეც დამშვიო. ეს არის და ეს“.

35

გამოჩენილი ჰაკერი

იგი კვლავაც განაგრძობდა საყვარელ საქმეს. ის-ის იყო, სასჯელი მოიხადა, რომ ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის კომპიუტერულ სისტემაში შეაღწია და ეს APRANET-ის – ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ქსელში არალეგალურად შესაღწევად გამოიყენა.

36

– ცოლის სახლი ჩავდე ბანკში... – თავისი ნათქვამის თვითონვე გაუკვირდა რეზის.

– მინიმუმ, ხუთწლიანი მუსლი გაქვს აწეპილი და ცოლის სახლს მისტირი, შე ახვარო?! – გამოტყვრა ისევ ის პუჭურა.

სწორედ ამ დროს, კარი გაიღო და ოთახში ორი პოლიციელი შემოვიდა.

– რა ხდება, ბიჭო, ყველა რომ აქეთ გამოგვრეკეთ? – იკითხა ერთ-ერთმა.

– ამას ჰკითხე, აი, ამ ნახიშგარს, ვილაცაა... – მიუთითა რეზიზე ჯორჯიკამ.

პოლიციელებმა რეზის შეხედეს, რომელიც ცოტა დამშვიდებულიყო. მიხვდა, ცხეს ვერ გადაურჩებოდა...

42

■ გზავნილები
ჩემი დედამთილი 31
■ ღიმილი
ნიკა მემანიშვილის დაუვიწყარი მოგონებები 35
■ ავანტიურისტები
გამოჩენილი ჰაკერი
— კომპიუტერული ტექნოლოგიის გენიოსი 36
■ საკითხავი ქალებისთვის
✓ კონკია შარვალში... 38
✓ ვარსკვლავების დიეტა
და შიმშილობით გამოწვეული უშვილობა 39
■ ტაიმ-აუტი 40
■ რომანი
ზაზა ვაჩნაძე. ნოკაუტი (გაგრძელება) 42
■ სპეცსამსახურები
პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე
(წერილი მესამე) 46
■ თინეიჯერული პონტები
თბილისელი „ბლანქეიანი“ გოგონები, „შავი“
მენტალიტეტი და შეყვარებულისთვის
მირთმეული „ცოცხი“ 48
■ თამადა
ნიკა არაბიძის საყვარელი სასმისები 51
■ ჯანმრთელობა
✓ რადიკულიტი გაწუხებთ? 52
✓ რატომ ვითარდება ინსულტი 53
■ „ოსკარი“
მისი უდიდებულესობა „ოსკარის“ სამსახურში 54
■ ვარსკვლავები 56
■ წმინდანები
„...იმისთვის მოვედი, რომ საკუთარი
ცოდვები მეგლოვა“ 58
■ ქართველები
რატომ დახვრიტეს ვაქა-ფშაველას შვილი 60
■ ქართული დეტექტივი
გოჩა მანველიძე.
თეთრი სიკვდილი (გაგრძელება) 62
■ ფაპორიტები
რუდ გულიტი — როკმუსიკოსის
იმიჯის მქონე ფეხბურთის ვარსკვლავი 66
■ ბომონდური მოზაიკა 68
■ ავტო 70
■ პოროსკოპი 71
■ მესიჯომანია 72
■ ტესტი 78
■ სანთვორდი 79
■ ...და ბოლოს 80

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com

როგორ საცოლეს ძძებს დიტო ქისიშვილი

„არ ვიცი, როგორი გოგოები მომწონს, კონკრეტულად ჩამოყალიბებული ქალის იდეალი არ მაქვს. შეიძლება, ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გოგო მომეწონოს“.

28

პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე

თითქმის 3 წლის მანძილზე, „კაგებე“ ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიოდა, რათა გალიჩი ემიგრაციაში „საკუთარი ნებით“ წასულიყო.

46

რა ურთიერთობა აქვს ჯაბა ბოჯგუას ბერძენ მოდელრალთან

„მასთან საუბარი ძალიან საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულად ლაპარაკობს, მე — რუსულად, მაგრამ ფეხებისა და ხელების მოშველიებით, ერთმანეთს მაინც ვაგებინებთ ყველაფერს“.

24

თეთრი სიკვდილი

ნიკამ პისტოლეტებიდან ერთ-ერთი შეარჩია. დატენა, ჯიბეში სათადარიგო მჭიდიც ჩაიდო, კარს დასაკეტად წაეტანა და სწორედ ამ დროს, მისი ყურადღება ზედა თარომ მიიზიდა: იქ ვიდეოკასეტა იდო. ნიკამ ყურადღებით დაათვალიერა კასეტა, შემდეგ, უსიამოვნო მოლოდინით შეპყრობილი, შებრუნდა და ვიდეომაგნიტოფონი ჩართო...

ჩანაწერმა თავზარი დასცა: ეს ჩელებაძის კასეტა იყო!..

62

„ტრეფიკინგი პარლამენტში“ ანუ გაქცეული და გაგდებული დეპუტატები

მუდმივი რომ არაფერია ამ ქვეყანაზე, ყველას კარგად მოგვეხსენება, მით უმეტეს, ქართული პოლიტიკური ერთსულოვნება, მაგრამ ამ ჩვენი დეპუტატების გამკვირვებია: ბოლო-ბოლო, სხვადასხვა აზროვნების, ასაკის, მოწოდებისა და დანაშაულის მქონე პატიმრები ძლებენ ოთხი წელი ერთ კამერაში და ამათ ერთ ფრაქციაში უჭირთ გაჩერება. ეს, პირველ რიგში, ალბათ ქართული ტემპერამენტისა და მოუსვენარი სულის ბრალია: უჭირთ ერთ ადგილზე ყოფნა, მოძრაობა უნდათ. შეიძლება, არც არაფერი

აკეთოს, კარივით — მივიდეს, მოვიდეს და იქვე იდგეს, მაგრამ მაინც უნდა იმოძრაოს.

ისე, ბევრი რა „კარიც“ პარლამენტში მისვლამდე იყო, იგივე „კარად“ დარჩა, ან გასუქდა და უფრო „ჭიშკარს“ დაემსგავსა. ერთი რამ მიკვირს კიდევ: ნათქვამია — მილიონს რომ კაპიკი დააკლდეს, მილიონი აღარ იქნებაო და ამ საპარლამენტო უმრავლესობიდან იმდენი დეპუტატი წამოვიდა, რომ ორი ახალი ფრაქცია შეიქმნა, სხვები დამოუკიდებელ დეპუტატებად დარჩნენ და მაინც უმრავლესობა ჰქვია.

აგერ, წინა კვირაში, კიდევ ორმა კაცმა დაიხურა ქუდი. უფრო სწორად, ერთს ძალად დაახურეს და ფრაქციიდან გარიცხეს. მიზეზი — სხდომების მუდმივი გაცდენა და პოლიტიკური ინერტულობა. ისე, ზოგი ჭირი მარგებელია: რომ გარიცხეს, ტელევიზორში აჩვენეს და გავიგეთ, რომ ასეთი დეპუტატი გვყოლია პარლამენტში, მაგრამ მეორე მხრივ, შე კაი დედმამიშვილო, სამი წელია, პარლამენტში ხარ და აქამდე ერთხელ როგორ არ უნდა მისულიყავი მიკროფონთან?! თუ ისეთი ზარმაცი და უწონო დეპუტატი ხარ, რომ ჟურნალისტიც კი არ მოსულა ინტერვიუს ასაღებად, სხვისგან რომ იღებენ, იმის უკან მაინც გაიარე, რომ კადრში მოხვდე და ოჯახმა მაინც არ იჯავროს, წუხელ რატომ არ მოვიდა სახლშიო?.. ალბათ, არ იციან სახლში, რომ პარლამენტარია და ატყუებს, ვმუშაობო.

მე თუ მკითხავთ, ფრაქციის და საერთოდ, პარლამენტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს, რადგან ეს პოლიტიკური ტრეფიკინგია: ადამიანს რომ ამუშავებ და ფულს არ აძლევ, ხომ არის ტრეფიკინგი?! ჰოდა, რომ არ მუშაობს და ხელფასს მაინც უხდი, თვითონ ხარ ტრეფიკინგის მსხვერპლი. ხელფასს კი პარლამენტში ჩვენი გადასახადებიდან იღებენ, ე.ი. ჩვენ ვართ ტრეფიკინგის მსხვერპლი. ჰოდა, ძალიანაც კარგი, ფრაქციიდან კი არა, საერთოდ, პარლამენტიდანაც უნდა გაერიცხათ, თორემ მე თუ ყოველი თვის ბოლოს მაინც სული უნდა ამომაძროს დენის, გაზის და წყლის გაზრდილმა ტარიფმა, რა მნიშვნელობა აქვს, ის უსაქმური დეპუტატები უმრავლესობის ფრაქციაში დაამთქნარებენ თუ ოპოზიციაში?!

თუმცა, ობიექტურები უნდა ვიყოთ და ვაღიაროთ, რომ მთლად დამნაშავე არც დეპუტატები არიან, სხდომებს რომ აცდენენ. რატომ არავინ ფიქრობს იმაზე, რომ წაახალისონ და ინტერესი გაუჩინონ პარლამენტში მისვლის?! პირიქით, ყოველნაირად ცდილობენ, რომ მოსაბეზრებელი და უინტერესო გახადონ მათი მუშაობა: ჯერ იყო და, იარაღის შეტანა აუკრძალეს, მერე — ტელეფონზე საუბარი და SMS-ების თუ MMS-ების მიღება-გაგზავნა, დარბაზში სიგარეტის მოწევაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რა ქნას საცოდავმა დეპუტატმა? იქნებ, სწორედ მაშინ მოუნდა მოწევა, რაიმე მნიშვნელოვანი კანონის კენჭისყრა რომ იწყება. რა, არ მოსწიოს?! კარგი, მოწევას გადადებს, მაგრამ რა, არ ჭამოს?! კარგი, შიმშილსაც მოითმენს 10 წუთით, ქვეყნის და ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ მაგარი ანეკდოტი თუ გაახსენდა, რა, არ მოყვეს?!

არა — სიგარეტი, არა — ჭამა-სმა, არა — ანეკდოტი, არა — იარაღი — აბა, რით გაერთოს, მთელი ოთხი წლით რომ მივუსაჯეთ დეპუტატობა?! ამიტომაც მომთაბარეობენ ფრაქციიდან ფრაქციაში და უმრავლესობიდან უმცირესობაში. იმ ანეკდოტზე,

რომელზეც შენი ფრაქცია აღარ იცინის, სხვა ფრაქციაში მთელი თვე იხარხარებენ.

ამიტომ, იარეთ და იხეტიალეთ სკამიდან სკამზე, უმრავლესობიდან უმცირესობაში და პირიქით. შეირგეთ ეს ოთხი წელიწადი და მე გადაგიხდით ხელფასს. „ალალი“ იყოს ჩემი სამი ასეთი წერილის ჰონორარი, დენის ქვითართან ერთად რომ უნდა მივიტანო ბანკში...

P.S. პარლამენტის წევრი ეუბნება ექიმს:

— გთხოვთ, გამიკეთოთ ოპერაცია, ტვინი ამომიღოთ და გაყიდოთ. თან, ფულიც მჭირდება.

— კი, მაგრამ ტვინს ასე ადვილად ელევით?!

— რად მინდა? სახლში ცოლის ჭკუაზე დავდივარ, სამსახურში — ფრაქციის ლიდერის, გზაში „მარშრუტკასაც“ კი მივყავარ. ტყუილად დავათრევ ამხელა ტვირთს...

პროვოკატორი

„კონფლიქტების არსებობა ნატოში გაწევრების ხელის შემშლელი პირობა არ შეიძლება იყოს“

— რა მიზანი ჰქონდა ნატოს შემფასებელთა მისიის წევრების საქართველოში ვიზიტს? რამდენად რეალურია, რომ საქართველო უახლოეს მომავალში ნატოს წევრი გახდება და შესაძლებელია თუ არა, რომ ჩვენ ნატოში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე შევიდეთ?

გელა ბეჟუაშვილი, *საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი:*

— ნატოს შემფასებელთა მისიის წევრთა საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით ვიტყვი იმას, რომ ასეთი ვიზიტი ყოველწლიურად ხორციელდება და მისიის წევრები აფიქსირებენ იმ რეფორმებსა და ცვლილებებს, რომლებიც ქვეყანაში, ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით ხორციელდება. მისია დააფიქსირებს ყველა იმ აუცილებელ ნაბიჯს, რომელიც საქართველომ ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმაზე გადასასვლელად უნდა გადადგას. რაც შეეხება იმ საკითხს, შეუშლის თუ არა ხელს ნატოში გაწევრების პროცესს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები, — მე ნატოს გენერალური მდივნისა და სხვა წარმომადგენლებისგან არაერთხელ მიმიღია იმის დასტური, რომ კონფლიქტების არსებობა ამ საქმეში ხელის შემშლელი პირობა არ შეიძლება იყოს, თუ საქართველოს მათი მშვიდობიანი მოგვარების გეგმა აქვს... ■

„უმრავლესობამ ხელისუფლებაში მყოფი მკვლელების დასჯას ხელი არ შეუწყო“

— რა მიზანს ისახავდა თქვენ მიერ 20 თებერვალს გამართული აქცია და რატომ გამოაქვეყნეთ რამდენიმე პარლამენტარის სახელი და გვარი?

ლაშა ჩხარტიშვილი, *„თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრი:*

— პარლამენტის ის წევრები, რომლებმაც მხარი არ დაუჭირეს საგამოძიებო კომისიის შექმნას ან კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, საზოგადოებისთვის საფრთხეს წარმოადგენენ და პოტენციური მკვლელები არიან. ჩვენი დიდი მცდელობის მიუხედავად, საპარლამენტო უმრავლესობამ ხელისუფლებაში მყოფი მკვლელების დასჯას ხელი არ შეუწყო. როგორც ცნობილია, სანდრო გირგვლიანისა და ამირან რობაქიძის მკვლელობების ფაქტების შემსწავლელი, საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ, პარლამენტში კენჭისყრა 16 თებერვალს გაიმართა. 126-მა დეპუტატმა კომისიის შექმნის წინააღმდეგ მისცა ხმა. საბედნიეროდ, საპარლამენტო უმრავლესობის 8 დეპუტატმა გმირობა გამოიჩინა, როდესაც თანაგუნდელების წინააღმდეგ წავიდა და ამ კომისიის შექმნას მისცა ხმა. კომისიის შექმნას, ოპოზიციის გარდა, უმრავლესობის რამდენიმე წევრმა და დამოუკიდებელმა დეპუტატმა ჯუმბერ პატიაშვილმა დაუჭირეს მხარი, ხოლო სიაში მყოფ 126 დეპუტატს შორის, უმრავლესობის ლიდერები — გიგა ბოკერია, მაია ნადირაძე, კოტე გაბაშვილი, მარიკა ვერულაშვილი და სხვები იყვნენ. ■

„ოქროს საწმისი“ – მონეტები შთამომავლობისთვის

მკითხველი:

— მაინტერესებს, რა ელირება საინვესტიციო ოქროს მონეტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი უშვებს?

გიორგი კალანდაძე, *საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამმართველოს უფროსი:*

— საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2007 წლის 19 თებერვლისთვის საინვესტიციო ოქროს მონეტების — „ოქროს საწმისის“ სარეალიზაციო ფასები დაადგინა: 1.000 ლარის ნომინალის, 10 უნციის (311 გ) წონის მონეტის სარეალიზაციო ფასი 13.189 ლარს შეადგენს; 300 ლ ნომინალის, 5 უნციის (155,5 გ) — 6.595 ლ; 100 ლ ნომინალის, 1 უნციის (31,1 გ) — 1.319 ლ; 50 ლ ნომინალის, 0,5 უნციის (15,5 გ) — 659 ლ; 25 ლ ნომინალის, 0,25 უნციის (7,7 გრ.) — 330 ლ; 10 ლ ნომინალის, 0,1 უნციის (3,1 გ) — 132 ლ. საინვესტიციო მონეტები საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმსა და ეროვნული ბანკის რეგიონულ ფილიალებში გაიყიდება. მონეტების ფასს საქართველოს ეროვნული ბანკი, ლონდონის ძვირფასი ლითონების ზოდების ბაზრის ასოციაციის მიერ დადგენილი ფასების მიხედვით, ყოველდღიურად დაადგენს. ■

„გაუმჭვირვალე კაპიტალი თავისთავად ითვალისწინებს დამატებით რისკებს...“

— რა აზრის ბრძანდებით საქართველოს პრეზიდენტისა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ბოლო-დროინდელ აღმოსავლურ ვოიაჟებზე და რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის ქუვეითიდან და საემიროებიდან მოზიდული ინვესტიციები?

ნიკო ორველაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— საერთოდ, საინვესტიციო პოლიტიკა გლობალური პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია (მხოლოდ ეკონომიკურს კი არა, საერთოდ, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ვგულისხმობ). ის ვითარება, რომელიც დღეს ინვესტიციებთან დაკავშირებით არის შექმნილი, შეიძლება შეფასებულ იქნას, როგორც სრულიად არანორმალური და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების შეუსაბამო. უკანასკნელი ოფიციალური მონაცემები, რომლებიც ანალიტიკოსებისთვის არის ხელმისაწვდომი, ძალზე პესიმისტურ სურათს ხატავს. რა ხდება საქართველოს ეკონომიკაში, რა ინვესტიციები შემოდის, რამდენად გამჭვირვალეა ეს ინვესტიციები, რა მოტივაცია აქვს ამ ინვესტორისთვის და რამდენად თანხვედრაშია ისინი ქვეყნის ინტერესებთან?.. ამწუთას ხელთ მაქვს 2006 წლის 3 კვარტალის შედეგები და ამ შედეგების მიხედვით, ოფიციალურ სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, ინვესტიციების მხრივ, აბსოლუტური ლიდერია ყაზახეთი. 142 მილიონ დოლარზე მეტი შემოსულია ყაზახეთიდან წარშანდელი 3 კვარტალის მანძილზე. მათ მიერ შემოტანილი თანხების უდიდეს ნაწილს შეადგენს სახელმწიფო კაპიტალი, რომელიც თავისთავად, ფინანსურ შედეგებზე გათვლილი ნაკლებად არის — ე.ი. აღნიშნული ინვესტიციების მოტივაცია შეიცვლება იმის მიხედვით, თუ რა ცვლილებები მოხდება გლობალურ პოლიტიკაში და ყაზახეთის ეროვნული ინტერესების თვალსაზრისით... მეორე — თურქეთია. ეს ალბათ, ნაკლებად გასაკვირია, მაგრამ გასაოცარია რამდენიმე ისეთი ქვეყნის გამოჩენა საქართველოში, რომლებსაც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ... რაც შეეხება არაბულ ქვეყნებს, მათ შორის ქუვეითს, — იქაური ინვესტიციები მეტ-ნაკლებად გამჭვირვალე იყო ქართულ ინფრასტრუქტურაში. შარშანდელი შედეგების მიხედვით, ამ სიაში ასევე, აღმოჩნდა არაბთა გაერთიანებული საამიროები. კონკრეტულად რა მიზნებს უნდა ისახავდეს არაბული ინვესტიციები საქართველოში?.. გასულ წელს, ამერიკაში მიმდინარეობდა ძალზე სერიოზული დისკუსია იმის თაობაზე, უნდა დაეშვათ თუ არა არაბული ინვესტიციები ამერიკულ პორტებში. საბოლოოდ, ეს კატეგორიულად უარყვეს. ე.ი. ისეთმა სუპერსახელმწიფომაც კი, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, უარი განაცხადა იმ ინვესტიციის მიღებაზე, რომლის მოტივაცია მისთვის ბოლომდე გაუმჭვირვალე დარჩა. შესაბამისად, თუ ამერიკაც კი უფრთხის, არამკაფიოდ მოტივირებულ ინვესტიციებს, საქართველო რა ისეთი მძლეთამძლე და უკვდავია, რომ ამ ყველაფერს გაუძლოს?!. ბევრს ლაპარაკობდნენ რუსულ ინვესტიციებზე. გვეუბნებოდნენ, 25 მილიარდი ჩამოვიდა რუსეთიდანო!.. აიღეთ ოფიციალური სტატისტიკა და ნახავთ, რომ რუსეთი ინვესტიციების რიგში 21-ე ადგილზეა. თუმცაღა, როგორც წეღან ვთქვი, არსებობს ქვეყნები, რომლებიც ეჭვს იწვევს და არ გამოვრიცხავ, რომ ოფშორული ზონებიდან ქართველი ჩინოვნიკების ინტერესებით „გაზავებული“ ინვესტიციები შემოდის... ჩნდება კითხვა: რატომ მოდის არაბული ინვესტიციები აქეთ, რომლის გამჭვირვალობაცა და მოტივებიც უცნობია და ვერაფრით ვახერხებთ, შემოვიყვანოთ ქვეყანაში ცივილიზებული კაპიტალი და ინვესტორები? სწორედ აქ არის ძაღლის თავი დამარხული. პასუხი მარტივია: საქართველოში ძალზე მღვრიე წყალია და ის ხალხი, ვინც ცივილიზებულ ურთიერთობებს არის მიჩვეული, ყველაფერს შვრება საიმისოდ, რომ ამ მღვრიე წყალში არ შევიდეს და არ გაისვაროს... რაც შეეხება პრემიერისა და პრეზიდენტის ბოლო ვიზიტებს, — ამის მიზანი ის გახლავთ, რომ ისევ და ისევ ფოთის პორტი და ალბათ, ბათუმის პორტიც და კიდევ ცალკეული ტერმინალები გადასცენ არაბებს. ეს ყველაფერი კი, ერთადერთ დასკვნამდე მიგვიყვანს: დღევანდელ ხელისუფლებას, რომელსაც ძალიან უჭირს, პირველ რიგში — ეკონომიკაში (უჭირს, თავისი უცოდინარობისა და მტრული დამოკიდებულების გამო ზოგადად, ინვესტორებისადმი), სხვა გზა არა აქვს, გარდა იმისა, რომ როგორმე გარკვეული თანხა მოიზიდოს და თუნდაც, ილუზია შეგვიქმნას იმისა, რომ ქვეყანაში რაღაც კარგი ხდება, ამისთვის კი, მზად არის, ეშმაკსაც მიჰყიდოს სული. არადა, იმავე არაბებისთვის ამ ჭიშკრის ფართოდ გაღებას, შესაძლოა, ჩვენი მთავრობის უსაყვარლესი სტრატეგიული პარტნიორი ამერიკის მხრიდან, დამატებითი კითხვები მოჰყვეს, რადგან გაუმჭვირვალე კაპიტალი, გაუმჭვირვალე მოტივაცია და ინტერესები თავისთავად ითვალისწინებს დამატებით რისკებს — არა მხოლოდ ნარკოტიკებისა და სხვა უკონტროლო საქონლის მოძრაობისას, არამედ თუნდაც, უაღრესად სახიფათო, ბაქტერიოლოგიური თუ ატომური იარაღის ცალკეული კომპონენტების უკონტროლოდ მოძრაობისას. როცა რაღაცას აკეთებ, ჩიტი ბდღვნად უნდა ღირდეს. ამ შემთხვევაში, ნამდვილად არ მიმაჩნია, რომ ჩიტი ბდღვნად ღირს და არა მგონია, რომ გლობალურ-რეგიონულ პოლიტიკას (ვგულისხმობ არა მხოლოდ კავკასიის, არამედ ევრაზიულ სტაბილურობასაც), მალამოდ დაედება ჩვენი იმპულსური პრეზიდენტის დიპლომატიური მისია არაბებთან. საბოლოოდ, იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ხელისუფლება თვითგადარჩენისთვის იბრძვის. და შესაძლოა, ქართული პორტები ამ შემთხვევაში, საზოგადოების მხრიდან გაღებული მორიგი მსხვერპლი აღმოჩნდეს — იმისათვის, რომ მავნებლურ რეჟიმს 1-2 წლით გაუხანგრძლივდეს არსებობა. ვერანაირ საღ აზრს მათ გაქანებაში პირადად მე, ვერ ვხედავ. ასევე გეტყვით, რომ ამ თემაზე მისაუბრია ჩემს კოლეგებთან და ვერც მათ აღმოაჩინეს ამ ვოიაჟებში შორს მიმავალი და ქვეყნის აღმშენებლობაზე გათვლილი ნაბიჯი. ■

სიყვარულისთვის გაემტვინა განაჩენი...

უბედური შემთხვევა გურჯაანში 14 თებერვალს მოხდა. თვითმხილველთა თქმით, სიყვარულის დღის მისალოცად შეყვარებულთან მისულ თემურ ორველაშვილს ქალიშვილის მამამ განზრახ დაავჯახა ავტომანქანა. ფაქტი იმდენად შემზარავი აღმოჩნდა, რომ საზოგადოების ინტერესი დღემდე არ ცხრება. ყველას აინტერესებს, რატომ დასავჯეს 23 წლის ბიჭი ასე სასტიკად.

ლელა ჭანკოტაძე

რეანიმაციული განყოფილების წინ, თემურის გულშემატკივართა რაოდენობა დღითი დღე იზრდება. მიდიან უცნობებიც. ყველას ერთი კითხვა არ ასვენებს: რატომ იწუნებდა შეყვარებულის მამა? იქნებ, თემური შეურაცხყოფდა მის ქალიშვილს და მამამ ამგვარად, შვილისა და ოჯახის ღირსების დაცვა გადაწყვიტა?

გურჯაანში, ცხადია, დიდი თუ პატარა, მომხდარის შესახებ ლაპარაკობს. დიდი სურვილის მიუხედავად, ვერაფრით შევძელით, ასეთი სასტიკი დანაშაულის მოტივი გაგვერკვია. ოდიშელიძეების მეზობლებს არაერთხელ უნახავთ ტკბილეულითა და ყვავილებით სადარბაზოსთან მდგარი თემური. არც ერთი შემთხვევა არ ახსენდებათ, როცა მას ვინმე წასჩხუბებია, იქიდან გამოუძევებია ან გაუფრთხილებია — აქ აღარ დაგინახოთო!.. ყველანი ამჩნევდნენ, რომ მაიაზე, კარგი ახალგაზრდა კაცი იყო შეყვარებული. იმასაც ამბობდნენ — ამ გოგოს ბედი ჰქონიაო! ამიტომ არც გაჰკვირვებიათ, ვალენტინობის დღეს, სადარბაზოს კართან მაიასა და თემურის ერთად დანახვა. თემურმა შეყვარებულს სუნამო, ყვავილები და ღვთისმშობლის ხატი მიართვა. სულ რაღაც 15-20 წუთის შემდეგ კი, ტრაგედია დატრიალდა. უამრავი თვითმხილველის წინ, შეყვარებულ ჭაბუკს მანქანა დაეჯახა...

ოდიშელიძის მეზობლებმა ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინეს. საიდუმლოდ კი ასეთი რამ გვითხრეს:

— სულ გვიკვირდა, თემურის მსგავს ახალგაზრდას როგორ მოეწონა მაია. მართალია, თემური სოფლელი ბიჭია, მაგრამ მის ოჯახს კარგი ავტორიტეტი აქვს, ყველა პატივს სცემს. მშრომელი, მუყაითი, პატიოსანი ხალხია. იმავეს მაიას ოჯახზე ვერ ვიტყვით. მამამისის საქციელმაც ხომ დაამტკიცა, როგორი ადამიანები არიან! ახლა უნდათ, ის კაცი შეურაცხადად გამოიყვანონ. მერე, რა, რომ სახლში ფსიქიკურად დაავადებული ვაჟი ჰყავთ?! შოთა გიჟი არ ყოფილა. „ტაქსაობდა“. მართვის მომწობას ფსიქიკურად დაავადებულს ვინ მისცემდა?! უნდა, სასჯელს გაექცეს, ამიტომაც ავრცელებენ ასეთ ხმებს. მის საქციელს გამართლება არ აქვს. ბიჭი სასიკვდილოდ გაიმეტა! ან თავის შვილს რა გაუკეთა? როგორღა უნდა იცხოვროს?! ვინღა ითხოვს მაიას?! ვინ მოინდომებს იმ ქალზე დაქორწინებას, რომელსაც მამამ ამხელა ცოდვა აჰკიდა?!.

შვილის მდგომარეობის გაუმჯობესების მოლოდინში, იზო ორველაშვილს თვალზე ცრემლი არ შეშრობია. მისთვის ერთი სიმართლე არსებობს: სხვისი შვილის სიცოცხლის ხელყოფა დაუშვებელია, მიზეზს კი, მნიშვნელობა არა აქვს, მით უფრო, თუ მიზეზი უმნიშვნელოა.

მასთან საუბრის დროს გავოცდი. გოგონაზე, რომლის გამოც მის ვაჟს ასეთი უბედურება დაატყდა თავს, ერთი აუგი სიტყვაც არ დასცდენია. პირიქით, წუხს: ვინღა ითხოვს, მამამისმა პირველ რიგში, თავისი შვილი დააზარალაო...

იზო ორველაშვილი:

— არც კი ვიცი, რა ვილაპარაკო. ლაპარაკის თავიც არ მაქვს. სიტყვები მავიწყდება... ჩემი შვილი დილით ადრე ადგა და სახლიდან წავიდა, რომ შეყვარებულისთვის ვალენტინობის დღე მიეღოცა. ნამდვილად შეყვარებული იყო. მის მიმართ წმინდა გრძნობას განიცდიდა. განა, სხვა გოგონებს არ მოსწონდათ? მასზე ბევრს ეჭირა თვალი, მაგრამ იმ გოგოს მეტი, არავინ უნდოდა, სხვისკენ არც იხედებოდა. იცით, როგორი კარგი შვილი მყავს? სტუდენტია, საბანკო-საფინანსო ინსტიტუტში იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობს. ჩემი უფროსი შვილი, ზაზა თბილისში, „პროფილაქტიკაში“ მუშაობს. ლექციების შემდეგ, თემური მასთან მიდიოდა და ეხმარებოდა. ვარჯიშობდა კიდეც. შტანგას ცალი ხელით ეწეოდა! საუკეთესო ახალგაზრდა, ახლა ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

— მაია სად გაიცნო? ერთმანეთი მართლა უყვარდათ თუ გრძნობა ცალმხრივი იყო?

— ჩვენ სოფელ ვეჯინში ვცხოვრობთ, ის გოგო — გურჯაანში. სად გაიცნო, არ ვიცი, მაგრამ ერთმანეთი ნამდვილად უყვარდათ, ეს უდავოა. ამიტომაც მივიდა თემური მასთან, სიყვარულის დღის მისალოცად. მაია კოლეჯში ადმინისტრატორად მუშაობს. განა უწლოვანია — 22 წლის არის. რაღა უნდოდა მამამისს, არ უნდა გაეთხოვებინა?! ბავშვებს 4-5 წლის განმავლობაში უყვარდათ ერთმანეთი. მამამისმაც იცოდა. რამდენჯერმე ჩემს შვილსაც შეხვდა და ელაპარაკა.

— რატომ? თემურის სასიძოდ იწუნებდა?

— არა. უთქვამს: ეგე შენ და ეგე — გოგო, თქვენი ბედი თქვენვე გადაწყვიტეთო... მერე, რა შეიცვალა, არ ვიცი. თემურს ეჭვადაც რომ გაევლო — ეს კაცი რამეს მერჩისო, ხომ მოერიდებოდა და ასეთ ხიფათში აღარ ჩაიგდებდა თავს?! ის კაცი გველი ყოფილა... დილის 10 საათზე თემური მაიასთან საჩუქრით მივიდა, მიულოცა, შემდეგ, სამსახურში გააცილა. ამ დროს დაიანახა ჩვენმა თანასოფლელმა ბიჭმა, რომელიც იმავე კოლეჯში შეყვარებულთან მიდიოდა, — თემური და მაია საუბრობდნენ, თან, მშვიდად მიაბიჯებდნენ. ტაქსით ის კაცი (შოთა ოდიშელიძე) მიუახლოვდა. „ტაქსაობს“. თავისი შვილი მანქანაში ჩაისვა, თემურს კი უთხრა — აქ დამელოდე, ახლავე მოვალ, დავილაპარაკოთო. ამ დროს, ჩვენს თანასოფლელ ბიჭსაც უკითხავს თემურისთვის: რა იყო, ბიჭო, რამე პრობლემა ხომ არ გაქვს? თუ გინდა, გვერდით დაგიდგებიო. — არაო, — გაუცინია თემურს, — რა პრობლემა უნდა გვქონდეს, მირჩევნია, მარტო დაველაპარაკოო. შოთამ ქალიშვილი კოლეჯში მიიყვანა. უკან გამობრუნდა და ტაქსით ზედ გადაუარა. ამის დამნახავი ბევრი ადამიანია. ქალები ამბობენ: მანქანამ რომ ჩაიქროლა, თემური მოწყვეტით დაეცაო.

— ალბათ, სიძედ არ უნდოდა. მიზეზი რა შეიძლებოდა ყოფილიყო?

— იმიტომ არ უნდოდათ, რომ ჩემი შვილის ღირსები არ იყვნენ, სხვა რა ვთქვა?! ნეტავ იცოდეთ, თემური როგორი იყო, ყოველმხრივ დადებითი. სახლიდან გარეთ არ გავიდოდა, ტანსაცმელზე ერთი წინწკლიც რომ ჰქონოდა. სუფთა, მოწესრიგებული, გაკრიალებული დაიარებოდა ამ ქვეყანაზე. იმ დილითაც ისეთი გავიდა სახლიდან, მტრისთვისაც რომ საამური იყო მისი

დანახვა. მაგ კაცმა კი, ასე დამიღუპა და დამიმტვრია... 3 შვილი მყავს. თემური ყველაზე უმცროსია, მაგრამ ვისაც გაუჭირდებოდა, ყველას პატრონი ის გახლდათ, ყველას მალამოდ ედებოდა გულზე მისი სიტყვა. დაბრძენებული კაცივით იცოდა რჩევის მიცემა... ახლა სიკვდილს ებრძვის. სასიკვდილოდ გაიმეტეს. ის რომ კაცი იყოს, უნდა იმალებოდეს? თავისი ფეხით უნდა მისულიყო პოლიციაში!.. გიჟიაო, — თქვეს. თუ გიჟი იყო, რატომ თავის შვილს არ დააჯახა მანქანა?!

— მაიას იცნობთ?

— არა. სურათი მაჩვენა თემურმა. ახალგაზრდების საქმეში არ ჩავრეულვარ. ჩემი შვილი მეუბნებოდა — დედი, მე ვინც მინდა, ის უნდა მოვიყვანოო. არ მითქვამს არაფერი, არ ჩავრეულვარ. არ ვიცნობდი და რა უნდა მეთქვა?! რითი უნდა დამეწუნებინა?! იმის მონატრული ვიყავი — ნეტავ, ჩემმა ბიჭებმა სიყვარულით მოიყვანონ ცოლები და ჩემი გოგონაც სიყვარულით გათხოვდეს-მეთქი. მიხაროდა, თემურს შეყვარებული რომ ჰყავდა. რას ვიფიქრებდი, თუ ასე გამიუბედურებდა?!. მეზობელმა დამიძახა: თემურს მანქანამ დაარტყაო. სახლიდან შეშლილივით გამოვარდი, ისედაც ავი წინათგრძნობა მქონდა, დილიდან გული ცუდს მიგრძნობდა. თვალწინ წარმომიდგა 7 წლის წინანდელი საშინელება: მაშინაც, თემურს მანქანა დაეჯახა. საღამო ხანს, ჩემი მაზლისგან სახლში მოდიოდა. ბნელოდა, მძღოლმა ვერ დაინახა და დაეჯახა. ბარძაყის ძვალი ჰქონდა მოტეხილი, თავი — გატეხილი. თუმცა, ასეთ მძიმე მდგომარეობაში არ იყო. გონს მალე მოვიდა. 50 დღე გურჯაანის საავადმყოფოში იწვა, შემდეგ, თბილისში გადმოვიყვანეთ. ერთი თვე კლინიკაში მეწვინა: ახლაც საწოლს არის მიჯაჭვული და სიკვდილს ებრძვის... სულმოუთქმელად გავრბოდი, ცოცხალს მივუსწრო-მეთქი. „სასწრაფოში“ გონი მოსვლია. მივედი, პალატაში იწვა. რა მოგივდა, შვილო, რა გტკივა-მეთქი? — ვკითხე. — არაფერი მიჭირს, მხოლოდ მარჯვენა ფეხზე კოჭი მტკივაო, — მიპასუხა. მინდოდა, გამომეკითხა, რა მოხდა, მაგრამ ხმა უწყდებოდა, გონს კარგავდა. არც იცოდა, რა დაემართა, ვინ დაეჯახა, რადგან მკითხა: რა მომივიდა, რა დამემართაო? მერე, გაითიშა კიდეც. მაშინვე რეანიმაციულ განყოფილებაში დააწვინეს. საღამოს თბილისში გადმოვიყვანეთ. თავის ქალის მძიმე დაზიანება აღმოაჩნდა. დღეს უკვე მეორე ოპერაცია გავუკეთეთ. შვილი ასეთი გაჭირვებული მყავს და თან, უფულობა გულს მიწვრილებს. წარმოიდგინეთ, რა დაჯდება ასეთი სერიოზული მკურნალობა!.. ნათესავები მეხმარებიან, მაგრამ გადასახდელი ძალიან ბევრია.

— მაია არ მოსულა? არ უკითხავს თემურის მდგომარეობა?

— რამდენჯერმე დარეკა. ზაზამ ჰკითხა: იქნებ, ჩემი ძმა ღირსი იყო იმ სასჯელის, რაც თქვენ გამოუტანეთ, იქნებ, რაიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილიო? — არაფერიო. — უპასუხა. ტიროდა. თემურის ჯანმრთელობის ამბავი იკითხა. ყველა წვრილმანი აინტერესებდა. მეტჯერ აღარ დაურეკავს.

მერი ცომაია, *თემურის მამიდა:*

— ამწუთას, ყველაზე მეტად თანხა გვიჭირს. ბინას ყიდიან, მაგრამ ასე სწრაფად მყიდველი სად გამოჩნდება?! უმორჩილესად ვთხოვ ყველას, დაეხმარონ ახალგაზრდა კაცს, რომელიც სიყვარულის გამო დაისაჯა. მოგეხსენებათ, სოფელში ხალხს როგორ უჭირს. შარშან ისეთი გვალვა იყო, ლობიოც კი გახმა. ამიტომ, სოფლად ისეთი ოჯახი ბევრია, ამ ზამთრის განმავლობაში ლობიოც რომ არ მოუხარშავს. ვინც მიწის მუშაა, იმას არაფერი აქვს. ვენახები გაფუჭდა, ყურძენი ყინვამ მოყინა. საიდან უნდა მოიტანოს ამ ხალხმა მკურნალობისთვის საჭირო თანხა?! ოპერაცია 1.500 ლარი დაჯდა. ყოველდღე 300 ლარია გადასახდელი. თემური ისეთი კარგი ახალგაზრდა კაცია, მისთვის სიცოცხლეს ნებისმიერი ნათესავი გავწირავთ, მაგრამ ფული არ გვაქვს. თემურის კი, ყველაზე მეტად ახლა მატერიალური მხარდაჭერა სჭირდება.

გია გაზიერიშვილი, *თემურის დეიდაშვილი:*

— რაც მოხდა, ძალიან მოულოდნელი იყო. ყველამ ვიცოდით, თემურის და იმ გოგოს ერთმანეთი რომ უყვარდათ. ეს ჩვეულებრივი სიყვარულის ამბავი იყო. ორ ახალგაზრდას წრფელი გრძნობა აკავშირებდა ერთმანეთთან. არც გოგოს მშობლები იყვნენ ამ გრძნობის წინააღმდეგები და არც — ბიჭის. თემური ისე იყო შეყვარებული, რომ მაიასთან ოჯახშიც მივიდა, მამამისს ელაპარაკა. სადარბაზოს წინ, ეზოში ისაუბრეს. იმ კაცს ცუდი არაფერი უთქვამს. პირიქით, უთხრა: მთავარია, თქვენ გიყვარდეთ ერთმანეთი და ერთმანეთს გაუგოთო. მერე, რა შეიცვალა, არავინ იცის...

— დაქორწინებას რატომ არ ჩქარობდნენ? თუ ეს სიყვარული ისეთი ძლიერი იყო, როგორც თქვენ ამბობთ და თან, თუ 4-5 წელი გრძელდებოდა?

— თემური კარგად სწავლობდა, თან, უფროსი ძმა ჰყავდა დასანიშნი, დაც — გასათხოვარი. სწავლაშიც ხელი შეეშლებოდა... თბილისში ბინა არ ჰქონდათ. ცოლს თუ მოიყვანდა, ქირით მოუწევდა ცხოვრება. ქირის ფულის გადასახდელად კი, უნდა ემუშავა. მოგეხსენებათ, ოჯახის შენახვა ამ დროში რა ძნელია! ფიქრობდა, დიპლომს აიღებდა, პროფესიით მუშაობას დაიწყებდა და მერე, დაოჯახდებოდა. წინ იყურებოდა. ისეთი სერიოზული ბიჭი იყო, დაუფიქრებელ ნაბიჯს არ გადადგამდა.

თემურ ორველაშვილი კვლავ სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე იმყოფება. ერთ კვირაზე მეტია, კომატოზური მდგომარეობიდან ვერ გამოიყვანეს.

ნანა მარშანია, *ექიმი:*

— შემოვიდა უამრავი ტრავმით: ჰქონდა წვივის ძვლების მოტეხილობა, ქალა-ტვინის მძიმე ტრავმა, ქალის ფუძის მოტეხილობა, დიდი ჰემატომა და თავის ტვინის შეშუპება. იმ დღესვე გაუკეთეს ოპერაცია — ჰემატომის მოსაშორებლად — და ქალის დეკომპრესიული ტრეპანაცია. პაციენტი უმძიმეს, კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. 17 თებერვალს გაუკეთდა მეორე ოპერაცია, ისევ ჰემატომის მოსაცილებლად. მდგომარეობა მძიმე რჩება. პაციენტი ხელოვნური სუნთქვის აპარატზეა მიერთებული, კვლავ კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.

— აქვს შანსი, რომ გადარჩეს, ამ მძიმე მდგომარეობას თავი დააღწიოს და იცოცხლოს?

— ამ ეტაპზე რამე პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია...

— კიდევ სჭირდება ოპერაცია?

— შესაძლებელია. გამორიცხული ნამდვილად არ არის. თუ სისხლი ქალაში ისევ დაგროვდა, ოპერაცია კვლავ დასჭირდება. ამის დასადგენად, ხშირად სჭირდება გამოკვლევა — კომპიუტერული ტომოგრაფია, რომელიც საკმაოდ ძვირად ღირებულია. ორჯერ უკვე გაკეთდა, მესამედაც დასჭირდება. ოჯახს კი ძალიან უჭირს. არადა, ძვირად ღირებული ანტიბიოტიკები, ხსნარები, ჟანგბადი და ბევრი გამოკვლევა სჭირდება...

P.S. *უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი თემურ ორველაშვილის ახლობლების თხოვნით, ვაქვეყნებთ სპეციალური ანგარიშის ნომერს, რომელიც 23 წლის კაცის გადასარჩენად სპეციალურად გაიხსნა: საქართველოს ბანკი, ანგარიში: 181453500,* ცენტრალური ფილიალი, კოდი: *220101502*

MK

ამერიკა და ევროკავშირი შავი ზღვის ხელახლა გადანაწილებას ცდილობენ

რას მოუტანს ეს საქართველოს?

უკვე 150 წელზე მეტი გვაშორებს იმ დროს, როცა დასავლეთის პოლიტიკურმა ძალებმა შავ ზღვაზე რუსეთის კონტროლის ეჭვქვეშ დაყენება სცადეს. უფრო ზუსტად, ეს 1854 წელს, ყირიმის ომის დროს მოხდა, როცა ნაპოლეონ -სა და დიდი ბრიტანეთის დედოფალ ვიქტორიას არმიები სევასტოპოლს უტევდნენ... და აი, ახლაც, თითქმის სრულიად მოულოდნელად, ამერიკელები და ევროპელები შავ ზღვაზე გავლენის საკითხზე ისევ ალაპარაკდნენ და ამ პოლიტიკის „მახვილად“ ენერგეტიკული სექტორის გამოყენებაც სცადეს.

კასპიის ზღვისა და შუაზიის ნავთობმა, ბუნებრივმა აირმა ევროპის ბაზრებზე მოსახვედრად, შავი ზღვა უნდა გადაჭრას. მაგრამ ისმის კითხვა: ვინ უნდა აკონტროლოს ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების საშუალებები — რუსეთმა თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა?.. ჯორჯ ბუშთან დაახლოებულმა ცნობილმა ლობისტმა ბრიუს ჯექსონმა გასულ ზაფხულს გამოაქვეყნა საკმაოდ გულახდილი სტატია, რომელშიც აღნიშნა: „შავ ზღვაში მთავარ სტრატეგიას გეოპოლიტიკური რევიზიონიზმი წარმოადგენს“. ჯექსონი, არც მეტი, არც ნაკლები, ამ რეგიონიდან რუსული ჯარების გაყვანასა და რუსული სტრატეგიული სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას მოითხოვს, ხოლო ამის შემდეგ, აშშ-ის პრეზიდენტს აღნიშნულ რეგიონში დასავლური ინსტიტუტების დანერგვას, ბაზრების გახსნასა და მასირებული ევროპული ინვესტიციების ხელშეწყობას ურჩევს. იმავდროულად, ჯექსონის აზრით, საჭიროა, 2008 წელს, ევროკავშირში უკრაინისა და საქართველოს ინტეგრაცია და შავი ზღვის გარშემო მდებარე, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა, რათა მათ ამ გზით, „რუსულ იმპერიალიზმთან“ კავშირის საბოლოოდ გაწყვეტა შეძლონ.

ჯექსონის აზრით, შავი ზღვისთვის რუსულ-ამერიკულ-ევროპული დავის მთავარ ელემენტს სატრანსპორტო საშუალებების ხელში ჩასაგდებად წარმოებული ბრძოლა წარმოადგენს. ამ სატრანსპორტო საშუალებებით კასპიის ზღვის რეგიონიდან და შუა აზიიდან ნავთობისა და გაზის ევროპაში გადაქაჩვა იმ დერეფნის გავლით ხორციელდება, რომელიც კავკასიას კვეთს, დასავლეთ უკრაინაზე გადის და ამ გზით თურქეთის ნავთობ და გაზსადენებთანაა დაკავშირებული. „ეს სტრატეგია, — ხაზს უსვამს ჯექსონი, — კავკასიისა და შავი ზღვის გადამკვეთ ნავთობ და გაზსადენებთან დაკავშირებული აშშ-ევროკავშირის საერთო სტრატეგიად უნდა იქცეს“. მისი თქმით, ასეთი შეთანხმება „ევროპაში რუსული ნავთობისა და გაზის ექსპორტის შეზღუდვასა და ევროპის ენერგეტიკულ სტრუქტურებში რუსული ინვესტიციებისთვის ბარიერების შექმნასაც“ უთუოდ უნდა ითვალისწინებდეს.

სწორედ ამიტომაა, რომ ევროკავშირმაც დრო აღარ დაკარგა და Nabucco-ს გაზსადენის მშენებლობას აბსოლუტური პრიორიტეტი მიანიჭა. ამ 3400 კმ სიგრძისა და 4,6 მილიარდი ევროს ღირებულების გიგანტური გაზსადენის ექსპლუატაციაში შესვლა 2012 წლისთვისაა ნავარაუდები. ის სათავეს აზერბაიჯანში აიღებს და საქართველოს, თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის გავლით, ავსტრიამდე ჩააღწევს. შემდგომში, ამ გაზსადენით ყაზახური, თურქმენული და თვით ირანული გაზის გადაქაჩვის პერსპექტივაც არსებობს. ყოველივე ამის შემდეგ, ალბათ გასაგებია, თუ რატომ უკრავენ ტაშს ამ პროექტს ამერიკაში და ირანიდან გაზის ტრანსპორტირების გამოკლებით, მის ყველა პუნქტსაც ყოველმხრივ უჭერენ მხარს.

თავის მხრივ, ფაქტობრივად, Nabucco-ს პარალელურ გაზსადენს რუსეთი ამზადებს, ოღონდ, ეს გაზსადენი უნგრეთში დასრულდება. სერიოზული მსგავსების მიუხედავად, ამ ორ გაზსადენს შორის, არსებითი განსხვავებაცაა. კერძოდ, რადგანაც Nabucco თურქეთს კვეთს, მას შავი ზღვის გადამკვეთ გაზსადენ „ცისფერი ნაკადიდან“ წამოსული რუსული გაზი მიეწოდება — ე.ი. „ცისფერი ნაკადი“ რუსეთ-თურქეთის ენერგეტიკული გადაბმის ადგილად იქცევა, ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ამერიკას ამის გაგონებაც კი არ სურს.

თავის მხრივ, რუსეთსაც ნერვიულობის სრული საფუძველი აქვს: მთელი XX საუკუნის განმავლობაში ის შავი ზღვის თავის იმ „შიდა ტბად“ განხილვას მიეჩვია, რომლის სამხრეთ ნაპირზეც უბრალოდ, თურქეთიც არსებობდა. მაგრამ ახლა, ის იქ უკვე იმ ამერიკულ ბაზებსაც ხედავს, რომლებიც ბულგარეთისა და რუმინეთის ნაპირებზეა განლაგებული. თავად ბუში უკრაინასა და საქართველოს პირადად ეპატიჟება ნატოში, რუსეთი კი, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ტერიტორიის პატარა ნაგლეჯის იმედადღა რჩება.

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთი საკუთარ ენერგორესურსებს ამ რეგიონის ქვეყნების წინააღმდეგ პოლიტიკური შანტაჟის იარაღად და ამ გზით მათი გადაბირებისთვის გამოიყენებს, როგორც ეს შარშან, უკრაინისა და საქართველოს მიმართ მოხდა. მაგრამ მომხდარის გამო, დასავლური საინფორმაციო საშუალებების მიერ ატეხილი ისტერიკული კივილი და გოდება მხოლოდ უბრალო პირფერობა აღმოჩნდა. არადა, ხომ შეუძლებელია, რუსეთმა იმ ქვეყნების კაპიტალისტური განვითარება დააფინანსოს, რომლებიც „სოციალისტური ფასებით“ არა მარტო პრომერიკულ, არამედ ხშირად, აშკარად ანტირუსულ პოლიტიკასაც კი ატარებენ?! რა თქმა უნდა, მსგავსი „უაზრო პოლიტიკის“ კრემლისთვის თავს მოხვევა ვაშინგტონისთვის მომგებიანი იქნებოდა, მაგრამ ეს კომედია ოდესმე მაინც ხომ უნდა დამთავრდეს და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ ქვეყნების რეალური მხარდაჭერის მთელი სიმძიმეც, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ თავზე აიღოს.

Monitor Mercantil, ბრაზილია

ვინ ჩამოსცილდა „ცეცხლის წინა ხაზს“?
(რუსეთის მთავრობაში გატარებული ცვლილებების გამოძახილი)

...ანალიტიკოსების აზრით, ვლადიმირ პუტინის მიერ რუსეთის მთავრობაში განხორციელებულმა ბოლო გადაადგილებებმა ქვეყნის პოლიტიკური ელიტა კვლავ საგონებელში ჩააგდო. მას უწინდებურად მოუწევს მკითხაობა — თუ ვინ იქნება პუტინის კანდიდატი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე.

პუტინს არაერთხელ უთქვამს, რომ რუსეთის მომდევნო ლიდერს ხალხი აირჩევს. ახლახან კი ისიც განაცხადა — სანამ ამა წლის დეკემბრისთვის დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნები არ შედგება, არც ერთ კონკრეტულ ლიდერს მხარს არ დავუჭერო. მიუხედავად ამისა, ძალზე დიდია იმათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ კრემლის მხრიდან მასმედიისა და პოლიტიკური პროცესების სრული კონტროლის პირობებში, ამომრჩეველი პუტინის მიერ მოწონებულ ნებისმიერ კანდიდატს დაუჭერს მხარს.

მიუხედავად იმისა, რომ როგორც სერგეი ივანოვს, ისე დმიტრი მედვედევს სახელმწიფო ტელევიზიით ძალიან ხშირად აჩვენებენ და მათი რეიტინგებიც იზრდება, საპრეზიდენტო ამბიციებს ღიად არც ერთი არ ამჟღავნებს.

თავდაცვის სამინისტროდან წამოსვლით, სერგეი ივანოვმა დატოვა თანამდებობა, რომლის გამოც კრიტიკის ქარცეცხლში არაერთხელ გაუტარებიათ. „კაგებეს“ საგარეო დაზვერვის ყოფილი ოფიცერი ივანოვი არმიაში გამეფებული „დედოვშჩინით“ საზოგადოების უპრეცედენტო უკმაყოფილების პერიოდში ედგა სათავეში თავდაცვის სამინისტროს. განსაკუთრებით გახმაურდა ერთი შემთხვევა, რომელიც შარშან მოხდა:

ჯარისკაცს, რომელსაც ოფიცერმა რამდენიმე საათის განმავლობაში წელში მოხრილ მდგომარეობაში დგომა უბრძანა, ფეხებისა და გენიტალიების(!) ამპუტირება დასჭირდა!.. „ეს დანიშნა ბატონ ივანოვს ცეცხლის წინა ხაზს ჩამოაშორებს — მიიჩნევს მოსკოველი პოლიტოლოგი დმიტრი ბადოვსკი. — ივანოვი უწინდებურად გაუწევს კოორდინირებას სამხედრო პოლიტიკას, მაგრამ ნეგა-

ტიურ მოვლენებთან მისი უშუალო ასოცირება აღარ მოხდება“.

რუსეთის მთავრობაში გადაადგილებები სწორედ იმ დროს განხორციელდა, როცა მთელ რიგ სოციალურ პროექტებზე პასუხისმგებელი დმიტრი მედვედევი საპრეზიდენტო რბოლის ლიდერად მიიჩნეოდა და არჩეული მემკვიდრის როლის მითვისებას ღიად იწყებდა. როგორც ჩანს, მედვედევის შემდგომი წინსვლის ნაცვლად, პუტინმა შეკავებებისა და საპირწონეების რთული სისტემის შექმნა გადაწყვიტა, რაც მას, რუსეთის ხელისუფლების ესოდენ გაუმჭვირვალე სისტემის მთავარი არბიტრის როლში დარჩენის საშუალებას მისცემს. ხოლო შემდგომ, ამ როლს, ალბათ, იმას გადასცემს, ვისაც პრეზიდენტობას დაუთმობს.

„პუტინი ელიტას იმის ფიქრის ნებას არაფრით მისცემს, რომ ყველაფერი გადაწყვეტილია“, — აცხადებს ლონდონელი ანალიტიკოსი კრისტოფერ გრანვილი. — ახლა, მედვედევი და ივანოვი საარჩევნო კამპანიის ოფიციალურ დაწყებამდე დარჩენილ დროს ერთმანეთის მუდმივ მეტოქეობაში გალევენ...“

The Wall Street Journal, აშშ

სოსო პავლიაშვილი: „არ დაივიწყოთ ქართველი!..“

შეუძლებელია, ის არ შეგიყვარდეს. ყოველ შემთხვევაში, მის მიმართ გულგრილი ვერაფრით დარჩები: ტემპერამენტიანია, თავისებური, მხოლოდ მისთვის ჩვეული შესრულების მანერით გამოირჩევა. კიდევ — ძალზე ელეგანტური და ზრდილია. ცოლს რომ მხოლოდ „моя Иротшка“-ს, ქალიშვილს „моя Лизотшка“-ს, ვაჟიშვილს კი — „мой прынц“-ს ეძახის, აბა, მეორეს ასეთს სად ნახავთ?..

— სოსო, ირინასთან უწინდებურად, მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება გაკავშირებთ?

— რა განსხვავებაა? ის ჩემი ცოლი და ჩემი სიცოცხლეა. მოდი, მხოლოდ კარგზე ვილაპარაკოთ...

— მოდი. თქვენზე ამბობენ, დიდებული სახლი აიშენაო...

— მე კი არა, ჩემი მეუღლის მშობლებმა ააშენეს. ლამაზი, მყუდრო ორსართულიანი სახლია. ისე, თუ სარდაფსაც მიათვლი, შეიძლება, სამსართულიანადაც ჩათვალო. სახლი აბაკუმოვოში დგას, სადაც ხშირად ჩავდივართ და ერთ დიდ მეგობრულ ოჯახად ვცხოვრობთ. აბანოში დავდივართ, მწვადს ვწვავთ, ვმღერით და ვცეკვავთ. როცა თბილა, ტყეშიც დავდივართ, ვსეირნობთ. იქ არაბუნებრივად დიდი სოკოები იზრდება.

— როცა მოსკოვი ანტიქართულმა განწყობილებებმა წალეკა, თქვენ რას გრძნობდით?

— მახსოვს, მაშინ ყველა პრესკონფერენციას მართავდა, მაგრამ მე არ მივსულვარ. აბა, ეს რა საჭიროა, თუ ყველა ჩემი ფიქრისა და აზრის გადმოცემა სიმღერით შემიძლია? ანუ როცა ადამიანები სისულელეს სჩადიან, ამაზე კონცენტრირებას, ცხოვრების გზაზე წინ-წინ სიარული სჯობს.



მთელი ოჯახი ავსტრიაში ვიყავით დასასვენებლად

— თქვენს ქალიშვილ ლიზას სამშობლო უკვე გააცანით?

— ვაპირებდი, მაგრამ საზღვარი სწორედ მაშინ ჩაკეტეს. ჩვენც ავდექით და სხვა გზა მოვძებნეთ: ჩემი მშობლები თბილისიდან ერევანში ჩავიდნენ, მეც, ჩემი ოჯახით, იქ ჩავფრინდი.

— ქალიშვილი რით გახარებთ?

— ჩემი ლიზაჩკა ძალიან ნიჭიერია: ხატავს, ცეკვავს, მღერის.

— ხომ არ ისურვებდით, რომ ისიც მამის კვალს გაჰყოლოდა და სცენაზე გამოსულიყო?

— თუ შოუბიზნესი ისეთი დარჩება, როგორიც დღესაა — არა.

— მაინც, როგორი „ისეთი“?

— უვარგისი. შოუბიზნესი მთელ მსოფლიოში ბინძურია. ჩვენთან კი, ის სწორედ რომ უვარგისია. კი, არიან ნიჭიერი ადამიანები, მაგრამ არ ჩანან. და როცა რადიოსადგურის რედაქტორი მეუბნება — აუ, როგორ მძულს მუსიკაო! — მე, კონსერვატორიადამთავრებულ ადამიანს, უბრალოდ, სევდა მიპყრობს.

— თუ შოუბიზნესი მართლა ასეთი ცუდია, რატომ არ ტოვებთ მას?

— მე, როგორც შემსრულებელი, სრულიად სხვა დროში დავიბადე. სამი გრან-პრის მფლობელი ვარ. შემიძლია, სცენაზე გამოვიდე და სამსაათ-ნახევარი ცოცხლად ვიმღერო. ადამიანებიც ჩემთან ერთად მღერიან და პოზიტიური ენერგიით იმუხტებიან. ასე რომ, სანამ ადამიანებზე დადებითი ზემოქმედება შემიძლია, სცენაზე დავრჩები!

— საკუთარ საქმეებში უკვე ვაჟიშვილსაც რთავთ?

— ჩემი ვაჟი 19 წლისაა. ის ჩემი პრინცი, ჩემი მარჯვენა ხელია. ჯერ მეორე კურსის სტუდენტია, სამშენებლო საქმეს სწავლობს. მესამე კურსზე რომ გადავა, იურიდიულ ფაკულტეტზეც ჩააბარებს. დროს უქმად არ კარგავს. საეჭვო კლუბებში არ დაეხეტება, სხვადასხვა საზიზღრობას არ ყნოსავს, არ ეწევა და არ სვამს. ძალიან უყვარს კარგი მუსიკა, იცის მისი ყადრი. ეს გრძნობა მას გენეტიკურად აქვს განვითარებული.

— რამდენადაც ვიცი, თქვენი ცოლი ისევ თქვენთან ერთად გამოდის სცენაზე, ცეკვავს...

— ლიზაჩკას დაბადების შემდეგ, გასტროლებზე ვეღარ დამყვება, მაგრამ მოსკოვში ხშირად გამოვდივართ ერთად.

— საახალწლო არდადეგები როგორ გაატარეთ?

— მთელი ოჯახი ავსტრიაში ვიყავით დასასვენებლად, მაგრამ სამწუხაროდ, მე იქ სამთო თხილამურებზე დადგომა ვერ გავბედე. ხომ შეიძლებოდა, ფეხი მომეტეხა?! მაშინ ხომ ყველა ჩემი მუსიკოსი, მთელი ჩემი სანათესავო მშივრები დარჩებოდნენ...

МК-Воскресенье, რუსეთი

გაგრძელება იხ. გვ. 65

სოლგიფეარ® დეკალესი®

ალერგიული ანთების

ალერგიული ანთების ადგილობრივი მკურნალობა

- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]

ალერგიული ანთების ადგილობრივი მკურნალობის მიზანია

- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]

ფარმაცევტული

სოლგიფეარ® დეკალესი®

- [illegible]
- [illegible]
- [illegible]
- [illegible]

ნაზავი

რისთვის ემზადებიან თეა გობეჯიშვილი და მამულიჩა

ლალი ფაცია

„კარგად ვიცი, არავისთვის რომ არ მემეტებოდი“...

მომღერალი ლელა წურწუმია უცხოეთში ხშირად დადის. ის ცოტა ხნის წინ, ამერიკაში, კერძოდ — ნიუიორკსა და ფილადელფიის შტატში, უცნობთან ერთად იმყოფებოდა. მარტის პირველ ნახევარში ლელა საბერძნეთში (სალონიკი, ათენი) გეგმავს კონცერტებს. მასთან ერთად მიემგზავრებიან: კახა ცისკარიძე და შოუბალეტ „ვერნისაჟის“ წევრები. წასვლამდე ისინი ახლა რეპეტიციებს ინტენსიურად გადიან. ჩვენს რუბრიკაში ერთმანეთს ლელა წურწუმიას მეუღლე და პროდიუსერი კახა მამულაშვილი, იგივე მამულიჩა და „ვერნისაჟის“ ხელმძღვანელი, თეა გობეჯიშვილი შეხვდნენ. ისინი, გარდა იმისა, რომ ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა აქვთ, ნათესავებიც არიან — მამულიჩა თეას მეჯვარე და მისი უმცროსი შვილის ნათლიაა...

ჟურნალისტი — მამულიჩა
რესპონდენტი — თეა გობეჯიშვილი

— **გამარჯობა, თეა.**

— გაგიმარჯოს, მამულიჩ! ასე ზრდილობიანად არასდროს მომსალმებიხარ...

— **როგორ ხარ?**

— კარგად.

— **მიხარია, რომ შეგხვდი. რას საქმიანობ?**

— ჩემს სტუდიაში, შოუბალეტთან ერთად, როგორც ყოველთვის, ინტენსიურად ვმუშაობ. ამჟერად, სოფო ხალვაშის კონცერტისთვის ვემზადებით, რომელიც 3 მარტს გაიმართება. სოფოს ორ სიმღერას „ქორეოგრაფიულად გავაფორმებთ“. ამასთან, იცი, რომ ლელას კონცერტისთვის, რომელიც საბერძნეთში გაიმართება, მოსამზადებელი სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. პარალელურად, თბილისში, საღამოობით კონცერტებს ვმართავთ ხოლმე. მაგალითად, ამ დღეებში, „ქალაქურში“ მშვენიერი საღამო გამოგვივიდა, ვრცელი პროგრამით წარვდექით მაყურებლის წინაშე.

— **ახლა მტკივნეულ თემას უნდა შევეხო. როდის იქნება თქვენი სასამართლო?**

— ჯერჯერობით, ველოდებით...

— **ისე, 2006 წელი რთული აღმოჩნდა შენთვის, ხომ?**

— რთულიც იყო და კარგიც.

— **ალბათ, ადამიანებთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება მიიღე, არა?**

— ეს ხომ ცხოვრებაა, მამულიჩ! გამოცდილებას მუდმივად იღებ, მაგრამ ვერ ვიტყვი, 2006 წელს დავბრძენდი-მეთქი.

— **ბრძენები არც მე მიყვარს და ამიტომაც მიყვარხარ. იყავი ისეთი, როგორიც ხარ!... თეა, მეუღლით უკმაყოფილო ხომ არ ხარ?**

— არა, მეუღლეც კარგი მყავს და შვილიც.

— **ბედნიერი ხარ?**

— კი.

— **რითი მოგხიბლა ნიკა ლომიძემ? რა თვისებების გამო გაჰყევი მას ცოლად?**

— რატომ მეკითხები? ცუდი ბიჭია?..

— **არა, მაგრამ პასუხს შენგან ველი.**

— შენ ვიცი, არავისთვის გემეტებოდი, მათ შორის, არც ნიკასთვის.

— **შენ თუ მოგწონს, ეი. მეც თანახმა ვარ, მაგრამ მითხარი, მაინც რითი მოგხიბლა? იუმორით?**

— თუნდაც. კარგი ადამიანია და ძალიან მიყვარს...

— **ოჯახში ცოლ-ქმარი ერთმანეთზე ხართ დამოკიდებული?**

— რასაკვირველია.

— **და ბიზნესშიც საერთო ენას პოულობთ?**

— რასაკვირველია.

— **დაბადების დღეზე საჩუქრად რას გიძღვნის ხოლმე?**

— ხშირად ისე ხდება, რომ ჩემს დაბადების დღეს ჩვენი კონცერტი ემთხვევა. კონცერტის შემდეგ, მას მეგობრებთან ერთად აღვნიშნავთ. საერთოდ, ძალიან მიყვარს ჩემი დაბადების დღე და ნებისმიერი დღესასწაული.

— **თქვენ ჯგუფი, გარდა იმისა, რომ მომღერლებთან ერთად გადიოდა სცენაზე, კონცერტებს ცალკეც მართავდა. ადრე, კონცერტები უფრო ხშირად იმართებოდა. ახლა როგორ არის საქმე, შეგიმცირდათ სამუშაო?**

— ცოტა შემცირდა, მაგრამ სამუშაო მაინც გვაქვს. საერთოდ, კატეგორიული წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ჩვენმა ჯგუფმა რესტორანში იცეკვოს. არადა, ამ ქალაქში კლუბებიც თითქმის აღარ არის, ბევრი დაიხურა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, სამუშაოც იმდენი აღარ გვაქვს, რამდენიც ადრე.

— **მოცეკვავეების შემოსავლის წყარო მხოლოდ შოუბიზნესია?**

— ასე არ ვიტყოდი. დღესდღეობით, ჩემი მოცეკვავეების უმეტესობა პარალელურად, სხვადასხვა ადგილას მუშაობს: ზოგი — ბანკში, ზოგი — თეატრში, ზოგი — სად და ზოგი — სად. დღის მეორე ნახევარში კი, ხან რეპეტიცია აქვთ, ხან — კონცერტი. „ვერნისაჟში“ ნაწილი მოცეკვავეებისა შეიცვალა, ახალი თაობა მოვიდა. მოგეხსენება, ჩვენი საპენსიო პერიოდი საკმაოდ ადრე დგება — 30-32 წლის ასაკში.

— **თუ გახსოვს, ბოლოს სცენაზე როდის გახვედი?**

— 2 წლის წინ, ანტალიაში და მერე, ლელას კონცერტზეც მომიწია ისრაელში გამოსვლამ. ზღაპრულად მახსენდება ეს გასტროლი, არაჩვეულებრივი იყო.

— **შენი უფროსი შვილი რას შვრება? ჭადრაკზე ისევ დადის?**

— წელს ჭადრაკზე სიარულს თავი დაანება, რადგან ბევრი სამეცადინო აქვს და ვეღარ ასწრებს. კარგად სწავლობს. ბოლო დროს აიჩემა, ცეკვაზე სიარული მინდაო. ვეუბნები — გვიან არის, ამაზე ადრე უნდა გვეზრუნა-მეთქი.

— **ბოლოს, მახსოვს, ჭადრაკი ვეთამაშე, დამარცხდა და განცადა.**

— კი, ვიცი, ახლა გელოდება, რომ შეგხვდეს და თავისი მაღალი კლასი განახვოს...

— **ახალ სახლში *(იგულისხმება ვარსკვლავების კორპუსი — ავტ.)*, რომლის დასრულებასაც უკვე წლებია, საშველი არ დაადგა, ერთად ცხოვრება მოგვიწევს და მეზობლები ვიქნებით. იმედი მაქვს, რომ მას ერთ თვეში, ბოლოს და ბოლოს, რეესტრში გაატარებენ... როგორ ფიქრობ, ამდენ ცნობილ ადამიანთან ერთად ცხოვრება არ გაგიჭირდება? სხვადასხვა ზნისა თუ ხასიათის ხალხი მოვიყრით თავს. ვისთან უფრო იმეზობლებ?**

— მგონი, ჩვენს სადარბაზოს „ქრონიკული უძილობა“ შეაწუხებს. თითოეული ჩვენგანი შემოქმედია და შესაბამისად, ჩვენი ცხოვრების რეჟიმიც თავისებურია: შინ გამთენიისას შევდივართ.

— **მაგალითად, დათო დოიაშვილმა განაცხადა: მე მეზობლებიდან სახლის კარს არავის გავუღებო.**

— ვფიქრობ, რომ იტყუება...

— **იცი, რას გეტყვი?... იქ, სადაც დღესდღეობით ვცხოვრობ, ჩემი მეზობელი აჩიკო არველაძეა. ურთიერთობა, როგორც მეზობლებს, თითქმის არ გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ მეგობრები ვართ. ალბათ, წაიკითხავს ჩემს ამ ინტერვიუს... მასთან ათასში ერთხელ თუ გადავალ ხოლმე, ჩაიზე... ახალ სახლში რომ დავბინავდებით,**

როგორ გგონია, რეალურად გვექნება თუ არა ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა?

— მე მზად ვარ, ყველასთან ვიმეზობლო და ნებისმიერს საკუთარი სახლის კარიც გავუღო. მირჩევნია, მათ ჩემთან იარონ, ვიდრე — მე მათთან, რადგან მთელი ცხოვრება მიჩვეული ვარ, რომ მუდმივად სტუმრებით არის სავსე ჩემი პატარა სახლი, სულ ხალხმრავლობაა..

— შენი ახალი ბინა რამდენი კვადრატული მეტრია?

— 160.

— ეი. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ იქ ზღვა ხალხი დაეტევა... კიდევ ერთი შვილის გაჩენას თუ აპირებ?

— გაფართოება თუ დროზე გვეღირსა, შეიძლება, ვიფიქროთ...

ჟურნალისტი – თეა გოგეჩიშვილი
რესპონდენტი – მამულიჩა

— მამულიჩ, ალბათ, ბავშვობაში საშინელი მტირალა იყავი, არა?

— დედაჩემი მეუბნება, რომ საერთოდ არ ვყოფილვარ მტირალა. თუ გინდა, შეეხმიანე დედაჩემს და ჰკითხე.

— აბა, თუ მტირალა არ ყოფილხარ, ასეთი ჯუჯღუნა და აუტანელი მერე რამ გაგხადა? თუ მხოლოდ ჩემ მიმართ გაქვს ასეთი დამოკიდებულება?



ნიკას და თეას შვილი, პატარა ნიგა ნათლია მამულიჩასთან ერთად

— პირველად მესმის, რომ ჩემზე ამბობენ, ჯუჯღუნაა.

— ეს არც ლელასგან გსმენია?

— არა, ჩემო კარგო!.. თუ შენთან ჯუჯღუნას შთაბეჭდილებას ვტოვებ, ეს იმის ბრალია, რომ ძალიან მიყვარხარ. როდესაც ადამიანი გიყვარს, მას სულ ეჯუჯღუნები.

— ეს ჩემთვის გაუგებარია.

— კი არ გეჯუჯღუნები, საქმის მიმართ ვარ მომთხოვნი და მკაცრი. როდესაც საქმე კეთდება, ხარისხიანად და კარგად უნდა გაკეთდეს. მკითხველს ავუხსნი, რომ ჩვენ უკვე წლებია, გარდა მეგობრულისა, საქმიანი ურთიერთობაც გვაქვს. იქ, სადაც ფულია, ჯუჯღუნიც არის... გესმის?!

— ეი. ეს შენ მანერაა?

— კი.

— როგორც იქნა, აღიარე! ახლა შენს კარგ თვისებებზეც ვისაუბროთ...

— ვფიქრობ, რომ მატყუარა კაცი არ ვარ, პირდაპირ ვამბობ სათქმელს, თუკი ამის საჭიროება იქმნება. არც ჭორიკანა ვარ.

— რამდენად წარმატებული ხარ შენს საქმეში? კარგი პროდიუსერი ხარ?

— ჩემი საქმე ძალიან მიყვარს...

— თავიდანვე ამ საქმის კეთება გინდოდა, რასაც დღეს აკეთებ, თუ ბოლო დროს აღმოაჩინე საკუთარ თავში პროდიუსერი?

— ჩემი საქმე ყოველთვის ბიზნესი იყო. თუმცა, ქართული ესტრადისგან ყოველთვის შორს ვიყავი. ერთ დღესაც აღმოვაჩინე, რომ ამ ორი სფეროს გაერთიანება შემეძლო. რომ არა ლელა წურწუმია, ქართული შოუბიზნესისკენ არც გავიხედავდი. თუმცა, ბიზნესის გზას მაინც გავუყვებოდი, რადგან ვგრძნობ, რომ ეს ჩემი სფეროა.

— ეი. შენმა მეუღლემ რადიკალურად შეცვალა შენი ცხოვრება, არა?

— ასეა. საბედნიეროდ, დღეს ვაკეთებ იმას, რაც ძალიან მიყვარს და ბოლომდე ვიხარჯები. ჩემი შემოსავლის წყარო მთლიანად შოუბიზნესია. შემიყვარდა ეს სფერო, მიუხედავად იმისა, რომ იქ დღეს ბევრი პრობლემაა.

— როგორ გგონია, ეს პრობლემები რამდენ ხანს იქნება აქტუალური? დიდხანს გასტანს ეს პერიოდი?

— როდესაც შოუბიზნესი კომერციულ საწყისებს მიუახლოვდა და საქართველოში გამოცოცხლდა, არაერთ პროფესიონალ მუსიკოსს შეემატა ბევრი არაპროფესიონალი. მათ იყიდეს დრო, რომელიც რადიოსა და ტელევიზიაში პროფესიონალ მომღერლებს უნდა ჰქონოდათ დაკავებული. ამ სიტუაციამ გააუფერულა ყველაფერი. ამასთან, პროდიუსერის ინსტიტუტიც არ არსებობდა. ზოგიერთი საერთოდ არ კადრულობდა პროდიუსერთან მუშაობას და ყველაფერი თვითდინებაზე იყო მიშვებული. შოუბიზნესს ახალი სისხლი დასჭირდა.

— დღესდღეობით ლელა ცოცხალ ბენდთან ერთად მუშაობს. რას იტყვი, გაამართლა თქვენმა ამ ნაბიჯმა? ძნელი არ არის, ცოცხალი ბენდის შენახვა?

— ბოლო 2 წელია, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კონცერტებს თითქმის არ ვმართავდით, მაგრამ შარშან რუსეთთან ურთიერთობის გამწვავებამ და ისრაელში დაწყებულმა ომმა, უცხოეთში გასტროლები შეგვიმცირა კი არა, საერთოდ ნულამდე დაიყვანა. მერე გადავწყვიტე, ჯგუფი ჩამოგვეყალიბებინა. სპონსორებთან ბევრი მუშაობა მოგვიხდა, რომ თავიდან, სარეკლამო კონცერტები გაგვემართა, რათა ჯგუფი საზოგადოებისთვის წარგვედგინა. მათთან მუშაობით კმაყოფილი ვარ. სწორი არჩევანი გავაკეთეთ და ვფიქრობ, რომ ცოტა დაგვიანებულიც იყო... ასე რომ, დიდი მადლობა პუტინს და „ჰესბოლას“!..

— მიძინებული ქართული შოუ-ბიზნესი როდის გამოცოცხლდება?

— როცა ეს სფერო ბიზნესმენებისთვის საინტერესო გახდება, მაშინ მოხდება მისი რეანიმაცია. სახელმწიფო სულაც არ არის ვალდებული, შოუბიზნესი დააფინანსოს. ნელ-ნელა ქვეყანაში სიტუაცია სტაბილური ხდება და იმედი მაქვს, მუშაობის მეტი შანსიც გაჩნდება.

— შენ და ლელა თუ უთმობთ ერთმანეთს დროს? პირადი ცხოვრებისთვის თუ იცლით?

— 10 წელია, ერთმანეთისთვის გვაქვს ცხოვრება დათმობილი *(იცინის)*; საქმეშიც ერთად ვართ და პირად ცხოვრებაშიც. მართალია, დატვირთულ რეჟიმში გვიწევს მუშაობა და ცხოვრება, მაგრამ პირადი ცხოვრებისთვის დრო, თუმცა ცოტა, მაინც გვრჩება... სახლში რომ შევდივარ, ეს უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს.

— ადრეც ასე იყო თუ ეს ასაკის ბრალია?

— ასაკი არაფერ შუაშია. ადრე, ნაქირავებში რომ ვცხოვრობდით, ასეთი განცდა სახლის მიმართ არ მქონდა. საერთოდ, ახალგაზრდა ოჯახი სასურველია, ცალკე ცხოვრობდეს. ახალ ბინაში გადასვლა იმიტომ მინდა, რომ მარიკოც ჩვენთან გადმოვიყვანოთ. ასევე — ჩემი უფროსი შვილი — ნიკო. მესამე შვილიც გვინდა. ლელა მპირდება — ახალ სახლში რომ გადავალთ, მერე გავაჩენო.

— შენ, როგორც პროდიუსერი, ხომ არ ეწინააღმდეგები? მუშაობაში ეს ხელს ხომ არ შეუშლის?

— არ შეუშლის. მარიკოზე ფეხმძიმედ რომ იყო, 8 თვის ჩათვლით მუშაობდა. ის კი არა, 3 თვის დაბადებული იყო ბავშვი, ლელამ სპორტის სასახლეში კონცერტი რომ გამართა.

— ჰო, მაგრამ ფორმის დაბრუნება ქალისთვის ადვილი არ არის.

— კი, ვიცი, მაგრამ როგორც ღმერთი ინებებს, ისე იქნება...

■



როდესაც ადამიანი გიყვარს, მას სულ ეჯუჯღუნები

ქალიშვილის შეურაცხყოფისთვის მამამ 20 წლის ახალგაზრდას დანით 7 ჭრილობა მიაყენა

„შეურაცხყოფა, რომელიც მას და მის შვილს მიაყენეს, აქამდე არ დავიწყებია და ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყებს...“

„არ მახსოვს, დანაშაული როგორ ან რა დროს ჩავიდინე. არც ის მახსოვს, ზუსტად რამდენჯერ ჩავარტყი დანა იმ ბავშვს... ჩემ თვალწინ იყო გაზრდილი... პატარაობიდან მოყოლებული, ყველაფერი ვიცოდი მის შესახებ. ყოველდღე ვხედავდი... შეუძლებელია, ოდესმე მისი მოკვლის სურვილი გამჩენოდა. ასეთი განზრახვა გულში არასდროს გამივლია... როგორ მოხდა ეს საშინელება, თვითონაც არ ვიცი...“ — ასეთი სიტყვებით მიმართა სასამართლოს 43 წლის განსასჯელმა, რომელიც მართლმსაჯულების წინაშე უმძიმესი ბრალდებით წარდგა.

ბრალდების მხარის მიერ პროცესზე წარმოდგენილი საქმის მასალები უსასტიკეს და გამაოგნებელ დანაშაულზე მეტყველებდა: განსასჯელმა მეზობლად მცხოვრები 20 წლის ახალგაზრდა, საკუთარ სახლში, დედის თვალწინ, დანით გამოასალმა სიცოცხლეს. დანა სხეულში მას ზედიზედ, შვიდჯერ ჩაარტყა და სიცოცხლისთვის სახიფათო, უმძიმესი ჭრილობები მიაყენა. გულმკერდის არეში მიყენებული დაზიანებები სასიკვდილო აღმოჩნდა. დაჭრილი ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავემ კი, შემთხვევის ადგილი დატოვა, ისე, რომ დანაშაულის იარაღი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა... იმ დასაკეც ჯაყვა-დანას, როგორც თავად ამბობს, წლების მანძილზე, ჯიბით დაატარებდა...

რობერტ ლებანიძე (გვარები შეცვლილია) შემთხვევიდან, დაახლოებით ერთ საათში, პოლიციამ საკუთარ სახლში დააკავა. მასთან ერთად, იმ დროს, შინ მისი ოჯახის წევრებიც იმყოფებოდნენ. სამართალდამცველებისთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია. ლებანიძე პოლიციელებს განყოფილებაში უსიტყვოდ გაჰყვა, ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას კი, ჩადენილი დანაშაული აღიარა, თუმცა თქვა, რომ რა მოხდა, დეტალებში არ ახსოვდა...

განსასჯელის ცოლის, **გულნარა ლებანიძის** *ჩვენებიდან (სტილი დაცულია):*

„...შინ აკანკალებული მოვიდა. გაფითრებული, მიტკალივით თეთრი იყო, გეგონებოდა, სისხლი არ მოძრაობს მის ძარღვებშიო. ცუდად ვარო, — მითხრა და წელში მოიხარა, ღებინება დაეწყო. მასთან მივვარდი, ხელი მოვხვიე და სწორედ მაშინ შევნიშნე მისი „სარორჩის“ მარჯვენა მკლავზე წითელი შხეფები. მივხვდი, რომ სისხლი იყო და ვიფიქრე, უჩხუბია-მეთქი. დაჭრილი ხომ არ ხარ-მეთქი? — შეშინებულმა ვკითხე. არაო, — მიპასუხა. გონებაში წამიერად გამიელვა საშინელმა აზრმა, მაგრამ ამის დაჯერება არ მინდოდა. შიშით ქმარს ვეღარაფერი ვკითხე. იმ დღეებში უკიდურესად გაბრაზებული და აღელვებული დადიოდა და ამის მიზეზიც ჰქონდა, მაგრამ სახლიდან გასვლის წინ, მისთვის ისეთი არაფერი შემინიშნავს, რომ რამე ცუდის მოლოდინი მქონოდა. პირიქით, დინჯად იყო, უხმოდ ივახშმა, ორი პატარა ჭიქით არაყი დალია და ისე გავიდა შინიდან. მითხრა — სალაპარაკო მაქვს და მოვალო... რომ ეთქვა, სად მიდიოდა, შეიძლება, ეს უბედურება არც მომხდარიყო...“

მომხდარ მკვლელობას წინ კიდევ ერთი დანაშაული უძღოდა. შემთხვევამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, ლებანიძის არასრულწლოვანი ქალიშვილი საკუთარი სახლის ჭიშკრიდან, ოთხმა ახალგაზრდამ მოიტაცა. გოგონა, ძალის გამოყენებით, იქვე გაჩერებულ ავტომანქანაში ჩასვეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. გამტაცებელთა შორის გახლდათ აწ გარდაცვლილი — 20 წლის ბესო მამულაშვილიც, რომელსაც ლებანიძეების ქალიშვილი უყვარდა და სწორედ იმ დღეს, მისი ცოლად შერთვა, მოტაცების გზით გადაწყვიტა. როგორც ჩვენებებით ირკვევა, გოგონა მამულაშვილს იმავე გრძნობით ვერ პასუხობდა, პირიქით, ყოველთვის ცდილობდა, როგორმე თავი აერიდებინა მასთან ურთიერთობისთვის. მამულაშვილისა და მისი ოჯახისადმი განსაკუთრებული სიმპათიებით, როგორც ირკვევა, არც მშობლები იყვნენ განწყობილნი.

გულნარა ლებანიძის *ჩვენებიდან:*

„...მამულაშვილები ჩვენგან 250-300 მეტრის მოშორებით ცხოვრობენ. ჩვენს სახლთან ახლოს ბირჟაა, ამიტომაც ხშირად, თითქმის ყოველდღე მოდიოდა და ძმაკაცებთან ერთად, მთელ დროს იქ ატარებდა. ჩემი ქალიშვილით რომ დაინტერესდა, არ მეესიამოვნა. მაგრამ არ გამკვირვებია, რადგან მგონი, ერთადერთი ჩემი შვილიღა იყო დარჩენილი, ვისზეც ჯერ კიდევ არ ჰქონდა თვალი დადგმული. მამამისიც მექალთანე იყო და მის შესახებ, სოფელში ლეგენდები დადიოდა. ყოველდღე რაიმე ახალი უსიამოვნო ამბავი ვრცელდებოდა მამა-შვილის არშიყობების შესახებ. ხალხი ხუმრობდა კიდეც, მათი შიშით ეზოში ქათმებიც ვეღარ გაგვიშვიაო...

თავიდან სერიოზულად არ მიმიღია ამ სიყვარულის ამბავი, მაგრამ შვილი კი გავაფრთხილე, — მის გვერდით არ დაგინახო, ხომ იცი, როგორია-მეთქი? ბავშვიც ცდილობდა, თავი შორს დაეჭირა... მერე შევიტყვე, ცოლად უნდა ნატოს შერთვაო. ამ ხმამ ჩემს ყურამდე რომ მოაღწია, არც დავფიქრებულვარ, დაუყოვნებლივ მივედი მის სახლში. მინდოდა მშობლებს დავლაპარაკებოდი და უსიამოვნება თავიდან ამეცილებინა. თავად ბესო მაშინ შინ არ დამხვდა. დედამისს გარკვევით ვუთხარი, — ასეთი ხმები მოდის ჩემამდე და გთხოვ, შვილზე გავლენა მოახდინე, ეს ამბავი არ მომწონს და არ მოხდება-მეთქი. ავუხსენი, რომ ყველაფერთან ერთად, ჩემი შვილისთვის გათხოვება და ოჯახის შექმნა, ჯერ ძალიან ადრე იყო. მაშინ ის მხოლოდ 15 წლის გახლდათ. შევატყვე, არ ესიამოვნათ ჩემი ნათქვამი, სახეზე ორივეს უსიამოვნება ეწერა, მაგრამ დარეჯანმა — ბესოს დედამ მხოლოდ ეს მიპასუხა: ხალხი რასაც იტყვის, ყველაფრის როგორ გჯერაო?... რამდენიმე დღის შემდეგ, თავად ბესოც გამოვიჭირე ქუჩაში და გავაფრთხილე, ჩემი შვილი არ შეეწუხებინა... როცა ეს ამბავი მოხდა, მე და ჩემიო მეუღლე შინ არ გახლდით, სავაჭრო საქონლის ჩამოსატანად, ბაქოში გავემგზავრეთ. სახლში ნატოსთან ერთად, ბებიამისი დავტოვეთ. მოხუცია, მაგრამ ყოჩაღი ქალია და იმედიანად ვიყავით. მესამე დღეს ჩამოვედით და ეს ამბავიც შევიტყვეთ...“

ნატო ლებანიძის მშობლების დაბრუნებამდე, მოტაცებული გოგონას მოძებნას ბიძა და ბიცოლა შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ. გამტაცებლების ვინაობა გაირკვა, მაგრამ მათ ადგილსამყოფელს ვერსად მიაგნეს. მამულაშვილის მშობლები ამბობდნენ, რომ არ იცოდნენ, სად იყო მათი შვილი და თავადაც ნერვიულობდნენ. სოფელში დაბრუნებისთანავე, მომხდარით თავზარდაცემული ცოლ-ქმარი ლებანიძეები იქვე მცხოვრები ნათესავი ქალის — ელისო ლებანიძის ოჯახში მივარდა; ეჭვობდნენ, რომ მამულაშვილს ამ საქმეში სწორედ ის დაეხმარებოდა. ბრალდების მხარის თანახმად, ელისო ლებანიძე მოტაცებული გოგონას დედამ სახლიდან თმით გამოათრია, შემდეგ ქმრისა და ძმის დახმარებით, ავტომანქანაში ჩასვა და მუქარით მოსთხოვა, დაუყოვნებლივ დაესახლებინა მისი შვილის ადგილსამყოფელი. შეშინებულმა ქალმა სავარაუდო ადგილი მართლაც, დაასახელა.

„იმ ადგილისკენ მთელი ნათესაობა გავემართეთ. სოფელი, სადაც ჩემს შვილს მალავდნენ, რაიონსა და დანარჩენ სოფლებს მოწყვეტილია და მაღლა, მთაში მდებარეობს. როგორც ვიცი, სულ 5 ოჯახია იქ დასახლებული. დარწმუნებულები იყვნენ, რომ იმ ტყეში ვერ მივაგნებდით. ელისო ლებანიძეზე ეჭვი ტყუილუბრალოდ არ გვქონია. მერე შევიტყვე, თურმე, ბესო მამულაშვილი საჩუქრად მობილურ ტელეფონს დაჰპირებია, ამ საქმეში დახმარების სანაცვლოდ...“

გულნარა ლებანიძე გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ქალიშვილს სხეულზე ძალადობის ნიშნები იმავე დღეს შეატყო. შვილს იქვე შეეკითხა, ჰქონდა თუ არა მის მიმართ ძალადობას ადგილი, მაგრამ გოგონამ უარით უპასუხა.

— არც არავისი, — დაასრულა ბოლოს.

— ირაკლი სად არის? — როგორც იქნა, შეყვარებული გაახსენდა ნინოს. ამის თქმა იყო და ირაკლიმ კარი შემოაღო.

— სად იყავით? — იკითხა ჩვენი მისამართით. ნინომ ხელი ჩაიქნია, აქაოდა, პასუხის გასაცემადაც არ ღირსო.

— აბა, ახლა წავედით, ცოტა გავისეირნოთ და მერე, თბილისში უნდა დავბრუნდე. ხომ არ დაგავიწყდათ, რომ მე დღესვე ვბრუნდები? — თქვა ზურამ და წამოდგა. ყველანი დავემორჩილეთ. ოთახიდან ყველაზე გვიან მე და ნინო გავედით. ჩვენ წინ მიმავალი ზურას და ირაკლის საუბარს მოვკარი ყური.

— სულ ცოფებს ყრიდა. მანქანა უკანა გასასვლელთან რომ დახვდა, მძღოლს ლამის დედა აგინა: სადაც დაგტოვე, იქ რატომ არ ხარო?! — მესმოდა ირაკლის ლაპარაკი. ნინომ შემომხედა. მივხვდი, იმანაც კარგად გაიგონა მათი ლაპარაკი და იმასაც მივხვდი, რომ ზურამ ირაკლის სთხოვა, ხათუნა გაეცილებინა.

— ნეტავ, რატომ გაუშვა უკანა გასასვლელიდან? მე რომ არ დამენახა ხათუნა თუ ხათუნას რომ არ დავენახე მე? — ჩურჩულით ვკითხე ნინოს. უხმოდ აიჩეჩა მხრები და რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ზურა შეჩერდა და ამიტომ გადაიფიქრა, ფეხს აუჩქარა. ძალიან ბევრი ვიხეტიალეთ. ირაკლი კარგ გუნებაზე იყო და ჩვენს გამხიარულებას ცდილობდა. ზურა არ იმჩნევდა, მაგრამ ცოტა უგუნებობა მაინც ეტყობოდა. ნინომ მარხილზე დაჯდომა გადაწყვიტა. მე სასტიკი უარი განვაცხადე, ამიტომ ირაკლის მოუწია მასთან ერთად გასეირნებამ. მე და ზურა იქვე, სკამზე ჩამოვსხედით.

— ნატა, რატომ ხარ ჩემზე გაბრაზებული? მადანაშაულებ რამეში? — დაიწყო საუბარი ზურამ.

ვერაფერი მოვიფიქრე. ამიტომ სიმართლე ვუთხარი:

— რაღაცნაირად გამაღიზიანა ხათუნას გამოჩენამ. უფრო მეტად კი, შენმა სიტყვებმა: ფაფუ, აღარ არისო, რომ თქვი.

— რა იყო მაგაში ისეთი? ცუდი ვთქვი რამე?

— არა, მაგრამ მაინც გამაღიზიანა.

— გიყვარვარ? — ისეთი მოულოდნელი იყო ეს კითხვა, რომ შევბრუნდი და სახეზე დავაკვირდი, ხუმრობს თუ მართლა მეკითხება-მეთქი. აბსოლუტურად სერიოზული გამომეტყველება ჰქონდა.

— რა თქმა უნდა, მიყვარხარ... ამას ახლა მეკითხები? — ვუპასუხე გაოცებულმა.

— ჰოდა, თუ გიყვარვარ, მაშინ იცოდე, მეც ძალიან მიყვარხარ და ჩვენ შორის არ არის იმხელა ადგილი, რომ სხვა დაეტიოს. სულ არ არის ადგილი, საერთოდ, არც ერთი მილიმეტრი... მე შენ დიდ მანძილზეც კი გგრძნობ, შემიძლია, ტელეფონში გაგონილი ერთი „ალოთიც“ მივხვდე, როგორ განწყობილებაზე ხარ და რას ფიქრობდი მთელი დღის განმავლობაში. იცი, რატომ ჩამოვედი დღეს აქ? იმიტომ, რომ მენატრებოდი, იმიტომ, რომ შენი ხმის გაგონება და შენს თვალებში ჩახედვა მინდოდა; იმიტომ, რომ შენ ჩემი სუნთქვები, სუნთქვები, სუნთქვები და გულის ფეთქვები ხარ. გახსოვს? ეს შენი სიტყვებია, პირველად შენ მითხარი. მე კი ისე მომეწონა, რომ დავიმახსოვრე და ახლა შენვე გეუბნები. რაც დრო გადის, მით მეტად მიყვარხარ. თავიდან მხოლოდ ვნება იყო, შენი ალერსის სურვილი... ახლა კი... ახლა ვაღიარებ, რომ მართლა ძალიან მიყვარხარ და უშენოდ ცხოვრება არ მინდა. მე ვუთხარი ხათუნას, რომ აქ ხარ. ეს არ არის მისი საქმე. ამიტომაც, უკან გავაბრუნე. მეგონა, ყველაფერი ისე გავაკეთე, რომ შენ ვერაფერს გაიგებდი, მაგრამ უკვე ნანახი გყოლია... ნატა, დავქორწინდეთ. შენც აღარ გექნება სანერვიულო და მეც ბედნიერი ვიქნები, — დაასრულა მონოლოგი ზურამ.

— ამაზე მერე ვილაპარაკოთ, თბილისში რომ დავბრუნდებით, — ვუპასუხე დაფიქრებულმა.

— ნატა, იცი, რა უნდა გკითხო?

— რა? — ყურები დავცქვიტე, რადგან შესავალი ისეთი იყო, მივხვდი, რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეკითხა.

— რატომ არ ორსულდები?

— რა�ა? — დავაჭყიტე თვალები.

— რატომ არ ორსულდები? — გამიმეორა ისევ, თუმცა, იცოდა, რომ პირველადაც მშვენივრად გავიგე, რაც მითხრა.

— რა ვიცი, აბა... — გამეცინა.

— შენ რომ ეგ ამბავი დამიმალო და რაიმე სისულელე ჩაიდინო, იცოდე, სამუდამოდ დამკარგავ.

— სისულელეს რას ეძახი?

— მშვენივრად იცი, რასაც ვეძახი სისულელეს. ყოველ შემთხვევაში, ახლა რასაც ვგულისხმობ, კარგად ხვდები.

— შენ გეშინია, რომ ბავშვი არ მოვიცილო? მერე, იმის არ გეშინია, რომ „შეგეტენო“, ბავშვით ვისპეკულანტო და ოჯახი დაგინგრიო?

— ნუ წაიმწარე ენა და რასაც გეუბნები, გაიგონე, — ტონი ისე გაუმკაცრდა, რომ ვეღარ შევბედე რამის თქმა.

— ნატალი, რატომ არ წამოხვედი? იცი, რა მაგარი იყო? — აღტაცებული მოვარდა ნინო და ჩვენ შორის ჩაჯდა. ხმა რომ არ გავეცით, ჯერ ერთს შემოგვხედა, მერე — მეორეს.

— აქ რაღაც სერიოზული ლაპარაკი მიმდინარეობდა, როგორც ვატყობ, — თქვა ბოლოს.

— ირაკლი სად დაკარგე? — აარიდა პასუხს თავი ზურამ.

— მოდის, — თქვა ნინომ და გაიბუსხა. — მშია. ისე მშია, რომ თუ არ მაჭმევთ, გავგიჟდები, გადავირევი და გავიბუტები, — თქვა ბოლოს.

— რა გინდა, გოგო, რას გადამეკიდე, რესტორნის ფული არ მაქვს. მოდი, შენმა კავალერმა დაგვპატიჟოს, — მოისაწყლა თავი ზურამ.

— უხხხ... შე „ჟმოტო“, შენა... რესტორნის ფულის გარდა რაც გქონდეს, ცეცხლმა დაწვას-მეთქი, გინდა, ასე დაგწყევლო? — ეშმაკურად მოწკურა თვალები ნინომ.

— მერე, შენი ქორწილი რითი გადავიხადოთ? — გაეცინა ზურას.

— ზურა, ქორწილში ხათუნა და ნატალი ერთად უნდა დავპატიჟოთ? — უცებ „დაახეთქა“ სისულელე.

— ლიკა არ გამოგრჩეს, — ეს უკვე მე ვთქვი.

— კარგი, სანამ ზედმეტი მოგსვლიათ, წავიდეთ, სადმე ვისადილოთ, — როგორც ჩანს, ზურას საუბრის თემა არ მოეწონა და წამოდგა. ირაკლიც მოვიდა და სასტუმროსკენ დავიძარით.

საღამოს ზურა წასასვლელად გაემზადა. არც ჩემმა თხოვნამ გაჭრა, არც ნინოს მუდარამ, რომ დარჩენილიყო. ბოლოს, ირაკლი წამოგვეშველა და მისი ხათრით დარჩა. იმ საღამოს ირაკლის და ნინოს შეხვედრა, თითქმის ნიშნობამდე მისული საქმე აღვნიშნეთ. კაცებმა ბლომად სასმელი დალიეს. მე დალევაზე უარს ვამბობდი, მაგრამ ზურამ ჩემი ძველი „გრეხები“ გაიხსენა, 1-2-ჯერ მთვრალი რომ მნახა და არ მომეშვა, სანამ რამდენიმე ჭიქა არ დამალევინა. სასტუმროში საკმაოდ გვიან დავბრუნდით და ჩემსა და ნინოს ოთახში შევიკრიბეთ.

— მე და ნინო ამაღამ ჩემს ოთახში დავიძინებთ, თქვენ კი აქ დარჩით. — გაანაწილა ადგილები სიმთვრალით გათამამებულმა ირაკლიმ. ზურა ერთბაშად გამოფხიზლდა.

— შენ, რა, აურიე? — საფეთქელთან თითი დაიტრიალა ზურამ.

— რა იყო, მაინც ჩემი უნდა გახდეს და დღეს თუ ერთი კვირის მერე, რა მნიშვნელობა აქვს? — ისევ მიამიტი სახით იკითხა სასიძომ.

— სანამ ჩემთან არ მოხვალ და ნინოს ხელს ოფიციალურად არ მთხოვ, მანამდე შენი ხმა არ გავიგონო, იცოდე... და ზედმეტი „დვიჟენიები“ არ იყოს! — თითი ჭერისკენ გაიშვირა ზურამ. აქაოდა, ჭკუით მოიქეცი. ძალიან გამიკვირდა ზურასგან ასეთი რამ. თითქოს, არ ველოდი, მაგრამ რომ დავფიქრდი, მივხვდი, მართალი იყო და ისიც გამიკვირდა, როგორ გაუბედა ირაკლიმ ამის თქმა. ირაკლი დატუქსული ბავშვივით იჯდა და ხმას აღარ იღებდა.

— ეს არის ჩემი საყვარელი დაიკო, — გვერდით მჯდომ ნინოს ხელი კისერზე მოხვია ზურამ და ლამის იღლიაში ამოიჩარა. — ვინც ამას აწყენინებს, ჩემთან ექნება საქმე. ისე, შენთვის კი არ მემეტება, ჩემო სიძევ... უკაცრავად, სასიძოვ, მაგრამ ამას უყვარხარ და რა ვქნა? — დაასრულა ზურამ და ნინოს შუბლზე აკოცა. — ისე, შენ რას გატრუნულხარ, მოლაპარაკებული ხომ არ იყავით? — სიყვარულით წაუთაქუნა თავში ხელი.

— ეეე... ნუ გააწყალე ახლა გული! — ძლივს ამოიღო ნინომ ხმა.

ძელდეს, ზოგს 20 წუთი, ზოგს ერთი წუთი და ა.შ. მაგრამ აფექტური მდგომარეობის აფეთქება მთელ დღეს ვერ გასტანს. შესაძლოა, განსასჯელის ემოციური სტრესი ჩამცხრალიყო იმ მომენტისთვის, როცა მან დანა ჩაარტყა მსხვერპლს... გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ის კი არ დაიმალა, არამედ სახლში მივიდა. ჩვეულებრივ, მკვლელი, რომელსაც წინასწარ აქვს მოფიქრებული და განსაზღვრული დანაშაული, განზრახვის სისრულეში მოყვანის შემდეგ, ცდილობს გაეცალოს შემთხვევის ადგილს. ამ შემთხვევაში კი ასე არ ხდება.

საქმის მასალებში აღწერილია ბრალდებულის ფიზიკური მდგომარეობაც. ჩვენებებით ირკვევა, რომ ბრალდებულს, მკვლელობის შემდეგ, პირღებინება ჰქონდა, აკანკალებდა, ასხამდა ცივი ოფლი და თავს ძალიან სუსტად გრძნობდა. ეს ყველაფერი აფექტური მდგომარეობის შემდგომი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. საერთოდ, ნერვულ დაძაბულობას განტვირთვა მოჰყვება. მაგალითად, ჩვენ რომ რაღაცაზე ვღელავთ, მაშინაც კი გვაქვს პატარა რეაქცია ან ოდნავი შემცივნება, ან აგზნება, დასუსტება და შემდეგ დასვენება გვინდება. ამასთან, ფიზიოლოგიური აფექტისთვის სრული ამნეზია, სრული დავიწყება დამახასიათებელი არ არის, შესაძლებელია — ნაწილობრივი, ფრაგმენტული ამოვარდნა. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ განსასჯელს ყველა დეტალი მის მიერ ჩადენილი ქმედებისა, არ ახსოვს. გარდა ამისა, განსასჯელს დღემდე აღენიშნება სისუსტე, კანკალი, აქამდე უგრძელდება სულიერი დეპრესია და ამ ყველაფერს თან ახლავს სინანულის განცდაც. მაგრამ ყოველივე ამის ფონზე, ის აქამდე აფექტისთვის დამახასიათებელ ხაზს მიჰყვება. როცა მას ტესტურად ვაბრუნებთ იმავე სიტუაციაში, ამბობს, ალბათ, თავს ისევ ვერ შევიკავებდიო. ეს კი სწორედ აფექტის კვალზე მიუთითებს. შეურაცხყოფა, რომელიც მას და მის შვილს მიაყენეს, აქამდე არ დავიწყებია და ალბათ, მთელი ცხოვრება ვერ დაივიწყებს...“

საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცნობის შემდეგ, სასამართლომ ბრალდებისა და დაზარალებული მხარეებისთვის მოულოდნელი, განსასჯელისა და მისი ადვოკატის თქმით კი, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება მიიღო. სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით წაყენებული ბრალდება (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) სასამართლომ ძლიერი სულიერი აღელვების დროს ჩადენილი მკვლელობის მუხლზე გადააკვალიფიცირა. დადგენილად ცნეს, რომ ლებანიძე დანაშაულის ჩადენის მომენტში აფექტურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ბრალდების მუხლის თანახმად, მას 20 წლით ან სამუდამო პატიმრობა ემუქრებოდა, დანაშაულის გადაკვალიფიცირების შემდეგ კი, სასამართლომ მას 3 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. ■

ფაკარგულ ბავშვებს ინტერპოლი ეძებს

გამოძიების ვერსიით, გამტაცებელმა თავი რეჟისორად გაასაღა

თითქმის კვირაზე მეტია, რაც საზოგადოება, რუსეთში მცხოვრები ორი მცირეწლოვანი ბავშვის — პაველ მატროსოვისა და ვალენტინა კორიკის გაუჩინარების ამბავმა შეძრა. უცნობი მამაკაცის მიერ ბავშვების გატაცების შესახებ შემზარავი ინფორმაცია უკვე მთელ მსოფლიოში გავრცელდა. რამდენიმე დღეა, რაც თავზარდაცემული მშობლები უგზო-უკვლოდ დაკარგულ შვილებს ეძებენ, მაგრამ აქამდე ვერც მათ, ვერც გამტაცებლის ადგილსამყოფელს ვერ მიაგნეს. ჯერ-ჯერობით უშედეგოა სამართალდამცველთა მცდელობაც — აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რაიმე გაარკვიონ და დამნაშავის კვალს დაადგნენ.

შემთხვევა ფსკოვის დასახლების ქალაქ ველიკიე ლუკიში მოხდა. ქალაქის პროკურორის მოადგილის — ლიუდმილა სელივანოვას თქმით, საქმის გამოსაძიებლად კვალიფიციურ გამომძიებელთა მთელი ჯგუფი მუშაობს, მილიციის ოპერატიული თანამშრომლებიც მობილიზებულები არიან. პროკურატურის ხელმძღვანელობა, აქვე, იმასაც აღიარებს, რომ მათ ძალისხმევასა და გატარებულ ოპერატიულ ღონისძიებებს, ჯერ-ჯერობით, ვერაფერი შედეგი მოაქვს. *„შექმნილია სავარაუდო დამნაშავის ფოტორობოტი. მუშაობა არც ერთი წუთით არ წყდება, ყურადღებას ნამდვილად არ ვადუნებთ, მაგრამ სამწუხაროდ, საქმე წინ მაინც არ მიიწევს“*, — აღნიშნა ჟურნალისტებთან ინტერვიუში პროკურორის მოადგილემ და დასძინა, რომ საქმე უმძიმეს და თანაც, კარგად ორგანიზებულ დანაშაულთან აქვთ.

სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ბავშვები გამტაცებელს (ან გამტაცებლებს), შესაძლოა, ქალაქის და უფრო მეტიც, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჰყავთ გაყვანილი. ამიტომ, პროკურატურამ საქმის კურსში ინტერპოლიც ჩააყენა. დაკარგულ ბავშვებზე როგორც ფედერალური, ასევე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. ეს ინფორმაცია ჟურნალისტებს პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამოძიების განყოფილების უფროსმა — ანდრეი კალინინმა მიაწოდა.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვანთა გატაცების მუხლითაა აღძრული. თავად ვერსია გატაცების შესახებ, იმ სკოლის მოსწავლეთა მონათხრობის შემდეგ გაჩნდა, სადაც პაველ მატროსოვი და ვალენტინა კორიკი სწავლობდნენ და სადაც ისინი შემთხვევის დღეს, ბოლოს ნახეს.

ბავშვები ველიკიე ლუკის №9 საშუალო სკოლაში სწავლობდნენ. უკანასკნელად ისინი გატაცების დღეს ნახეს. თვითმხილველები — თანაკლასელები, თანასკოლელები ამბობენ, რომ ორივენი დაახლოებით, დღის პირველი საათისთვის, ერთად გავიდნენ სკოლის ეზოდან და კარლ ლიბკნეხტის ქუჩით, შინისკენ გაუყვნენ გზას. არსებობს რამდენიმე მოწმე, რომელთა თქმით, ბავშვებს, იმ დროს, დაახლოებით 35-40 წლის მამაკაცი მიჰყვებოდა გვერდით. ერთ-ერთი მოწმე კიდევ უფრო დეტალურ ინფორმაციას აწვდის გამოძიებას. მისი თქმით, უცნობი მამაკაცი ბავშვებთან ჯერ კიდევ სკოლის ეზოში მივიდა. *„ეზოში მე-4 კლასის მოსწავლეები იდგნენ. ის მამაკაცი ბავშვებს მიუახლოვდა და უთხრა, რომ რეჟისორი იყო, ფილმის გადაღებას აპირებდა და ამისთვის ბავშვებს არჩევდა. ბავშვების უმრავლესობა იმ კაცს მაშინვე გაეცალა, პაშა (პაველ მატროსოვი) და ვალია (ვალენტინა კორიკი) კი დაეთანხმნენ და გაჰყვნენ“*, — წერს ჩვენებაში მოწმე. მას შემდეგ ბაშვები აღარავის უნახავს...

რა შეეხება „რეჟისორს“, თვითმხილველები მას ასე აღწერენ: დაახლოებით, 170-175 სმ სიმაღლის, საშუალო აღნაგობის, სახენაირევი და უსუფთაოდ ჩაცმული. გარდა ამისა, იმასაც აღნიშნავენ, რომ მამაკაცს თუთუნის მძაფრი სუნი ასდიოდა, ეცვა ჯინსის შარვალი და მუქი ქსოვილის ქურთუკი.

სამართალდამცველები აქვეყნებენ დაკარგული ბავშვების მონაცემებსაც: პაველ მატროსოვი 1996 წელსაა დაბადებული, 110-120 სმ სიმაღლის, ქერა; შემთხვევის დღეს ეცვა, წითლით გაწყობილი ლურჯი ქურთუკი, შავი შარვალი, ეხურა ლურჯი ნაქსოვი ქუდი.

ვალენტინა კორიკი დაბადებულია 1996 წელს, 130-140 სმ სიმაღლის, გრძელი, ქერა თმით. შემთხვევის დღეს მუქი წითელი ნაქსოვი ქუდი ეხურა და ასევე წითელი ლაბადა ეცვა.

სამართალდამცველები იმედოვნებენ, რომ ამ სამწუხარო ფაქტს საბოლოოდ ბედნიერი ფინალი ექნება. მათ ნებისმიერი ინფორმაციისთვის — როგორც დაკარგულების, ასევე დანაშაულში ეჭვმიტანილის შესახებ, ჯილდოს სახით, 400 ათასი რუბლი დააწესეს. ■

შეაბი.ge პირველად საუბროში

ქსელში გახვეული წყვილის სასიყვარულო ამბავი

დასაწყისი იხ. „გზა“ №35

ორიოდე დღის წინ, როგორც იქნა, ჩემი და ჩემი რომანის გმირი ქალბატონის ინტერნეტდიალოგი შედგა. ნატალიმ როგორც გულშემატკივრები, ისე მისი სიყვარულის მოწინააღმდეგეებიც მოიკითხა და გულახდილად მითხრა:

მარი ჯაფარიძე

— რაც თბილისიდან წამოვედი და მაგ შენს რომანს აღარ ვკითხულობ, დავისვენე, დეპრესია მომეხსნა და თავს ისე ვგრძნობ, როგორც ბოლო ნახევარი წელიწადია, არ მიგრძნია.

— დეპრესია სონას ნახვამ მოგიხსნა, ალბათ.

— სონას ნახვამ ბევრი რამ შეცვალა. რა თქმა უნდა, ჩემს კარგად ყოფნაში ნაწილობრივ სონაცაა „დამნაშავე“, მაგრამ არ გეწყინოს, მარი, მართლა დავიღალე მაგ რომანით. წარმოიდგინე, იცხოვრო ისე, რომ სულ ვიღაც დაგდევდეს კამერით და შენს ყველა ქმედებას ფირზე იღებდეს. ეს საშინელებაა, მერწმუნე. თუ ამის მერე კიდევ ვინმე გაბედავს მსგავსი რამ გააკეთოს, ის ნამდვილი გმირი იქნება.

— ზურა არ გენატრება?

— რა თქმა უნდა, მენატრება. ყოველდღიური კონტაქტი მაქვს ტელეფონით თუ ინტერნეტით. აპრილის ბოლოს აუცილებლად დავბრუნდები. მასაც ძალიან მოვენატრე და შემპირდა, რომ 2 კვირაში ჩემთან ჩამოვა, რამდენიმე დღით. სონასაც გაიცნობს, მეც მომინახულებს და მერე, უკან დაბრუნდება.

— ნატალი, ზურა ჩემს ზარებს ან არ პასუხობს, ან ძალზე მშრალად, ორიოდე სიტყვით მომიცილებს ხოლმე თავიდან, ამიტომ მას ვერაფერს ვეკითხები. ნინოს ამბავი მაინტერესებს. ქორწილი როდის აქვს?

— როგორც კი საალდგომო მარხვები დამთავრდება, მაშინვე დაიწერენ ჯვარს და სამოგზაუროდ წავლენ რომელიმე ქვეყანაში.

— შენ ქორწილში არ იქნები, ალბათ...

— ჰო, ალბათ...

— შენ მითხარი, რომ ამერიკაში ისე წახვიდოდი, შენი ფეხმძიმობის ამბავს ზურას არ ეტყოდი. მეგონა, როცა ამას ჟურნალში დავწერდი, ზურა დამირეკავდა და მკითხავდა, ეს სიმართლე იყო თუ არა. მე უკვე დავწერე, ის კი — დუმს. როგორ ფიქრობ, ჯერ არ წაუკითხავს? შენთვის ხომ არ უთქვამს რამე?

— როცა შენ ეგ ამბავი მოგიყევი, მართლაც მასე მქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ბოლოს მივხვდი, რომ ძალიან გაბრაზდებოდა, ჟურნალიდან თუ შეიტყობდა ამას. ამიტომ წამოსვლის წინა ღამეს გავუმხილე. აი, ასე მიშლი ხელს ჩემი გეგმების განხორციელებაში. ხედავ?

— რა გითხრა ზურამ, როდესაც ეს მნიშვნელოვანი ამბავი გაიგო?

— ამ ყველაფერს ვრცლად ვწერ იმ წერილში, რომელსაც ამ დღეებში შენს მეილზე გამოგიგზავნი. ასე რომ, ცოტა მოითმინე. კითხვები გამომიგზავნე და მათზე პასუხს სრულად მოგწერ. იმედია, ეს იქნება ბოლო წერილი, რასაც ჩემზე დაწერ. შევთანხმდით?

— კარგი, შევთანხმდით, ოღონდ ერთი პირობით: როცა დაბრუნდები, აუცილებლად უნდა გამიმხილო, როგორ წარიმართება თქვენი ურთიერთობა. შთაბეჭდილება მექმნება, რომ საშინლად ვერ მიტან...

— არა, მარი, ეს ასე არ არის. ვიცი, შენც უხერხულად გრძნობ თავს. ბევრი რამ, ჩემი და ზურას ურთიერთობაში სწორედ მაგ რომანმა გადაწყვიტა. უბრალოდ, დავიღალე. მე და შენ მეგობრებად ვრჩებით და ნახავ, რომანს რომ აღარ დაწერ, ზურაც შეგირიგდება. გკოცნი.

სონა:

— მარი, მაგარი ხარ. ნატალიმ ჟურნალები ჩამოიტანა და თავიდან ბოლომდე წავიკითხე. ჩემი სურათი რომ ვნახე, მაგრად გამიხარდა. საინტერესო რომანია და ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. ნატალის არ მოუსმინო, ეს არის სულელი. განა ბევრს რგებია წილად, რომ მისი ამბავი ასე შემორჩეს ისტორიას? გავა დრო და დამიჯერე, მადლობას გეტყვის. როცა თბილისში ჩამოვალ, აუცილებლად გნახავ. ერთი მაგარი საჩუქარი ჩემზე იყოს. კარგად, მარი...

აი, ასე... ზოგი მადლობას მეუბნება, ზოგი — მსაყვედურობს და ზოგიც, სულ არ მცემს ხმას, მაგრამ დრო ყველაფრის მკურნალია. იმედია, ზურასაც „უმკურნალეს“ და ოდესღაც ჩვენც შევრიგდებით. ახლა კი მკითხველების გამოხმაურებებს გავეცნოთ და მერე, ძირითად ამბავს მივუბრუნდეთ.

„ნატალისნაირები კი არ ალამაზებენ ამ ცხოვრებას, არამედ, ზიზღს იწვევენ გონიერ ადამიანებში. ადვოკატს კი ვეტყვი, რომ ნატალი ფაქტობრივად, ქორწინებას ანგრევს და არა — არარსებულს. დოლარა“.

„მარი, იცოდე, გული გამისკდება, ნატალის და ზურას რომანი რომ დაამთავრო. ძალიან მინდა, ეს უსაყვარლესი წყვილი პირადად გავიცნო. ნატ, გაჰყევი ზურას ცოლად. ვიცი, რომ ბედნიერი იქნები. ნატალის „ოპოზიციამ“ კი, მოკეტოს. ჭინკა“.

„მარი, შენ გაიხარე, როგორც მე გამახარე ნატალის ფეხმძიმობით. ამას ზურა რომ გაიგებს და გაუხარდება, ესეც წინასწარ მიხარია. ისე ვარ ამ ამბავში ჩაფლული, რომ მარტო ფეხის თითები მიჩანს... რუსა“.

„გული მწყდება, რომ მათი ამბავი სრულდება. იმედია, გავიგებთ, ბოლოს რა მოხდება“.

„ძალიან მინდა, რომ ნატალი და ზურა ერთად იყვნენ. ხათუნაც შემეცოდა, მაგრამ მასაც ვუსურვებ ისეთი ადამიანის პოვნას, ვისაც ეყვარება“.

„ნატალი ძალიან მაგარი ადამიანია. რატომ ლანძღავენ? მეც ვისურვებდი ასეთ ადამიანს ჩემ გვერდით, მაგრამ სადაა, ბედი არ გინდა? კაცი“.

„ვეთანხმები მათ, ვინც ამ სიყვარულს მრუშობას უწოდებს, მაგრამ სიყვარული ხომ „მამაც მეფეებს დაალაჩრებს!“ ნატალი პირველ რიგში ადამიანია, მერე — ფსიქოლოგი. ის დიდ ცოდვას სჩადის, მაგრამ მაინც ვერ ვამტყუნებ. ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი“.

„მარი, შენ მე ინფარქტს დამმართებ. ამბის ამ დროს გაწყვეტა იქნებოდა? ვაااააი, „ვალერიანკა“ მინდა!“

ახლა კი ამბის გაგრძელება, რომელიც წინა ნომერში იქ შევწყვიტეთ, როდესაც ზურამ ნატალის გამგზავრების შესახებ შეიტყო და ძალიან გაბრაზდა.

— მნიშვნელოვანი არაფერი მაქვს სათქმელი. უბრალოდ, სონა ვერ გრძნობს თავს კარგად და ვჭირდები. შენ რომ იყო, ხომ წახვიდოდი, ვთქვათ, ნინოს დასახმარებლად? ჰოდა, მეც უნდა წავიდე. — ამას რომ ვამბობდი, თვალებში არ ვუყურებდი. ტელევიზორის ეკრანს მივშტერებოდი და სიტყვებს ავტომატურად ვისროდი.

— კი, მაგრამ ამ რამდენიმე წუთის წინ ხომ თქვი, მნიშვნელოვანი ამბავი გავიგეო.

— ჰო, ვთქვი, — ვუპასუხე და ისევ ავარიდე თვალი.

— მერე, რას გულისხმობდი?

— სონამ დარეკა რამდენიმე წუთის წინ და მივხვდი, რომ მართლაც ძალიან ვჭირდები, — კვლავ ურცხვად ვიტყუებოდი.

— ძალიან საინტერესოა... შენი მობილური აქ დევს, მაგიდაზე, სახლის ტელეფონს არ დაურეკავს... სად დარეკა სონამ?

— მეზობელთან, — ისე უცებ ვიპოვე პასუხი, რომ თვითონაც გამიკვირდა. — წეღან ხომ ვიყავი მეზობელთან გასული? — შვებით ამოვისუნთქე.

— გასაგებია. ეგ სონაც დიდი ჩუმჩუმელა ვინმეა. ვითომ ჩემს მხარეზეა და სამარეს კი მითხრის. დარწმუნებული ვარ, ეგ შეგიჩნდებოდა და იმიტომ გადაწყვიტე წასვლა. — მითხრა და აწკრიალებულ მობილურს უპასუხა. მოადგილე ურეკავდა და საუბარი გაუგრძელდა. თან, ოთახში მიდი-მოდიოდა. მე მის მოძრაობას, სახის გამომეტყველებას ხარბად შევყურებდი. თითქოს ვცდილობდი, ის სამუდამოდ აღმებეჭდა მეხსიერებაში. თვალებით ვეფერებოდი, სულში ვუძვრებოდი. მინდოდა, ავმდგარიყავი და ჩავხუტებოდი. ძალიან საყვარელი იყო — შუბლშეჭმუხნილი, ხელების ქნევით ლაპარაკობდა, ტუჩებს სასაცილოდ აცმაცუნებდა და თან, წარამარა საათზე იხედებოდა. „ნეტავ, რატომ უთხრა ხათუნამ, აქ რაღა დაგვრჩენია, ადექი, წავიდეთო? რას ნიშნავდა ეს სიტყვები?“ — გონებაში ხათუნას ხმა ამოტივტივდა და ვიგრძენი, როგორ მომეწურა გული. ვცადე, მათი საუბრის წინა ფრაზები გამომეცნო, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ამან ძალიან გამაღიზიანა. მკვეთრი მოძრაობით წამოვდექი და ტანისამოსის გამოსაცვლელად გავედი — ჯერ ისევ ის ტანისამოსი მეცვა, რომლითაც ბაკურიანიდან ჩამოვედი. საცვლების ამარამ სარკეში ჩემს თავს მოვკარი თვალი. ახლოს მივედი, გვერდით შევბრუნდი და მუცელს დავაკვირდი. ჩემს საქციელზე გამეცინა. აბა, ჯერ რა უნდა დამტყობოდა? მაგრამ წარმოვიდგინე, როგორი ვიქნებოდი, როცა მუცელი გამეზრდებოდა. სასწრაფოდ შემოვბრუნდი, საშინაო ტანისამოსი გადავიცვი და ზურასთან დავბრუნდი. ის უკვე საუბარს ამთავრებდა. სავარძელში ჩავეშვი. ზაფხული და ბათუმი გამახსენდა, როდესაც ზურა პირველად ჩამოვიდა ჩემს სანახავად. საღამო ხანს რესტორანში დამპატიჟა და მთელი საღამო ცდილობდა, არაპირდაპირი, ირიბი ხერხებით ეთქვა, რომ იმ ღამეს ჩემთან დარჩენა სურდა. მე კი ვითომ ვერ ვხვდებოდი.

— ნატალი, რაღაც მინდა, გითხრა... — მაინც პირდაპირ თქმა გადაწყვიტა, რადგან სხვაგვარად ვერაფერს მიმახვედრა.

— გისმენ, — ისეთი მიამიტი მზერით შევხედე, რომ გადაიფიქრა. თავისი ტელეფონი, რომელსაც მანამდე ხელში ათამაშებდა, მაგიდაზე დადებულ ჩემს ტელეფონს ზემოდან ძალიან ნელა, უხმოდ დაადო. თან, ამ დროს ძალიან ჩაფიქრებული სახე ჰქონდა. ამით მიმახვედრა იმას, რის თქმასაც ხმამაღლა ვერ ბედავდა. მე კი ჩემს ტელეფონს ხელი ვტაცე და ჩანთაში ჩავუძახე. „ზურა ძალიან მაგარი ადამიანია. ასეთი მამაკაცი მართლაც იშვიათია“, — გავიფიქრე და შევხედე. ის ჩაფიქრებული იჯდა. ჩემი მზერა იგრძნო და შემომხედა.

— როდის გადაწყვიტე წასვლა? — მისი მკაცრი ტონი აბსოლუტურად არ შეესაბამებოდა მის გამომეტყველებას.

— შენზე გაბრაზებულმა გადავწყვიტე, რომ წავსულიყავი და სამუდამოდ დამეტოვებინე, მაგრამ ეს ადრე იყო... ახლა შენზე გაბრაზებული აღარ ვარ, მაგრამ რადგან გამიმართლა და ვიზა მივიღე, წასვლა არ გადავიფიქრე. უბრალოდ, გადავწყვიტე, რომ მხოლოდ 2 თვით წავალ და დავბრუნდები.

— მე რომ გთხოვო, დარჩები? ძალიან რომ გთხოვო? — უცებ შეეცვალა ტონი.

— არა! — მოვუჭერი მოკლედ.

— რატომ? — ხმაში გაღიზიანება დაეტყო. — მეგონა, გიყვარდი.

— მეც მეგონა, რომ გიყვარდი... — ეს რატომ ვთქვი, არ ვიცი, მაგრამ დიდი შეცდომა დავუშვი, გაფრენილი სიტყვა კი უკან ვეღარ დავაბრუნე.

— გეგონა? — აყვირდა უცებ. — შენ ჩემს ნერვებს სცდი, თუ რა ხდება? ყველა უტვინო ქალის დედა... — უწმაწურად შეიგინა ზურამ. ეს უკვე რაღაც სიახლე იყო. — რა გინდა, გოგო, რით ვერ დაგარწმუნე ჩემს სიყვარულში, ღამის თავდაყირა დავდგე, ღამის უშენოდ სუნთქვა შევწყვიტო... შენი სიყვარულის გამო მთელ კრიმინალურ სამყაროს დავუპირისპირდი და ისიც არ ვიცი, როდის ან სად „დამიპადიეზდებენ“, სად ამომხდიან სულს, ტყვიას ზურგიდან „დამაჭედებენ“ თუ წინიდან.

— რას ბოდავ? რა ტყვია, რის კრიმინალური სამყარო... ხომ არ გაგიჟდი?

— მე გავგიჟდი? კარგი, გიჟი დამიძახე, ასე იყოს...

— ზურა, რა ხდება? ისეთ რამეს ამბობ, რაც ჩემთვის გაუგებარია და წარმოუდგენელი.

— ჰო, ნატალი, შენთვის ისიც წარმოუდგენელია, რომ მიყვარხარ, რომ ჩემი გულისთვის აქ დარჩე, რომ ჩემ გვერდით იყო, რომ დამიჯერო... — წამოდგა, მაგიდაზე დაგდებულ სიგარეტის კოლოფს დასწვდა, მოუკიდა და ფეხზე მდგომმა განაგრძო ლაპარაკი. — რადგან მიდიხარ და შენსას არ იშლი, წადი, წადი და ნუღარ დაბრუნდები. არჩევანი გააკეთე, ნატალი — ან წადი და აღარ დაბრუნდე, ან დარჩი და ჩემი ცოლი გახდი.

— მე უნდა წავიდე! — ვთქვი მტკიცედ.

— კარგი, როგორც გინდა! — თქვა და შემოსასვლელში გავიდა, პალტო ჩამოხსნა და ჩაცმა დაიწყო. — იცი, ვინ იყო ის კაცი, რომელიც შენი სამსახურის ეზოში მანქანაში ჩამიჯდა?

— როდის, იმ დღეს, როცა საავადმყოფოში მოხვდი?

— დიახ, სწორედ იმ დღეს.

— არა, არ ვიცი, — ვთქვი და დავიძაბე, რადგან მივხვდი, რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი უნდა გამეგო.

— შენი ბაჩოს „პადელნიკი“ იყო, ნატალი... ჩემი და ბაჩოს საერთო ნაცნობი... მაშინ ჩემს მანქანას 5 კაცით გატენილი „ფორდი“ გამოჰყვა და ქალაქგარეთ ჩემსა და შენს ურთიერთობას ვარკვევდით. რა თქმა უნდა, დედის გინებითა და შეხლა-შემოხლით, — ამ დროს შარფს ნერვიულად ისწორებდა. — ჩემი მანქანაც მათ დაწვეს. ეს კი, მოგეხსენება, მუქარის ერთგვარი ფორმაა. გულის შეტევა იმიტომ კი არ დამემართა, რომ შემეშინდა... არა, ჩემო კარგო... მე სიკვდილის არ მეშინია და ვერც ვერაფერს დამაკლებენ... მე შენი დაკარგვის მეშინია... ბაჩოს „პადელნიკის“ გამოჩენა კი იცი, რას ნიშნავს? — მკითხა, მომიახლოვდა, ცალი ხელით დივნის სახელურს დაეყრდნო, ჩემკენ დაიხარა და თვალებში ჩამხედა.

უარის ნიშნად თავი გავაქნიე და ნერწყვი ძლივს გადავყლაპე.

იმას, რომ ბაჩო ცოცხალია.

კიდევ უფრო დაიხარა, ტუჩებზე ოდნავ შემეხო, მერე მიბრუნდა და ჩემი სახლი უკანმოუხედავად დატოვა.

გაოგნებული დავრჩი. ძარღვებში სისხლი გამეყინა, თვალი გამიშტერდა და გული ისე გამალებით მიცემდა, რომ მეგონა, კედლებიც ზანზარებდნენ. ცრემლმა თავისით გაიკვალა გზა — ჩემი თვალებიდან ღაწვზე მოედინებოდა და მკერდზე მეწვეთებოდა. თითქოს, გულიდან წამოსული ცხელი ლავა თვალებიდან იღვრებოდა და ისევ გულში ბრუნდებოდა. ნამდვილი ჯოჯოხეთი ალბათ, სწორედ ასეთია. ის დღე ჩემი ნამდვილად არ იყო. ჯერ იყო და, ხათუნა დამხვდა სახლში, მერე — ფეხმძიმობის ამბავი... ახლა ბაჩოს შესახებ ახალი ამბის გაგება და ზურას წასვლა... მორჩა! ყველაფერი დამთავრდა-მეთქი, — ვფიქრობდი. „სად დავუშვი შეცდომა? ნუთუ, მართლა ცოცხალია ბაჩო? სად არის? ნეტავ, ზურა თუ დაბრუნდება?“ — უამრავი ასეთი კითხვა მიჩნდებოდა და ვხვდებოდი, რომ ხათუნას სტუმრობა ყველაზე ნაკლები უსიამოვნება იყო. ყველაზე მეტად შოკში ზურას ნაამბობმა ჩამაგდო და გული მისმა წასვლამ დამწყვიტა. ამ ყველაფერში ერთადერთი ნათელი წერტილი ჩემი და ზურას შვილი იყო, რომელიც ჩემს სხეულში ცხოვრობდა და თითქოს მეუბნებოდა — ყველაფერი კარგად იქნებაო. ის კი ვერ გამეგო, უნდა გამხარებოდა ბაჩოს ამბავი თუ უნდა მწყენოდა. ჩემი ცხოვრება 180 გრადუსით შემობრუნდა. მეგონა, ჩემი მომავალი გარკვეული იყო. ახლა კი ყველაფერი აირდაირია და წარმოდგენა არ მქონდა, რას

მიმზადებდა ბედი. ოთახში გაჩახჩახებული შუქი ნერვებს მიშლიდა. სინათლე გამოვრთე, დივანზე ხათუნას მიერ დაყრილი ჟურნალ-გაზეთები იატაკზე გადმოვყარე, მივწექი, პლედი დავიხურე, ტელევიზორიც გამოვრთე და სიბნელეში ცოტა შვებით ამოვისუნთქე, ქვევიდან ზურას მანქანის ხმა შემომესმა. დაქოქა და ეზოდან გავიდა. ამან კიდევ უფრო დამიმძიმა გული. როგორც ჩანს, ამდენი ხანი ეზოში იდგა და შუქი რომ ჩავაქრე, მხოლოდ ამის მერე წავიდა. ბალიშში ჩავრგე თავი და ხმამაღლა ავტირდი. მთელი გულით ვტიროდი და შვებას ვგრძნობდი. თან, ათას რამეზე ვფიქრობდი. არ მახსოვს, რამდენი ხანი გაგრძელდა ასე. მერე ჩამეძინა. დილით, გაღვიძებისთანავე დავიწყე იმაზე ფიქრი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. გამოსავლის მოძებნა გამიჭირდა. ვიფიქრე, სონასთან დავრეკავ-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე იმ მიზეზით, რომ არ მინდოდა, სონა განერვიულებულიყო. ბარემ, ყველაფერს მაშინ მოვუყვები, როცა ვნახავ-მეთქი, — გავიფიქრე. უხალისოდ ავდექი და ჩვეულებისამებრ, სამზარეულოსკენ წავედი. ყავა მოვადუღე და საააბაზანოში შევედი. ცხელი წყალი არ მესიამოვნა. ავდექი და ცივი შხაპის ქვეშ დავდექი, მაგრამ გამახსენდა, რომ ახლა მე უკვე მარტო აღარ ვარ და ისე უნდა მოვიქცე, რომ ბავშვს არაფერი ვავნო. ამიტომ, ისევ ცხელი წყალი მოვუშვი და სახე მივუშვირე. აბაზანიდან გამოსულმა ყავის ფინჯნით ხელში ჩემს საყვარელ სავარძელს მივაშურე. თვალი ზურას სიგარეტს მოკკარი, რომელიც მაგიდაზე დარჩენოდა. მოწევის სურვილი გამიჩნდა, მაგრამ ეს აზრიც უარვყავი. მერე, ფიქრი ხან ბაჩოსკენ გამექცა, ხან — ზურასკენ.

...ჩემი და ბაჩოს სიყვარული უკვე რამდენიმე თვეს ითვლიდა. როცა მისი პირველი სასამართლო დანიშნეს, იქ მეც მივედი. ბაჩოს თავი ღირსეულად ეჭირა და მოკლული სიძის მშობლების ლანძღვაგინებას რეაგირების გარეშე ტოვებდა. მერე, ვიღაც ქალმა თქვა: რა ვაჟკაცია, ღმერთო ჩემო, ცოდვა არ არის, ეს ბიჭი წლების განმავლობაში ციხეში გამოკეტონო? — ამ სიტყვებს დაზარალებულმა მხარემ მოჰკრა ყური და ისეთი ამბავი ატყდა, მეგონა, ჭერი თავზე დაგვემხობოდა. — ჩემი შვილის ცოდვას სად გაურბიხარ? ამას როგორ ამბობ, ჩემი ბიჭი მიწამ უნდა შეჭამოს და ეს ციხისთვის გეცოდებათო? — გაჰკიოდა მოკლულის დედა. — ამას სასამართლოს და ციხეს არ ვაკმარებ, ჩემი ხელით გამოვჭრი ყელსო, — იმუქრებოდა მამა. ერთადერთი, ვინც მათ აზრს არ იზიარებდა, მოკლულის ძმა იყო. მან სასამართლოზე ისიც განაცხადა, რომ ბაჩო უდანაშაულო იყო და მკვლელი სულ სხვა გახლდათ. არეულობის გამო მოსამართლემ შესვენება გამოაცხადა. მე ბადრაგისთვის წინასწარ მქონდა ფული გადახდილი, რომ შესვენების დროს ბაჩოსთან დალაპარაკების საშუალება მოეცათ. ამიტომ, როდესაც მოსამართლემ გამოაცხადა, რომ დარბაზი გაეთავისუფლებინათ, მე ადგილზე დავრჩი და როდესაც მხოლოდ ბადრაგი დარჩა, ბაჩოსთან მივედი. ის რიკულებს იქით იჯდა (მაშინ გისოსებიანი გალია არ იყო). მივუახლოვდი თუ არა, მომეხვია და რაღაცნაირად, სხვანაირად ჩამეხუტა, ისე, როგორც ადამიანებმა გამომშვიდობების დროს ვიცით ხოლმე. ბაჩო ბოლო 1 თვის განმავლობაში ნანახი არ მყავდა და ძალიან მენატრებოდა. სალაპარაკოც ბევრი დაგვიგროვდა, მაგრამ სულ 10 წუთი გვქონდა და ერთმანეთის მოკითხვა ძლივს მოვასწარით. ბოლოს, ყურში ჩამჩურჩულა: მიყვარხარ... და რაც უნდა მოხდეს, სიმშვიდე შეინარჩუნე, იცოდე, მე შენთვის გადავრჩებიო.

შესვენების შემდეგ, სასამართლო პროცესი კიდევ 5 საათს გაგრძელდა. როდესაც პროცესი დამთავრდა, გარეთ უკვე ბნელოდა. ბაჩო ბადრაგმა გამოიყვანა. ვიდრე მანქანაში ჩასვამდნენ, მათთან 2 მამაკაცი მივიდა და ბადრაგს პატიმართან გასაუბრება სთხოვა. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს. ამის გამო, მათ შორის შელაპარაკება მოხდა და წავიდა გაწევ-გამოწევა. ამ არეულობით ბაჩომ ისარგებლა და ადგილს მოსწყდა. მე ამას კიბიდან ვუყურებდი. ბადრაგმა ავტომატის ჯერი დაადევნა. ბაჩომ გზა გადაჭრა, მოპირდაპირე მხარეს მდგარ, ცარიელ ლურჯ „ჟიგულში“ ჩახტა და ადგილიდან მოსწყდა. ბადრაგი დაედევნა. როდესაც ის გზაზე გადადიოდა, უცნაური მოძრაობა გააკეთა — უკან მთელი ტანით გადაიხარა. ვერ მივხვდი, ეს რა იყო, მაგრამ მოგვიანებით, როდესაც იქ შეკრებილი ხალხი დაიშალა და მე ის გზა გავიარე, რომელიც ბაჩომ, შევნიშნე, რომ აქა-იქ სისხლის წვეთები იყო დაღვრილი. მივხვდი, რომ დაიჭრა. თუ წვეთების სიდიდის მიხედვით ვიმსჯელებდი, ბევრი სისხლი არ უნდა დაეკარგა. ტაქსის ხელი ავუწიე და სახლში წავედი. მაშინვე ტელევიზორი ჩავრთე, რომ გამეგო, რა ბედი ეწია ბაჩოს, მაგრამ იმ დღესაც და მომდევნო დღეებშიც ყველა საინფორმაციო სამსახური დუმდა. მერე გავიგე, რომ ეს საქმე წინასწარ იყო მოწყობილი, ბაჩომ იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო და ისიც მოეხსენებოდა, რომ იქ ლურჯი „ჟიგული“ ელოდებოდა — გასაღებიც შიგ იყო და იარაღიც. ძალიან განვიცდიდი მომხდარს. ვფიქრობდი, რომ ბადრაგი აუცილებლად დაიჭერდა ბაჩოს და შესაძლოა, უკვე ცოცხალიც აღარ ყოფილიყო. რამდენიმე დღის შემდეგ გამბედაობა მოვიკრიბე და ჩემთვის უკვე ნაცნობ ციხის უფროსს სამსახურში მივაკითხე, ბაჩოს ამბის გასაგებად. მიმიღო, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი მითხრა. მისი სახის გამომეტყველებით, ირონიული ტონითა და ბევრისმთქმელი ფრაზებით დავასკვენი, რომ ბაჩო ცოცხლებში აღარ ეწერა და იქიდან წელმოწყვეტილი, განადგურებული წამოვედი. თუმცა, რამდენიმე კვირის შემდეგ, იმედი კვლავ გამიჩნდა, რომ ბაჩო გადარჩა, რადგან შევნიშნე, რომ მუდმივად ვიღაც მითვალთვალებდა და რაღაცნაირად ვიგრძენი კიდეც, რომ ჩემი ტელეფონი ისმინებოდა. ერთ დღეს კი, შინ დაბრუნებულმა, იატაკზე მამაკაცის ბოტასის თუ კედის კვალი აღმოვაჩინე. სწორედ ისეთი, როგორსაც გაპრიალებულ პარკეტზე რეზინისძირიანი ფეხსაცმელი ტოვებს. ვიფიქრე, რომ ჩემს სახლში ვიღაც იყო. მერე, ბევრი ვეძებე „ჟუჩოკი“, მაგრამ ვერსად მივაგენი. როგორც ჩანს, ისეთ ადგილზე დამალეს, რომ პოვნა გამიჭირდა. მას მხოლოდ 2 წლის შემდეგ, შემთხვევით მივაგენი და უნიტაზში ჩავრეცხე. მას შემდეგ, რაც სახლში კვალი ვიპოვე, ღამღამობით ეზოს ვზვერავდი ხოლმე და ხშირად დამინახავს სიბნელეში მჯდარი მამაკაცის ფიგურა. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბაჩოს უთვალთვალებდნენ. გამოდის, ის ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და სამართალდამცავებს ემალებოდა. მერე, ციხის უფროსმა თვითონ დამიბარა და დამემუქრა: თუ ბაჩოს ადგილსამყოფელს არ შეგვატყობინებ, ბევრ პრობლემას შეგიქმნითო. — თქვენ რა შუაში ხართ, წესით, ამ საქმეს პროკურატურა უნდა იძიებდეს-მეთქი. — ამას შენ არავინ გკითხავს, რასაც გეუბნები, გაიგონეო, — მიპასუხა. თუმცა, 2 თვის შემდეგ თვალთვალი შეწყვიტეს. მეც ვიფიქრე, რომ ბაჩო სადღაც დაიჭირეს და ალბათ, ადგილზევე გამოასალმეს სიცოცხლეს. აი, ამიტომაც არ ვიცოდი ზუსტად, ცოცხალი იყო თუ არა. ახლა კი ზურამ გამომიცხადა, რომ თურმე, ცოცხალია. ზურას გახსენებაზე სახეზე ღიმილმა გადამიარა, რადგან მაშინვე ჩემი და მისი შვილი გამახსენდა. ზურას გუშინდელი საქციელიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ თვითონ სამუდამოდ წავიდა, მაგრამ მითხრა, ბაჩო ცოცხალია და შეგიძლია მოძებნოო. ეს 2 მამაკაცი ჩემ წინ წარმოვიდგინე. გონება ბაჩოსკენ მეწეოდა, გული — ზურასკენ. „ნეტავ, ახლა ბაჩო რომ გამოჩნდეს, რას ვიზამ?“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს და პასუხი რა თქმა უნდა, არ მქონდა. ალბათ, ორივეს დავემშვიდობებოდი და მხოლოდ მე და ჩემი შვილი განვაგრძობდით ცხოვრებას. ეს იყო ის, რაც ცხოვრებაში ყველაზე მეტად მინდოდა. ახლა, თუნდაც სამყარო დანგრეულიყო, აღარ ვინაღვლებდი... მე და ჩემი შვილი... საჩვენებელი თითი ტუჩზე მივიდე, მერე — მუცელზე და ისე გამომიკეთდა გუნება, თითქოს გუშინ არც არაფერი მომხდარა. სასწრაფოდ გავემზადე და სამსახურში წავედი. ჩემი თავი იმაში დავიჭირე, რომ ვღიღინებდი კიდეც. თუმცა, სადღაც სიღრმეში გული მაინც უზომოდ მტკიოდა და ორად მეყოფოდა.

ახალ წლამდე 10 დღე იყო დარჩენილი. ეს პირველი ახალი წელი იყო, რომელსაც მე და ჩემი პატარა ერთად შევხვდებოდით. ამიტომ საჭირო იყო, სათანადოდ მოვმზადებულიყავი. ყოველდღე გავდიოდი შინიდან, საყიდლებზე. ნაძვის ხე, ბრჭყვიალა სათამაშოები, „წვიმები“ და ნათურები ვიყიდე. სახლიც შესაფერისად მოვრთე და საახალწლო სამზადისში ისე გავერთე, რომ როგორ გადიოდა დღეები, ვერც კი გავიგე. ტელეფონი რომ დარეკავდა, მაშინ ავღელდებოდი ხოლმე... მეგონა, ვნატრობდი და ვოცნებობდი, რომ ზურა იქნებოდა, მაგრამ არც ერთხელ არ გამიმართლა. ზურა გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, წავიდა და ალბათ, აღარ აპირებდა დაბრუნებას. სამაგიეროდ, ყველაზე ძვირფასი რამ დამ-

იტოვა და უზომოდ მადლიერი ვიყავი ამის გამო. ხშირად ვტიროდი, როდესაც მისი მონატრება მომერეოდა. — ალბათ ბედნიერია, საბოლოოდ თავის ოჯახში დაბრუნდა-მეთქი, — ვფიქრობდი. 31 დეკემბერს, დილით გამოვეწყვე და ისევ საყიდლებზე გავედი, საახალწლო სუფრისთვის სანოვაგე უნდა მეყიდა. რაც არ უნდა იყოს, მაინც ოჯახია, რომელიც უკვე 2 სულისგან შედგებოდა და ახალ წელსაც, როგორც საჭიროა, ისე უნდა შევხვედროდით. ყაზბეგის გამზირზე, სუპერმარკეტიდან გამოსულს, ხელში უამრავი ცელოფანის პარკი მეჭირა. შუქნიშანთან გზა უნდა გადამეჭრა და „მწვანეს“ ველოდი. გადასასვლელს უზარმაზარი ჯიპი მოადგა. მივიხედე და მუხლები ამიკანკალდა. საჭესთან ზურა იჯდა. აღარ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი — გზა გამეგრძელებინა თუ მივსალმებოდი. ზურამ მანქანა ისე გააჩერა, მივხვდი, გადმოსვლას აპირებდა. გავჩერდი. მოვიდა, მომესალმა, პარკები ჩამომართვა და უკანა სავარძელზე დაალაგა. მე წინა კარი გამოვაღე და მანქანაში დაუპატიჟებლად ჩავჯექი.

— როგორ ხარ? — მკითხა მას შემდეგ, როდესაც გასაღები გადაატრიალა და მანქანა დაქოქა.

— კარგად, — მოკლედ მოვჭერი, რადგან ცრემლი მქონდა ყელში გაჩხერილი და სადაცაა, ავბღავლდებოდი.

— მეც კარგად, — ისე მიპასუხა, რომ ჩემს შეკითხვას არ დალოდებია. — საახალწლოდ ემზადები?

— ჰო, რა იცი, ვინ მოვა.

— ჰო, მართლაც, რა იცი, ვინ მოვა... — გაიმეორა თუთიყუშივით. ალბათ, სულ სხვა რამეზე ფიქრობდა. — ისევ იქ ცხოვრობ, ხომ?

— აბა, სად წავიდოდი? — ვკითხე გაოცებულმა.

— რა ვიცი, ყველაფერი ხდება. მთელი 9 დღე გავიდა. ამ ხნის განმავლობაში კი შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს. სტუმრებს ელოდები?

— არა.

— აბა, ამდენი საჭმელ-სასმელი სულ შენ უნდა მიირთვა?

— ჰო!

— მადა მოგმატებია.

— ჰო!

— კარგია.

აღარაფერი ვუპასუხე.

— იქნებ, შინ არ მიდიოდი, პირდაპირ შენი სახლისკენ რომ წამოვედი?

— შინ მივდიოდი. აქ გააჩერე... — ვუთხარი და მაღაზიის წინ მივუთითე, რადგან გამახსენდა, რომ ფერადი სანთლების ყიდვა დამავიწყდა.

მაღაზიიდან სანთლებითა და ულამაზესი ყვავილებით ხელდამშვენებული გამოვედი.

— რაღაც, რომანტიკულ საღამოს აწყობ, როგორც ჩანს.

— შენში ყოველთვის მომწონდა ის, რომ ძალზე მიხვედრილი ადამიანი ხარ, — ვუთხარი და რაც შეიძლებოდა მეტი ირონია ჩავაქსოვე.

— კიდევ? სხვა არაფერი მოგწონდა ჩემში? — არც მან დამაკლო ირონია.

— კიდევ ის, რომ მდიდარი ხარ, მაგარი მანქანები და ბევრი ფული გაქვს... — სამაგიერო გადავუხადე.

— ეგ ბევრ ქალს მოსწონს, — თქვა და ჩაიცინა.

— ეჭვიც არ მეპარება, რადგან მეც ერთ-ერთი მათგანი ვარ და კარგად ვიცნობ ჩვენი „მოდგმის“ ბუნებას.

— ისე, მეგონა, მეტყოდი, რომ ჩემთან სექსიც მოგწონდა.

— იცი, რუსულ ენაში ძალიან კარგად არის გამოჯნული „ზანიმატსია სექსომ“ და „ზანიმატსია ლიუბოვიუ“. სამწუხაროდ, ქართული ენა ამის საშუალებას არ იძლევა და იმედი მაქვს, რომ სწორედ ამის გამო ვერ მიეცი სწორი ფორმულირება ჩვენს ურთიერთობას. აქ გამიჩერე... — ისეთ ადგილზე გავაჩერებინე მანქანა, რომ გაოცებულმა მიიხედ-მოიხედა. ვერაფრით მიხვდა, რა მინდოდა აქ.

გადმოვედი, ყვავილები იღლიაში ამოვიჩარე, მეორე ხელით მანქანის უკანა კარი გავაღე და ცელოფანის პარკები გადმოვალაგე. პირველსავე ტაქსის ხელი ავუწიე, „ჩავბარგდი“ და სახლის მისამართი ვუთხარი.

ტაქსი ადგილიდან დაიძრა თუ არა, თვალებიდან ცრემლის მდინარე წამსკდა. ხასიათი გამიფუჭდა. ცრემლს ხელის ზურგით ვიწმენდდი და მთელი გზა ვსლუკუნებდი. ტაქსის მძღოლი საკმაოდ ასაკოვანი კაცი იყო. სარკეში გამომხედავდა ხოლმე, მაგრამ შეკითხვის დასმას ვერ ბედავდა. ეზოში რომ შევედით, როდესაც ფული მივაწოდე, მომიბრუნდა და მითხრა:

— შვილო, მამის ტოლი კაცი ვარ და ნუ მიწყენ, მინდა, რაღაც გითხრა... ხომ იცი, ეს დედაატირებული კაცები ყველა ერთ თარგზე რომ ვართ მოჭრილი. შენს წმინდა ცრემლებად არ ღირს ის კაცი, ვისი გულისთვისაც ასე იკლავ თავს. მით უმეტეს, თუ იმ კაცს ისეთი მდიდრული მანქანა ჰყავს, როგორი მანქანიდანაც შენ გადმოხვედი. იმ კაცს უყვარხარ, დაგიბრუნდება, დამიჯერე...

როდესაც ჩემს გაოცებულ მზერას წააწყდა, მერე დაამატა: მთელი გზა უკან მოგვყვებოდა, სულ 1 წუთის წინ ჩამოგვშორდა, სახე კი ისეთი დაძაბული ჰქონდა, რომ ალბათ, თვითონაც იტირებდა, კაცი რომ არ ყოფილიყოო. მერე ცელოფანის პარკები სახლამდე ამატანინა და დამემშვიდობა. თვალი გავაყოლე კიბეზე ჩამავალს და გული დამწყდა, რომ ეს კაცი ჩემი ახლობელი არ იყო.

მთელი დარჩენილი დღე სუფრის სამზადისს მოვანდომე. ღამის 11 საათისთვის სუფრა გავშალე, ოთახი გავაჩახჩახე და საყვარელ სავარძელში ჩავჯექი, ტელევიზორის პულტით ხელში. 12 საათზე შამპანურის ბოთლი გავხსენი და ახალი წლისა და ჩემი პატარას სადღეგრძელო დავლიე. სადღეგრძელოს ფეხზე მდგარი, ხმამაღლა ვამბობდი ისე, თითქოს ვიღაც მისმენდა. მერე, კვლავ სავარძელს დავუბრუნდი და შამპანურის წრუპვა გავაგრძელე. ორიოდე წუთში ტელეფონმა დარეკა. ვიცოდი, სონა იქნებოდა, მას ვერავინ დაასწრებდა დარეკვას. მომილოცა, შორიდან „კოცნები“ გამომიგზავნა, ზურა მოიკითხა, მითხრა — მიხარია, მალე რომ გნახავო და დამემშვიდობა. ასე, პირველ საათზე კარზე ზარმა რომ დარეკა, ძალიან გამიკვირდა. ელენიკო იყო. კარი გავაღე თუ არა, კანფეტები ჯერ თავზე გადამაყარა, მერე შემოსასვლელში შემოყარა, გადამეხვია და ახალი წელი მომილოცა. პალტოს რომ იხდიდა, ჩუმად მკითხა:

— ზურა აქ არის?

— არა, მაგრამ იმედია, მოვა, — ვთქვი და თან გავიფიქრე: „ისე მოვიდა მტერი, ეგ რომ მოვა-მეთქი“.

სუფრას მივუსხედით. ელენიკომ თამადობა ითავა და სადღეგრძელოს სადღეგრძელოზე ამბობდა. მეც ხასიათი არ გავუფუჭე და ავყევი. შამპანური ნელა-ნელა მეკიდებოდა. ელენიკო ენას არ აჩერებდა და ხან ვისზე მეჭორავებოდა, ხან — ვისზე. კარგა ხნის შემდეგ, კარზე ისევ დარეკეს.

— არიქა, დროზე გაუღე, ზურა იქნება და უკან არ გაბრუნდეს, — ხმამაღლა გაიცინა ელენიკომ. მე კი ღია კართან გაოცებული ვიდექი. ჩემ წინ ნაბადსა და სვანურ ქუდში გამოწყობილი, თეთრწვერა თოვლის ბაბუა იდგა და ჩემს მიპატიჟებას ელოდა. ჯერ ვიფიქრე, მისამართი შეეშალა-მეთქი, მაგრამ როდესაც მკითხა: ნატალი თქვენ ხართო? — უკვე დავრწმუნდი, რომ არაფერიც არ შეეშალა და ნამდვილად სწორ მისამართზე მოვიდა. ამასობაში, ელენიკოც გამოვიდა და თოვლის ბაბუა რომ დაინახა, პატარა ბავშვივით აჭყლოპინდა. მოულოდნელი სტუმარი შინ შემოვიპატიჟე და სუფრასთან დავსვი. მერე ელენიკომ ბევრი ლექსი უთხრა „ნაძვის ხესა“ და „ახალ წელზე“. მას შოკოლადით სავსე პარკი მიაწოდა თოვლის ბაბუამ, მე კი — პატარა, ნახატებიან ქაღალდის პარკში ჩადებული საჩუქარი.

ბაბუა მალევე დაგვემშვიდობა და წავიდა. კარი გაიხურა თუ არა, ჩემს საჩუქარს ვეცით. პარკში, სპეციალურ ბუდეში ჩადებული ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი და ღია ბარათი აღმოჩნდა. „ნატალი, გილოცავ ახალ წელს. მრავალს დაესწარი ჩემთან ერთად. ჩემ გარეშე ერთი დღეც არ გაცოცხლოს ღმერთმა. ცოლად გამომყვები, პატარავ?“ — სულ ეს იყო. გამომგზავნის სახელი არ ეწერა, მაგრამ დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ სიურპრიზის ავტორი ზურა იქნებოდა. სიხარულით ლამის ფრენა დავიწყე. გული ბუდიდან ამოვარდნას ლამობდა. „ჩემი ზურა... ჩემი სიცოცხლე... ჩემი სიხარული“, — ვიმეორებდი გულში დაუსრულებლად და მზად გახლდი, გარეთ გავსულიყავი და ხმამაღლა მეყვირა, რომ ბედნიერი ვიყავი, მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი!

— აუ, რა მაგარია... აუ, რა „დაცემაა“... აუ, რა კაცია... — გაიძახოდა ელენიკო და მალ-მალე გადამეხვეოდა ხოლმე.

— ახლა ალბათ, თვითონაც მალე გამოჩნდება, — ვუთხარი ელენიკოს და კარზე ზარის ხმაც გაისმა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ᲕᲐᲨᲚᲘ ᲧᲣᲗᲔᲑᲨᲘ ᲚᲞᲔᲑᲐ, ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲙᲘ ᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲮᲘᲚᲘ ᲔᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐᲗ“

ᲐᲜᲣ ᲯᲐᲠᲐᲚᲔᲗᲔᲚᲘ ᲒᲚᲔᲮᲘᲡ ᲡᲐᲬᲣᲮᲐᲠᲘ

ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲡᲣᲚᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲙᲕᲘᲠᲔᲑᲘᲐ. ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲘᲡᲛᲗᲚᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ. ᲕᲘᲤᲘᲥᲘᲠᲔ, ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲛᲐᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ. ᲐᲠᲐᲝ, — ᲛᲘᲗᲮᲠᲐ, ᲐᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲗᲥᲛᲔᲚᲘ ᲛᲐᲥᲕᲡ, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲠᲘᲠᲔᲑᲝ... ᲡᲝᲤᲔᲚᲡ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲡᲝᲤᲔᲚᲖᲔ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲕᲘᲤᲘᲥᲠᲝᲑ, ᲛᲘᲡᲘ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲜᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲐ, ᲑᲔᲕᲠ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ ᲓᲐᲒᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲡ. ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲓᲐᲪᲚᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲕᲐ, ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ.

ᲚᲔᲚᲐ ᲭᲐᲜᲙᲝᲢᲐᲫᲔ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲨᲐᲧᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

— კარალეთელი გლეხი ვარ. ჩემი სოფელი ძალიან მიყვარს. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება სიკვდილამდე. როცა სულ პატარა ბიჭმა, სოფლის ტალახში ფეხშიშველმა სირბილით გული ვიჯერე, ორღობეში ბატები დავაფრთხე, მეზობლის გოგოს ნაწნავი მოვქაჩე და ბავშვური ცნობისმოყვარეობით ყველა კუთხე-კუნჭული მოვიარე, ეს სიყვარული მაშინ მოვიდა, მერე აზვირთდა და წამლეკა. ამიტომაც ვეთაყვანებოდი ჩემს სოფელს და ლექსებსაც ვუწერდი. ახლა ყურადღებას აღარავინ აქცევს და ჩვენზე, სოფლელ ხალხზე საცოდავიც აღარავინ არის. მაღალმთიან ადგილებში გლეხი უფრო უკეთ ცხოვრობს, ვიდრე მჭიდროდ დასახლებულ ქართლის სოფლებში. კარალეთი ოდესღაც უმდიდრესი სოფელი იყო. ახლა კი ძალიან უყურადღებოდ და უპატრონოდ ვართ დარჩენილები. რას აკეთებს სოფლის მეურნეობის მინისტრი? საერთოდ, რა საჭიროა ეს სამინისტრო?! სოფელში აღარავინ იცის, რა გვარია მინისტრი, თვალით არავის უნახავს. არ ჩამოსულა და ჩვენი გასაჭირი არ გაუზიარებია. რატომ?

— რა უჭირს თქვენს სოფელს?

— რა ულხინს?! არაფერი აღარ ულხინს. ხალხი გასაცოდავებულია. იცით, რომ მამულები დაგვირიგეს. განა გავაფუჭეთ?! ჩემნაირი ბაღი არავის აქვს. შევაკალი თავი. ედემის ბაღი მაქვს. ზაფხულში რომ ნახოთ, გაოცდებით, მისი სილამაზე დაგამუნჯებთ. მაგრამ არანაირი შემოსავალი არა მაქვს. მოგეხსენებათ, ხეხილის შეწამვლა აუცილებელია. ერთი ლიტრი წამალი 300 ლარი ღირს, თითო შეწამვლა სულ მცირე 600 ლარი ჯდება, ბაღს კი 8-ჯერ მაინც სჭირდება წამლობა. 5.000 ლარი წამალში უნდა დახარჯო! მოსავლის რეალიზაციით კი, 1.000 ლარსაც კი ვერ აიღებ. უდიდესი პრობლემაა ვაშლის გაყიდვაც. უწინ მოსავალი რუსეთში გაგვქონდა, მაშინაც გვიშლიდნენ, ბაზრებში დაგვდევდნენ, გვიჭერდნენ კიდეც. 300 ყუთ საუკეთესო ვაშლს რომ წავიღებდი, 40.000 მანეთი უკან მომქონდა. კარგად ვცხოვრობდი. ახლა ადგილობრივი ბაზრები ვაჭრებითაა სავსე. გლეხს ბაზარში ვინ შეუშვებს?! რუსეთის ბაზარი ჩვენთვის ხელმიუწვდომელი გახდა. თუ რომელიმე ჩვენგანს ბედი გაუღიმებს, მის კარს ოსი მყიდველი მოადგება. ყუთში 6-7 ლარს გადაიხდის და თვითონ შეეცდება, რუსეთში წაიღოს. კარალეთში ვაშლი ყუთებში ლპება, ქართველ ბავშვებს კი ვიტამინებით სავსე ეს მადლიანი ხილი ენატრებათ.

— წელს რამდენი ყუთი ვაშლი გაყიდეთ?

— არც ერთი. ყინვამ ისეთ დროს იმძლავრა, როცა ყვავილობდა. ამიტომ, სოფელი ვაშლის გარეშე დარჩა. რაც გადარჩა, იმასაც ფასი არა აქვს. თბილისში რომ ჩამოვედი, ბაზარში გავიარე. ვაშლს 3 ლარი აწერია. ჩვენს სოფელში კი მხოლოდ 1 ლარი ღირს. მე ხეივანიც მაქვს. წელს 200 ლარის ყურძენი გავყიდე. 200 ლარი ეკლესიის მშენებლობაზე გამოვიმუშავე. საშოვნელად ძნელია, მაგრამ დასახარჯად იოლი. კარგი ხელოსანი გახლავართ. სახელოსნო სასწავლებელი ყვარელში, სოფელ ენისელში დავამთავრე. შემდეგ გორის სამშენებლო სასწავლებელში ვსწავლობდი. ულამაზესი რესტორნები — „ნაჭარმაგევი“ და „ვენეცია“ ჩემი აშენებულია. რამდენიმე დანგრეული ეკლესიაც აღვადგინე. ამჟამად სოფელ კოშკების (სკრის რაიონი) მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობაში ვმონაწილეობ. ასეთ საქმეში ვაჭრობა არ შეიძლება. თუ რაიმეს გადამიხდიან, მადლობელი ვიქნები. ჩვენი სოფლის ეკლესიის მშენებლობაზე ცხადია, გასამრჯელო არ ამიღია. პირიქით, ვცდილობდი, სხვა თანასოფლელების მსგავსად, ფული შემეგროვებინა და ეკლესიის ასაგებად შემეწირა. დედამ ასე გაგვზარდა. მეც ჩემი შვილები რწმენით აღვზარდე.



ისეთი მარანი გავმართე, რომ არ აღფრთოვანდე, შეუძლებელია. გოგოს ქორწილი რომ გადავუხადე, ხალხი გაგიჟდა

— თქვენ შვილებიც სოფელში ცხოვრობენ?

— 3 შვილი მყავს. სოფელს სამივე გაექცა. არადა, იცით, რამხელა სახლი მაქვს?! რაც დრო გადის, ფუჭდება. იმის საშუალება სად არის, რომ რამე შევმატო? გაკეთებულიც იშლება. ახლა ვფიქრობ, ყველაფერი გავყიდო. განა მემსუბუქება სოფლის დატოვება, მაგრამ მეტი რა გზაა?! ქალაქში ვაპირებ გადმოსახლებას. არადა, 72 წელია, რაც ამ სოფელს სულში ვეკვრები. სოფელში ნაკვთების დარიგება რომ დაიწყო, ხალხმა ხეხილიანი ბაღები დაიტაცა, მე ცარიელი მიწა ავიღე. მაშინ მეურნეობის დირექტორს განცხადება დავუტოვე, მე კი დასასვენებლად, ტრუსკავეტკში წავედი. აი, ვინ არის კაცი, ცარიელ ნაკვეთს ითხოვს, თქვენ კი ხეხილიანი გინდათო, — უთქვამს. მაშინვე გამიფორმა 3 ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ეს იყო 1992 წელს. სანერგეში 400 ძირი ნერგი ვიყიდე. ყველამ გაიხარა, არც ერთი არ გამხმარა. დღე და ღამე ვშრომობდი. მერე რა, რომ ფული ბევრი მქონდა?! მუშებსაც ვქირაობდი და მათ გვერდით მეც მუხლჩაუხრელად ვშრომობდი. ბაღში ხელოვნური ტბაც გავაკეთებინე. ტბა რვა მეასედზეა გადაჭიმული. შიგ იმდენი თევზია, მთელ ჩემს სანათესაოს რომ ჰყოფნის. ირგვლივ კი, საუკეთესო ჯიშების ვაშლი, ბალი, ქლიავი, გარგარი და კაკალი ხარობს. შარშან გარგარს ისე ესხა, ვფიქრობდი, გაჭირვებას ბოლო მოეღებამეთქი, მაგრამ ყინვამ გააფუჭა... ატმის ბაღიც მაქვს. გორის ატამი მოგეხსენებათ, როგორი სახელგანთქმულია. საერთოდ, როცა გლეხი ნამყენს ჩაყრის, 10 წელი უნდა ელოდოს.

მთელი ზაფხული საკუთარი ხელით ვხერხავდი, ვჩარხავდი, ეზოში მტვრის ბული იდგა

თავისი შრომის შედეგს. იცით, ეს როგორი 10 წელია?.. გულისფანცქალით ელი, როდის მოიბამს პირველ ნაყოფს. თითოეულ ხეს ათჯერ, ათასჯერ, მილიონჯერ უვლი გარშემო, ბარავ, თოხნი, მიწას უფხვიერებ. ვინ იცის, მაგ ბაღზე რა ფულია დახარჯული?!. მაშინ დახარჯულზე არ ვფიქრობდი, არც ახლა ვნაღვლობ. მაგრამ ჩემი ოფლი მენანება, ტყუილად დაღვრილი ოფლი. კარგად რომ მოიხნას, 30 ტონაზე მეტი ვაშლი მოიკრიფება!..

— ყოფილა შემთხვევა, რომ ბევრი ვაშლი დაგლპობიათ?

— უკვე 14 წელია, რაც კარალეთში ვაშლი ლპება და იყრება. მანქანებით გააქვთ და მდინარეში ყრიან. იცით, რა შეგრძნებაა?! განადგურდა სოფელი... გახსოვთ, ფული რომ „გაფუჭდა“? ცოლი შემომიჩნდა — ბანკში შევიტანოთ ფული, „პირისპირ“ ემატებაო. 1.000 მანეთი მივეცი. ეს რა არისო?! — გაუკვირდა. — მეტი არა მაქვს გადასაყრელი-მეთქი, — ვუპასუხე. თანასოფლელებმა მილიონი შეიტანეს — მაშინ კარალეთი უმდიდრესი სოფელი იყო. ხალხს ბანკში ფული დიდი არყის ქვაბებითა და „იაშიკებით“ მიჰქონდა. ვიქრობდი — როგორ მოვიქცე-მეთქი? ჩავედი რუსთავში, რკინის მილები ვიყიდე, მანქანები დავტვირთე, სოფელში ჩავიტანე და ეზოში დავყარე. შემდეგ გავყიდე და ჩემი ფული გადავარჩინე. მოგებაც დამრჩა... მეზობელი მყავდა კოლა. მასაც ვურჩიე — ფული ბანკში არ შეიტანო, რკინა იყიდე-მეთქი, — არა, ხალხი გარბის და მეც უნდა გავეკიდოო, — მიპასუხა. იმ ფულს „გადაჰყვა:“ იდარდა კაცმა, იდარდა და გათავდა საწყალი. იცით, მაშინ სოფელში რა ცოდვის ტრიალი ატყდა?! ხალხმა ბანკებში ფულის შეტანა რომ ვეღარ მოასწრო, ქუჩებში გამოიტანა და დაწვა. რამდენიმე ადგილას 25-მანეთიანებით „ჭიაკოკონობა“ მოაწყვეს. იმ ფულივით დაიფერფლა სოფლის კეთილდღეობა...

— ახლა არიან ისეთები, ვინც თქვენს სოფელში შიმშილობენ?

— ერთეულების გარდა, არის ვინმე მაძღარი?! მე ვერ ვიკადრებ, რომ ვთქვა — ვშიმშილობ-მეთქი. ახლა მთავარია, სახლში ჰურის ფქვილი და ღვინო არ გამოილიოს, თორემ, ტანსაცმელს თუ ვიყიდი, — მხოლოდ მეორად მაღაზიებში. არ მეგონა, თუ ოდესმე გავღარიბდებოდი. გოგო რომ გავათხოვე, იმხელა ქორწილი გადავიხადე, ახლა წარმოუდგენლად მოგეჩვენებათ. 500 ოჯახი დავპატიჟე, 1500-მა კაცმა მოიყარა თავი!.. მერე ყველაფერი აირია. სამჯერ გამქურდეს. არყის ქვაბიც კი მომპარეს. იმ ქურდებს არ ვამტყუნებ: ისინი მშივრები არიან. ჩემი შვილი სტუდენტობის დროს, 5 წელი მოსკოვში ისეთ სასტუმროში ვაცხოვრე, იქ მოხვედრა მდიდარსაც რომ უჭირდა. ხმა რომ გავარდა — აქ ქართველი ცხოვრობსო, — იქ მყოფი ქართველები სასტუმროს წინ დგებოდნენ, რომ დაენახათ, ვინ იყო ის იღბლიანი. ჩემი არყის ქურდებს კი, დარწმუნებული ვარ, შვილები მშივრები ჰყავთ და არ გაემტყუნებათ... პარლამენტს ვემდური, აღარ მოხდება, რომ პარლამენტი შევიყვარო. არადა, იცით, როგორ მეამაყებოდა?! დრო იყო, როცა მთავრობას ლექსებს ვუძღვნიდი.

— ეი. პოეტობთ კიდეც?

— მახსოვს, ახალი დაქორწინებული ვიყავი. ვმუშაობდი, მაგრამ დღეში 1-2 მანეთს მიხდიდნენ. 8 მარტი მოდიოდა, ის მცირე ხელფასიც ვერ ავიღე. ერთი ყვავილი რომ მეყიდა, ფული ამისთვისაც არ მქონდა. რა უნდა მექნა?! ძილი გამიტყდა. დილით ყველა მოსიყვარულე ქმარი თავის ცოლს დღესასწაულს მიულოცავდა. რა უნდა მიმერთმია მისთვის?.. ფიქრში წავედი, მუზაც მოვიდა, ავიღე ფურცელი და ცოლს ლექსი მივუძღვენი. რომ წაიკითხა, იტირა. ჩემნაირი საჩუქარი არავის მიუღიაო, — მითხრა. საერთოდ, ლექსებს ვწერ. მახსოვს, კომუნისტებს ლექსი დავუწერე და ჩუმად საპატიო დაფაზე გავაკარი. იმ ლექსის გამო განგაში ატყდა.

„ატირდა დიდი ლიახვი, ცრემლი აშრება თვალზედა.

კვნესის, ტირის და ღრიალებს, წუწუნებს თავის თავზედა;

შემსვეს, შემსრუტეს, დამლიეს, დამაშრეს სიპსა ქვაზედა,

ჩემი ძალა და სილაღე გაანაწილეს მთაზედა.

ძმა მინდა მოვინახულო, მსურს, რომ ჩავიდე მტკვარზედა,

ძალა არ შემწევს, საბრალოს, ხავსი მედება მკლავზედა,

სავალი რიყით მოჰფინეს, მუხლი მატყდება ქვაზედა...

ასეთი სოფლის მოყვარული კაცი ქალაქში გადმობარგებას ვაპირებ. არადა, როგორ მინდოდა, მის სიყვარულში დამელია სული!.. სახლს რომ ვაშენებდი, ასეთი გეგმა მქონდა: დერეფანი მთელ სახლს ისე უნდა შემორტყმოდა გარშემო, რომ ჩემს შვილიშვილებს სამბორბლიანი ველოსიპედით შეუფერხებლად შესძლებოდათ ნავარდი. უზარმაზარი სახლი ავაშენე... მერე მარნის გაკეთება მოვისურვე. მთელი ზაფხული საკუთარი ხელით ვხერხავდი, ვჩარხავდი, ეზოში მტვრის ბული იდგა. მეზობლები ამბობდნენ — რას აკეთებს ეს კაცი, ხომ არ გაგიჟდაო?! ისეთი მარანი გავმართე, რომ არ აღფრთოვანდე, შეუძლებელია. გოგოს ქორწილი რომ გადავუხადე, ხალხი გაგიჟდა. პატარძალს ვინღა აქებდა? ყველა ჩემს მარანზე ლაპარაკობდა. ამას წინათ, მეზობელმა მითხრა: ცოდვა ხარ, გურამ, სად უნდა წახვიდე შენი დაკოჟრილი ხელებითა და ოფლად დაღვრილი სხეულითო?! განა მე კი მეიოლება, გენაცვალოს ძიამ?! მაგრამ ასე გადავწყვიტე, ნუგეშად ის მაქვს, რომ კარალეთის მიწა ჩემი საძვალე გახდება, ცხადია, სადაც არ უნდა ვიყო, მაინც იქ დავიმარხები... ■

ჰლეხანოველი ნიკო ლეკიშვილი, „ბირჟა“ და დაქერას გადარჩენილი პროფესორი

საბჭოთა ხელისუფლებიდან დაწყებული, ვარდების რევოლუციის ჩათვლით, ყველანაირ პოლიტიკურ ბატალიებს გაუძლო და დღესაც გავლენიანი ფიგურაა. თუმცა, თავად, როგორც ჩანს, დაიღალა პოლიტიკით და წასვლას აპირებს. სად წავა აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, თბილისის ყოფილი მერი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი და მრავალგზის პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი?.. ერთი რამ ფაქტია — მისთვის ყველა გზა თბილისში მიდის.

ნათია ქარუმიძე

— ბატონო ნიკო, ყველანაირ პოლიტიკურ ცვლილებას აუღლეთ ალღო და თამაშგარე მდგომარეობაში არასდროს დარჩენილხართ. არაერთ მაღალ თანამდებობაზე ყოფილხართ, რომელ სავარძელში უფრო კარგად გრძნობდით თავს?

— უმეტესწილად, თბილისის მმართველობის სამსახურებში ვიყავი დასაქმებული. ჯერ, პირველი მაისის რაიონის ხელმძღვანელი — აღმასკომის თავმჯდომარე ვიყავი, მერე — თბილისის ქალაქის კომიტეტის მდივანი. ასევე, ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე გახლდით. შემდეგ, წამოვედი სახელმწიფო სამსახურიდან და წლების მერე დავბრუნდი, როგორც თბილისის მერი. პარლამენტის დეპუტატიც უმეტესად, თბილისიდან ვიყავი. მიმაჩნია, — ჩემთვის არ იყო მართებული ის, რომ თბილისის მასშტაბებს გავცდი: მოხდა ისე, რომ რაჭის მაჟორიტარი დეპუტატი გავხდი და სამწუხაროდ, დედაქალაქს აღარ დავუბრუნდი. ვფიქრობ, ჩემი საქმე თბილისის და თბილისური პრობლემების მოგვარება უფროა, ვიდრე სხვა რამ.

არც წინა არჩევნების დროს მქონდა დიდი სურვილი პოლიტიკაში დარჩენის...

თბილისი პატარა ქალაქი იყო, ახლა ნამდვილი მეგაპოლისია

— ეი. მაინც აპირებთ, თბილისს კვლავ დაუბრუნდეთ.

— ასე ვთქვათ, „თბილისურ ამბებში“ ახლაც აქტიურად ვარ ჩართული. თუმცა, მას შემდეგ, რაც დიდი პოლიტიკიდან წამოვალ, უფრო ქმედითად დავუბრუნდები.

— პოლიტიკიდან წასვლას უკვე აპირებთ?

— ვნახოთ, ვნახოთ, არ ვიცი. გააჩნია, რა სიტუაცია იქნება. სიმართლე გითხრათ, მე არც წინა არჩევნების დროს მქონდა დიდი სურვილი პოლიტიკაში დარჩენის...

— თბილისს რა გეგმებით დაუბრუნდებით?

— არ არის აუცილებელი სახელმწიფო სამსახურში ყოფნა, საქმის კეთება ისედაც შეიძლება. შესაძლოა, თბილისში მიმდინარე სამშენებლო პროცესში მივიღო მონაწილეობა. თუმცა, მიყვარს სპონტანური გადაწყვეტილებები და არ არის გამორიცხული, სულ სხვა საქმეს მოვკიდო ხელი. მაგალითად, ამ ბოლო დროს, მევენახეობამაც გამიტაცა. რაჭაში დავიწყე ეს საქმე და ძალიან მომწონს. ალბათ, ეს ასაკის ბრალია...

— „ძველი თბილისის“ აღმშენებლობის პროცესშიც ხომ არ ჩაერთვებით? საერთოდ, რა ინფორმაცია გაქვთ, რას გეგმავს მთავრობა ამ უბანთან დაკავშირებით?

— როდესაც ქალაქის მერი ვიყავი, მსგავსი სქემა ჩვენც გვქონდა შემუშავებული. თითქმის იმავე საზღვრებში გვინდოდა ახალი რაიონის შექმნა. ოღონდ, ჩვენ სხვა სახელს ვარქმევდით — „ცენტრალურ რაიონს“. ასეთი გამიჯვნა ქალაქის ურბანულ განვითარებას და კონტროლს ბევრად უფრო შეუწყობს ხელს. უწინ, ცენტრისა და პერიფერიის პრობლემები ერთიან პაკეტში განიხილებოდა, არ იყო განსხვავებული მიდგომა. ეს არ არის სწორი. მაგალითად, როდესაც პარიზში ჩადიხართ, სად მიდიხართ? რა თქმა უნდა, ელისეს მინდვრებზე და არა სადღაც, ახალ კვარტალებში. ყველა უნდა მიხვდეს, რომ გლდანის რომელიმე ქუჩა ვერასოდეს დაემსგავსება რუსთაველის პროსპექტს. რუსთაველი ქალაქის სავიზიტო ბარათია და შესაბამისად, მის მიმართ მიდგომაც განსხვავებული უნდა იყოს. სხვათა შორის, ცენტრისა და პერიფერიის გამიჯვნა, თვით პერიფერიის განვითარებასაც შეუწყობს ხელს. დაახლოებით ვიცი, თუ რას აპირებს მთავრობა და ჩემი აზრით, მართებულად მოქმედებს. ძველ ქალაქს განსაკუთრებული კონცეფცია სჭირდება და ამისთვის საჭიროა ძალების კონცენტრაცია. შესაძლოა, მოსახლეობის სხვა უბნებში გადაყვანის საჭიროება შეიქმნას. დარწმუნებული ვარ, ამ პროცესში მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურად იქნება დაცული.

— ბატონო ნიკო, როგორები იყავით თქვენ თაობის თბილისელი ახალგაზრდები და როგორები არიან დღევანდელი ახალგაზრდები?

— ჩემი სტუდენტური წლები ძალიან კარგად მახსენდება — სრული თავისუფლება, ბევრი ნაცნობი... ახალგაზრდები ბევრს ვმოგზაურობდით საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ბევრს ვერთობოდით. თუმცა, იმ დროს არ იყო ასე მკვეთრად გამიჯნული ერთმანეთისგან ახალი და ძველი თაობა. 20 წლით უფროსებს თუ უმცროსებს შეეძლოთ, ერთმანეთის დაპატიჟება სადმე, ერთ სუფრასთან დასხდომა და მეგობრობა. აქედან გამომდინარე, საინტერესო ხალხს ვიცნობდი. მათგან ბევრ რამეს ვსწავლობდი. ბევრად უფრო ადამიანური ურთიერთობები იყო... ის, რომ დღეს რთული თაობაა, არ არის გასაკვირი. ჩვენ ლაღ ეპოქაში ვიცხოვრეთ. 40 წლის ვიყავი, როდესაც პირველად განვიცადე მეგობრის დაკარგვით გამოწვეული ტკივილი. ამ თაობაში კი, ვერ ნახავ 30 წლამდე ადამიანს, ვისაც ან მეგობარი, ან სხვა თანატოლი დაღუპული არ ჰყავდეს. ამ თაობამ აფხაზეთის, ოსეთის, სამოქალაქო ომები გადაიტანა. საშინელ კრიმინალურ ეპოქაში მოუწია ცხოვრებამ. ამიტომ, როდესაც ვიღაც ამ ახალგაზრდობაზე რამის თქმას დააპირებს, გაიხსენოს ეს ყველაფერი. ჩვენს დროს თუ ლაღი იყო თბილისი, ამ თაობის დროს ის სევდიანი გახდა. სხვათა შორის, ახლა ნელ-ნელა გამოდის ხალხი ამ სტრესიდან. თუმცა, ბევრს კვლავ ძალიან უჭირს. ეს ცხოვრებაა!

— თქვენ იმ პერიოდში, მაღალ თანამდებობებზე მუშაობდით, როგორ შეაფასებთ ამ გადასახედიდან თქვენს საქმიანობას?

— ძალიან რთული დრო იყო. ქვეყანაში ქაოსი და ომი იყო. ვფიქრობ, იმ პერიოდს სათანადო შეფასება უნდა მიეცეს. აი, ახლა რომ გაიძახიან — ის ავანთე, ეს გავაკეთე, იმან რატომ ვერ აანთო და ვერ გააკეთაო?.. იმიტომ, რომ ომი, საშინელი კრიმინოგენური სიტუაცია იყო... არც დენი იყო, არც გაზი. ამ ყველაფრის აღდგენას დრო სჭირდებოდა.

— თბილისზე ძალიან ხართ შეყვარებული. გული არ გწყდებათ, რომ მან ის ძველი იერი დაკარგა?

— თბილისი ვერ იქნება ისეთი, როგორიც იყო 40 წლის წინ და არც 40 წლის მერე იქნება ისეთი, როგორიც ახლაა. ეპოქები იცვლება და იცვლება ქალაქებიც. იმ დროს, თბილისი პატარა ქალაქი იყო, რომლის მოსახლეობის რაოდენობა თუ განლაგება სტაბილური გახლდათ. ამიტომ იყო უფრო მეტი ნაცნობობა, უფრო უშუალო და ბუნებრივი ურთიერთობები... ახლა თბილისი ნამდვილი მეგაპოლისია. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა სხვადასხვა რაიონში გადაინაცვლა. მოხდა როგორც იმიგრაცია, ასევე — ემიგრაცია. ჩემთვის არ არის გასაგები, როდესაც ამბობენ — წინათ თბილისი უფრო კარგი იყოო. ვფიქრობ, ეს ასაკის ნოსტალგიაა: 50, 60, 70 წლის ადამიანს ცხადია, ენატრება ის დრო, როდესაც თავად, 20-30 წლის იყო. ასე რომ, ის იმ დროს კი არ მისტირის, არამედ — თავის ახალგაზრდობას... თბილისი შეიცვალა იმ ეპოქისდა მიხედვით, რომელ ეპოქაშიც ახლა არის. მთავარია, ამ ცვლილებებმა არ წაშალოს ისეთი ღირებულებები, როგორიცაა სამშობლოს, ქალაქის სიყვარული, მეზობლობა, კეთილი ურთიერთობები.

— დღევანდელ ახალგაზრდობაში არსებობს აზრი, რომ იმ ეპოქაში მურტალოებს უფრო სცემდნენ პატივს, ვიდრე კუკარაჩებს...

— სამწუხაროდ, დღევანდელ ახალგაზრდებში მართლაც, დამკვიდრდა ის აზრი, რომ თბილისი იმ დროს, ხულიგნების ქალაქი იყო. ცხადია, იყო ჩხუბებიც, იყვნენ ხულიგნებიც, მაგრამ ეს არ ატარებდა გლობალურ ხასიათს. ეს არ იყო ქალაქის ცხოვრების წესი. დღეს ძალზე კრიტიკულად აფასებენ იმ დროის ერთ-ერთ ცხოვრებისეულ რეალობას — როგორიცაა „ბირჟა“. არადა, ეს იყო აბსოლუტურად უწყინარი და ხშირ შემთხვევაში, კარგი მოვლენა. იმ დროს არ იყო ბევრი გასართობი საშუალება, ამიტომ, ხალხი ქუჩებში, თავიანთ უბანში, გარკვეულ ადგილას იკრიბებოდა და ერთობოდა. დროთა განმავლობაში, ამ ბირჟებზე გარკვეული თამაშის წესები ჩამოყალიბდა — უბნის პატივისცემა, დაცვა, გაფრთხილება და ა.შ. იმ დროს, მიცვალებულს სასაფლაოებზე ხელით მიასვენებდნენ. მაშინ არც მანქანები იყო და არც ავტობუსები. მე პლეხანოვზე ვცხოვრობდი. იქაური მოსახლეობა ძირითადად, კუკიაზე კრძალავდა გარდაცვლილს. წარმოიდგინეთ, რამხელა და რა რთული გზაა! მახსოვს, როგორ ეხმარებოდნენ ბირჟაზე მდგარი ბიჭები მათთვის აბსოლუტურად უცხო ადამიანებს: მივიდოდნენ, სასახლეს ჩამოართმევდნენ და გარკვეულ მანძილამდე ატარებდნენ. „ბირჟებთან“ დაკავშირებით, ერთი სახალისო ფაქტიც მახსოვს. ვინც თბილისი არ იცის, მისთვის ცოტა რთული გასაგები იყო ეს „ბირჟაობა“. პლეხანოვზე, რაიკომის წინ ბირჟა იყო. საღამოობით იქ იკრიბებოდნენ: პროფესორები, ქარხნის დირექტორები და სხვა ასეთი წარჩინებული ადამიანები, ერთმანეთს უყვებოდნენ სხვადასხვა ამბავს და ხალისობდნენ. იყო სიცილ-ხარხარი და ხმაური. ერთ-ერთი რაიკომის მდივანი, თბილისთან დიდად დაახლოებული პირი არ გახლდათ. ამ ხმაურით ძალიან შეწუხებულს, მილიციის უფროსთან დაურეკავს და უთქვამს — ეს ხულიგნები დაიჭირეო. მილიციის უფროსმა მე დამირეკა (მაშინ აღმასკომის თავმჯდომარე გახლდით) და მითხრა — ასეთ რაღაცას მეუბნება და რა ვქნა, კოტე ჯანჯღავა (პროფესორი გახლდათ) და მისნაირები როგორ დავიჭიროო?! ჩავედი იმ რაიკომის მდივანთან და როგორღაც ავუხსენი, რომ ასე არ შეიძლებოდა...

■

დაძმობაში გადასული ცოლქმრული სიყვარული და შოჯის მომგვრელი დუეტი

რა ურთიერთობა აქვს ჯაბა ბოჯგუას ბერძენ მომღერალთან

2 წლის წინ, ბერძენი მომღერალი ნიკოლ ჭრანა საქართველოში ჩამოვიდა, ჯაბას კონცერტს დაესწრო, მერე ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ კიდეც. ნიკოლი დედით ქართველია და საქართველო ძალიან უყვარს. ამიტომ და კიდევ სხვა მიზეზების გამო (ის 22 თებერვლისთვის ჯაბას მიერ დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას), ჭრანა რამდენიმე დღის წინ მეგობარმა თბილისში ჩამოიყვანა. წყვილი დუეტის ჩაწერას და კლიპის გადაღებასაც აპირებს, რადგან მიიჩნევს, რომ მათი ტანდემი ძალზე მომხიბვლელი იქნება და ამ კლიპში ყოველგვარი ნიღბის გარეშე წარმოგვიდგენენ საკუთარ თავს.


ის გამომწვევად, ექსტრავანგარტურად იცვამს

ლიკა ქაჯაია

ჯაბა:

— მყავს ნათლია, რომელიც მართალია, ქართველი გახლავთ, მაგრამ უკვე 10-12 წელია, რაც საბერძნეთში, კერძოდ, კუნძულ კრეტაზე ცხოვრობს. ის ზაფხულობით ჩამოდის თბილისში და ერთხელ ნიკოლიც ჩამოიყვანა. იმ პერიოდში კლუბ „16 რაუნდში“ ორდღიან კოსტიუმირებულ სანახაობას ვაწყობდი, რომელსაც, რა თქმა უნდა, ნიკოლიც დაესწრო. მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, თუ ის საბერძნეთში წარმატებული „პევიცა“ იყო. როცა ეს მითხრეს, მისი შემოქმედებით დავინტერესდი და ჩვენ შორის ბევრი საერთო აღმოვაჩინე.

— რას გულისხმობ?

— მომეწონა მისი სიმღერა და სასცენო კოსტიუმები. ის გამომწვევად, ექსტრავანგარტურად იცვამს და მართალია, მე არ მაქვს 5 ან 6 ზომის მკერდი და არც ქალი ვარ, მაგრამ მაინც, მიმაჩნია, რომ ძალიან გამომწვევი გახლავართ. მოკლედ, ჩვენი ტანდემი შედგა და ვმეგობრობთ, ვახლობლობთ.

დღეს ძალზე ძნელია, გყავდეს ნამდვილი მეგობარი, თუმცა, მას მაინც პოულობ

— ეი. გამომწვევად ჩაცმამ განაპირობა თქვენი დაახლოება?

ნიკოლი:

— რა თქმა უნდა! გემოვნებაზე ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ჯაბა:

— ვერ ვიტან „კომპლექსიანად“ ჩაცმულ გოგონებს. ყველა ქალს გამომწვევად უნდა ეცვას — არა აქვს მნიშვნელობა, ის გათხოვილი იქნება თუ არა, ეს ქმრებსაც სიამოვნებთ. ცოლს რომ მოვიყვან, მას ერთ რამეში შევუთანხმდები — „ლიფჩიკი“ საერთოდ ამოიღოს თავისი გარდერობიდან.

— მაგრამ ქართველ ქალებს (განსაკუთრებით, გათხოვილებს) მამაკაცები უკომპლექსოდ ჩაცმას უკრძალავენ...

— ეს იმიტომ, რომ თვითონ არიან კომპლექსიანები. ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ ქმრებს ცოლების გამომწვევად ჩაცმა აღიზიანებთ, უბრალოდ, ამის აფიშირება არ უნდათ...

— ნიკოლ, საბერძნეთში სად ცხოვრობ?

— სალონიკში, რომელიც ძალიან ლამაზი ქალაქია.

— იქ პოპულარული მომღერალი ხარ?

— საკმაოდ.

— საბერძნეთში შოუბიზნესი რა დონეზეა განვითარებული?

— როგორ გითხრათ?.. შეიძლება ითქვას, რომ ევროპულ დონეზე, ისევე, როგორც ინგლისში და საერთოდ, მთელ მსოფლიოში.

— რამდენი წლის ხარ?

— 24-ის.

— შეყვარებული არ გყავს?

— მყავს. ის 10 თვისაა.

— ეგ როგორ?

— (*იცინის*) ჩვეულებრივად: ჩემს ძმისშვილს ვგულისხმობ.

— მე გულის სწორი ვიგულისხმე.

— რჩეული ჯერ არ მყავს, მაგრამ ვიცი, რომ ოდესმე, ვინმე აუცილებლად შემიყვარდება.

— ჯაბაზე რისი თქმა შეგიძლია?

— ის ძალიან სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცია, რომელსაც ყოველთვის ებადება ახალ-ახალი, არასტანდარტული, საინტერესო იდეები. მასთან საუბარი ძალიან საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ ის ქართულად ლაპარაკობს, მე — რუსულად, მაგრამ ფეხებისა და ხელების მოშველიებით, ერთმანეთს მაინც ვაგებინებთ ყველაფერს (*იცინის*). ის კეთილია, გახსნილი, მასთან ურთიერთობა ადვილია, არ გაკომპლექსებს, ნებისმიერ თემაზე შეგიძლია, ელაპარაკო, აუცილებლად გაგიგებს. ჩვენ რაღაც საერთო ვიპოვეთ ერთმანეთში, ამიტომაც ვმეგობრობთ.

— რას ნიშნავს თქვენთვის მეგობრობა?

ჯაბა:

— ჩემთვის მეგობრობა ასოცირდება იმ ადამიანთან, რომელთანაც ხარ ბოლომდე გულწრფელი, გულახდილი. ამ სიტყვით მხოლოდ ჩემთვის რჩეულ ადამიანებს მივმართავ. სულ 3 მეგობარი მყავს.

ნიკოლი:

— მიმაჩნია, რომ დღეს ძალზე ძნელია, გყავდეს ნამდვილი მეგობარი, თუმცა, მას მაინც პოულობ. მეგობარი არის ის ადამიანი, რომელსაც ჭირშიც და ლხინშიც გვერდით უნდა დაუდგე და მისგანაც ასეთივე ყურადღება უნდა მიიღო. მან ბევრი ახსნა-განმარტების გარეშე უნდა გაგიგოს — თვალებში რომ ჩაგხედავს, უნდა ხვდებოდეს, რა გინდა და ყოველგვარი ხვეწნა-მუდარის გარეშე დაგეხმაროს. მასთან თავი უნდა იგრძნო თავისუფლად, ყველაფერში ენდობოდე და რაც მთავარია, მასთან უნდა იყო ის, ვინც სინამდვილეში ხარ.

— ჯაბა შენს მოთხოვნილებებს

მე ნიკოლში ის მომწონს, რომ ბუნებრივია, აქვს ჯანსაღი სხეული და მასში არც ერთი გრამი სილიკონი არ არის

აკმაყოფილებს?

— რა თქმა უნდა. სხვა შემთხვევაში, მასთან ვერ ვიმეგობრებდი.

ჯაბა:

— ნიკოლი შრომისმოყვარე ადამიანია, ცხოვრების მიზანი დასახული აქვს და მისკენ ჯიუტად მიიწევს. მიუხედავად იმისა, რომ თავისი საქმის პროფესიონალია, ყოველი კონცერტის წინ ღელავს, ემზადება და შედეგსაც აღწევს (აბა, ზოგ-ზოგიერთებს კი არ ჰგავს).

ნიკოლი:

— ჯაბა ერთ ადგილს არ ტკეპნის, სულ რაღაც ახლის ძიებაშია — ეძებს საკუთარ თავს და სხვა რამესაც. ამით სხვებს უმტკიცებს, რომ ძლიერი პიროვნებაა.

— ერთმანეთის უარყოფით თვისებებზე რისი თქმა შეგიძლიათ?

— მას ჯერ ისეთი არაფერი გაუკეთებია, რაც არ მომეწონებოდა, მაგრამ ჩემთვის ნაკლები დრო რჩება. როცა მირეკავს, მაშინაც სულ გადარბენაზეა, სულ რაღაცას აკეთებს, ეჩქარება.

ჯაბა:

— ნიკოლის უარყოფით თვისებებზე ვერაფერს გეტყვი, რადგან იშვიათად ვნახულობ, ძირითადად, ტელეფონის, ინტერნეტის, „ესემესების“ მეშვეობით ვესაუბრებით ერთმანეთს და მაშინაც, ერთმანეთის მოფერებით ვართ დაკავებული... 24 საათის განმავლობაში ერთად რომ ვიყოთ, ალბათ, რაღაც სათქმელი ორივეს გვექნებოდა...

— როცა ერთმანეთს უკავშირდებით, რაზე საუბრობთ?

ნიკოლი:

— როცა ჯაბა მირეკავს, როგორ ცუდ ხასიათზეც არ უნდა ვიყო, განწყობილებას გამომიკეთებს ხოლმე: ისეთ კომპლიმენტებს აფრქვევს, რომ თავი მთელ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგო მგონია...

ჯაბა:

— ამას გულით გეუბნები, უაზრო კომპლიმენტით არავის ვაჯილდოებ... მე ნიკოლში ის მომწონს, რომ ბუნებრივია, აქვს ჯანსაღი სხეული და მასში არც ერთი გრამი სილიკონი არ არის შეყვანილი. მის სხეულს კორექცია არ სჭირდება... სილიკონით დაიწყო ჩემი ცხოვრებაც და ალბათ, ამიტომაც მიხარია ისეთი ქალის ნახვა, რომლისთვისაც თითის შეხების არ გეშინია.

— რას ნიშნავს — სილიკონით დაიწყო ჩემი ცხოვრება?

— რას ნიშნავს და იმას, რომ ისეთ ხალხთან მქონდა შეხება, მეშინოდა, მათი სხეულის რომელიმე ნაწილი არ გამსკდარიყო და ეს ჩემთვის არ დაებრალებინათ.

— ნიკოლ, შენ რა აზრის ხარ სილიკონზე?

— თუ ქალს ან კაცს (სქესს მნიშვნელობა არა აქვს) საკუთარ გარეგნობაში რაიმე აკომპლექსებს, მაშინ, პლასტიკური ოპერაცია თუ სილიკონის შეყვანა აუცილებელია. მაგრამ არის ისეთი შემთხვევები, როცა ადამიანი ძალიან ლამაზია, მაგრამ მას რაღაც მაინც არ აკმაყოფილებს, იცვლის სხეულის ნაწილებს და ბოლოს, ისე იცვლება, რომ საკუთარ თავს აღარ ჰგავს, მახინჯდება კიდეც და ეს, რა თქმა უნდა, სისულელეა.

— ერთმანეთს რჩევას თუ აძლევთ ხოლმე?

ჯაბა:

— როცა ვინმე ჩემ მიერ მოწყობილ შოუზე გამოდის, მას რჩევას ყოველთვის ვაძლევ. ნიკოლს ახლა მივცემ რჩევას, რომ როცა ქართველი მსმენელის წინაშე წარდგება, მისი გემოვნება გაითვალისწინოს, რათა ხალხი არ გააღიზიანოს. ის რაღაც დოზით ქართულ ფორმატში უნდა ჩაჯდეს.

— რამ შეიძლება, ქართველი მსმენელი გააღიზიანოს?

— იმ ქცევის მანერამ, ჩაცმის სტილმა, რომელიც საბერძნეთში ძალიან მოსწონთ. მეც მაქვს ისეთი კოსტიუმები, რომლებსაც საქართველოში ვერ ვიყენებ... ტარკანი თბილისში რომ ჩამოვიდეს და თავისი კოსტიუმირებული შოუ, ვთქვათ, სპორტის სასახლეში გამართოს, ბევრს გული გაუსკდება ან რეანიმაციის განყოფილებაში მოთავსება არ ასცდება. თავის ქვეყანაში კი, შეიძლება ითქვას, რომ ხალხს სწორედ ამით უფრო მეტად ხიბლავს... ჩვენ სხვანაირი პუბლიკა გვყავს.

— ნიკოლ, როგორ ფიქრობ, რითი გასხვავდება ქართველი და ბერძენი მსმენელი ერთმანეთისგან?

— მიმაჩნია, რომ არაფრით. ნებისმიერ ქვეყანაში, კონცერტზე მოსულ საზოგადოებას აქვს ერთი სურვილი — მოისმინოს მუსიკა, გაერთოს და მომღერალთან ერთად იხალისოს, იცეკვოს, ისტუნაოს, განწყობილება აიმაღლოს. მართალია, ქართულ სცენაზე ჯერ არ მიმღერია, მაგრამ ვესწრებოდი კონცერტებს და ვხედავდი, რას მოითხოვდა მსმენელი მომღერლისგან, როგორ ერთობოდა.

ჯაბა:

— არაჩვეულებრივი კითხვა დასვი. იცი, რითი განსხვავდება? — ფულით: იქ მომღერალს ნორმალური ჰონორარი აქვს, რომლითაც თავის მოვლა შეუძლია. ჩვენთან კი, 100 ლარის გამო გიჟებივით გარბიან ფოთში, ხობში, ზუგდიდში, ბათუმში. ამ თანხით კი, ვერც ჩაიცვამენ და ვერც თავს მოუვლიან. საქართველოში ან კონცერტი არ იმართება, ან თანხას არ გიხდიან.

— როგორ შეაფასებდით ერთმანეთის შემოქმედებით ნიჭს?

— ნიკოლი ცხოვრებაში სულ სხვანაირი ადამიანია, სცენაზე კი, ისე იმოსება, რომ მას ვერც იცნობ. ასეც უნდა იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას სცენის კულტურა აქვს, რაც ძალიან მიხარია.

ნიკოლი:

— პირველ რიგში, ჯაბა სცენაზე გარეგნულადაც ძალზე საინტერესოა და თან, კარგი ხმა აქვს. ის მსმენელს თუ მაყურებელს მოდუნების საშუალებას არ აძლევს, მას სპექტაკლის მსგავს შოუს უჩვენებს, მაგარ რაღაცებს აკეთებს. როცა სცენაზე დგას და მას უყურებ, გგონია, რომ არანაირი პრობლემა არ აქვს, სულ მხიარულია, მსმენელთან კავშირს აბამს და სწორედ ესაა ყველაზე მთავარი.

— მასში რას შეცვლიდი?

— ჯერ კიდევ უნდა დავაკვირდე... ალბათ, მასში ვერაფერს შევცვლიდი.

ჯაბა:

— როცა ადამიანი 24 წლისაა, ძალიან ძნელია, მის შეცვლაზე ილაპარაკო.

— მაგრამ მაინც, შენი ნება რომ იყოს?

— ჩემი ნება რატომ უნდა იყოს?.. რადგან მას ვეგუები, ე.ი. ისეთი მომწონს, როგორიც არის.

ნიკოლი:

— მას მხოლოდ ერთ რამეს ვთხოვ — რუსული ან ბერძნული ენა უკეთ შეისწავლოს.

ჯაბა:

— მე რუსული ვიცი, მაგრამ ლაპარაკის კომპლექსი მაქვს... რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, ერთი თვის წინ, ერთი ქალი რუსთავიდან საბერძნეთში წავიდა, ძიძად მუშაობს და უკვე ისეთი „გატეხილი“ ქართულით ლაპარაკობს, რომ გადავირიე. სამაგიეროდ, წყალივით იცის ბერძნული ენა. ალბათ, უმთავრესი — პრაქტიკაა.

გაგრძელება 50-ე გვერდზე

ის მსმენელს თუ მაყურებელს მოდუნების საშუალებას არ აძლევს, მას სპექტაკლის მსგავს შოუს უჩვენებს, მაგარ რაღაცებს აკეთებს

ქართველი ფეხბურთელის ფეხბედნიერი დედა: «როცა სტადიონზე ვარ, დათოს გოლი ყოველთვის გააქვს»...

რამდენიმე წელია, საქართველოს საფეხბურთო ნაკრებს რაიმე განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია. ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატიდან გამოვარდა, რადგან ვერც ფრანგებს მოვუგეთ და ვერც იტალიელებს. მაგრამ ფეხბურთელები კვლავაც აქტიურად ვარჯიშობენ და მომავალი ამოცანების გადაჭრაზე ზრუნავენ. სწორედ მათი გარჯის შედეგი იყო ამ ცოტა ხნის წინ თურქეთის ნაკრებთან გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვება, რომლის „ავტორად“ 25 წლის დავით სირაძე მოგვევლინა. დათომ თავური დარტყმით ულამაზესი გოლი გაიტანა და ჩვენდა სამწუხაროდ, თამაშის შემდეგ უმალ გერმანიაში გაემგზავრა, ამიტომ მასთან ვრცელი ინტერვიუს ჩაწერა ვერ მოვახერხეთ. სამაგიეროდ, მის ოჯახს ვესტუმრეთ და დათოს საფეხბურთო კარიერაზე მამამისს, ბატონ სოსო სირაძეს და დედას, ქალბატონ მზია ლაბაძეს ვესაუბრეთ.

ნათია ქივიძე

— როგორი შეგრძნება გაქვთ იმის გამო, რომ სანაკრებო თამაშისას გატანილი ერთადერთი გოლის ავტორი თქვენი შვილია?

ქალბატონი მზია:

— ამ თამაშის დროს მთელი ოჯახი სტადიონზე წავედით. დათომ გოლი რომ გაიტანა, რა თქმა უნდა, ეს ძალიან გაგვიხარდა. იქიდან რომ მოვდიოდით, „დინამოს“ სტადიონიდან დიდუბის ეკლესიამდე ფეხით ისე მივედი, არც გამიგია, რადგან მთელი ამ დროის მანძილზე, ტელეფონით ვლაპარაკობდი. ვინ აღარ დაგვირეკა და მოგვილოცა ეს წარმატება!..

ბატონი სოსო:

— ადრე მეც ფეხბურთელი ვიყავი და შესაბამისად, სპორტის ამ სახეობაში კარგად ვერკვევი. თამაში რომ დაიწყო, დათოს მეექვსე-მეშვიდე წუთზე შეეძლო, გოლი თავით გაეტანა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. მას მერე, მთელი თამაშის განმავლობაში ღმერთს ვევედრებოდი, ერთი შანსი კიდევ მიეცი-მეთქი და მართლაც, ასე მოხდა. მან ამ გოლით მთელი ქვეყანა გაახარა. ეს დათოსთვის გადამწყვეტი იყო — ამ თამაშის შემდეგ, ტოპმიოლერმა განაცხადა: სირაძე ნაკრების სრულუფლებიანი წევრია და მას შოტლანდიაში წავიყვანთო... გარდა ამისა, დათო 3 წლის განმავლობაში, თურქეთში, ქალაქ ერზრუმში თამაშობდა. იქ ამ მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა. დამთავრდა თუ არა თამაში, ვინც იცნობდა, ყველა თურქმა დარეკა და წარმატება მიულოცა.

ქალბატონი მზია:

ადრე მეც ფეხბურთელი ვიყავი

— თურქეთში მეგობარიც ჰყავს, რომლის მამაც სასტუმროს მეპატრონე გახლავთ და იქ ყოფნის პერიოდში დათოს საკუთარი შვილივით უვლიდა. სულ მეუბნებოდა: არ ინერვიულო, დათო ჩემი მესამე შვილია, თუ რაიმე დასჭირდება, ყველაფერში დავეხმარებიო. მათაც დაგვირეკეს...

ბ-ნი სოსო:

— დათოზე ყველა ამბობდა: ძალიან ჭკვიანი და ნიჭიერი, მაგრამ სუსტი ბავშვიაო. 16 წლის იყო, „დინამოდან“ ამ მიზეზით რომ გამოუშვეს. ძალიან განიცადა ეს ამბავი... მერე, თურქეთიდან ვიღაცები ჩამოვიდნენ, დათო მოეწონათ და წაიყვანეს. მე და ვალერი კობახიძე (დათოს ნათლია. — ავტ.) ერზრუმში რომ ჩავედით, მან მითხრა: ზუსტად ის ადგილია, რომელიც დათოს ფიზიკური სიძლიერისთვის სჭირდებაო და მართალიც აღმოჩნდა.

— ბატონო სოსო, ალბათ თქვენი დამსახურებაა, რომ დათო ბავშვობიდანვე დაინტერესდა ფეხბურთით...

— რა თქმა უნდა. 35-ე სკოლაში 25 წლის განმავლობაში ვმუშაობდი მწვრთნელად (ამჟამად, „ლოკომოტივის“ სტადიონზე სელიქციონერი ვარ). მისი ფეხბურთელად აღზრდა ჩემი და ამ სკოლის დამსახურებაა, თუმცა, თვითონაც დაინტერესებული იყო სპორტის ამ სახეობით. ისე, მისი პირველი მწვრთნელი მე ვიყავი.

— ფეხბურთით მის გატაცებას თავიდან, სერიოზულად არც აღიქვამდით, არა?

ქ-ნი მზია:

— რა თქმა უნდა. სკოლაში დათო ყოველთვის კარგი მოსწავლე იყო. ფეხბურთზე სიარული რომ დაიწყო, საჭირო გახდა, სპორტულ სკოლაში გადასულიყო. მე ამის სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი. მაგრამ მერე, როცა სპორტის ამ სახეობაში გავერკვიე, მივხვდი, რომ სწორი ნაბიჯი გადავდგით.

— ალბათ, თქვენთვის ძნელი გადასაწყვეტი იქნებოდა 16 წლის ბავშვის თურქეთში გაშვება...

— ორი შვილი მყავს — გიორგი და დათო. გიორგი აბსოლუტურად განსხვავებულია ძმისგან. დათო ყოველთვის წყნარი და მორჩილი ბავშვი იყო. სულ ხელჩაკიდებული დამყვებოდა და უეცრად, 16 წლის ასაკში თურქეთში გავუშვი. რა თქმა უნდა, ეს ძალიან გამიჭირდა. თვეში 400-500 ლარზე ნაკლები სატელეფონო გადასახადი არ მომსვლია — სულ ვურეკავდი და ველაპარაკებოდი... ამის გამო, მე და სოსო ხშირად ვკამათობდით. მე რომ ამდენი არ მერეკა, დათო იქ არ გაჩერდებოდა. ერთი წლის განმავლობაში იძულებით აჩერებდნენ... ახალი წასული იყო, რომ ჩავკითხე. ბარგი უკვე გამზადებული ჰქონდა, მითხრა — აქ ველარ ვიცხოვრებო. გუნდის პრეზიდენტი ეუბნებოდა: შენ დიდი ფეხბურთელი გახდები, ოღონდ, ახლა აქედან არ წახვიდეო. მეც მთხოვა: ქალბატონო, დათო არ წაიყვანოთ და თქვენც აქ დარჩითო. როგორ დავრჩებოდი, როცა ოჯახისთვის უნდა მიმეხედა?.. გადავწყვიტე, გიორგი გამეშვა მასთან. მაშინ ის „გეპეიში“ სწავლობდა, აკადემიური აიღო და 3 თვით თურქეთში გაემგზავრა.

ბ-ნი სოსო:

— აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ დღეს ყველაფერს ძალიან ჩქარობენ — 17-18 წლის ბიჭებს უკვე ძირითად ნაკრებში ათამაშებენ და ა.შ. მე, როგორც მწვრთნელს, დათოს აღზრდა არ მიჩქარია, გეგმაზომიერად ვავარჯიშებდი. შვილს ვეუბნებოდი: ყველა საფეხური ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა გაიარო და 25 წლის ასაკში, უკვე დასრულებული მამაკაცი იქნები-მეთქი. დათო ჩამოვიდა, 2 მატჩში ითამაშა და ყველა აალაპარაკა. რაჭველები ვართ და ალბათ, ამიტომაც არ ვიჩქარეთ (*იცინის*)...

— დათომ თურქეთიდან დაბრუნების მერე, სად განაგრძო თამაში?

ძ-ნი მზია:

— თურქეთის ის გუნდი, რომელშიც დათო თამაშობდა, უმაღლესი ლიგიდან გამოვარდა და სწორედ ამიტომ წამოვიდა იქიდან. მაგრამ თურქებმა მას „გათავისუფლების“ ფურცელი არ მისცეს: ჩვენი აღზრდილია და სანამ გარკვეულ თანხას არ მივიღებთ, სხვაგან თამაშის უფლება არ ექნებაო. გუნდში მისი აყვანისგან ყველამ თავი შეიკავა: „დინამომაც“, „ვიტ ჯორჯიამაც“... ბოლოს, დათო ადგა და „ლოკომოტივის“ სტადიონზე თავისთვის ვარჯიშობდა. ერთი თვის განმავლობაში აკვირდებოდნენ „ლოკომოტივის“ მწვრთნელები და საბოლოოდ, მისი გუნდში აყვანა გადაწყვიტეს. სწორედ მათ გადაიხადეს თანხა და „გათავისუფლების“ ფურცელიც მივიღეთ. „ლოკომოტივში“ 2 წლის განმავლობაში თამაშობდა. მისი მწვრთნელი ჯერ კახა ცხადაძე იყო, მოგვიანებით, ამ თანამდებობაზე რეზი არველაძე დაინიშნა, მერე კი — გერმანელი მწვრთნელი, ცაკარიასი მოვიდა, რომელსაც დათო ძალიან მოსწონდა...

ბ-ნი სოსო:

— სწორედ მისი გადაწყვეტილებით, დათო გერმანიაში წავიდა. მართალია, მას „ლოკომოტივიდან“ არ უშვებდნენ, რადგან ხელშეკრულების თანახმად, ამ გუნდში კიდევ ნახევარი წლის განმავლობაში უნდა ეთამაშა, მაგრამ ცაკარიასმა მოაგვარა ეს საკითხი.

— ახლა დათო სრულწლოვანია და მის საზღვარგარეთ ცხოვრებაზე ალბათ, ისე აღარ დარდობთ...

ძ-ნი მზია:

— რა თქმა უნდა, როცა 16 წლის ბავშვი თურქეთში გავუშვი, მაშინ უფრო ვღელავდი. მაგრამ დღესაც ძალიან განვიცდი, ჩვენგან შორს რომ ცხოვრობს, ამიტომაც, ყოველ საღამოს ინტერნეტის მეშვეობით ველაპარაკებით. მესამე წელია, უკვე იქ არის... სოსო ყოველთვის დაკავებულია, მუშაობს და არ სცალია. ამიტომ, ძირითადად, მე მიწევს დათოსთან ჩასვლა. გერმანიაში უკვე სამჯერ ვიყავი და სამივეჯერ თამაშზე წავედი. როცა იცის, რომ მე სტადიონზე ვარ, დათო სულ სხვაგვარად თამაშობს — ყოველთვის გოლი გააქვს. თანაგუნდელები და მწვრთნელები ეხუმრებიან: რას გაჭმევს დედაშენი ამისთანას, რომ მისი ჩამოსვლისთანავე ასე მაგრად თამაშობ, სულ ჯანზე ხარო?.. თურქეთში რომ ვაკითხავდი, სულ ცდილობდა, რომ თამაშს არ დავსწრებოდი, რატომღაც, რცხვენოდა თანაგუნდელების. ახლა ასე აღარ არის, პირიქით — სულ მეხვეწება, წამოდიო.

— დათოს თაყვანისმცემელი გოგონები არ გაწუხებენ?

— ძალიან ხშირად რეკავენ გოგონები და მატყუებენ — ამა და ამ ჟურნალიდან გაწუხებთ და დათოს ნომერი მითხარითო. თავიდან ვერ ვხვდებოდი, რომ მატყუებდნენ და ნომერს კითხვების გარეშე ვაძლევდი... ერთხელ გოგონამ დარეკა და მითხრა: ჟურნალისტი ვარ და დათოსთან დაკავშირება მინდაო. ვკითხე: რომელი ჟურნალიდან ხარ-მეთქი? ყოველ დილით ვყიდულობ პრესას, იმ გოგონამ კი, ისეთი ჟურნალი დამისახელა, რომლის არსებობაც არ გამეგო. ვუთხარი — ცოტა ხანში გადმორეკეთ-მეთქი, — და ქუჩაში გავედი, მაგრამ მსგავსი სახელის მქონე პრესის ორგანოს ვერსად მივაგენი. შინ რომ დავბრუნდი, იმ გოგომ დარეკა. ვკითხე — რატომ მატყუებ-მეთქი? — და ნომერი აღარ მივეცი... დათოს თაყვანისმცემლები არ მაწუხებენ. უბრალოდ, როცა ზოგიერთი მათგანი თავხედურად იქცევა, ეს ძალიან მაბრაზებს.

— დათოს პირად ცხოვრებაში თუ ერევით?

— ალბათ, ყველას მშობელი ერევა შვილის პირად ცხოვრებაში. მეც ვერევი, ოღონდ — დადებითად. დათოს რჩეული აუცილებლად კარგი, წესიერ ოჯახში აღზრდილი გოგო უნდა იყოს.

— ამჟამად, დათოს რჩეული არ ჰყავს?

— არა. ჯერჯერობით, ამის შესახებ არაფერი გამიგია.

— გერმანელი გოგო რომ მოიყვანოს ცოლად, ამ ამბავს როგორ შეხვდებით?

— ქართველი მირჩევნია...

— დაბოლოს, თქვენს პირველ შვილზე, დათოს უფროს ძმაზე მოგვიყევით რაიმე.

ძ-ნი მზია:

— გიორგის „გეპეი“ აქვს დამთავრებული. ამჟამად, უმუშევარია. ისიც თამაშობდა ფეხბურთს (მაგრამ სოსომ მაინცდამაინც კარგი შეფასება არ მისცა), მეტსახელად პელე დაირქვა. ის უფრო „ჟილკიანი“ იყო. ერთხელ თამაშზე დაიბარეს, მაგრამ მოედანზე ხომ არ გაიყვანდნენ — ვარჯიში ახალი დაწყებული ჰქონდა. მაშინვე მივიდა მწვრთნელთან და მას მკაცრად ჰკითხა — მე

დათოს რჩეული აუცილებლად კარგი, წესიერ ოჯახში აღზრდილი გოგო უნდა იყოს

რატომ არ მსვამ გუნდშიო? მწვრთნელს გაუკვირდა — შენ ჯერ ვინ ხარო? — ვინ ვარ და პელეო, — უპასუხა გიორგიმ... სოსომ გადაწყვიტა, რომ გიორგის უნდა ესწავლა და ფეხბურთი არ უნდა ეთამაშა.

ბ-ნი სოსო:

— ახლა მსაყვედურობს — შენ არ მომეცი საშუალება, რომ ფეხბურთი მეთამაშა, ყურადღება არ მომაქციეო. რა ვქნა, დათოს უფრო შევატყვე, რომ „თავში ფეხბურთი ედო“, ვიდრე გიორგის.

ძ-ნი მზია:

— სოსოს აზრით, გიორგი კარგი მწვრთნელი იქნებოდა. მართლაც, გიორგიმ სამწვრთნელო კურსები გაიარა და ცოტა ხანს ბავშვებთანაც იმუშავა, მაგრამ არ იყო ეგ მისი მოწოდება... ცოტა ხნის წინ დაოჯახდა. ძალიან კარგი რძალი გვყავს, ნანა ფაცია, რომელსაც ასევე „გეპეი“ აქვს დამთავრებული, პროფესიით პროგრამისტია... რამდენიმე დღეში, შვილიშვილი შეგვეძინება და ბავშვი ბიძის სეხნია იქნება.

გადავწყვიტე, რამდენიმე კითხვით თავად დათოსთვისაც მიმემართა და მას ინტერნეტის მეშვეობით დავუკავშირდი.

— როგორი შეგრძნებაა, როცა მთელი საქართველო შენს წარმატებაზე ლაპარაკობს?

— ძალიან მიხარია, რომ იმ ერთადერთი გოლის ავტორი მე ვარ. არაჩვეულებრივი შეგრძნება იყო, ყველა მილოცავდა.

— შენი აზრით, როგორ ჩაიარა საქართველო-თურქეთის თამაშმა?

— საკმაოდ კარგად ვითამაშეთ და ამიტომაც მოვიგეთ. განსაკუთრებით, ხალხის გულშემატკივრობა მომეწონა, ამან დიდი სტიმული მოგვცა. არ მახსოვს, ოდესმე ასე დაეჭიროთ ჩვენთვის მხარი.

— ორიოდე სიტყვით მიამბე, როგორ ცხოვრობ გერმანიაში, ვისთან მეგობრობ და თავისუფალ დროს რას აკეთებ?

— გერმანიაში ცხოვრება ძალიან მომწონს, აქაურობას მივეჩვიე. სულ რეჟიმში ვარ, ვვარჯიშობ, ვემზადები... აქ ყოფნის განმავლობაში, სულ 3 გუნდში ვთამაშობდი და შესაბამისად, უამრავი მეგობარი შევიძინე. გარდა ამისა, გერმანიაში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს და თითქმის სულ ერთად ვართ. ახლა ლომაია და აშვეთიაც ჩამოვიდნენ და ხშირად ვიკრიბებით. მოკლედ, კარგია ევროპა, მაგრამ თბილისსა და საქართველოს მაინც არაფერი მირჩევნია...

— გერმანიაში ამდენი ქართველი ფეხბურთელი რომ ხართ, რა შეხედულების არიან თქვენზე ადგილობრივები?

— ჩემს თანაგუნდელებს ქართველებზე არაჩვეულებრივი წარმოდგენა აქვთ. ან კი, ცუდი რატომ უნდა ჰქონდეთ?.. ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს.

— აშვეთია და ლომაია შენს გუნდში თამაშობენ თუ სხვაგან არიან?

— არა, სხვადასხვა გუნდში ვთამაშობთ — ისინი კარლ-ცაისის „იენაში“ არიან, მე „ერზგებირგე აუეში“, მაგრამ ახლოს არიან ჩემთან. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. „ფათა“ და „ყაიმი“ სინონიმებია.
2. ართხმო სოფელია ყაზბეგის რაიონში.
3. თუთიყუში — არა 80 წლამდე ცოცხლობს.
4. კასპაროვი კარპოვზე 12 წლით უმცროსია.
5. საერთო-სახალხო კენჭისყრას პლებისციტი ჰქვია.
6. კლეპტომანთა უმრავლესობა შეძლებული ადამიანია.
7. ბობ მარლი 36 წლის ასაკში კიბოთი გარდაიცვალა.
8. ბგერა წყალში უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ჰაერში.
9. ნორვეგიაში ცხვრის მოხარშული თავი დელიკატესად მიიჩნევა.
10. მამაკაცებს ოთხჯერ უფრო ხშირად ეცემათ მეხი, ვიდრე ქალებს.
11. წმინდა ნინო მისსავე დაარსებულ ბოდბის მონასტერში აღესრულა.
12. „და ზდრავსტვუეტ ვსიო, ბლაგადარია ჩემუ, ნესმატრია ნი ნა შტო...“ — უყვარდა თქმა იური ნიკულინს.
13. ტაქსი-მოპედები საბერძნეთის მსხვილ ქალაქებში საცობებიდან თავის დაღწევის იდეალური საშუალებაა.
14. ბავშვობიდან უკურნებელი ტუბერკულოზით დაავადებული რობერტ ლუის სტივენსონი 44 წლის ასაკში გარდაიცვალა.

15. ძაღლების მსგავსად, უსინათლოთა მეგზურად ჯუჯა ცხენ პონისაც წვრთნიან. პონის ის უპირატესობა აქვს, რომ ძაღლისგან განსხვავებით, შუქნიშნის ფერებს არჩევს.
16. ჩაპაევის როლის შემსრულებელი ბორის ბაბოჩკინი თავდაპირველად, ფილმში პეტკას როლის სათამაშოდ მიიწვიეს. ეს ფილმი ძალიან მოსწონდა სტალინს. მან იგი 38-ჯერ ნახა.
17. შინაური ცხოველების დახმარებით ნევროზის მკურნალობას ანიმოთერაპია ჰქვია. საზღვარგარეთ ეს უკვე დანერგილი პრაქტიკაა. ექიმთა რჩევით, პაციენტები სპეციალურად ყიდულობენ შინაურ ცხოველებს, რათა მათ დადებითი გავლენა მოახდინონ ადამიანთა ფსიქიკაზე.
18. „შურისძიება ტერორის გარეშე“, — ასეთი ლოზუნგის წაკითხვა შეიძლება შეერთებულ შტატებში ავტოგასამართ სადგურებზე, სადაც მხოლოდ ამერიკასა და კანადაში მოპოვებული საწვავი იყიდება.
19. ახლო წარსულში გარდაცვლილმა თურქმენბაშმა, საფარმურატ ნიაზოვმა საკუთარი მმართველობის დროს კვირის დღეებსა და თვეებსაც შეუცვალა სახელები.

„ჯეოსტარელი“ დიტო ქისიშვილი თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტის სტუდენტი გახლავთ. საუკეთესო „სასიძოდ“ კი იმიტომ მომეჩვენა, რომ ვიცი — ბევრ გოგონას, მისი ინტერვიუს წაკითხვისას, გული აუჩქროლდება. დიტო თბილი, ყურადღებიანი ადამიანია და იოლად შეუძლია უცხო ადამიანების კეთილგანწყობილება მოიპოვოს. გამოხატეთ მის მიმართ თქვენი დამოკიდებულება, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზედმეტად თამამი და კეკლუცი გოგონებით მაინცდამაინც არ იხიბლება.

„ჩემს ბედნიერებას და ბედნიერებას ინსტისტუსი მიუღებელია“...

როგორ საცოლეს ეძებს დიტო ქისიშვილი

სოფო ჭონიშვილი

— დიტო, გაგვაცანი შენი ოჯახი.

— მყავს დედა, მამა და და. დედა პროფესიით გერმანული ენის სპეციალისტია, ამჟამად — დიასახლისი. მამა ერთ დროს ინჟინერი იყო, ახლა სხვა საქმითაა დაკავებული. ჩემი და, სალომე კი, უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი გახლავთ, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლობს.

— რამდენი წლის ხარ?

— 21-ის.

— ჰოროსკოპით რა ხარ?

— მორიელი. საერთოდ, ჰოროსკოპს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. შეიძლება, ათასში ერთხელ დავინტერესდე.

— შენში კარგი თვისებები ჭარბობს თუ ცუდი?

— საკუთარი თავის ქება კარგ ტონად არ მიმაჩნია. ისე, მეგობრები მეუბნებიან, რომ კარგი ბიჭი ვარ.

— მაინც, შენს განსაკუთრებულად კარგ თვისებად რას მიიჩნევენ?

— ამბობენ, რომ უზომოდ კეთილი ადამიანი ვარ. სხვათა შორის, ამას მეც ვგრძნობ. ყოველთვის ვცდილობ, სიკეთე ვთესო და ვიცი, რომ ეს ყველაფერი დამიფასდება, სიკეთითვე დამიბრუნდება. ჩემს მეგობრებს ჩემში იცი, კიდევ, რა მოსწონთ? — ჩემი თვალები. ამბობენ, რომ მეტყველი თვალები მაქვს: ლაპარაკი არ გჭირდება, შენი თვალები ყველაფერს ამბობენო. ალბათ, ამაში მსახიობური ნიჭიც მეხმარება.

— ახლა შენი უარყოფითი თვისებებიც გამანდე.

— შეიძლება, გაგიკვირდეს, მაგრამ ჩემს ცუდ თვისებად მიმაჩნია ის, რომ ყველა მიყვარს...

— რატომ ფიქრობ, რომ ადამიანები არ უნდა გიყვარდეს?

— ადამიანები კი უნდა მიყვარდეს, მაგრამ მე ისინი ძალიან იოლად მიყვარდება. ხანდახან, ცხოვრებაში რაღაცები გვეშლება ხოლმე.

— შენ რა შეგეშალა?

— ის, რომ ისეთი ადამიანი შემიყვარდა, რომელიც არ უნდა შემყვარებოდა. ხშირად, ადამიანები ეკლესიაში საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად მიდიან. როცა ადამიანი მის მიერ ჩადენილ ცოდვას არ განიცდის, ეს საშინელებაა. როცა ადამიანი მიყვარს, შეიძლება, მას ერთი, ორი და ხუთი ცოდვაც ვაპატიო, მაგრამ როცა ის ჩადენილი ცოდვებისა და შეცდომების გამოსწორებას არ ცდილობს, მაშინ მას ისევე იოლად ვივიწყებ, როგორც შევიყვარე. სწორედ ამას მივიჩნევ ჩემს უარყოფით თვისებად.

— მსგავს სიტუაციაში ბევრჯერ ყოფილხარ?

— ბევრჯერ არა. მსგავსი შემთხვევა ერთხელ მქონდა. როცა ადამიანს იყვარებ, გულში ისვამ, შენად მიიჩნევ, მას კი რაღაცრაღაცები ეშლება, იმ ადამიანთან უკვე დისტანციას ვიჭერ. ადამიანის შეყვარება ძალიან კარგია, დაკარგვა — ცუდი.

— როცა საყვარელ ადამიანს კარგავ, სინანულის გრძნობა არ გიჩნდება?

— საერთოდ, ძალიან ჯიუტი ვარ. მიღებულ გადაწყვეტილებას არასოდეს ვცვლი. ასე რომ, როცა მიმაჩნია, რომ ის ადამიანი ჩემი ღირსი არ არის და უნდა დავივიწყო, ისე „ამოვირეცხ“ გულიდან, რომ არანაირი სინანულის გრძნობა აღარ გამიჩნდება.

— ახლა თუ გყავს შეყვარებული?

— არა. ამჟამად თავისუფალი ვარ.

— დიტო, რამდენად მოწესრიგებული ადამიანი ხარ?

— მოწესრიგებული ვარ, ჩემი ნივთების აქეთ-იქით დაყრა არ მჩვევია. მარტო ცხოვრება რომ მომიხდეს, არ გამიჭირდება, ყველაფერს კარგად გავაკეთებ. აი, კერძების მომზადება კი, მაინცდამაინც არ მეხერხება. ერთადერთი, კარტოფილს ვწვავ ძალიან კარგად.

— პერანგი თუ გაგიუთოებია?

— გამიუთოებია და გამირეცხავს კიდეც. ერთი პერიოდი, ჩემს ტანსაცმელს თვითონ

ვრეცხავდი, მეგონა, ეს საქმე დედაჩემზე უკეთ გამომივიდოდა, მაგრამ შემდეგ მივხვდი, რომ შევცდი. რაც შეეხება გაუთოებას, ძალიან კარგად ვაუთოებ — კლასიკურ შარვალს ისეთ ნაკეცს ვუკეთებ, ხელი რომ დაუსვა, შეიძლება, გაიჭრა კიდეც (*იცინის*).

— ისე ლაპარაკობ, სახლის დალაგებაც გეცოდინება.

— კი (*იცინის*). ერთხელ სკოლაში ორიანი მივიღე, რაზეც დედა ძალიან გამიბრაზდა. მთელი დღე ვფიქრობდი, მისი გული როგორ მომეგო. ბოლოს ასეთი რამ მოვიფიქრე: როცა დედა სადღაც წავიდა, სახლის დალაგება დავიწყე. მოკლედ, ლამის გენერალური „უბორკა“ გავაკეთე.

— მერე, დედამ რა გითხრა? მოეწონა?

— გაეცინა და მივხვდი, რომ მოეწონა.

— დილით შენს ლოგინს თუ ალაგებ?

— როცა არსად მეჩქარება, კი.

— ხშირად ბრაზდები?

— არა, იშვიათად.

— გაბრაზებას როგორ გამოხატავ?

— მუშტი-კრივზე არასოდეს გადავდივარ, ვცდილობ, საკუთარ თავზე კონტროლი არ დავკარგო და წონასწორობა ყველანაირ სიტუაციაში შევინარჩუნო. როცა სერიოზულად ვბრაზდები, სახის გამომეტყველება მეცვლება.

— როგორი გოგოები მოგწონს?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყოველთვის მიჭირს. არ ვიცი, როგორი გოგოები მომწონს, კონკრეტულად ჩამოყალიბებული ქალის იდეალი არ მაქვს. შეიძლება, ორი, ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული გოგო მომეწონოს. საერთოდ კი, ისეთ ადამიანს ვეძებ, რომელიც ურთიერთობაში არ ითამაშებს, არ იქნება ყალბი და ორგული.

— საყვარელ ადამიანს რას ვერ აპატიებ?

— პირველ რიგში, ღალატს.

— თამამი გოგონები მოგწონს თუ შედარებით მოკრძალებულნი?

— ეს იმაზეა დამოკიდებული, იმ გოგოსთან როგორი ურთიერთობა მინდა, რომ

არ მომწონს, როცა ქალი ბევრს ლაპარაკობს

მქონდეს... საერთოდ, არ მომწონს, როცა ქალი ბევრს ლაპარაკობს. მირჩევნია, წყნარი და თბილი ადამიანი იყოს.

— ოდესმე ცალმხრივად თუ გყვარებია ვინმე?

— კი. ოღონდ, ეს ბავშვობის პერიოდში იყო.

— გოგო რომ გამოგიტყდეს სიყვარულში, როგორი რეაქცია გექნება?

— მსგავს სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ. რა ვიცი, აბა... შეიძლება, ეს ყველაფერი ჩვეულებრივად მივიღო.

— ოჯახში ყველაზე ხშირად რის გამო გასაყვედურობენ?

— (*იცინის*) იმდენად კარგი და მოწესრიგებული ბიჭი ვარ, რომ სასაყვედურო არაფერი მაქვს.

— შენი ქორწილი თუ წარმოგიდგენია?

— ჩემი ქორწილის სცენარი დაწერილი მაქვს. ის ყველანაირი ტრადიციის დაცვით ჩატარდება. მეც და ქორწილში მოწვეულ სტუმრებსაც ჩოხები გვეცმევა. მეყოლება მოცეკვავეები და მომღერლები.

— შენი ცოლი როგორი უნდა იყოს?

— კეთილი, გულწრფელი, უღალატო, სათნო და ლამაზი.

— მეუღლეს საოჯახო საქმის კეთებაში თუ დაეხმარები?

— ყველანაირად ვეცდები, რომ მეუღლეს არა მარტო საოჯახო საქმეების მოგვარებაში, არამედ იმ ყველაფერში დავეხმარო, რაშიც მას ჩემი მხარში დგომა დასჭირდება.

— დიტო, რა შეგიძლია თქვა გელფრენდისა და ბოიფრენდის ინსტიტუტზე?

— ქართულ ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ადამიანი ვარ. მინდა, რომ ყველაფერი ქართული ტრადიციების მიხედვით გავაკეთო. ამიტომ, ჩემთვის ეს ინსტიტუტი მიუღებელი და რელიგიურად დაუშვებელია.

— შენს სახელზე მოსულ „ესემესებს“ თუ გაეცნობი?

— აუცილებლად. თითოეულ მათგანს ყურადღებით წავიკითხავ.

— რომელიმე მათგანის ავტორმა შენი გაცნობა რომ მოისურვოს, შეხვდები?

— ჩემთვის ახალი ნაცნობობა რაღაც ახლის საწყისია. სულ ორჯერ მჭირდება ადამიანის ნახვა, რომ გავიგო, რა სულის არსებაა. თუკი ის „ნამდვილი“ ადამიანი იქნება, შეიძლება, მეგობრებიც გავხდეთ. ასე რომ, ახალ ნაცნობობაზე უარს არასოდეს ვამბობ.

P.S. *დარწმუნებული ვარ, რომ „სასიძო“ ძალიან მოგეწონებოდათ. თუ მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, შეგიძლიათ დამიმესიჯოთ ნომერზე 8.98.23.09.21. და კიდევ: თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებზე პასუხებს შემდეგ ნომერში, დიტოს სახელზე მოსულ მესიჯებთან ერთად შემოგთავაზებთ.*

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

აკრძალა როკმუსიკა და ბალეტი. მისი ბრძანებით, თურქმენეთის მოქალაქეებს ოქროს კბილების ჩასმაც აკრძალული ჰქონდათ.

20. შუა საუკუნეების ევროპაში ალყაშემორტყმულ ციხესიმაგრეებში მძიმე ლოდების გარდა, კატაპულტებით მკვდარ ცხოველებსაც ისროდნენ, რათა ქალაქის დამცველებსა და მოსახლეობას შორის ეპიდემია გამოეწვიათ. ციხის ტერიტორიაზე მეციხოვნეთა საბრძოლო სულისკვეთების გასატეხად დატყვევებულ მებრძოლთა მოჭრილ თავებსაც ისროდნენ.

21. პატიმრობაში მყოფი სადამ ჰუსეინი თვითონ რეცხავდა საკუთარ ნივთებს. ზედამხედველებ ნებას აძლევდნენ, მოეწია თავისი საყვარელი სიგარები. საკნის ერთ კედელზე, მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, ჯარისკაცებმა ბუშის სურათი ჩამოკიდეს, მაგრამ უფლება



მისცეს, მეორე კედელზე თავისი ორი დალუპული ვაჟის სურათები დაეკიდებინა.

22. ამერიკაში გენერალ მაკარტურზე მეტი ორდენი არავის მიუღია. დედამისმა, როცა შვილი სამხედრო სასწავლებელში მიაბარა, სამხედრო აკადემიის ახლომდებარე სასტუმროში ნომერი დაიქირავა, საიდანაც თავისი შვილის ოთახის ფანჯრები ჩანდა. ეს ქალი ოთხი წლის განმავლობაში შორიდან ადევნებდა თვალყურს, ენთო თუ არა შუქი მისი შვილის ოთახში და ბეჯითად მეცადინეობდა თუ არა.

23. კიდევ ერთი „მარგალიტი“ მიხაილ ზადორნოვის მიერ რუსეთის მასშტაბით შეგროვებული იდიოტური შინაარსის განცხადებათა კოლექციიდან. ფრაგმენტი ელექტროშოკის ინსტრუქციიდან: „ზაპრეშაეტსა ისპოლზოვანიე პროტივ ბერემენნიხ ჟენშინ, ზა ისკლუჩენიემ სლუჩაია იხ გრუპავოვა ნაპადენია“.

24. ძველ რომში მყვინთავებს მზიან დღეებში ზღვაში ყვინთვისას ხელთ ჰქონდათ ზეთით სავსე ჭურჭელი, რომელსაც წყალქვეშ თავს ხდიდნენ. ზეთი იღვრებოდა და წყლის ზედაპირზე ჩნდებოდა მოზრდილი ლაქა, რის გამოც, ფსკერი მზის სხივებს აღარ ირეკლავდა და მყვინთავებს საძიებელი ნივთების გარჩევა უადვილდებოდათ.

25. ლუდოვიკო XIV-ს 72 წლის მანძილზე ეკავა საფრანგეთის ტახტი, რაც ქვეყნის მმართველობის რეკორდული მაჩვენებელი იყო ევროპის ისტორიაში. მისი გარდაცვალების შემდეგ, ტახტზე მისი შვილთაშვილი ავიდა, რადგან იმ დროისთვის, არც მისი შვილი და აღარც შვილიშვილი ცოცხლები აღარ იყვნენ.

„რონდოს“ წევრი სილამაზის სალონში „იარაღით“ დადის

„ქალის სილამაზე, ელეგანტურობა და მომხიბვლელობა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იკვებება და რამდენი საათი სძინავს მას, — მითხრა მომღერალმა მაიკო ჩიქოვანმა, რომელიც ორწლიანი პაუზის შემდეგ, ჯგუფ „რონდოს“ იმავე იმიჯითა და შემართებით დაუბრუნდა.

სოფო ჭონიშვილი

— დილით ვიღვიძებ თუ არა, სააბაზანოში შევდივარ, ვიღებ შხაპს და ვიწყებ საკუთარი თავის ფორმაში მოყვანას. განსაკუთრებით ბევრ დროს, სახის კანის მოვლას ვუთმობ. წლებია უკვე, პირადი კოსმეტოლოგი მყავს, რომელიც სპეციალურად ჩემი სახის კანისთვის მკვებავ კრემებს მიმზადებს... ტანზე ყოველთვის ლოსიონებსა და დამატენიანებელ კრემებს ვისვამ, რომლებსაც ხშირად ვცვლი.

— პრეტენზიული სახის კანი გაქვს?

— პრეტენზიული კანი არ მაქვს, მაგრამ ის მოვლას და ყურადღებას მაინც საჭიროებს. საერთოდ, კანის მოვლა მარტო კრემების წასმით არ შემოიფარგლება. კანის სილამაზე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ვიკვებები და ამიტომაც ვცდილობ, კვების სწორი რეჟიმი დავიცვა.

— სახლის პირობებში დამზადებულ ნიღბებს თუ იყენებ?

— არა. რაც შეეხება თმას, მის მოსავლელად სახლში, სხვადასხვა მცენარეულ ნაყენს ვამზადებ, რომელსაც დაბანის შემდეგ თავზე ვივლებ.

— რომელი მცენარის ნაყენს ამზადებ?

— ხან ჭინჭრის, ხან — გვირილის და ა.შ.

— სილამაზის სალონში ხშირად დადიხარ?

— როცა თმის შეჭრა ან შელებვა მინდა, მხოლოდ მაშინ, რადგან პრეტენზიული და დაუმორჩილებელი თმა არ მაქვს, თვითონაც კარგად ვახერხებ მის ფორმაში მოყვანას.

— პედიკიურს და მანიკიურს თვითონ იკეთებ?

— (*იცინის*) დიახ, რადგან ეს საქმე ძალიან კარგად გამომდის. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა მანიკიურის გასაკეთებლად, სალონში წავსულვარ და თან ჩემი „იარაღი“ წამიღია, ინფექციებისგან თავი რომ დავიზღვიო... ფრჩხილების მოვლის საუკეთესო საშუალება მარილიანი წყალია. კვირაში ერთხელ, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში თითებს მარილიან წყალში ვყოფ. ეს პროცედურა ფრჩხილებს აჯანსაღებს.

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებ?

— ვცდილობ, მაკიაჟი ყოველდღე არ გავიკეთო. თუ საღამოს წვეულებაზე მივდივარ, მკვეთრ მაკიაჟს ვიკეთებ. თუ გადაღება გვაქვს, მაშინ შედარებით უფრო მკვეთრს. ყოველდღიურად, მხოლოდ — „რუმიანას“ ვისვამ, რადგან ძალიან თეთრი ვარ (*იცინის*).

— რომელი ფირმის კოსმეტიკას იყენებ?

— მაგალითად: „რუმიანას“ ყოველთვის „დიორის“ ფირმისას ვყიდულობ, ტონალურ კრემს და ტუშს — „ლორეალის“, ტუჩის „ბლესკს“ კი ხშირად ვცვლი.

— ჯგუფ „რონდოს“ ძველი იმიჯით დაუბრუნდი?

— ძალიან მიხარია, რომ ჩემს პროფესიას და საყვარელ საქმიანობას დავუბრუნდი. რაც შეეხება იმიჯს, ნამდვილად არ შემიცვლია, ოღონდ — ცოტათი წონაში მოვიმატე (*იცინის*). იმედი მაქვს, ისევ დავიკლებ. აუზზე სიარული დავიწყე, სადაც წყალში ვარჯიშებს მაკეთებინებენ. ჯერჯერობით, ცურვა არ ვიცი, მაგრამ ძალიან მონდომებული ვარ, რომ ვისწავლო.

— დიეტას არ იცავ?

— ისეთ დიეტაზე არ ვარ, შიმშილით თავს რომ იკლავენ. უბრალოდ, გრაფიკი შევადგინე, როდის რა უნდა ვჭამო. ვცდილობ, ცომეულს არ გავეკარო. აი, შოკოლადზე კი უარს ვერასდროს ვამბობ. მითხრეს, რომ შავი შოკოლადი არ ასუქებს და მეც მხოლოდ მას მივირთმევ. საღამოს 6 საათის შემდეგ კი, ყველანაირ საკვებზე უარს ვამბობ.

— სამკაულები თუ გიყვარს?

— ვგიჟდები საყურეებსა და ბეჭდებზე. მნიშვნელობა არა აქვს, ბიჟუტერია იქნება თუ რაიმე ძვირად ღირებული ნივთი, მთავარია, ლამაზი და გემოვნებით შერჩეული იყოს.

— ყველაზე ძვირფასი ნივთი, რაც უჩუქებიათ, რა არის?

— ოო... მეუღლის ნაჩუქარი ბრილიანტის ბეჭედი, რომელიც ჩემთვის ყველაზე ძვირფასია, იმიტომ კი არა რომ ძვირად ღირებულია, არამედ იმიტომ, რომ მეუღლემ მაჩუქა.

— სპორტულ სტილს ანიჭებ უპირატესობას თუ კლასიკურს?

— საერთოდ, უპირატესობას კლასიკურ, ელეგანტურ სტილს ვანიჭებ, მაგრამ რადგან ყოველდღიურად ქუსლიანი ფეხსაცმლით სიარული მოუხერხებელია, იძულებული ვარ, შედარებით თავისუფალი სტილის სამოსი მოვირგო.

— შენს გარდერობში რა ფერის ტანსაცმელი ჭარბობს?

— ძალიან მიყვარს შავი, ფირუზისფერი და ვარდისფერი. ჩემს გარდერობში სხვა ფერის ტანსაცმელსაც ნახავთ, მაგრამ ძირითადად, ეს ფერები ჭარბობს.

— უფრო ხშირად, კაბას იცვამ თუ შარვალს?

— (*იცინის*) სულ ორი კაბა მაქვს: ერთი მაშინ შევიძინე, როცა ელენეს („რონდოს“ წევრი) მეჯვარე ვიყავი, მეორე კი, ახლა ვიყიდე. ძირითადად, შარვალი მაცვია, მასში თავს უფრო მოხერხებულად და კომფორტულად ვგრძნობ.

— ოდესმე თუ გიფიქრია, შენს გარეგნობაში რაიმე შეგეცვალა?

— ეს ასაკი უკვე გადავლახე, ბავშვობაში ძალიან სასაცილო ახირებები მქონდა, ხან რა არ მომწონდა ჩემს გარეგნობაში და ხან — რა. საერთოდ, თუკი ადამიანს საკუთარ გარეგნობაში რაღაც არ მოსწონს და აკომპლექსებს, აუცილებლად უნდა შეიცვალოს. თუმცა პირადად მე, ადამიანში ბუნებრიობა უფრო მხიბლავს. როცა დავბერდები და სახეზე ნაოჭები გამიჩნდება, აუცილებლად მივაკითხავ შესაბამის დაწესებულებას და სახის კანს გადავიჭიმავ.

— მაიკო, ფულს დაუნანებლად რაში ხარჯავ?

— ფული არ მენანება პარფიუმერიის ან რაიმე აქსესუარის — მაგალითად, ჩანთის ყიდვისას, რადგან მიყვარს ლამაზი და კომფორტული ხელჩანთები, ოღონდ ძალიან დიდები — არა, ჩემოდანივით რომ დააქვთ.

— როგორი სუნამო მოგწონს?

— „ტკბილი“ სუნამოები არ მიყვარს და ვცდილობ, ყოველთვის გრილსურნელიანი შევარჩიო. საერთოდ კი, სუნამო ჩემთვის ყველაზე კარგი საჩუქარია.

— სარკის წინ დიდხანს ტრიალებ?

— არა, ზუსტად 10 წუთი მჭირდება თავის მოსაწესრიგებლად. უცებ ვიცვამ, მაკიაჟსაც ძალიან სწრაფად ვიკეთებ. თუკი კარგად გამოძინებული ვარ, უმაკიაჟოდაც მშვენივრად გამოვიყურები, ხოლო თუ ძილი დამაკლდა, მაშინ... ასე რომ, სარკის წინ დიდხანს ტრიალი არ მახასიათებს. ■

სუნამო ჩემთვის ყველაზე კარგი საჩუქარია

ჩემი დედამთილი

სათაყვანებელი დედამთილები და მამამთილის გულის გამხარებელი რძალი

„მარი, შენს გიჟ ფანებს უთხარი, ნუ მებლატავებიან. მე მაინც არ შევიცვალი აზრს. ოპოზიცია კი მალე „გზავნილებში“ უმრავლესობა ვიქნებით (იმედია). გადავარჩინოთ სუსტები ბოროტი მარისაგან. ეს ძლიერთა ვალია. ნუ გავხდებით ზომბები. მარიამი მაინც არ გერქვას. „ლამურა“. ალბათ გეცნობათ ჩემი „ოპოზიციონერის“ ტექსტი და მესიჯი. ვფიქრობ, ეს უკვე ხუმრობა აღარ არის და იმით გათამამებული მკითხველი, რომ მის მესიჯებს მაინც ვბეჭდავდი, ზღვარს გადავიდა. „გზავნილების“ „თავმჯდომარე“ მე ვარ და ვისაც მინდა, იმას ჩავურთავ „მიკროფონს“. ვინაიდან აგრესიული „ოპოზიციის“ მომხრე არ ვარ, ამიტომ „ლამურას“ მიკროფონი გამორთულია და ეს მისი უკანასკნელი მესიჯია „გზავნილებში“ (ასეთი ხასიათის); მაგრამ მას, რა თქმა უნდა, უფლება რჩება, ჟურნალის გარეთ შექმნას „ოპოზიცია“, მხარდამჭერებთან ერთად ტრანსპარანტებით მოვიდეს რედაქციასთან და ხმის ჩახლეჩამდე იყვიროს — „გადადექ!..“ ახლა კი ვიდრე დანარჩენ მკითხველებსა და მათ დედამთილებს მივხედავთ, მანამდე ერთ პატარა „ზლაპარს“ მოგიყვებით. იყო და არა იყო რა, იყო ერთი იდეალური დედამთილი და ჰყავდა იდეალური რძალი. იდეალურად ცხოვრობდნენ იდეალურ ოჯახში და იდეალური ურთიერთობა ჰქონდათ. ერთ მშვენიერ დღეს, მათ შორის იდეალურმა შავმა კატამ გაირბინა, ხოლო უკმაყოფილების მიზეზი იყო... ახლა დედამთილებმა კითხვა უნდა შეწყვიტოთ, რადგან ხუმრობა აქ მთავრდება. დანარჩენი ტექსტი მხოლოდ რძლებმა უნდა წაიკითხონ. ყველა რძალმა იცის, რომ იდეალური დედამთილი არ არსებობს და ოჯახში განხეთქილების მიზეზიც ყოველთვის ქმრის დედაა. რატომ? იმიტომ, რომ თუ თქვენ დედამთილი ხართ და ახლა ამ სტრიქონებს კითხულობთ, ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჯიუტი ხართ და არაფრის დაჯერება და გაგონება არ გინდათ... ახლა კი მკითხველების მიერ მოყოლილი ამბები:

მარი ჯაფარიძე

„შენ დაუჯაააარ!“

„მე ძალიან მაგარი დედამთილი მყავს და სულაც არ მინდა მისი გაჩუქება ან გაყიდვა. ისეთი მოქეიფე ქალია, რომ ერთი ქვევრი ღვინოც რომ დალიოს, ვერ დაათრობს. მისი რძალი რომ გავხდი, 16 წლის ბავშვი ვიყავი. სასმლის გემო არ ვიცოდი და სწორედ მან მიმაჩვია ქეიფსა და სმას. ერთ დღეს, მე და ჩემი დედამთილიკო სტუმრად ვიყავით მის დაქალთან და გვარიანად გამოვთვერით. 3-4 ჭიქის მერე, ჩემმა დედამთილმა ერთხელ თქვა — ვაიიი, როგორი მთვრალი ვარო. იმის მერე, ერთი საათი გავიდა და მე ვუთხარი — ცოტა სმას მოუკელი, თორემ უკვე ძალიან მაგარი მთვრალი ხარ-მეთქი. იუკადრისა, — ვინ არის მთვრალი, მე ვარ მთვრალიო? ადგა და იმდენი იცეკვა, ლამის მენჯის ძვალი ამოიგდო. როგორც იქნა, დაგვადგა საშველი და წამოსვლა გადავწყვიტეთ. სულ სიმღერ-სიმღერით გამოვედით გაჩერებასთან და პირველსავე ტაქსის ხელი აუწია. თვითონ წინ ჩაჯდა, მე კი მითხრა: — უკან დაჯექი, აქ არ დამრჩე, თორემ თემო (ჩემი ქმარი) შინ არ შემიშვებსო. მეც რომ მოვთავსდი, გამომხედა, შეამოწმა, ნამდვილად იქ ვიყავი თუ არა და მძღოლს უბრძანა: — აბა, დავიძარით! — სად მიბრძანდებით, ქალბატონოო? — ჰკითხა მძღოლმა. — შე ძაღლის ლეკვო, რა შენი საქმეა, სად მივდივარ, მე ჩემი ქმარი არ მაკონტროლებს და არ მეკითხება, სად დავდივარ, შენ ვინ ოხერტიალი ხარ, რომ მეკითხებიო? — კიდევ კარგი, მხიარული მძღოლი შეგვხვდა და გაგებით მოეკიდა ჩემი დედამთილის სიმთვრალეს, თორემ შესაძლებელი იყო, სხვა მძღოლს იქვე გადმოვესვით მანქანიდან. აი, ასეთი დედამთილი მყავს და აბა, როგორ გავიმეტებ სხვისთვის?“

„ქუდია თუ ბოხოხია?“

„როგორც არ უნდა გაგიკვირდეთ, სულაც არ მინდა ჩემი დედამთილის გაჩუქება. თუ მე და ჩემი ქმარი ვჩხუბობთ, ის სულ ჩემს მხარესაა და თავის შვილს ისე დაუცაცხანებს ხოლმე, რომ ხმას ვეღარ იღებს. თუმცა, თუ მე ვტყუი, მეორე დღეს მეტყვის, რომ არ ვიყავი მართალი და დამარიგებს, როგორ უნდა მოვიქცე. სულაც არ მწყინს. პირიქით. ამას წინათ, ახალი ქუდი ვიყიდე. დედამთილმა მომიწონა და კომპლიმენტები არ დაიშურა ჩემთვის. ერთი სული მქონდა, როდის მოვიდოდა ჩემი ქმარი, რომ მისთვისაც მეჩვენებინა ჩემი შენაძენი და თავი მომეწონებინა. ის კი საკმაოდ გვიან მოვიდა და თანაც მთვრალი. ყავა დამალევინეო, მთხოვა. როდესაც ყავა მოვადუღე, ახალი ქუდი დავიხურე, სარკეში ჩემი თავი შევათვალიერე და კეკლუცად მივართვი ყავა. დათომ შემომხედა და მითხრა: — რაღაც, შენი ქუდი არ მომწონსო. მე მაგრად „გამიტყდა“. ამ დროს ჩემი დედამთილი სამზარეულოდან გამოვიდა, დოინჯი შემოირტყა და უთხრა: — ახლა, ბავშვი არყის ბოთლს ვერ დაიდგამს თავზე, შენი აღფრთოვანება რომ გამოიწვიოს და ქუდს კი მართლაც შენი დასაწუნი არაფერი აქვსო. დათუნამ

ხმაც ვერ ამოიღო. მე კი მადლიერების ნიშნად ისე გემრიელად ვაკოცე დედამთილს, რომ ლამის დავახრჩვე. არ მთხოვოთ, დედამთილს ვერ გაჩუქებთ. ჩემთვის მინდა. მარინა, მიყვარხარ!"

მესამე ძმა

„მარი, მინდა ერთი ამბავი მოგიყვე, მაგრამ ეს თემას ნაკლებად ეხება. უბრალოდ, დედამთილის ხსენებამ მომცა ბიძგი. ჩემს დედამთილს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა ჰქონდა (ღმერთმა აცხონოს მისი სული) და ძალიან მიყვარდა. ჩემი ქმარი 14 წლის წინ გარდაიცვალა, სრულიად ახალგაზრდა და აი, ამ 3-4 წლის წინ, დამირეკა ჩემთვის უცნობმა ქალბატონმა და მოკითხვის შემდეგ მითხრა, რომ თურმე ჩემი ქმრისგან 19 წლის ბიჭი ჰყოლია. თან დამამშვიდა, რომ ჩემს ქმარს მასთან ურთიერთობა ჩემამდე ჰქონია. ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი, მაგრამ თანაც სასიამოვნო იყო ჩემთვის (დიახ, სასიამოვნო, რადგან მე 2 ბიჭი მყავს და მათ თურმე კიდევ ერთი ძმა ჰყოლიათ. განა ეს ცუდია?), რომ დავიბენი და მაშინვე ვერაფერი ვუპასუხე. ჩემი სახის გამომეტყველებით ჩემი დედამთილი მიხვდა, რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. ყურმილი რომ დავკიდე, დაინტერესდა, რა მოხდა. ვუპასუხე: ბებო, გილოცავ, კიდევ ერთი შვილიშვილი, 19 წლის ბიჭი გყოლია-მეთქი. ვერ „წამოჩრიხვა" (იმერულად — წამოზარდა) და მერე ვერ დარეკა მაგ დალოცვილმაო? — მიპასუხა, რაც ნიშნავდა: რა ეჩქარებოდა მაგ დალოცვილსო?! დარწმუნებული ვარ, ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, ერთხელ მაინც შეევლო თვალი ამ ბავშვისთვის, მაგრამ ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ მისი ნახვა ვერ მოახერხა. სიმართლე რომ გითხრათ, გული მტკივა, როცა ეძებენ, ვის „აჩუქონ" ან „მიჰყიდონ" დედამთილები. იმ ამბის მერე სულ ველოდები, იქნებ, ერთხელ კიდევ დარეკოს იმ ქალბატონმა და ვუთხრა, რომ ძალიან მინდა მისი შვილის ნახვა, საკუთარი შვილივით მოფერება და გულში ჩაკვრა. ჩემს შვილებსაც აინტერესებთ უცნობი ძმა და დარწმუნებული ვარ, ისევე ეყვარებათ, როგორც ერთმანეთი უყვართ. პატივისცემით, მარი".

„ტანგა-ტუნგა"

„მარი, გაიხარე, რა მაგარი თემა გაქვს! გათხოვილი არ ვარ, მაგრამ ერთი ბიჭი მომწონდა. ამიტომ, სადედამთილოსაც ხშირ-ხშირად შევათვალიერებდი ხოლმე. სადაც ჩემი მოწონებული ბიჭი ცხოვრობდა, იმ კორპუსში მასწავლებელთან დავდიოდი და ამის გამო, ხშირად ვხედავდი, როგორ ფენდა სარეცხს ჩემი სადედამთილო. ერთხელ, დავინახე, რომ „ტანგა-ტუნგა" საცვლები გამოფინა. ვიფიქრე: ყოჩაღ, დედამთილო-მეთქი! მაგრამ ვაიიი... რომ დავაკვირდი, მივხვდი, რომ მისი კი არა, ჩემი ბიჭის საცვლები იყო. გადავირეე. თურმე ისიც ჩემსავით ტანგებს იცვამდა. ნაღდად არ მქონდა სურვილი, რომ მათი რეცხვა მემკვიდრეობით მრგებოდა დედამთილისგან. ამიტომ, მშვიდობით, ჩემო სექსუალურსაცვლებიანო ბიჭო! დაე, ისევ დედიკომ გაგირეცხოს".

დღეს „გზავნილებს" სტუმარი ჰყავს. ძველი მკითხველი და მგზავნელი, მეგრელი „კანიბალკა", რომელიც ინტერვიუსთვის ზუგდიდიდან ჩამოვიდა.

— შენი ნიკი ყველამ იცის. იქნებ, ახლა ნამდვილი სახელი და გვარი გაგვიმხილო და შენზე ცოტა რამ გვიამბო?

— მე ვარ ლანა ყორშია. ვცხოვრობ ზუგდიდში. მყავს დედა და 14 წლით უფროსი ძმა. მამა გარდამეცვალა. მას სასუნთქი მილის კიბო ჰქონდა. ვსწავლობ სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში, იურიდიულ ფაკულტეტზე და მოპოვებული მაქვს სახელმწიფო გრანტი. ჩემს ბიოგრაფიაში არსებობს ერთი საინტერესო დეტალი და ყველას ჰგონია, რომ ამას ვმალავ, მაგრამ ეს ასე არ არის.

— რას გულისხმობ?

— ნაშვილები ვარ. ჩემს ბიოლოგიურ მშობლებს ჩემ გარდა კიდევ 4 შვილი ჰყავთ. მე ვიყავი მეხუთე. მატერიალური სიდუხჭირის გამო ისინი სანქტ-პეტერბურგში წავიდნენ საცხოვრებლად და მეც სწორედ იქ გავჩნდი. მამამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უნდა გავეშვილებინე და ბაბუაჩემის (დედაჩემის მხრიდან) ძმას მიმაშვილეს, რომელსაც ერთი ვაჟი უკვე ჰყავდა. ჩემი გამზრდელი დედა ამის წინააღმდეგი ყოფილა იმ მიზეზით, რომ შვილი დედასთან უნდა იზრდებოდეს, მაგრამ ბოლოს დათანხმდა და მიშვილა. ჩემს ბიოლოგიურ და გამზრდელ მშობლებს შორის თავიდანვე ისეთი შეთანხმება ყოფილა, რომ როდესაც გავიზრდებოდი, აუცილებლად გავიგებდი ჩემი ნამდვილი მშობლების ვინაობას.

— როდის შეიტყვე სიმართლე?

— ჩემი ძმა სწავლობდა პეტერბურგში და ცხოვრობდა ჩემს ბიოლოგიურ მშობლებთან. მე და ჩემი გამზრდელი დედა მათთან სტუმრად ჩავდიოდით ხოლმე. ნამდვილ დედას ბიცოლას ვეძახდი. როგორც თვითონ მითხრა, სწორედ ეს ვერ აიტანა და გადაწყვიტა, ჩემთვის სიმართლე გაემხილა. მაშინ 6 წლის გახლდით და შინ მარტო მე და ჩემი ბიოლოგიური დედა ვიყავით. იმ დროს ჩემი გამზრდელი მამა ავად იყო და მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვიყავი, მივხვდი, რომ თუ გამზრდელ მშობლებს გავუმხელდი, რომ სიმართლე ვიცოდი, ინერვიულებდნენ და შესაძლოა, მამა მომკვდარიყო. ამიტომ, ეს საიდუმლო გულში შევინახე და მხოლოდ 4 წლის მერე გავამხილე, რომ ყველაფერი ვიცოდი. ისიც მაშინ, როდესაც მივხვდი, რომ გამზრდელი დედა სიმართლის თქმას აპირებდა.

— აპატიე მშობლებს, რომ გაგაშვილეს?

— ნაწილობრივ ვაპატიე, მაგრამ ბოლომდე პატიება ძალიან მიჭირს. იმის მიუხედავად, რომ ჩემი „გასხვისების" ინიციატორი მამა იყო, დედის პატიება უფრო გამიჭირდა, რადგან ვერ წარმომიდგენია, დედამ შვილი როგორ უნდა დათმოს. მამა მაინც მამაა... ვიცი, რომ მათ ხშირად ვაყენებ ტკივილს ჩემი უხეშობითა და ქცევით, მაგრამ რა ვქნა, ვერ ვივიწყებ იმას, რაც მათ გააკეთეს.

— ხშირად ნახულობ შენს ნამდვილ მშობლებს?

— დიდი ხნის განმავლობაში მათთან არანაირი კონტაქტი არ მქონდა, რადგან ჩემს გამზრდელ და ბიოლოგიურ მშობლებს ერთმანეთთან კონფლიქტი ჰქონდათ. იმ პერიოდში არც მშობლები მეკონტაქტებოდნენ. თუმცა, გამზრდელი დედა სულ იმას მეუბნებოდა, რომ მე ისინი არ უნდა დამეკარგა და დედმამიშვილებთანაც კარგი ურთიერთობა უნდა მქონოდა, რადგან ისინი არაფერ შუაში იყვნენ. ბოლო 2 წელია, რაც კონტაქტი აღვადგინე და შარშანდელ ზაფხულს მთელი თვე მათთან ვიყავი. ყველა ცდილობდა, რომ თბილად მომქცეოდა, მაგრამ ვერავის შევიყვარებ ისე, როგორც ჩემი გამზრდელი დედა მიყვარს. ეს ის ადამიანია, ვინც ცხოვრებაში ყველაზე მეტად, შეიძლება ითქვას, არანორმალურადაც კი მიყვარს. როდესაც ორივე დედა ჩემ გვერდითაა, ბიოლოგიური დედა მუდამ ეჭვიანობს იმის გამო, რომ მეორის მიმართ გაცილებით მეტ სითბოსა და სიყვარულს გამოვხატავ. ბიოლოგიურ დედას არასოდეს ჩავჯდომივარ კალთაში და არ ჩავხუტებივარ. ჩემი მშობლები მთავაზობენ საცხოვრებლად მათთან გადასვლას, მაგრამ უარს ვამბობ, რადგან გამზრდელი დედის გარეშე ვერ გავძლებ. როდესაც შარშან სანქტ-პეტერბურგში ვიყავი, დღეში რამდენჯერმე ვურეკავდი დედას და ვეფერებოდი. ვტიროდი, — მენატრები-მეთქი. სულ ვეუბნები, რომ გავთხოვდები, „მზითვად" უნდა წაგიყვანო, რადგან უშენოდ ვერ გავძლებ-მეთქი. ამ რამდენიმე ხნის წინ, ბიოლოგიურმა მშობლებმა „ოპელ-ვექტრა" მიყიდეს, რომ ჩემი გული რამენაირად მოიგონ, მაგრამ ისინი ჩემი გულისკენ გზას ვერ გაიკვლევენ, თუ ჩემს გამზრდელ დედას პატივს არ სცემენ.

— კიდევ რას გვეტყვი შენზე?

— ვარ ძალიან ჯიუტი ადამიანი და ვაღიარებ, რომ ჩემნაირ ადამიანთან ურთიერთობა ძალიან გამიჭირდებოდა. ვისთანაც არ ვჯიუტობ, ეს ჩემი გამზრდელი დედაა. მიყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნა. როდესაც ჩემზე მეტ ყურადღებას სხვას აქცევენ, ეს ძალიან მაღიზიანებს. ასეთ შემთხვევაში ისე ვიქცევი ხოლმე, რომ აუცილებლად აღმოვჩნდე ყურადღების ცენტრში. მიუხედავად ჩემი მძიმე ხასიათისა, ბევრი მეგობარი მყავს და მათთან ურთიერთობა ძალიან მიყვარს.

— „გზავნილებში" პირველად როდის დაამესიჯე?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ ძველ ჟურნალებს თვალი რომ გადავავლე, ჩემი მესიჯები 3 წლის წინანდელ ნომრებშიც კი აღმოვაჩინე. მაგარი შეგრძნებაა, როცა შენს გაგზავნილ მესიჯს „გზაში" კითხულობ. იმისთვის, რომ ჩემი მესიჯი აუცილებლად მოხვედრილიყო ჟურნალში, უამრავი ნო-

MK

მერი ვიყიდე და სულ სხვადასხვა ნომრიდან გიმესიჯებთ ხოლმე. ამჟამად 8 ნომერი მაქვს და ყველა ნომრიდან ვგზავნი მესიჯებს, მაგრამ სხვა ნომრებს და ნიკებს არ გაგიმხელთ. თქვენ მხოლოდ მეგრელი „კანიბალკათი“ მიცნობთ. ადრე კი „აჩრდილიც“ ვიყავი.

— სხვა მგზავნელებს იცნობ?

— კი, საკმაოდ ბევრს. ტელეფონში მთელი რიგი მაქვს ნომრების, რომელიც ასე იწყება: „გზა“, მერე სახელი და მერე ნომერი. ბევრთან ვმეგობრობ კიდეც. ჩემი ზუგდიდელი მეგობრები მეუბნებიან — რა გამესიჯებინებს, მეტი საქმე არა გაქვსო? მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ ზოგიერთი მათგანიც გიმესიჯებთ და მიმალავს. ვეცდები, გამოვტეხო.

ლანას წარმატებები ვუსურვოთ და მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„მარი, სხვათა შორის, მე ის გოგო ვარ, პირველმა რომ დაგიმესიჯე დედამთილის გაჩუქებაზე. ჰოდა, როგორც იტყვიან, „წავიდა „ესემესებიიიი“... გოგონებო, ყველას გგულშემატკივრობთ“.

„ვერ ვიტან ჩემს დედამთილს. იცით, რატომ მიწუნებს? ინდაურების მოვლაში რომ არ ვეხმარები, იმიტომ. „მკიდია“ მაგის ინდაურები. დაწუნებულო რძლებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

„ვფიქრობ, რომ მე და ჩემი სადედამთილო ერთმანეთს გავუგებთ. ჯერ არ ვიცნობ, ნანახიც არ მყავს, მაგრამ უკვე შორიდან მიყვარს. აბაააა... აი, უკვე, როცა დედამთილი გახდება, მერე თუ „წაუდედამთილებს“, აუცილებლად მოგწერთ, დედამთილს გავაჩუქებ-მეთქი“.

„სვანი შეყვარებული მყავს. ჩემი სადედამთილო მხოლოდ ტელეფონით მიცნობს. არადა, მე და მის შვილს უკვე 3 წელია, ერთმანეთი გვიყვარს. ეს მისი ბრალი სულაც არ არის. მისი შვილი არ გვაცნობს ერთმანეთს. ძალიან კარგი ქალია და დიდ პატივს ვცემ. იმედია, მისი რძალი რომ გავხდები, მერეც ასე იქნება. თუ ამ მესიჯს არ გამომიქვეყნებ, იცოდე, გავსვანდები და...“

„ეს-ესაა, დავამთავრე „გზავნილების“ კითხვა. ჩემი მესიჯიც დაგიბეჭდავთ და ჟურნალის ფრიალ-ფრიალით ჩამოვიარე თანამშრომლები. ყველას წავაკითხე. მართლა გიჟი ხარო, „კომპლიმენტები“ არ დაიშურეს ჩემთვის. შთაგონება მეწვია და ახალ თემას „ვეცი“, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩამივარდა. ყოფილ დედამთილებზე რომ მოგწეროთ, არ შეიძლება? ეკა. ქუთაისი“.

„დედამთილი ჯერ არ მყავს, მაგრამ როცა მეყოლება, თუ ჩემს ხუშტურებს არ აიტანს, მაგრად ინანებს. საწყალი, უკვე მეცოდება“.

„რაოო? დედამთილიო? მე ჯერ არ მყავს, მაგრამ ჩემი დაქალის დედამთილს ვუშრობ სისხლს. ეს გოგო ისეთ წყნარია, თავში რომ ურტყან, ხმას არ ამოიღებს. ამიტომ, მის მაგივრად მე ვიყრი ხოლმე ჯავრს. ახლაც იქ მივდივარ და ბნედა უნდა დავცე, რადგან ჩემს დაქალს ძალიან აბრაზებს. ისე, გოგონებო, სიამოვნებით ჩავიბარებდი თქვენს დედამთილებს და მანამდე ვაწამებდი, სანამ რძლებისგან პატიებას არ ითხოვდნენ. აბა, რძლებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით და ერთად დავამარცხოთ უმადური დედამთილები. „აჯაჯული“.

„ოპოზიცია არა, ის! ნუ ხართ ცუდები! რა გინდათ? მარის დედამთილობას ცდილობთ? როგორც იცით, დედამთილი ერთგვარი „ოპოზიციაა“. რძალი — მმართველი, ხოლო მამამთილი და შვილები — ხმის მიმცემი ხალხი. ტყუილად ნუ გაირჯებით, მარის „ოპოზიციონერებო“, ნუ დაიწყებთ ბრძოლას იქ, სადაც თავიდანვე დამარცხებისთვის ხართ განწირული. მიმი“.

„ვიცი, მესიჯების უმრავლესობა ასე დაიწყება: ისეთი საშინელი დედამთილი მყავს... მე კი ისეთი „თაფლი“ დედამთილი მყავს, რომ „გენაცვალე-შემოგევლეს“ მეტი, ჩემთვის არაფერი უთქვამს. თეა“.

„ჩემი სადედამთილო „მაგარი“ ქალი იყო. სკოლაში ქართულს მასწავლიდა. ერთმანეთს ვერ ვუგებდით. ერთხელ ისე გამოვიყვანე წყობიდან, რომ ქოლგა პირდაპირ სახეში მთხლიშა. სახლში მისულმა კი თავის შვილს უთხრა: შენი სიხარული დღეს სახით კედელს გაეხახუნაო. იცით, როგორ დამცინა? ვერ ვიტანდი მაგ არსებას, ვერა! მის სიო“.

„ჩემმა „ავჩარკა“ დედამთილმა დაურეკა უცხოეთში მყოფ ჩემს „კიბორჩხალა“ ქმარს და ისეთი რაღაცები უთხრა, რომ მას ბილეთი უკვე აღებული აქვს და სასწრაფოდ მოფრინავს. არ გეგონოთ, ჩემთვის „ზმანები“ მოაქვს... ვზივარ და ვფიქრობ, რა ვქნა, „ქოთს“ როგორ გადავურჩე? მივმართავ ზოოპარკის ადმინისტრაციას — გავაჩუქებ შხამიან „კიბორჩხალას“ და ცოფიან „ავჩარკას“. ცოლი“.

„მე „ყურშა“ ვარ და ჯერ ახალი ვარ თქვენ შორის. ეს მესიჯი ჩვენი გაცნობისა იყოს“.

„ჩემი მეუღლე უშიშროების ჯარშია. უკვე 1 კვირაა, არ მინახავს. გამოუშვით ჩემი ქმარი, თორემ, გავაფრენ!“

„ვისაც დედამთილის გაჩუქება გინდათ, ჩემთან მოიყვანეთ და ნახავთ, როგორ მორჯულებულს დაგიბრუნებთ უკან“.

„ჯერ არ მყავს დედამთილი, მაგრამ უკვე მეცოდება. არ მინდა, ისეთი შემხვდეს, რომ დღედაღამ მაგიდის გარშემო მარბენინოს... მე ისეთი საყვარელი ვაააარ.... თუ კარგად არ მოიქცევა, დასჭირდება მრგვალი მაგიდა და ომახიანი დოლი, 2 დღეში. სარძლო“.

„არც დედამთილი მყავს და არც სადედამთილო. ისე, მაგარია, 2 დედა რომ გეყოლება. დედა და დედიკო. ნონიკო“.

„გათხოვილი ჯერ არ ვარ, მაგრამ ძალიან მაგარი სადედამთილო მყავს და მგონი, შეყვარებულზე მეტად მიყვარს. ამას წინათ დამპატიჟა და ჩემი მომავალი სახლი დამათვალიერებინა. გიომ კი არ იცის, რომ მის სახლში სტუმრად ვიყავი და უნდა ნახოთ, როგორი მონდომებით მიღწერს თავის სახლს. ახლა მითხარით, ნუთუ შეიძლება, რომ მომავალში დედამთილთან რაიმე პრობლემა მქონდეს? მინდა ვუთხრა, რომ მეც ძალიან მიყვარს“.

„ჩემს დედამთილს ძალიან უყვარდა ყავა. ერთხელ, მასზე გაბრაზებულმა, როდესაც ყავა მოვუდუღე, ცომის ნაფხვენები ჩავუყარე. მას მატლები ეგონა და ამის შემდეგ ყავას აღარ ეკარება. ჩემი მულის გარდა ამის შესახებ არავინ იცოდა. ახლა კი, თუ დამიბეჭდავთ, თვითონაც გაიგებს“.

„თუ ცოტა „ისეთი“ დედამთილი შემხვდა, რა დღეში ჩავაგდებ, იცით? დედამთილთან ცხოვრებას არ ვაპირებ. ჩემს ქმარს იძულებულს გავხდი, რომ ცალკე ბინა შეიძინოს. თუ ჯიგარი დედამთილი შემხვდება, მაშინ ქმარს გავაგდებ სახლიდან. მე რომ ოჯახში შევალ, სულ ჩხუბი იქნება, რადგან არაფრის გაკეთების აზრზე არ ვარ. ვცდილობ, ვისწავლო, მაგრამ... რამდენჯერმე ტაფაში ცეცხლი გავაჩინე, დაჭრისას პურს თითი მივაყოლე და სისხლიანი პურები მივირთვი. მტვერსასრუტი ავაფეთქე და... ვაიმე, მგონი, ჩემს ქმარს ჩემს ბინაში მოუწევს ცხოვრება. სადედამთილოოოოოოოოოვ, მიფრთხილდიიი!!! ოჯახში „დამავიო“ შემოგივათ ჩემი სახით...“

„2 ბიჭის დედა ვარ და არ ვიცი, რა მეშველება, როცა ესენი ცოლებს მოიყვანენ და ორგზის დედამთილი ვიქნები, მაგრამ იქნებ სწორედ მაშინ მეშველოს მეც? ახლა, ორივე ხურჯინივით რომ მყავს აკიდებული და გვერდზე გახედვის უფლებას არ მაძლევენ, იქნებ, ცოლებს რომ ითხოვენ, მერე დამანებონ თავი და მომცენ პირადი ცხოვრების უფლება. არ მინდა დედამთილობა. აუცილებელია, რომ ეს სტატუსი მქონდეს? რა მოხდა, ყველამ ისე რომ ვიცხოვროთ, რომ ერთმანეთის პირად ცხოვრებაში ზედმეტად არ ჩავერიოთ? ისე, არ ამართლებს ეს „კოლექტიური“ ცხოვრება და რით ვერ გავიგეთ ქართველებმა? ცოლ-ქმარი უნდა ცხოვრობდეს ცალკე, დედამთილებისა და სიდედრების გარეშე. ასე აჯობებს ყველასთვის“.

„ძალიან მინდა, რომ ჩემი დედამთილი თინეიჯერს ჰგავდეს. გამოვპრანჭავდი, ფეხზე „წკაპუნებს“ ჩავაცმევდი, თმაზე ბაფთას გავუკეთებდი და „წავიდა ხალისობაააა...“

„აუ, რამდენი ხანია, „გზა“ თვალით არ მინახავს, რადგან სოფელში ვიყავი. ახლა ჩამოვედი და ჩემი ძმის მიერ დაჯღაბნილ ფურცლებს ტანჯვით ვკითხულობ“.

„ნელი დედიკო, შენ ჩემთვის კარგი დედამთილი იქნებოდი, მე კი შენთვის საუკეთესო რძალი. შენ ხომ ჩემთვის გარმონზე დაკვრაც უნდა გესწავ-



ლებინა? ბედმა კი სხვანაირად ინება. მე მაინც მიყვარხარ. პუპსიკა“.

„ვყიდი დედამთილს, საუკეთესო მდგომარეობაში. მსურველი საჩუქრად მიიღებს მამამთილს“.

„დედამთილებო, რატომ ხართ ეგოისტები? თქვენი შვილები რომ გვიყვარს, იმიტომ? მაკო“.

„ჩემი დედამთილი ჯერ არ მინახავს, მაგრამ გულში იმდენი ბოღმა მაქვს, უცხოეთიდან რომ ჩამოვა, დედას ვუტირებ“.

„ჩემმა დედამთილმა და მულებმა გვაიძულეს მე და ჩემი ქმარი, რომ 1 წლის ბავშვით სახლიდან წავსულიყავით. ახლა ქირით ვცხოვრობთ. 7 თვეა, ბავშვიც არ მოუკითხავთ“.

„მე და ჩემს შეყვარებულს ერთმანეთი ძალიან გვიყვარს. მას დედა საზღვარგარეთ ჰყავს. ამ ახალ წელს ვიღაცამ დამირეკა და ახალი წელი მომილოცა. ასე გავიცანი ჩემი მომავალი დედამთილი. ჰოოდა, ხანდახან იმასაც ვფიქრობ, რომ თავის შვილზე მეტად ვუყვარვარ. მარი“.

„დედამთილი, უფრო სწორად, სადედამთილო, ჩემი დიდი პრობლემაა. მალე ვთხოვდები. ძალიან ცუდი ხასიათი მაქვს. მიყვარს, როცა ოჯახში ყველა ჩემს ჭკუაზე დადის. ჩემი სადედამთილოც ასეთია და წარმოიდგინეთ, 2 ასეთი ადამიანი ერთ ოჯახში. ახლა კი ვსაუბრობთ ტკბილად, სანამ რძალი გავხდები, მაგრამ მერე რა იქნება, ამის წარმოდგენაც არ მინდა. ჩემი საქმრო ძალიან მიყვარს, მაგრამ ცალკე ცხოვრების საშუალება არ გვაქვს. „სტერვა“.

„ჩემი მეზობელი დედამთილს სულ იმას ეძახდა, როდის ჩაძაღლდები, ქა... როდის ჩაძაღლდებიო. ახლა კვდება და გაიძახის: რა ვუყო, ქაა, თანა ვყვები და საჭმელს არ ჭამს, ეს ბეჩავიო. არადა, უკვე სახლში „უბორკეებს“ აკეთებს და ახალი ფარდებიც კი იყიდა. აუ, რა მაგარი იქნება, კიდევ 2 წელი რომ იცოცხლოს!“

„ჩემმა ქმარმა პირველად შინ რომ მიმიყვანა, დედამთილი კართან დამხვდა და იმხელა კაკლის მურაბა ჩამიდო პირში, რომ ლამის დავიხრჩვე. ასე პირგამოტენილი ვეცნობოდი ახალი ოჯახის წევრებს და ცნობისმოყვარე მეზობლებს. გულში კი გავიძახოდი, დამაცადე, რას გიზამ-მეთქი, მაგრამ ისეთი კარგი ქალი აღმოჩნდა, სამაგიეროს გადახდის სურვილი გამიქრა. უკვე 5 წელია, რაც ქმარი ერაყში მყავს და მე და დედამთილი ყოველ საღამოს კარტის თამაშით ვიქცევთ თავს. ხან მე „ვადურაკებ“, ხან — ის. ასე გაგვყავს დრო, ჩემი ქმრის დაბრუნებამდე. არა, არა, სად მყავს გასაჩუქებელი დედამთილი!“

„მინდა, ყველა რძლის საყურადღებოდ ვთქვა: დედამთილი არც ისე ცუდია. უბრალოდ, უნდა გაუგოთ. მე და ჩემი დედამთილი უკვე 10 წელია, რაც შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ. ვისაც დედამთილი ეზედმეტება, მზად ვარ, შევიძინო. მამამთილს გავუხარებ გულს. მანჩო“.

„ჩემს ცოლს დედამთილი არ ჰყავს, რადგან დედა დამეღუპა. ერთხელ, სტუმრები გვყავდა. ჩემი მეუღლე საერთოდ არ სვამს. იმ დღეს კი ძალიან ბევრი დალია. ისე დათვრა, რომ მთელი ღამე გაიძახოდა, გამიშვი, დედამთილის გვერდით უნდა დავწვეო. ნეტავ, ცოცხალი რომ ყოფილიყო, როგორი ურთიერთობა ექნებოდათ? გააჩნია, როგორი კაცია ოჯახში. უდარდელა“.

„ჩემი მომავალი დედამთილი ძალიან ჯიგარი ქალია. სულ იმას ფიქრობს, როგორ მასიამოვნოს. თავის შვილს კი აძალებს, ჩქარა მოიყვანეო, მაგრამ ახლა, ისევ სახლიდან გწერთ მესიჯს. რა ვქნა, დედამთილს ხომ ვერ გავყვები? ნინი“.

„დედამთილზე ფიქრისაც კი მეშინია. ჩემზე 10 წლით უფროსი ადამიანი მიყვარს. ეროვნული გამოცდების მერე ვთხოვდები და რა მეშველება, არ ვიცი. მე ხომ მხოლოდ კარტოფილისა და კვერცხის შეწვა ვიცი. არადა, იმასაც ნახევრად ვწვავ. ცოცხი თუ ავიღე ხელში, მაშინვე „ბუთქები“ მიჩნდება. არადა, სილამაზით მისი დასაწუნი ნამდვილად არ ვარ. ისე მინდა, ჩემს დედუნას მოვეწონო, რომ...“

„ეჰ... ნეტავ მყავდეს დედამთილი და



თუნდაც ცუდი იყოს... თუმცა, ჩემს შეყვარებულს აქ არ ჰყავს დედა. ისე, ბათუმელი „პაწიას“ დედასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. თვითონ ეხვეწება შვილს, დროზე მოვიყვანოთო.... მააშ! მეუღლე მინდა, არსად იცით?“

„მარი, უფლება მომეცი, ჩემს დედამთილს თქვენი საშუალებით მოვეფერო. გაცნობის დღიდან, სიყვარულისა და სიკეთის მეტი არაფერი გაუკეთებია ჩემთვის. როგორც საკუთარ შვილს, ისე მეფერება. მე 3 შვილის დედა ვარ და ალბათ ასეთი კარგი დედამთილი ვერ ვიქნები. დედა! მადლობა ყველაფრისთვის“.

„მარი, შენნაირი დედამთილი რომ მყავდეს, არც დავიწუწუნებდი და ქმარზე მეტად მეყვარებოდი. გკოცნი, მის სიო“.

„ჩემს ყოფილ დედამთილს გავაჩუქებ ან გავყიდი ფასდაკლებით. ეშმაკმაც გაჟიმოს ყველა დედამთილი“.

„გოგონებო, ვის რაში სჭირდება თქვენი დედამთილები? თავისიც „ოხრად“ ურჩებათ“.

„დედამთილის გაჩუქება ნამდვილად არ მინდა, მაგრამ თვითონ კი სიამოვნებით გააჩუქებდა თავისას. უფრო სწორად, მოუსავლეთში გაუშვებდა თავის დედამთილს. ისეთია, ისეთიიიი... დიდი სიჩქარით მიმავალ მატარებელს გააჩერებს თვალებით. დამინახავს თუ არა, დამიდგება და მეჭორავება რძალზე ანუ ჩემს დედამთილზე. საუბარში რომ ვერ ამიყოლიებს ხოლმე, მერე სხვებთან გაიძახის: — ვერ შეხვდა მაგარი რძალი, რომ ყველაფრისთვის სამაგიერო გადაუხადოსო.... მინდა, ჩემს დედამთილს მივმართო — გაუძელით, ქალბატონო ჟანა, იქნებ, ღმერთმა გადმოგხედოს და დედიკო გაათხოვო. ჯერ ისევ კვაჭია და დღეს კიდევ, რა აღარ ხდება. იქნებ, ვინმე გაბრიყვდეს“.

„ჩემს სადედამთილოსთან ძალიან მაგარი ურთიერთობა მაქვს. არ ვიცი, რატომ მეპირფერება. ალბათ უნდა, რომ თავისი ბებერი და „ნარკუშა“ შვილი შემომტენოს, მაგრამ ნურას უკაცრავად!“

„დედამთილი ისეთი განძია, რომ მიწაში უნდა ინახებოდეს. ხომ ვარ მართალი?“

„ალბათ ყველა დედამთილი უღრენს რძალს, მაგრამ ჩემი დედამთილი, ქალბატონი მანანა სრულიად განსხვავებული ჯიშის „ცხოველია“. მას არა მარტო ღრენა, არამედ სისინი, ბღავილი და ღრუტუნიც შეუძლია. თან ისეთი ჩუმჩუმელაა, ჩემს ქმარს ვერც კი წარმოუდგენია, რა შეუძლია მის დედიკოს. აი, ერთ მშვენიერ დღეს რომ მივატოვებ და უკან აღარ დავბრუნდები, მერე მიხვდება, მაგრამ გვიანი იქნება. მარი, დამიბეჭდე, რა... ამ „გზას“ ბალიშის ქვეშ დავიდებ და როცა ჩემი დედამთილი ისევ გამამწარებს, წავიკითხავ და გულზე მომეშვება. ეკა“.

„ვეხმაურები იმ ადამიანს, რომელიც მარის ნაცვლად სხვის ნომერზე გზავნიდა მესიჯს. მე მარის ნომერზე ვგზავნი, მაგრამ მაინც არ მიბეჭდავს. რა მნიშვნელობა აქვს? მარი, ეს მაინც დამიბეჭდე, თორემ მაგრად ვიტირეეებ“.

„სახლში მყავს ბებია ანუ — დედაჩემის დედამთილი. დედას უნდა, რომ ის ბიძაჩემთან (მამაჩემის ძმასთან) გაგზავნოს, რომელიც გვერდით სადარბაზოში ცხოვრობს. როცა ბებია იქ არის, ისინი ჩვენთან გზავნიან (ტექნიკურად). ახლაც გვერდით მიზის, რაღაცას მებუტბუტება და მაგრად მიშლის ნერვებს“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. როგორც თქვენი მესიჯებიდან ჩანს, დედამთილი არც ისე „საშიში“ ყოფილა... მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — „არ მომიპარავს, მიპოვნია“... გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61. ან მომწერეთ ელ ფოსტაზე: marorita77@yahoo.com *მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.*

ᲜᲘᲙᲐ ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ
ᲓᲐᲗᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘ

ᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲝᲢᲘᲙᲘᲛᲕᲘᲚᲘ

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲬᲘᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

ვენაში სასწავლებლად ყოფნისას, მე და ჩემმა ოჯახმა ერთმანეთთან სასაუბროდ გრაფიკი დავაწესეთ, ძვირი ტარიფისა და მატერიალური გასაჭირის გამო, მე ყოველ ოთხშაბათს, დედა კი თვეში ორჯერ რეკავდა, კვირა დღეს. ერთხელ, დილით ადრე, ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. დედაჩემი იყო. კალენდარს დავხედე, კვირა არ არის.

— დედა, რატომ რეკავ, ხომ მშვიდობაა?

— კი, შვილო, კარგად ვარ, — და გათიშა ტელეფონი.

ვიფიქრე, ალბათ ძალიან მოვენატრე და ჩემი ხმის გაგონება მოუნდა-მეთქი. გავიდა 10 წუთი, ისევ ისმის ტელეფონის ზარი.

— აბა მითხარი, შენ როგორ ხარ?

— კარგად, — ვთქვი და ისევ გათიშა.

რა ხდება, ვერ ვხვდები. ინსტიტუტში წასასვლელად ვემზადები. რეკავს ტელეფონი, კვლავ თბილისი.

— შენთან რომელი საათია? — მეკითხება დედაჩემი.

ვუთხარი და ჩვენი საუბარი დამთავრდა. ტრამვაიში ვზივარ, მობილურზე ზარია. დედაჩემმა რაღაც შეკითხვა დამისვა და მალევე გათიშა. შემდეგ ლექციაზეც დამირეკა. დღის განმავლობაში ეს ბევრჯერ განმეორდა — ორ სიტყვას მეტყოდა ან ჩემგან ორ სიტყვას მოისმენდა და თიშავდა. ძალიან გაკვირვებული ვიყავი... საღამოს დავურეკე — რაშია საქმე-მეთქი? — არაფერი მითხრა. მალე არდადეგების დრო მოვიდა. ჩამოვედი და მაგიდაზე სატელეფონო გადასახადების დიდი ფურცელი მხვდება. დედაჩემი გულშეწუხებული მეუბნება — შვილო, დავილუპეთო. აღმოჩნდა, რომ ტელევიზიით გავიდა სატელეფონო კომპანიის ასეთი რეკლამა — თუ ევროპაში რეკავთ, 10 წამი უფასოა. ეს ეხებოდა ბოლო 10 წამს ანუ წუთს არ ამრგვალებდნენ. დედაჩემმა იფიქრა, რომ პირველი 10 წამი იყო უფასო და მეცხრე წამზე (წამმზომი ეჭირა) თიშავდა ტელეფონს. იმხელა გადასახადი მოვიდა, კარგა ხანს ვიხდიდით.

ᲒᲐᲡᲬᲣᲠᲔᲑᲐ

ბავშვობაში დედა სამზარეულოს კარს მიკეტავდა, რომ 6 საათის შემდეგ საჭმელი არ მეჭამა. გასაღები მოვიპარე, ასლი გავაკეთებინე და თავისუფლად შევდიოდი სამზარეულოში. დედაჩემი ვერ ხვდებოდა, რადგან გასაღები ყოველთვის ადგილზე იდო. ის რომ დაიძინებდა, ჩემი ოთახიდან გამოვდიოდი და სამზარეულოში ჩუმად შევდიოდი, მაგრამ კარი გამჭვირვალე იყო და შუქი რომ ამენთო, დედაჩემი დაინახავდა, ამიტომ სიბნელეში ვმოძრაობდი. ერთ-ერთი ასეთი „ვოიაჟის“ დროს, მაცივრიდან ქვაბი გამოვიღე. საჭმლის არაჩვეულებრივი სურნელი შევიგრძენი, თევზს მივამსგავსე. ჭამა დავიწყე. მშიოდა და ქვაბი დავაცარიელე. საკმაოდ ბევრი ვჭამე... და ღამის 12 საათზე ბედნიერად დავიძინე. მეორე დღეს დედაჩემს გულზე შემოეყარა. თან „გასკდა“ ის ამბავი, რომ გასაღები მქონდა. თურმე, მიჭამია შესაწვავად გამზადებული სამწვადე ხორცი. ბასტურმა, როგორც კერძი ისე დავაგემოვნე.

სხვათა შორის, საღამოს 6 საათი დღემდე არ მიყვარს. იმ დროს მახსენებს, როცა ჭამა არ შეიძლება.

ᲛᲔᲛᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲯᲣᲠᲘ

უბნის ბავშვები ხშირად მივძვრებოდით მეზობლის ეზოში ხილის მოსაპარავად. ბავშვებს უნდოდათ, რომ მე ყოველთვის მათ გვერდით ვყოფილიყავი. ვინაიდან იმთავითვე პოპულარული და აღიარებული ბავშვის იმიჯი მქონდა, მეზობლები, თუკი დამინახავდნენ, ჩემზე ეჭვს მაინც არ აიღებდნენ, ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ამ პროცესში ჩართული ვიქნებოდი. ყოველ შემთხვევაში, მოპარულ ხილს ჩემს პერანგში ვინახავდი. „ბეთჰოვენას“ ცნობილი ქართული კომპლექსიც — როცა ბიჭი მუსიკაზე დადის და აგდებულად უყურებენ, — მე არ მიგრძნია. ასევე დაცული ვიყავი გაქურდვისგან (იმ პერიოდში, „კურტკებს“ და ფეხსაცმელსაც კი ხდიდნენ ქუჩებში). ყველას ვუყვარდი და მეც ყველა მიყვარს დღესაც.

ამ ყველაფერს ერთი უხერხულობა მოჰყვა. ერთ მშვენიერ დღეს, სახლიდან გამოვედი. სკოლაში ფეხით მივდივარ. უკან მთელი უბანი მომყვება. არც მესალმებიან, არც მელაპარაკებიან და ვგრძნობ, რომ ყველა მე მიყურებს. ბოლოს შევამჩნიე, მთელ შატბერაშვილის ქუჩაზე ცარცით გადაუშლიათ „შატბერაშვილი“ — და „მემანიშვილი“ დაუწერიათ. გზად მხვდებოდა: მემანიშვილის 5, მემანიშვილის 7, მემანიშვილის 21 და ა.შ. შემრცხვა და ძალიან განვიცადე. მეგონა, რომ იფიქრებდნენ, ამბიციურია და თავად გააკეთა წარწერებიო. სახლში დავბრუნდი, სველი ტილო ავიღე და ჩემი გვარი ყველგან წავშალე.

„ᲔᲚᲗᲣᲛᲘ“ ᲧᲠᲘᲖᲘᲡᲓ

საქართველოში ერთ-ერთ ფესტივალზე ჟიურის თავმჯდომარე ვიყავი. ერთი მონაწილის მშობელმა თავი მოგვაბეზრა: მას შვილის ლაურეატობა უნდოდა და ჟიურის ყველა წევრს და მეც თანხას გვთავაზობდა. ჩვენ აღშფოთებულები ვსაუბრობდით ამ თემაზე. არადა, პირველ ტურში ბავშვმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ისედაც ხდებოდა ლუარეატი. მშობელი კი არა და არ ჩერდებოდა. კომისიის სხდომაა და უეცრად ვაცხადებ: მე გადავწყვიტე, რომ ერთ-ერთი თქვენგანი, რომელსაც დავასახელებ, მშობელს თანხას გამოართმევს-მეთქი. ყველანი დაიბნნენ. უარი მითხრეს. მე გავაგრძელე: ჟიურის თავმჯდომარე ვარ და პრინციპულად გთხოვთ, შემოთავაზებული ფული აიღოთ-მეთქი. როგორც იქნა, ერთი წევრი დავითანხმე. თანხა ავიღე, კონვერტში ჩავდე და უჯრაში შევინახე. კონკურსი დამთავრდა. ბავშვი მეორე ადგილზე გავიდა. დაჯილდოების ცერემონიაზე გამოსვლისას ვთქვი: ჩვენ სპონსორი მოვნახეთ და სპეციალური ჯილდო დავაწესეთ მეორე ადგილზე გასული მონაწილისათვის. ეს არის ფულადი პრემია-მეთქი. გამოვაცხადე თანხის ის ოდენობა, რაც მისმა მშობელმა გადაიხადა და საქვეყნოდ გადავეცი უკან.

ᲛᲔᲜᲯᲘ ᲓᲦᲔ

ჩემთვის უახლოესი და უძვირფასესი ადამიანია ჯულია ხოფერია, რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და ბევრ ქართველ ხელოვანს პატრონობს. როცა ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები შემექმნა (სიმსუქნესთან დაკავშირებული), კრემლის საავადმყოფოს ექიმები თავს დამახვია და გადამარჩინეს. ჯულიას ფანტასტიკურ ოჯახთან მეგობრობენ ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ანსამბლი „ფორტე“, მაია ასკურავა. ერთხელაც, ყველანი იქ ვართ. ჩემი ავადმყოფობის ამბავი ახალი გადაგორებულია. რაღაცების ჭამა აკრძალული მაქვს, მაგრამ ყველა რომ იძინებს, სამზარეულოში ჩავდივარ და ჩუმად ვჭამ. ერთ დღეს, „ნაპოლეონის“ დიდი ნაჭერი მიკავია, ბედნიერი სახე მაქვს და ამ დროს, სამზარეულოში შემოდის „ფორტეს“ წევრი ზურა. ვთხოვე — ჩვენში დარჩეს ეს ამბავი-მეთქი. ისე გავიდა, არაფერი უთქვამს. გადაწყვიტა, რომ ჯობდა, ჩემთან ცუდი ურთიერთობა ჰქონოდა, ვიდრე კვლავ ავად გავმხდარიყავი, ამიტომ ყველას უთხრა, რაც გავაკეთე. მოხდა ის, რომ კინაღამ ნატო და ლიზა დავკარგე, ჯულიაზე აღარაფერს ვამბობ. მხოლოდ მაია ასკურავა შევიდა ჩემს მდგომარეობაში. ასეთი მწარე დღე მეორე არ მახსოვს. ამის შემდეგ საძინებლის კარს მიკეტავდნენ და სანამ არ გამიღებდნენ, ვერ გამოვდიოდი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲘ

ანეკდოტებს ვერ ვიმახსოვრებ. ვიცი მხოლოდ ერთი, რომელიც ჩემთვის პირველი ანეკდოტია. 6 წლისა რომ ვიყავი, დეიდაშვილმა მიამბო და არ მავიწყდება. ასეთი მარტივი ანეკდოტია: კაცი ლიანდაგზე ზის. მასთან მიდის მეორე კაცი, რომელიც ეუბნება — ცოტა ჩაიწიე, მეც დამსვიო. ეს არის და ეს.

■

ბაბილონის ჰაკერი - კომპიუტერული ტექნოლოგიის ბენიოსი

XX საუკუნე მნიშვნელოვან ეტაპად იქცა მთელი მსოფლიოს ავანტიურისტებისთვის. თანამედროვე ხელმარჯვეთა შორის აღმოჩნდა ადამიანის გონების ისეთი გამოგონებანი, რომელზეც მათი წინამორბედნიც ვერ იოცნებებდნენ. თუ ოდესმე ვინმეს აზრად მოუვა ჰაკერობის ენციკლოპედიის შედგენა, კევინ მიტნიკის სახელი იქ უთუოდ ოქროს ასოებით ჩაიწერება. მას ჰაკერობის ღვთით ბოძებული ნიჭი ჰქონდა. მართალია, არ გააჩნდა სპეციალური უმაღლესი განათლება, მაგრამ უპრობლემოდ ხსნიდა უმსხვილესი ამერიკული კორპორაციების საიდუმლო კომპიუტერულ პროგრამებს. მისი ყველაზე ცნობილი დანაშაული ცუტომუ შიმომურის კომპიუტერში შეღწევაა. ცუტომუ შიმომური კომპიუტერული სისტემების დაცვის წამყვანი სპეციალისტი გახლდათ.

დიდი ხანია, ცნობილია, რომ ადამიანის მიერ გამოგონილი ნებისმიერი ტექნიკური საიდუმლო ადრე თუ გვიან ამოიხსნება, ყველაზე საიმედო საკეტს აუცილებლად მოეძებნება გასაღები. სპეციალისტებმა უკვე ამოხსნეს ყველაზე რთული შიფრები და კოდები. და აი, დადგა XX საუკუნის დასასრული, მსოფლიოს კომპიუტერული ქსელის — ინტერნეტის შექმნის პერიოდი. ინტერნეტი კი, ინფორმაციის ტრილიონ ბაიტს მაინც მოიცავს, მათ შორის, მილიონობით ინფორმაცია გასაიდუმლოებულია, მაგრამ დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე ადამიანები, რომლებსაც ძალუძთ ამ საიდუმლოს ამოხსნა. ზოგიერთი ამას გამორჩენის მიზნით აკეთებს, ზოგი კი, კვლევითი აზარტის შემოტევის გამო. ისინი სულაც არ ფიქრობენ გამორჩენაზე. აი, სწორედ ესენი არიან ჰაკერები. მსოფლიოში ცნობილი კევინ მიტნიკი კიბერსივრცის „რობინ ჰუდების“ კატეგორიას განეკუთვნება.

იგი 1964 წელს დაიბადა ნორტ-ჰილზში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. სრულყოფილ ოჯახში ბიჭი ცოტა ხანს იზრდებოდა. მისი მშობლები მაშინ განქორწინდნენ, როცა კევინი მხოლოდ 3 წლის იყო. ბიჭი ლოს-ანჯელესში ცხოვრობდა დედასთან, რომელიც მიმტანად მუშაობდა იაფფასიან სასადილოში. ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მოუწყობელი პირადი ცხოვრება ჰქონდა, მამაკაცებთან ნაცნობობას ელტვოდა. მიუხედავად ამისა, კევინს ახალი მამა ბედმა არ არგუნა: როგორც კი ბავშვი ოდნავ შეეჩვეოდა ხოლმე მორიგ პრეტენდენტს, იგი იკარგებოდა. ნამდვილი მამა ძალზე იშვიათად თუ ჩნდებოდა ბავშვის ცხოვრებაში — მას უკვე ჰქონდა მეორე ოჯახი, რომელშიც მისი მეორე ბიჭი იზრდებოდა. ასე რომ, კევინის ოჯახური ცხოვრება ბედნიერად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

განსაკუთრებული ბედნიერებით ის არც სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა. მსუქანი, მორცხვი, სათვალიანი ბიჭუნა არანაირ სიმპათიას არ იწვევდა თანაკლასელებში. სკოლას ის საკმაოდ ხშირად იცვლიდა. ის-ის იყო, ყველა თანაკლასელს გაიცნობდა, რომ ოჯახი კვლავ იცვლიდა საცხოვრებელ ადგილს. კევინს ისევ თავიდან უწევდა ახალ ადგილთან და თანაკლასელებთან შეჩვევა. აგებულების გამო მოზარდს არც ერთ სპორტულ გუნდში არ იღებდნენ, მაგრამ კევინს სპორტი საერთოდ არც აინტერესებდა. პატარაობიდანვე კევინს ტელეფონი შეუყვარდა. მას სიამოვნებდა, როდესაც ნებისმიერ ნომერს კრებდა და უცნობ ადამიანს თავის პრობლემებზე ესაუბრებოდა. დროთა განმავლობაში, იგი სატელეფონო კავშირის ტექნიკური მხარითაც დაინტერესდა. 14 წლის მიტნიკი უკვე არალეგალურ სატელეფონო გამოძახებებს ახორციელებდა, თანაც — შორ მანძილებზე; ამისთვის ის მრავალარხიანი კავშირის მოპარული კოდებით სარგებლობდა.

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას, კევინმა შეცვალა სკოლის ტერმინალის მოდემური კავშირის ხაზების კონფიგურაცია. ვინმეს რომ მოეფიქრებინა და თვალი მიედევნებინა სატელეფონო ზარების წყაროსთვის, სკოლის კომპიუტერულ საკლასო ოთახში აღმოჩნდებოდა. ასე შლიდა მიტნიკი თავისი სატელეფონო თავგადასავლების კვალს. გარდა ამისა, მან სხვა მიზნებისთვისაც გამოიყენა შეუფერხებელი მიერთების უპირატესობა: სკოლის ტერმინალიდან ადმინისტრაციულ კომპიუტერულ სისტემაში — Digital Equipment-ში შეაღწია. ეს სისტემა მართავდა რეგიონის ყველა სკოლას. 16 წლის მოზარდს თავისთვის ნიშების შეცვლა არ დაუწყია. ეს არ იყო მისთვის მნიშვნელოვანი. სხვის კომპიუტერებში შეღწევის მთავარი სტიმული რაიმე სარგებელი კი არ ყოფილა, არამედ რთული ამოცანის გადაწყვეტა და გასაიდუმლოებული ინფორმაციის მოპოვებისთვის გასაღების პოვნა.

1980 წელს ლოს-ანჯელესში ჩამოყალიბდა ნორჩ ფრიკერთა „ბანდა“. ფრიკერები გახლდნენ ადამიანები, რომელთაც სატელეფონო ხაზებით მანიპულირება ხელეწიფებოდათ. ტელეფონით უფასოდ ლაპარაკი, სხვისი საუბრების მოსმენა, ანგარიშების შეცვლა — აი, არასრული სია, იმ ოპერაციებისა, რაც ფრიკერებს შეეძლოთ. სატელეფონო კომპანიები მუდივად ცვლიდნენ და ართულებდნენ თავიანთ ტექნოლოგიებს, ელექტრომექანიკური კომუტატორები ადგილს უთმობდნენ პროგრამული მართვის გადართვის ელექტრონულ სქემებს. კომპანიათა შესაძლებლობა, — ამოეცნოთ გარეშე სიგნალები — მატულობდა. რისკი და საფრთხის შეგრძნება კი, სატელეფონო „ქურდების“ საქმიანობას უფრო აზარტულს ხდიდა. ფრიკერთა ახლი თაობა კარგად უნდა გარკვეულიყო არა მარტო ტელეფონებში, არამედ კომპიუტერებშიც და ახალშექმნილი ჯგუფი მშვენივრად აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს: როსკო — პროგრამისტი და ლიდერის თანდაყოლილი თვისებებით გამორჩეული; სტივენ როუდსი — სატელეფონო ტექნიკის დიდოსტატი; სიუზენ სანდერს მშვენივრად შეეძლო ადამიანებით მანიპულირება, განსაკუთრებით — მამაკაცებით; კევინ მიტნიკი, რომელიც ცოდნის დაუოკებელი წყურვილით გამოირჩეოდა და ძალზე მიზანმიმართული და მტკიცე ხასიათის ადამიანი გახლდათ. როსკოს ჯგუფს კონკურენტები არ ჰყავდა. ეს უკვე უბრალო ფრიკერები როდი იყვნენ, რომელთაც უპრობლემოდ შეეძლოთ უფასოდ დარეკვა და ამავდროულად, შეუმჩნევლად დარჩენა; ისინი სატელეფონო კავშირის უზადო ცოდნას უკვე კომპიუტერის ცოდნას უხამებდნენ. მეგობრებს მოსწონდათ ტექნიკით გართობა. მალე კევინმა და როსკომ ისწავლეს იმ კომპიუტერების მართვა, რომლებიც სატელეფონო კავშირს უზუნველყოფდა და საკუთარ თავს უკვე ჰაკერებს უწოდებდნენ.

1981 წლის შუა პერიოდში, მეგობრებმა გადაწყვიტეს, გაეტეხათ კორპორაციული სისტემა Cosmos, რომელიც სატელეფონო კომპანიას — Pacific Bell ეკუთვნის. Cosmos იშიფრებოდა როგორც „კომპიუტერული სისტემა მსხვილ გამომთვლელ კომპლექსებთან ოპერაციებისთვის“. ამ სისტემის დაუფლება ნიშნავდა კონტროლს მთელი ქვეყნის სატელეფონო კომპანიებზე — ტექნიკური კონტროლიდან დაწყებული და კლიენტების მომსახურებით დამთავრებული. დასახული მიზნის მისაღწევად მეგობრები არაფერს ერიდებოდნენ. საქმეში გადიოდა ძველი, დალუქული, საქმიანი წერილების ნაწყვეტები და მსგავსი „ნაგავი“, რომელიც

მათ Cosmos — ცენტრის „ნაგვის ყუთებში“ იპოვეს. ჰაკერები იმედოვნებდნენ, რომ ამ ხარახურაში, კომპიუტერში შეღწევის პაროლს აღმოაჩენდნენ. მალე პაროლი მართლაც, იპოვეს და გადაწყვიტეს, თვით Cosmos — ცენტრის შენობაში შეეღწიათ, იქ, სადაც მოთავსებული იყო კომპიუტერი Cosmos — ინფორმაციის მთავარი წყარო. მათ შეაღწიეს შენობაში, მიაგნეს ადამინისტრატორის კაბინეტს და იქიდან Cosmos-ის სისტემის ფუნქციონირების შესახებ ფასდაუდებელი ცნობარები წამოიღეს. მეორე დღეს, ადმინისტრატორს თვალში ეცა, რომ ცნობარების ნახევარზე მეტი, ადგილზე აღარ დახვდა. საქმის გამოსაძიებლად პოლიციას უხმეს.

მეგობრობამ კი, ჰაკერების ჯგუფში დიდხანს ვერ გასტანა, — სიუზენ სანდერი და როსკო მტრებად იქცნენ. ჯერ კიდევ 1981 წლის დასაწყისში, როსკომ სარჩელი შეიტანა სიუზენის წინააღმდეგ, — მისი თქმით, სიუზენი ხელს უშლიდა ცხოვრებაში, თავის „უსირცხვილო და მუქარით სავსე სატელეფონო ზარებით“. ამის შემდეგ სიუზენ სანდერმა დაიფიცა, რომ შურს იძიებდა თავის ყოფილ მეგობარსა და თაყვანისმცემელზე და მალე ამის შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცა. მან პოლიციას ჩააბარა ყოფილი მეგობრები. კევინის საქმეში ფიგურირებდა ინციდენტი კომპანია U.S.Leasing-თან დაკავშირებით (ამ შემთხვევამდე ერთი წლით ადრე, მეგობრებმა, უბრალო გართობის მიზნით, მისი კომპიუტერული სისტემა მოშალეს) და ბრალდება cosmos-ცენტრის გატეხისა და იქიდან დოკუმენტების წაღების შესახებ. 1982 წლის ივნისში მას განაჩენი გამოუტანეს. კევინს მიუსაჯეს, ლოს-ანჯელესის ცენტრში 3 თვის განმავლობაში იმ მეცადინეობებზე დასწრება, რომლებსაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს პროფილაქტორიუმში უტარებდნენ, შემდეგ კი — ერთწლიანი პირობითი პატიმრობა.

მაგრამ მიტნიკი სასჯელმა ვერ შეაჩერა. იგი კვლავაც განაგრძობდა საყვარელ საქმეს. ის-ის იყო, სასჯელი მოიხადა, რომ ლოს-ანჯელესის უნივერსიტეტის კომპიუტერულ სისტემაში შეაღწია და იგი APRANET-ის — ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს ქსელში არალეგალურად შესაღწევად გამოიყენა. ეს ქსელი შექმნილი იყო ინფორმაციის გასაცვლელად მთელი მსოფლიოს კვლევით ცენტრებს (უნივერსიტეტებს, სახელმწიფო ორგანიზაციებსა და კერძო ფირმებს) შორის, რომლებიც სამინისტროს დაკვეთებს ასრულებდნენ. ჰაკერი კვლავ ამხილეს, მაგრამ ამჯერად, სასჯელი უფრო გამკაცრდა, კევინი ხომ იმ დროისთვის უკვე 19 წლის იყო და ამერიკული კანონების მიხედვით, ის სრულად აგებდა პასუხს საკუთარ ნამოქმედარზე. 1983 წელს, მიტნიკი 6 თვით ციხეში ჩასვეს, რომელსაც „კარლ ჰოლტონის გამოსასწორებელი დაწესებულება“ ერქვა. სწორედ ამ დაწესებულებაში ამწესებდნენ ახალგაზრდებს, რომელთაც ჰქონდათ მიდრეკილება ძალადობისკენ და ზემოქმედების სხვა მეთოდებზე არ რეაგირებდნენ. ამ დაწესებულებაში იხდიდნენ სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა სტატიის მიხედვით — შეიარაღებული ძარცვით დაწყებული, მკველობით დამთავრებული. კევინი ერთადერთი იყო, ვინც კომპიუტერულ სისტემებში შეღწევისთვის გაასამართლეს.

1983 წლის ბოლოს, სანიმუშო ყოფაქცევისთვის, მიტნიკი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. იმ დროისთვის მან იმდენივე იცოდა უმსხვილესი კომპიუტერული ქსელის — Belle Labs-ის შესახებ, რამდენიც ამავე ქსელის საუკეთესო სპეციალისტებმა.

მომდევნო 2 წელი კევინის ცხოვრებაში დიდად არაფრით გამოირჩეოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, „მცირე ცუღლუტობანი“ მაინც იყო, რაც კორპორაციებს დიდ ზიანს არ აყენებდა. შეიძლება ითქვას, რომ იმ პერიოდში მიტნიკი ყველანაირად ხვეწდა თავის ჰაკერულ ოსტატობას. იგი ცდილობდა, სპეციალური განათლება მიეღო და 1985 წლის სექტემბერში სწავლა დაიწყო „გამომთვლელი სისტემების ლოს-ანჯელესის სასწავლო ცენტრში“. ამ ძალზე პრესტიჟულმა სასწავლებელმა მაღალი კლასის ბევრი სპეციალისტი გამოზარდა. პედაგოგები ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ კევინი, რომ თუ ის კარგ სამსახურში მოხვდებოდა და უჩვენებდა უფროსობას რა შეეძლო, მაშინ, ეჭვგარეშეა, ძალიან სწრაფად გაიკეთებდა შესანიშნავ კარიერას.

1987 წლის ზაფხულში მიტნიკმა ცოლი შეირთო. თავისი მომავალი მეუღლე, ბონი ვიტელო მან იქვე, ლოს-ანჯელესის სასწავლო ცენტრში გაიცნო, სადაც გოგონა საღამოს განყოფილებაზე სწავლობდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მისის მიტნიკი ადმინისტრატორად მუშაობდა GTE-ში — ლოს-ანჯელესის ორი უმსხვილესი სატელეფონო კომპანიიდან ერთ-ერთში.

ერთხელ ერთ-ერთი უმსხვილესი კომპიუტერული კომპანიის — Santa Cruz Operation — სპეციალისტებმა თავიანთ კომპიუტერულ ქსელში რაღაც შეფერხება შეამჩნიეს. აშკარა იყო, ვიღაც ცდილობდა იმ პროგრამებში შეღწევას, რომლებიც კომპანიის მიერვე შემუშავებული საოპერაციო სისტემის შეცვლის საშუალებას იძლეოდა — არადა, სწორედ იმის გაყიდვაზე იყო აგებული ფირმის მთელი ბიზნესი. კანონის დამცველებმა ეჭვი მაშინვე თავიანთ „ძველ ნაცნობზე“ — კევინ მიტნიკზე მიიტანეს. 1987 წელს, 23 წლის ჰაკერი კვლავ წარდგა სასამართლოს წინაშე. გამოძიებასთან თანამშრომლობისა და სისტემაში შეღწევის დაწვრილებითი აღწერის შემთხვევაში, მიტნიკს განაჩენის შემსუბუქებას დაჰპირდნენ. კევინი ყველა პირობას დათანხმდა. მას მსუბუქი სასჯელი ელოდა — მცირედი ფულადი ჯარიმა, 3 წელი პირობითი პატიმრობა და სამსაათიანი საუბარი ჩრუზ პერატიონის თანამშრომლებთან.

მაგრამ მიტნიკი სასჯელმა ვერ შეაჩერა

პირობითი პატიმრობა მიტნიკს დიდად არ ანაღვლებდა. 1988 წელს მან მიზნად დაისახა, გადაექაჩა კომპანიის — Digital Equipment — უახლესი პროგრამა, ოპერაციული სისტემა VMS-ის ბოლო ვერსია. დამხმარედ მან თავისი დიდი ხნის მეგობარი, ლენი დი ჩიკო აიყვანა, რომელიც პროგრამისტად მუშაობდა ერთ-ერთ მსხვილ ფირმაში. კომპანიის მძლავრი ტერმინალი კარგად შეესატყვისებოდა დასახული მიზნის მიღწევას. თანაც, მიტნიკი მოპარვას ყოველგვარი კომერციული განზრახვის გარეშე აპირებდა, მხოლოდ „ხელოვნებისადმი სიყვარულის“ გამო. მას თვით ჰაკერული საქმიანობა სიამოვნებდა. ამით ის თავის ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებდა, რომელსაც უახლესი საოპერაციო სისტემა უღვივებდა. მაქინაციების დროს, ჰაკერებს ერთი შეცდომაც კი არ დაუშვიათ.

იმავე პერიოდში მიტნიკს ხელში ჩაუვარდა კიდევ ერთი ახალი პროგრამა. ეს პროგრამა ფირმა XSAFE-ს ეკუთვნოდა და მასზე იყო წარწერა: „საიდუმლოდ“. რა თქმა უნდა, მიტნიკი ამან ძალიან დაინტერესა და უმალ გადაწყვიტა, რომ ეს პროგრამაც გაეხსნა.

ჰაკერობის ჟინი სულ უფრო და უფრო მეტად იპყრობდა მიტნიკს. ის უბრალოდ ვეღარ აკონტროლებდა საკუთარ საქციელს. ყოველ ჯერზე, როცა ის მორიგი სისტემის გახსნით იყო დაკავებული, მიტნიკი არწმუნებდა ლენის, რომ ეს მისი უკანასკნელი საქმე იყო და როგორც კი დაასრულებდა, ჰაკერობას თავს დაანებებდა. მაგრამ ყოველთვის, როგორც კი ერთ საქმეს დასრულებდა, მეორეს იწყებდა, კიდევ უფრო საინტერესოს. მაგალითად, მიტნიკმა გადაწყვიტა, მოეპარა ახალი კომპიუტერული თამაში Doom-ი. ამის გამო მიტნიკს საბოლოდ გაუფუჭდა ურთიერთობა თავის მეგობართან და მეწყვილესთან. მან უთხრა, რომ დროა, თავი დაანებოს სხვის კომპიუტერებში ძრომიალს. იმ დროს ლენის სამსახურებრივი უსიამოვნებებიც დაატყდა თავს. მოკლედ, ერთ დღეს კევინის მეგობარმა დაზვერვის ფედერალურ ბიუროში დარეკა და იქაურებს მიტნიკის ჰაკერულ გმირობებზე უამბო. Digital Equipment-ის სპეციალისტები ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ნახევარ წელზე მეტხანს მათ ძლიერი ორგანიზაცია კი არა, ვიღაც 25 წლის სტუდენტი ასულელებდა.

დასასრული შემდეგ ნომერში

კონკია შარვალში

როგორ მოვუაროთ საყვარელ მამაკაცს

მამაკაცის მოდური სამოსი

ქალებო, პირველ რიგში, თქვენი პარტნიორი უნდა დაარწმუნოთ, რომ როცა მამაკაცი ორიგინალურად და მოდურად იცვამს, ამაში არაფერია ცუდი. ამასთანავე, რაღაც ცვლილებები უნდა შეიტანოთ მისი ჩაცმულობის სტილში (რა თქმა უნდა, გადაწყვეტილებები მასთან ერთად უნდა მიიღოთ).

დავიწყოთ ფეხსაცმლით: ამ სეზონზე აქტუალურია ვიწრო, რბილძირიანი, მაღალყელიანი ფეხსაცმელი კლასიკური ცხვირით. თქვენს პარტნიორს უთხარით, რომ დროა, დაივიწყოს მრგვალი, ძალიან წვრილი ან კვადრატულცხვირიანი ტუფლი. კარგია, თუ კლასიკურ კოსტიუმს კედებს შეუხამებს. ცუდ ამინდებში შეუძლია ჩაიცვას რეზინის (საშუალო სიმაღლის) ბოტები, მზიანი ამინდისთვის კი შეარჩევინეთ ტყავის მოკასინი ან სანდალი, რომელიც ძალიან სექსუალურად გამოიყურება კაცის ფეხზე.

ამ სეზონზე დიზაინერები წინდებს მოდურად არ მიიჩნევენ, მაგრამ მაინც, მის გარეშე, მამაკაცების გარდერობი წარმოუდგენელია. სამსახურისთვის შეარჩევინეთ წინდა ფეხსაცმლისა და შარვლის ფერის გათვალისწინებით, მაგრამ წვეულებაზე წასვლისას შეიძლება, ყველაზე თამამი ფერის წინდაც ჩაიცვას.

რაც შეეხება შარვალს, ახლა მოდაშია მინი — მუხლამდე შარვალი, კლასიკურ პიჯაკთან და მაღალყელიან ფეხსაცმელთან ერთად. კლასიკური კოსტიუმის გარეშე, აქტუალურია ერთღილიანი შარვალი; ფეხსაცმელთან ერთად შეუძლიათ ჩაიცვან გრძელტოტიანი შარვალი, რომელიც ქვევით ოდნავ ფართოვდება ანუ ე.წ. შლაქსი.

მამაკაცის გარდერობში აუცილებლად უნდა მოიძებნებოდეს მოდური სვიტერები, რომლებზეც გამოსახული იქნება მკაცრი ფიგურები, გულსაბნევებიანი პერანგები და ნახატიანი მაისურები. გაითვალისწინეთ, ამ სეზონზე ყველაზე აქტუალური თეთრი ფერია.

ჰალსტუხი ყველაზე მამაკაცური აქსესუარია და ამ სეზონზე მისი ტარება აუცილებელია. ის შეიძლება გაიკეთონ შიშველ სხეულზე, სვიტერთან, შორტთან და ნებისმიერ სამოსთან ერთად. მთავარია, სტილი და ფერი სწორად იყოს შერჩეული.

მოდაშია წვრილი ჰალსტუხები. ისინი განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება მოდურ ქუდებთან (ცილინდრებთან) ერთად. თქვენს რჩეულს ზამთარში — მუქი ან თეთრი, ხოლო ზაფხულში, ღია, თამამი ფერის ჰალსტუხი შეურჩიეთ. მისი გარეცხვა ყოველდღიურად არ ღირს, უმჯობესია, თუ მას გაწმენდთ და დაუკეცავად შეინახავთ.

სიყვარული მამაკაცის ელემენტარული ლოგიკიდან გამომდინარე

ამბობენ, რომ ლოგიკა ეს არის ზუსტი მეცნიერება და მისი გაგება მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ, რადგან მათი ტვინის „საჭირო“ ნაწილი ძალიან კარგად მუშაობს. ამიტომაც, უნდა ახსნან ზუსტად: რას და რატომ აკეთებენ. ლოგიკურად, ისინი ნებისმიერი მოქმედების დროს ერთ ნაბიჯს მაინც უნდა დგამდნენ წინ ისე, როგორც ეს ჭადრაკის თამაშისას ხდება. იცით, რომ მამაკაცები ქალთან ჭადრაკს არასდროს თამაშობენ? ეს იმიტომ, რომ ჰგონიათ — ძალები არათანაბარია. მაგრამ რა ხდება სინამდვილეში? ერთ-ერთი მოჭადრაკე ქალი ამბობდა: „ჩემი მამაკაცი მასწავლებელი, როცა ტრენინგებს მიტარებდა, მასწავლიდა მკაცრად, ხშირად მეჩხუბებოდა და მსაყვედურობდა; ხოლო როცა საქებარი ვიყავი, სიტყვაძუნწი ხდებოდა... ეს ყველაფერი კი იმიტომ ხდებოდა, რომ თამაში ძალიან სწრაფად შევისწავლე და ამის შემდეგ, ერთმანეთს დავშორდით — სასწავლი აღარაფერი იყო. სამაგიეროდ, ის პიროვნება საქებარ სიტყვებს ჩემი ერთ-ერთი ჯგუფელისთვის არ იშურებდა, რადგან, როცა პირველად მას ლამაზ თვალებში ჩახედა, მიხვდა, რომ ნიჭიერებით არ გამოირჩეოდა და ამიტომაც, მასთან მუშაობა სიამოვნებას ანიჭებდა; ტკბებოდა იმით, რომ ქალი მის გაკვეთილებს ვერ ითვისებდა. ის გოგონა დღესაც დადის შემსწავლელ კურსებზე და უკვე წლებია, მასწავლებელიც და მოსწავლეც ერთად სწავლობენ ჭადრაკის თამაშს. თან, ამ ყველაფერს, ახლო ურთიერთობაც მოჰყვა...

ქალებო! დაიმახსოვრეთ, „მამაკაცისთვის ამოუცნობი უნდა იყოთ. მას არასდროს აგრძნობინოთ, რომ ძალიან გიყვართ და მის გარეშე ცხოვრება არ შეგიძლიათ. ნურც იმას დაანახვებთ, რომ ძალიან ჭკვიანი ხართ. ხშირად ხდება, რომ ქალს გყავს თაყვანისმცემელი, რომელიც გაღმერთებს. მაგრამ გადის დრო და როცა „უგონოდ შეყვარებული“ მიხვდება, რომ „ჩიტი მახეში გაეცა“, აღარ განახულობს, მთელი თვე ისე გავა, არც კი დაგირეკავს. თუმცა, მეგობრებთან ტრაბახობს, რომ შენი გაბედნიერება შეძლო. როცა მამაკაცს ამ ყველაფრის მიზეზს ეკითხები, გეჩხუბება: ჩემგან რას ითხოვო. გამოდის, რომ უყვარხარ, მაგრამ მიდის; გეუბნება, რომ მისთვის ძალიან ძვირფასი ხარ, მაგრამ ბედნიერს ვერ გაგხდის და მიდის... ცოტა ხანში კი, უკან ბრუნდება და გეუბნება, რომ ოჯახის შექმნა უნდა და ცოლობას გთხოვს... მერე, ყველაფერში ისევ ეჭვი ეპარება, თვითონაც არ იცის, რა უნდა... ჩნდება კითხვა: ამ ყველაფრის მიზეზი რა არის? გაგეცნობა, დიდხანს „გიბურღავს“ ტვინს, გეთაყვანება, მაგრამ მიიღებს თუ არა იმას, რაც უნდა, დიდი ხნით იკარგება. შემდეგ, ისევ გამოჩნდება, გეუბნება, რომ უშენოდ ვერ გაძლო. დაუკითხავად კითხულობს შენს მესიჯებს, ეძებს მიზეზს და პოულობს კიდეც: გიბრაზდება, რომ მათში რაღაც ისეთი წერია, რაც მას შეურაცხყოფს (თუმცა, ეს მიზეზი სისულელის ტოლფასია)... ფსიქოლოგების აზრით, ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლები დაუმორჩილებელ არსებებს ეთაყვანებიან, უყვართ, როცა წინააღმდეგობებს აწყდებიან... და კიდევ, მამაკაცები ხშირად ამბობენ: ქალებს ბევრი ლაპარაკი უყვართო, მაგრამ განა იშვიათად შეგხვედრიათ მოლაქლაქე მამაკაცი?! მისი მოსმენა ხომ სუსტი სქესის წარმომადგენლებსაც კი უჭირთ...

ლოგიკური დასასრული

მიუხედავად მამაკაცების ალოგიკური მოქმედებისა, ჩვენ მათ მოჭკვიანებას ვცდილობთ. ზოგჯერ, ამას ვახერხებთ კიდეც და თითქოს, ამისგან სიამოვნებას ვიღებთ. ალბათ ამიტომაც, მათ ვერსად გავექცევით.

■

ვარსკვლავების დიეტა და შიმშილობით გამოწვეული უფვილობა

როგორ დავაღწიოთ თავი ზედმეტ კილოგრამებს და როგორ მოვახერხოთ ეს სწრაფად? ამისთვის შეგვიძლია, ვარსკვლავების მეთოდებს მივმართოთ.

ჰოლი ბერის დიეტა „აგენტი 007"

პირველ „ოსკაროსან" შავკანიან ქალბატონს, დიაბეტი აღმოაჩნდა. ამის შემდეგ, მან გადახედა საკუთარ მენიუს და მიიღო გადაწყვეტილება, დაეცვა დიეტა. მას მერე, ჰოლი ბერი აღარ ეტანება ტკბილეულს, შემწვარ ხორცსა და ბოსტნეულს. სამაგი-



ეროდ, განუსაზღვრელი ოდენობით მიირთმევს ახალდაწურული ხილისა თუ ბოსტნეულის წვენს. „ახლა თავს შედარებით კარგად ვგრძნობ და ამასთანავე, გარეგნულადაც უკეთ გამოვიყურები", — გამოტყდა მსახიობი. ფილმის — „ჯეიმს ბონდის" გადაღებებისას ჰოლიმ აღმოაჩინა, რომ მას და პირს ბროსნანს (რომელსაც ამ ფილმში პარტნიორობას უწევდა) თითქმის ერთნაირი კვების რეჟიმი აქვთ. ასე რომ, მისი დიეტა თამამად შეიძლება მოინათლოს სახელით — „აგენტი 007".

დემი მური: ბევრი უმი ბოსტნეული და ხილი!

ჰოლივუდის ბრწყინვალე ვარსკვლავი და ამავდროულად, 3 შვილის დედა — დემი მური 40 წლის ასაკშიც კი ახერხებს ხალხის გაოცებას თავისი გარეგნობით. მან ერთ-ერთ ინტერვიუში აღიარა: „ამის მიზეზი დიეტაა. მე უმ საკვებს მივირთმევ..." დემი საკვების 75 პროცენტს დაუმუშავებელ მდგომარეობაში მიირთმევს, დანარჩენს — მსუბუქად მოხარშულს. მსახიობის მენიუში შედის ანანასისა და ფორთოხლის წვენი, პიტნის ჩაი, თბილი სალათა — სატაცურით, პომიდვრით, ავოკადოთი.

ნატალია ვეტლიცკაიას საიდუმლო

ნატალია ვეტლიცკაია 15-დღიან დიეტას იცავს. ამ დროს, ის მენიუდან გამორიცხავს ხორცს, კვერცხს, შოკოლადს და ყავას.

მისი ყოველდღიური დიეტა ასე გამოიყურება — საუზმე: შვრიის ფაფა; სადილი — ბოსტნეულის წვნიანი ან სალათა; ვახშამი — მოხარშული ბინჯი, ბოსტნეულის სალათა. შიგადაშიგ შეგიძლიათ მიირთვათ ხილი ან ბოსტნეული. ამ დიეტის დაცვიდან 2 თვის შემდეგ, შედეგის გასამყარებლად, მისი გამეორება აუცილებელია.

როგორ გახდა ჯენიფერ ენისტონი

ამერიკული სერიალის — „მეგობრების" ვარსკვლავს და ბრედ პიტის ყოფილ მეუღლეს, ჯენიფერ ენისტონს დიეტაზე ბევრი რამის თქმა შეუძლია. მან ძალიან პატარა ასაკიდან დაიწყო ზრუნვა თავის გარეგნობაზე, რადგან პოპულარობას მოწყურებული გოგონა პროდიუსერებს შორის პოპულარობით ნამდვილად არ სარგებლობდა. ერთ-ერთი კასტინგის დროს, მას პირდაპირ უთხრეს: ან წონაში დაიკელით, ან სამუდამოდ უნდა დაკარგოთ იმის იმედი, რომ კინობიზნესში კარიერას აიწყობთო... სწორედ მაშინ დაფიქრდა ჯენიფერი სერიოზულად იმაზე, თუ რას და რა ოდენობით მიირთმევდა. „ძალიან ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც ისე არაჯანსაღად იკვებება, როგორც მე. შეიძლება ითქვას, რომ გავიზარდე „ჩისბურგერითა" და კარტოფილის „ფრით". ძალიან ბევრ მაიონეზს ვჭამდი", — იხსენებს მსახიობი.

როცა მან წონაში დაკლება საბოლოოდ გადაწყვიტა, თითქმის შიმშილობდა და მართლაც, შედეგმა არ დააყოვნა, შესამჩნევად დაიკლო და მიიღო კიდეც როლი სერიალში — „მეგობრები", რომელიც სუპერწარმატებული აღმოჩნდა (თითოეული სერიის გადაღების შემდეგ, მსახიობს მილიონ დოლარს უხდიან). მაგრამ შიმშილობამ მის ჯანმრთელობას თავისი კვალი დააჩნია, ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ ამ ექსპერიმენტების „წყალობით", ჯენიფერს შვილის გაჩენა აღარ შეუძლია. ამიტომაც, კომპრომისზე წავიდა — გადაწყვიტა, საკვები ზომიერად მიეღო და მკაცრად ეკონტროლებინა თავისი მენიუ. ბოლო რამდენიმე წელია, ის კვების ასეთ რეჟიმს იცავს: 40% — ხილი და ბოსტნეული, 30% — რძის პროდუქტები და 30% — ზეთოვანი სახის ცხიმი, მაგალითად, ზეითუნის ზეთი. მენიუდან საერთოდ ამოიღო ალკოჰოლი, პური, კოფეინი, საწებელი, ბრინჯი, კარტოფილი და ნებისმიერი დაკონსერვებული საკვები.

მსგავს სიტუაციაში აღმოჩნდა მომღერალი ჯერი ჰოლიველი. ალბათ, ყველას ახსოვს ჩაპუტკუნებული ჯერი, როცა ის ჯგუფ „სპაის გერლზში" მღეროდა, მაგრამ სოლო კარიერის დასაწყისში, მომღერალმა იმიჯი შეიცვალა — წარმოუდგენლად გახდა. ყველაფერი კარგად იყო მანამ, სანამ ექიმებმა პანიკა არ ატეხეს — თუ 30 წლის ჯერი შიმშილით „თავის მოკვლას" არ შეწყვეტს, მაშინ ის შვილს ვერასდროს გააჩენსო.

რჩევა: *ძვირფასო ქალებო! სანამ დიეტის დაცვას გადაწყვეტთ, სასურველია, დიეტოლოგს მიმართოთ. დაიმახსოვრეთ: მართალია, შიმშილით წონაში იოლად დაიკლებთ, მაგრამ ამის გაკეთება არ ღირს, რადგან ნებისმიერ ვარიანტში, ეს თქვენს ჯანმრთელობას ზიანს მიაყენებს.* ■

ეროვნების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. რა არის ყვანა?
2. რა ეროვნების იყო გრაფი დრაკულა?
3. დაასრულეთ უინსტონ ჩერჩილის სიტყვები: „მხოლოდ ერთი რამ არის მოკავშირეებთან ერთად ომის წარმოებაზე უარესი. ეს არის...“
4. რაში იყენებდნენ ძველი ბერძნები გახვრეტილ და მთლიან კენჭებს?
5. პირველ მსოფლიო ომში მფრინავები ხშირად, თუჯის ტაფებზე ისხდნენ. რატომ?
6. დაასახელეთ ჟაკლინ კენედის ქალიშვილობის გვარი.
7. ბრაზილიაში იტაიპუს პლატინის ასაგებად მდინარის გვერდზე გადაგდება გახდა საჭირო საგანგებო არხით, რომელიც კლდეში გაიყვანეს. ამის შემდეგ, სამუშაოების დაწყება კიდევ ერთი წელი შეფერხდა. რა მიზეზით?
8. „ეკლესიას უნდა მიეღო ზომები და მან კიდეც აღასრულა თავისი ვალი. პროცესის დოკუმენტები ცხადყოფენ, რომ ყველაფერი კანონის დაცვით გაკეთდა და თუ ჩვენ ვხედავთ, რომ მსჯავრდებული დაისაჯა, მიზეზი თვითონ მსჯავრდებულში უნდა ვეძებოთ“, — წერდა კარდინალი ანჯელო მერკატი ამ ადამიანის სიკვდილით დასჯის შემდეგ. ვინ დასაჯეს?
9. ვინ აფინანსებს ჰოლივუდის ბულვარზე ვარსკვლავის გახსნის ცერემონიას?
10. დასავლეთ ინდოეთსა და პაკისტანში ზოროასტრიზმის 40000 მიმდევარი ცხოვრობს. ისინი ცეცხლს, წყალს, ჰაერსა და მიწას ეთაყვანებიან. სად და როგორ კრძალავენ ისინი მიცვალებულებს, ჩამოთვლილ სტიქიათაგან არც ერთი რომ არ შერყვნან?
11. დაასახელეთ ადამიანი, რომლის პორტრეტიც ჩნდება „ვია გრას“ კლიპის — „სტოპ! სტოპ! სტოპ!“ ბოლო კადრში. მასვე განასახიერებს მსახიობი მამაკაცი, რომელიც კლიპის მსვლელობისას სიგარით ხელში დროდადრო ჩნდება ეკრანზე.
12. რა თავად-აზნაურული ტიტული აქვს მინიჭებული მარგარეტ ტეტჩერს?
13. 1904 წლის ოლიმპიადაზე ინგლისის დედოფალმა, ალექსანდრამ მარათონელთა ფინიშის ნახვა მოისურვა. რა ღონისძიების ჩატარება მოუხდათ ამის გამო ოლიმპიადის ორგანიზატორებს?
14. „ძვირფასო დაო მარიამ, მე სოფლად ცხოვრება აღარ შემიძლია, ფიზიკურმა შრომამ გამტეხა წელში. ახლაც ავად ვარ. ახლა სიმშვიდე და წამლობაა ჩემთვის საჭირო. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატრონოს. იქნებ, რამე სამსახური გამომიძებნოთ. წერილს სხვებს არავის ვწერ, რადგან ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხელებს...“ — ეს წერილი 1909 წელს არის დაწერილი. დაასახელეთ ავტორი.
15. დაასახელეთ ქვეყანა, სადაც დაიბადნენ რედიარდ კიპლინგი და ვივიენ ლი.

ანეკდოტები

***

— ექიმო, მგონი, ფეტიშისტი ვარ...
— საიდან დაასკვენით?
— სამსახურში კულულებიანი ქალის სურათი მიკიდია. საკმარისია შევხედო, რომ ვიგზნები. არადა, ვერაფრით გავიმეტე გადასაგდებად.

— ხვალ ის სურათი მომიტანეთ.

მეორე დღეს პაციენტი პორტრეტით მიადგა ექიმს. ექიმმა პორტრეტს შეხედა და თავი გააქნია:

— თქვენ ფეტიშისტი კი არა, პედერასტი ყოფილხართ, ეს ქალის კი არა, ლომონოსოვის სურათია.

***

სვანი ფსიქოანალიტიკოსთან არის მიღებაზე:

— შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ყველაზე ამაზრზენი რამ ცხოვრებაში?

— ტუჩებით შეზრდილი სიამის ტყუპი, ერთ-ერთ მათგანს კი გული ერევა.

***

მესიჯი: „ძვირფასო, ჩვენ რესტორანში ვართ. გუნება-განწყობილება მშვენიერია. თუ გინდა ჩაგვიშხამო, შემოგვიერთდი.“

***

მეგრელი და სვანი ნარდს თამაშობენ:

— აბა, შაში! აბა, შაში! — იძახის კამათლის გაგორების დროს მეგრელი.

— მესტიაში! მესტიაში! — იძახის სვანი.

***

მარომ ეზოში სარეცხი გაფინა. მეზობლის ქალები ამრეზით უყურებენ.

— რას უყურებთ ჩემს თეთრეულს, თქვენ, რა, არ ფენთ ხოლმე?

— როგორ არა, მაგრამ ჩვენ ჯერ ვრეცხავთ.

***

კახელებმა ბურვაკი „წამოაქციეს“, ღვინო ჩამოასხეს და გახურდა ქეიფი.

— ეს მოდი, ჯანზე ყოფნისა ვთქვათ.

— მოიცა, კაცო, ეს ბურვაკი, რა, ჯანზე არ იყო?! მოდი, იღბალს გაუმარჯოს!

***

მესტიის გაზეთის სპორტული რუბრიკა:

„ათენის ოლიმპიადაზე ძალოსნებს შორის გამოირჩეოდა ჩვენი თანამემამულე ბექნუ ჯაჭვლიანი, რომელიც თექვსმეტჯერ ავიდა გამარჯვებულის კვარცხლბეკზე, მაგრამ ათენის პოლიციისა და უშიშროების ძალებით თექვსმეტჯერვე ძალით ჩამოათრიეს იქიდან“.

***

— რატომ არ მსახურობენ ჯარში „მხიარულთა და საზრიანთა კლუბის“ წევრები?

— იმიტომ, რომ მხიარულები ჰაუპტვახტში სხედან, საზრიანები — სახლში.

***

ორი ფერმერი მინდვრიდან ბრუნდება. ხედავენ — ღობეში თხაა გაჩხერილი. პირველი ფიქრობს: „ეჰ, ნეტა მერილინ მონრო იყოს!“ მეორე ფიქრობს: „ეჰ, ნეტა ღამე იყოს!“

***

კითხვა მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტს:

— რაზე ფიქრობთ, როცა აგურს უყურებთ?

— იმაზე, რომ იგი არის პარალელეპიპედი, ზომებით 1X2X4.

კითხვა არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტს:

— რას ფიქრობთ, როცა აგურს

უყურებთ?

— იმას, რომ მილიონი ასეთი აგურისგან კარგი სახლი აშენდება.

კითხვა სამხედრო სასწავლებლის სტუდენტს:

MK

— რაზე ფიქრობთ, როცა აგურს უყურებთ?
— ქალებზე.
— რატომ ქალებზე?
— მე ყოველთვის მათზე ვფიქრობ!

***

მსუქანი ქალბატონი ტანსაცმლის მაღაზიაში შევიდა და გამყიდველს ეკითხება:



— საჩემო არაფერი გაქვთ?
გამყიდველმა აათვალიერ-ჩაათვალიერა:
— შეგვიძლია, მშვენიერი უნგრული ცხვირსახოცები შემოგთავაზოთ.

***

ორი კაცის დიალოგი:
— შენ ისე გამოიყურები, უეჭველად კახელი იქნები.
— არა, მე ვანელი ვარ.
— დედა მაინც გეყოლება კახელი.
— არა, დედა ხონელია.
— ე ბიჭო, იქნებ, ბავშვობაში მაინც იყავი კახეთში?!
— არა, ბავშვობიდან ქუთაისში ვიზრდებოდი.
— აუფ, არადა ასეთი კარგი კაცი, როგორ მოხვდი მაგ ბერმუდის სამკუთხედში?!

***

მარო დაქალებში ჭორაობს:
— რაც მიხო საფრანგეთიდან ჩამოვიდა, მას მერე, ლოგინში რომ ვწვებით, მეწვება!..
— რა გეწვება?
— რა და ლობიო...

***

— ამ პოეტს რატომ არ აკრიტიკებთ? ძალიან სუსტია!
— სამაგიეროდ, ფიზიკურად არის ძლიერი.

***

ოსი მეზობელს სახლში ეპატიჟება. ის კი ცოცხალი თავით არ მიჰყვება. ბოლოს გამოუტყდება:
— იცი, ერთხელ შენს ცოლთან ვიწექი და მეუხერხულება!
— კარგი, რა, სენი წირიმე! მე ჩემს ცოლთან ყოველდღე ვწევარ და მაგიტო სახლში ველარ უნდა მივიდე?

***

ძმები კლიჩკოების მამას ძალზე სურდა, მისი შვილები მოკრივეები გამოსულიყვნენ, ამიტომ დაბადების დღეზე, ორივესთვის მხოლოდ ერთ საჩუქარს ყიდულობდა.

***

— რა გვარი ხარ?
— წერეთელი.
— ვა, რა ცნობილი გვარია.
— ცნობილი იქნება, აბა, რა, ოცი წელია, ამ უბნის ფოსტალიონი ვარ.

***

გამსახურდიას დროა. საქართველოს სამხედრო გზაზე ქართველმა ავტოინსპექტორმა რუსის „ზაპოროჟეცი“ გააჩერა:
— თქვენ გადამეტებული სიჩქარით მგზავრობდით. დაწერეთ ახსნა-განმარტება ქართულ ენაზე.
— კი, მაგრამ მე რომ ქართული არ ვიცი!
— ეგ ჩემი პრობლემა არ არის!
რუსმა იფიქრა, იფიქრა და ქაღალდზე ათმანეთიანი დადო. ქართველმა დახედა და გაიღიმა:
— აკი, ქართული არ ვიციო?! ხომ ხედავ, ნახევარი უკვე დაწერე.

***

დედა ჩრჩილი შვილს ეუბნება:
— თუ ამ წინდას ბოლომდე არ შეჭამ, დესერტს ვერ მიიღებ.

***

სკოლაში მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:
— აბა, ვინ მომიყვება, როგორ გაჩნდა პირველი ადამიანი?
კლასში სიჩუმეა.
— არავინ არის მსურველი?!
— მასწავლებელო, ის მოგვიყევი, მესამე როგორ გაჩნდა, თორემ პირველი და მეორე ძალიან კარგად ვიცით!

ჯორნალის საჩუქარი

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. დიზენტერიის ხალხური სახელწოდება.
2. რუმინელი.
3. „...ომის წარმოება მოკავშირეების გარეშე“.
4. არჩევნებში ხმის მისაცემად.
5. ქვემოდან ნასროლი ტყვიისგან ერთი ადგილის დასაცავად.
6. ბუვიე.
7. მდინარის კალაპოტის გაშრობას უცდიდნენ.
8. ჯორდანო ბრუნო.
9. ის, ვისი ვარსკვლავიც იხსნება.
10. საკუთარ მიცვალებულებს სვავებს უტოვებენ შესაჭმელად.
11. ზიგმუნდ ფროიდი.
12. ბარონესას ტიტული.
13. ფინიშის ხაზი 195 მეტრით გადასწიეს, რათა იგი სამეფო ლოჟის პირდაპირ აღმოჩენილიყო.
14. ვაჟა-ფშაველა.
15. ინდოეთი.



ფატიმა აიშა ხომეინი
პრინსტონი, ოლდენის ქ. 53
სქესი მდედრობითი, თვალები – დაფარული,
გაცემულია 12.04.03

ინფორმაციის ბანკი

დასაწყისი იხ. „გზა“, №3

ზაზა ვაჩნაძე

ელიზბარი იდგა და ყოველ ხუთ წუთში რეკავდა. თითქმის ორი საათი გავიდა. ნორა არსად ჩანდა და არც მისი მობილური პასუხობდა... ორ წყალს შუა იყო. ერთადერთი, ვისთვისაც შეიძლებოდა, დაერეკა, ნორას ქმარი, ენვერ ჭუბაბრია იყო, მაგრამ არ გინდა, რაიონში მარტოდ დარჩენილ ქმარს მოახსენო, შენი ცოლი დავკარგეო?!. თანაც, თუ მის ცოლთან იქვე, რაიონის ყურის ძირში, გაქანებული სექსი გქონდა... ჰოდა, ისიც ელოდა, როდის გამოჩნდებოდა ან ნორას ჯიპი, ან როდის შეატყობინებდა რაიმეს ტელეფონით. სულ მალე იმის ეჭვმაც გაჰკრა — თუკი ჩემთან ასე მოიქცა, ალბათ, აქაც ვინმე საყვარელი ჰყავს და იმასთან ერთობაო... მაგრად ეწყინა, გულიც შეეკუმშა — ერთი დღეც არ გამახარა, ეგრევე მიღალატაო... რას იფიქრებდა, რომ მისი, დილით შეძენილი საყვარელი, შიდა ქართლში, ცხინვალთან სულ ახლოს ტყეში „დანავარდობდა“ და თვალებგაფართოებულს, ელიზბარი კი არა, მგლები და დათვები ელანდებოდა...

მოკლედ, ამასობაში, ელიზბარს მაგრად მოშივდა. საერთოდაც, ქართველ ქალზე ყველანაირი შეხედულება დაეკარგა და — დარეკავს, ბოლოს და ბოლოს, მაშ, სად ჯანდაბაში წავაო? — გაიფიქრა. ადგა, „მარშრუტკაში“ ჩაჯდა და ქალაქის ცენტრისკენ დაახვია. ერთ პატარა სახინკლეში შევიდა, ხინკალი მიირთვა, ლუდიც დააყოლა და პოლიციის სამმართველოს ესტუმრა.

ისინი, ვინც ელიზბარს დაზმირ ბაღათურიაზე ესაუბრებოდნენ, რანგითაც და წლოვანებითაც მასზე ბევრად უმცროსები იყვნენ. მათთვისაც და ელიზბარისთვისაც ისედაც ყველაფერი ნათელი იყო და ძალზე სწრაფად შეთანხმდნენ, რომ დაზმირ ბაღათურია ციხიდან სასწრაფოდ უნდა გაეშვათ, თან, რაიონში მომუშავე ორიოდ პატარა „პაიკიც“, ხალხის თვალის ასახვევად, დაესაჯათ — ან ჩამოექვეითებინათ, ან საერთოდ, თუ კი საქმე მოითხოვდა, გაეთავისუფლებინათ კიდეც...

მოკლედ, განყოფილებიდან გამოსულ ელიზბარს მარტო ისღა ჰქონდა სანაღვლო, ნორა რომ გამოჩნდებოდა, ის ამდენი ხორცი და სანოვაგე, სანამ გაუფუჭდებოდა, სად ჯანდაბაში წაეღო. აბა, რას წარმოიდგენდა, რომ ამ საქმისგან უკვე აბსოლუტურად გათავისუფლებულიყო და შეეძლო, მშვიდად ყოფილიყო...

ცოტას კი მაინც, ნორაზეც ბრაზობდა: რა დაემართა ამისთანა, რით ვეღარ გაძღა ეს ქალიო?!.

გაძღომა კი არა, ნორას ტყეში, სუფთა ჰაერზე ისე მოშივდა, ლამის ზვიგენივით საკუთარი თავი შეეჭამა. სვლას მაინც არ ანელებდა, ერთი მიმართულებით ფეხათრეული, რომ იტყვიან, „თოხარიკით მიქროდა“. და ჰოი, საკვირველებავ!.. შორიდან, ძალიან შორიდან ორი „ნამდვილი“, ცოცხალი, ჩვეულებრივი ადამიანი დაინახა. თუმცა, „ნამდვილი“ ადამიანებისგან განსხვავებით, მთლად შიშვლები იყვნენ და ისე უცნაურად იქექებოდნენ, თითქოს ტილები დახვევიათო. ნორა ფრთხილად, ძალზე ფრთხილად მიუახლოვდა „მაუგლებს“ და დაინახა, რომ კაცები, უფრო სწორად — ორი რუსი ბიჭი სუფთა, წკრიალა ნაკადულის კალაპოტში იდგა — ისაპნებოდნენ და იღრიჭებოდნენ. ავტომატები ხეზე მიეყუდებინათ, ლულებით ზემოთ, ხოლო ტანისამოსი არსად ჩანდა... ნორა, რაიონის გამგებლის ცოლი გახლდათ და ასეთ ოჯახებში იარაღი მუდამ რომ არის, კარგად მოგეხსენებათ. მან ავტომატის ხმარებაც იცოდა და მცირეკალიბრიანებიც უტრიალებია სალოკ თითზე, ასე რომ, ამ ორი შიშველ-ტიტველი რუსის განიარაღება და დატყვევება მისთვის სულაც არ იყო ძნელი. ნდობით კი, ისე იყო დაშინებული, ამ ლაწირაკებს კი არა, მათ მთავარსარდლობასაც არ ენდობოდა... იმასაც ადვილად მიხვდა, რომ სადღაც სამხრეთ ოსეთის, უფრო სწორად, შიდა ქართლის ტერიტორიაზე იმყოფებოდა და თუ სწრაფად და მოქნილად იმოქმედებდა, თავის გადარჩენის შანსი ორმოცდაათი-ორმოცდაათზე მაინც ჰქონდა... ტანისამოსს სადღაც აქვე გაიხდიდნენ, აბა, ასე დედიშობილა ხომ არ მოტლაკუნდებოდნენ?! — გაიფიქრა ნორამ და იქაურობის მოთვალიერებას შეუდგა. ჰოდა, ხეებს შორის, ოდნავ ქვემოთ რუსული სამხედრო ჯიპის ანუ „კოლხოზნიკის“ ძარა არ შენიშნა?! და სანამ რუსი ბიჭები რაღაცას როხროხებდნენ და ნაკადულის ცივ წყალში ნებივრობდნენ, ნორამ ორივე ავტომატი მოიპარა. მჭიდებიც, როგორც ნორა ვარაუდობდა, ტყვიებით იყო სავსე... ნორას ყველაფერი გადაავიწყდა, მუხლის ტკივილიც, შიმშილიც, თავისი უბედურებაც კი, რაც იმ დღეს გადახდა თავს. მისთვის, თუკი მანქანის მოპარვასაც მოახერხებდა, ეს თვით აღა-მახმად-ხანის ურდოების დამარცხების ტოლფასი იქნებოდა და სამხედრო „კოლხოზნიკში“ ტურასავით შემძვრალი ნორა, მანქანის გასაღებს გაფაციცებით ეძებდა. მაგრამ არც გასაღები და არც მისი საკეტი არსად ჩანდა. და ნორამ, რაღაც ღილაკს დაადგა თვალი. ეს უნდა იყოსო! — დაჰკრა თავში და ცერი მიაჭირა. მანქანაც ისეთ მაღალ ხმაზე აგუგუნდა და ისე სწრაფად და მუხანათურად გასცა ქურდი, რომ ნორას ბევრი აღარც უფიქრია — აქსელერატორს მიაჭირა და გაფრინდა!.. თუ ჩქაროსნული სლალომი რაიმეს ჰქვია, ნორას შლიგინს იმ მომენტში, იმ ხეებს შორის, ზესლალომი შეიძლება დავარქვათ...

რუსების სამხედრო ტანისამოსი მანქანაში იყო და ნორა მიხვდა, რომ რუსი ჯარისკაცები შიშველ-ტიტველნი „დაყარა“. და სულ მალე, ამ შლიგინ-ჯლიგინში, უასფალტო, მაგრამ სამანქანო გზაზე გავიდა. ახლა მთავარი იყო, ამ გზას ასფალტიანზე გაეყვანა და ნორა გადარჩენილი იქნებოდა... და თუკი მის ქმარს ციხეში ჩასვამდნენ და „სროკს“ აჰკიდებდნენ, დიდად აღარც ეს ანაღვლებდა.

როცა ტყე გათავდა და სულ ახლოს, იქვე, მარჯნივ ასფალტიანი გზაც გამოჩნდა, უკვე ბნელდებოდა. „იეს, იეს!“ — იყვირა ნორამ და ტრასაზე გადავიდა. მარჯვნივ, სულ მარჯვნივ! — ასე ჩაიფიქრა და „მიაწვა“. ტორპედოზე საწვავის მაჩვენებელს

დაუწყო ძებნა. ვერ მიხვდა, რომელი იყო. სანამ მეყოფა, ვივლი და სადაც გამითავდება, იქ მივაგდებო, — გაიფიქრა და რუსების სამხედრო მანქანით უკან, დასავლეთისკენ გასწია. თითქოს სწორედ ნორაზე იყო ნათქვამი — სადაურსა სად წაიყვანო... ის ცოცხალი იყო, ესე იგი, სიკვდილს გადარჩენილი... მაგრად უხაროდა სიცოცხლე, ძალიან მაგრად... არ დააცალეს: გვერდით, სირენების „ბღავილით“, პატრულის მანქანა ამოუდგა და — გააჩერეო, მეგაფონით უბრძანეს. ნორამ დაუფიქრებლად გადმოუღო მარჯვენათი ავტომატი და პატრულის მანქანას საბურავებში მიუშვა. ეტყობა, მოარტყა, რადგან ის გზიდან გადავიდა და გაჩერდა. ნორამ იფიქრა, თავისუფალი ვარო, და აქსელერატორს ბოლომდე მიაჭირა. მაგრამ ამ დროს მის გარშემო ისეთი სროლა ატყდა, ნორა ამას რას წარმოიდგენდა?!. ვაიმე, ეს რა ხდება, მგონი, „კატიუშებიდან“ მიშენენო! — გაიფიქრა, მუხრუჭს მიაჭირა, მანქანა ადგილზე გააქვავა, გადმოხტა და კივილით გაიქცა. გვერდით, მოშიშვლებულ მინდორში გარბოდა და გაჰკიოდა — ნუ მესვრით, ნუ მესვრითო!.. პოლიციელები მანქანებით გამოუდგნენ, გზა ყველა მხრიდან გადაუჭრეს და ნორამაც ხელები ასწია. მანქანების ფარები თვალებს უჭრელებდა და ქალი ხელს იჩრდილავდა... რამდენიმე კაცი ერთად მივარდა. წააქციეს, შებოჭეს და ბორკილები დაადეს... როგორ მოხდა, რომ არ ესროლეს და არ მოკლეს, ამაზე ვერაფერს გეტყვით...

— ვინა ხარ, ქალო, რაებს აკეთებ?! ომი დაიწყო შენ გამო, ომი!.. — უყვირა პირველივე პოლიციელმა, როგორც კი მანქანაში შეაგდეს.

და ნორამ ყველაფერი მოყვა: რაოდენ გენიალურად „დააწერეს“ პატრულის თანამშრომლებმა თხუთმეტიათასიანი იაპონური ჯიპი „ტოიოტა“, როგორ წაართვეს ჩანთა, რომელშიც 10 ათასი დოლარი ედო და როგორ გაექცა მათ ტყეში, როცა მოკვლა დაუპირეს...

მთავარი გარჩევა რუსი სამშვიდობოების საგუშაგოსთან მოხდა, რომლებმაც, როცა ტიტული „სალდათების“ მონათხრობი მოისმინეს, განგაში ატეხეს, თურმე და მთელი საბრძოლო შემადგენლობა ფეხზე დააყენეს. ცოტაც და ომს დაიწყებდნენ ალბათო, — ხარხარებდნენ პატრულის ბიჭები. აი, იმაზე კი, თუ რისთვის იყო დედაქალაქში ქალბატონი ნორა ჩამობრძანებული, კრინტიც არ დაუძრავს. ის ჯიპი უნდა გამეყიდა და ახალი მეყიდაო, — იცრუა. ელიზბარი არც უხსენებია, რომელიც ნორას დაკარგვის გამო, შავ დღეში იყო...

კაცი მართლაც, დასაბმელი გახლდათ და რომ არა და არ გამოჩნდა ნორა, ღამის პირველზეღა დარეკა ჭუბაბრიასთან, მის ქმართან, რომელსაც საერთოდ, ენა ჩაუვარდა და ტელეფონი გათიშა... აუ, მგონი, კაცი მოვკალი, სისხლი თუ ჩაექცა თავშიო, — გაიფიქრა ელიზბარმა... სინამდვილეში კი, გამწარებულმა ენვერმა თავი ვერ შეიკავა, ტელეფონი სამზარეულოს მეტლახზე დაათხლიშა და ნაწილ-ნაწილ დაფშვნა. ახლა ის ჩვეულებრივი ტელეფონით ურეკავდა, ელიზბარი კი — მობილურიდან და რადგან ორივე ერდროულად ასრულებდა ამ ოპერაციას, ერთმანეთს ვერას დიდებით ვეღარ დაუკავშირდნენ...

ახლა კი, მოდით, აქ გავჩერდეთ და რეზისთან გადავინაცვლოთ.

რეზი, რომელიც მართლაც, ცოტა მივივიწყეთ, რომ იტყვიან, საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. ბანკიდან გამოტანილ კრედიტს სადაცაა, ვადა გაუვიდოდა და აქაური ბანკი რომ არავის არც ერთ დღეს კი არა, არც ერთ წუთს არ აპატიებს, ეს ყველას კარგად მოეხსენება... მისმა ბიზნესმა სამუდამოდ ჩაილურის წყალი რომ დალია, რეზიმ ეს მშვენივრად იცოდა და, რა თქმა უნდა, დანა პირს არ უხსნიდა. საკუთარი სახლი ხომ ადრევე დაკარგა და ახლა, სიდედრისაც ზედ რომ უნდა მიეყოლებინა, რომელი კაცი გაუძლებდა?! თან, რასაკვირველია, საციხოდაც ემზადებოდა, თუმცა, პატარა იმედის ნაპერწკალი — რომ რაიონის ჩინოვნიკობა ძელქვის საქმეს ჩაფარცხავდა და თავს საციხოდ არ გაიხდიდა — მაინც უბჟუტავდა გულში, ხოლო კრედიტის დაფარვას, სიდედრის მარიფათის წყალობით, იტალიიდან ჩამოტანილი საქონლიდან ამოღებული ფულით შეძლებდა... მოკლედ, პატარა შანსი, მისი აზრით, ამ საქმიდან გამოსაძვრენად მაინც არსებობდა, მით უმეტეს, რომ დოდო იტალიიდან მაგრად აიმედებდა — გოგოები მეუბნებიან, „ერთს ერთში“ აუცილებლად ამოიღებო, — რაც თანხის გაორმაგებას ნიშნავდა და რეზიც — კრედიტს მაინც დავფარავთო, — ფიქრობდა... სვამდა. ეს ხომ ყველაზე კარგი გამოსავალია (ბრჭყალებში), ცალ ფეხზე დაიკიდო კაცმა: ცოლიც, შვილიც, ოჯახიც, სახლიც, კარიც, მეზობელიც, მეგობარიც, ნათესავიც და შეუბერო შენს ხოშზე...

იმ დილასაც საშინელი თავის ტკივილით გაიღვიძა. წამოჯდა საწოლში და ფეხები დაბლა გადმოყო.

— ნელიკო! — დაიყვირა, როგორც იყო დაჩვეული.

— რა გინდა? — შემოიხედა ნელიკომ.

— სად წავიდა ჩემი ფლოსტები? — იკითხა რეზიმ და ქუთუთოები ძლივს ასწია, რომ ცოლისთვის შეეხედა.

ნელი უხმოდ მიტრიალდა, ფლოსტები შემოუტანა და წინ დაუყარა.

— როგორც მტერს, ისე მიყურებ, არა?.. — მიაჩერდა რეზი გულხელდაკრეფილ ცოლს, რომელიც მისგან შემდეგ ბრძანებას ელოდა. — შარვალი რა იქნა? — არ დაიგვიანა მეორე ბრძანებამ.

— სადაც მოისროლე, — უთხრა ნელიმ, იატაკზე დაგდებული შარვალი აიღო და მიუგდო.

— რატომ ბრაზობ? რატომ ბრაზობ, გენაცვალე? — ხუმრობის ხასიათზე დადგა რეზი.

— იცინე, იცინე! თხუთმეტი დღეღა დაგვრჩა, იცი შენ? — შეახსენა ქმარს ცოლმა კრედიტის დაფარვის თარიღი.

— მერე, დოდო რისთვისა გვყავს, ჭირიმე, ჰა, დოდოშკა?!. გააგრძელა ხუმრობა რეზიმ. თავისთვის კი გაიფიქრა — არა, ამ ბერდიას და ძერას აყოლა მე არ გამომადგებაო... თითქოს რაიმეთი მათზე უკეთესი იყო, ამ ორივეს მუდამ თავს აყვედრიდა...

— ჩაის დალევ? — შეეკითხა ცოლი.

— ჩაის? — თავი მოიქავა რეზიმ. — რატომ, კონიაკი გაგვითავდა?.. — ისევ ხუმრობას აგრძელებდა. — კაი, რძე იყოს, ჩაი არ მინდა... — და უცებ აყვირდა: — შხამს დავლევდი, შხამს! ცოტა შხამი მომიდუღე რაიმე, შენი მეოჯახე თავის ამბავი რომ ვიცი, გექნება ცოტაოდენი, შავი დღისთვის გადანახული. თუ ჩემთვის არც შხამი გემეტება?!.

— კაი, ახლა, სიტყვაში ნუ გამოდიხარ, ჩემს მეტი, მაინც არავინ არის შინ, — მკაცრად უთხრა ნელიკომ.

— ერთი ხარ, მაგრამ მთელ ქვეყანას მირჩევნიხარ. ჰო, რა იყო? — ვერ ჩუმდებოდა რატომღაც, რეზი და უეცრად გაახსენდა: — ბიჭები სად არიან?

— სად იქნებიან? სკოლაში... რომელი საათია, რა გგონია შენ?

— თრობის საათია, ღვინის საათია... — დაიწყო რეზიმ, მაგრამ ცოლმა მოაკეტვინა:

— ეგ შენთვის. ჩემთვის?..

— შენთვის...

— ხრჩობის, სიკვდილის, მიწაში ჩადების!.. — მიაყარა ნელიკომ.

— „მდაა, ძალიან მძიმე სურათია“... — ჩაილაპარაკა რეზიმ. ნელიმ კი ხელი ჩაიქნია და გავიდა.

რეზიმ შარვალი მოიჩხრიკა. უკანა ჯიბეში ჩაჭმუჭნილი ლარიანი აღმოაჩინა. მაგრად გაუკვირდა, რადგან ასეთი რამ იშვიათად ხდებოდა: საერთოდ, დალევისას, უკანასკნელ „კაპიკამდე“, სადაც სვამდა, იქვე ტოვებდა... ახლა ის იყო გადასაწყვეტი, ლუდი ეყიდა თუ ტოტალიზატორში ჩაედო. მოდი, ავაფრიალებ; თუ ნახატზე დაჯდა, ჩავდებო, — და ფული მაღლა აისროლა. ამ დროს, ნელი შემოვიდა და მის დანახვაზე, რეზი რატომღაც ასე, ხელაქნეული გაშეშდა. ეჰეე, ეტყობა, უფრო ცუდადაა ჩემი საქმე, ვიდრე მეგონაო, — გაიფიქრა ნელიკომ და ქმარს მიაჩერდა.

— რა ხდება, მოგიარეს? — დაუსვა მეტისმეტად არაეთიკური შეკითხვა ქმარს ქალმა.

— მომიარეს?.. — საცოდავად შეხედა ცოლს რეზიმ და იატაკზე დაგდებული ლარიანი აიღო. — ნეტავ, მართლაც, ვინმე მომივლიდეს, — თქვა და რატომღაც, კუპიურას სინათლეზე გახედა.

— რა, ყალბია? — დაინტერესდა ნელიკო.

— ჰო, აბა, რა... როგორც ჩვენი მთავრობა... — უპასუხა რეზიმ და ლარიანი ისევ უკანა ჯიბეში ჩაიკუჭა. — დოდოს ხომ არ დაურეკავს? წესით, დღეს უნდა გადმოეკვეთათ, არა, საზღვარი?..

აი, სწორედ ამ დროს აწკრიალდა ტელეფონი. ყურმილი ნელიკომ აიღო.

— გისმენთ.

— ნელიკო, დედა, გამოვედით ბათუმიდან. მთელი ღამე სარფის საზღვარზე გვაყურყუტეს მებაჟეებმა... ჰო, უკვე ჩოლოქს გამოვცდით. არსად წახვიდეთ, ხუთ-ექვს საათში თბილისში ვიქნებით, — მოაწოდა ესოდენ სასიხარულო ცნობა დოდომ და გათიშა.

რეზი ტოტალიზატორში ფულის ჩასადებად წავიდა. მალე მოვალო, დაიბარა. ნელიკო კი ძალიან, ძალიან ღელავდა: როგორ ჩამოვიდოდა დოდო, რას ჩამოიტანდა, როგორ განაბაჟებდნენ საქონელს და ამ ყველაფერს როგორ მოევლებოდა. საშინლად, საშინლად ეშინოდა... წინ მართლაც, რთული, მძიმე და კიდევ ვინ იცის, რა დღე ელოდა...

როცა მოგვიანებით, დოდომ ხელმეორედ დარეკა და უთხრა — ჩვენი საქმე ცუდადაა, ჩვენი ავტობუსი ფინანსურმა პოლიციამ დაატყვევა და ტერმინალში მიჰყავთო, — ნელიკო გაზქურასთან ტრიალებდა: დედაჩემს ქართული საჭმელი მოენატრებოდაო, — იფიქრა და „ჩახოხბილს“ უმზადებდა. კინაღამ დაეცა, შიშით გული მუხლებში წაუვიდა. არიქა, ბიჭო, რეზი, დაქოქე და გავვარდეთო! — დაუძახა „პახმელიიდან“ წვალებით, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, გამოსულ რეზის და მალე დანჯღრეულ მანქანაში ჩახტნენ.

ავტობუსი ფინანსურ პოლიციას ლილოს ტერმინალში შეეყვანა. საქონლის მეპატრონეები, ესე იგი ვაჭრები, დაბლა „გადმოეყარათ“ და ახლა ავტობუსს ცლიდნენ — ყუთები გადმოჰქონდათ და საწყობში შეჰქონდათ. ქალები თითებს იმტვრევდნენ, ცრემლებს ღვრიდნენ და გაცხარებულები ყაყანებდნენ. რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ უსმენდნენ. მე კი, რადგან არც ტელეჟურნალისტი ვარ, არც რადიოს თანამშრომელი, რომ მათი ლაპარაკი ანუ მთელი ეს „მგლოვიარე“ აბდაუბდა ერდროულადვე „მოგასმენინოთ“, — რაც იქ იმ დღიდან ხდებოდა, როგორც მოვახერხებ, ისე მოგიყვებით.

დამხვდურებს მანქანები გარეთ ჰყავდათ გაჩერებული. რეზიმ და ნელიკომაც თავიანთი „გადაადგილების საშუალება“ გარეთ მიაგდეს და ტერმინალში შექანდნენ. როცა შვილი და სიძე დოდოს მიეახლნენ, ქალი სხვებისგან ცოტა მოშორებით იდგა. ერთი შეხედვითაც მიხვდებოდა კაცი, რომ საშინლად დაძაბული სიტუაცია იყო. დაახლოებით ისეთივე, როგორიც მაშინ, როცა მტერი ქართულ სოფელს დაეცემოდა, სახლკარს გადაუბუგავდა, უკანასკნელ სარჩოსაბადებელს მოსტაცებდა და გარბოდა... ეს კი, შინაური მტერი იყო: მშვიდად გადმოჰქონდათ, რა სიმწრით, რა ომში, რა ხელჩართულ ბატალიებში მოპოვებულ-მონაგარი საქონელი და ღიღინ-ღიღინით შეჰქონდათ საწყობში!.. მალე ლუქსაც დაადებდნენ და დედიშენის შვილი იყავი, გაგეღო მერე და წაგეღო!..

— კონტრაბანდად გვიფორმებენ... — კბილებში გამოცრა მიახლოებულ თავისიანებთან დოდომ, თვალი კი მაინც არ მოუცილებია მუშებისთვის, რომლებიც მათ ყუთებს მიათრევდნენ. — აი, ის ხელმძღვანელობს, ახლოს არავის იკარებს... — დაანახვა დოდომ ახალგაზრდა, მართლაც საოცრად ლამაზი, ქართული გარეგნობის ბიჭი, რომელსაც ჰოლივუდის ვარსკვლავობა უფრო შეეფერებოდა, ვიდრე ფინანსური პოლიციის თანამშრომლობა. — მცხეთის გზაზე დაგვხვდნენ, ვიღაცის ჩაშვებულები უნდა ვიყოთო, — მზია ასე ფიქრობს.

— მერე? — იკითხა შეშინებულმა რეზიმ.

— აბა, რა ვიცი. ფირმის სახელზეა მთელი ტვირთი გაფორმებული და გასწვდებიან კი, რასაც ეგენი მოსთხოვენ?!

— ხალხო, წყალი! — იყვირა ამ დროს, თამრიკომ და ერთად შეჯგუფებულ ხალხში ისეთი ალიაქოთი ატყდა, მტრისას! ხალხი ისეთნაირად გამოეცალა ასფალტზე მწოლიარე რუსას, რომ მაინცდამაინც ფინანსური პოლიციის იმ თანამშრომელს უნდა დაენახა, როგორ კვდებოდა.

— ენა არ ჩაყლაპოს, ენა! — დაიძახა მზიამ და ზინამაც ეგრევე გააღებინა პირი გულწასულს და ენა ამოუწია. რუსა ანუ რუსიკო და დრუსტიკოც, როგორც გოგოები ეძახდნენ, რა თქმა უნდა, არტისტობდა, თვალებს ატრიალებდა და წარამარა გული მისდიოდა. ვიღაცამ წაიფხუკუნა კიდეც, მაგრამ ეგრევე მოკეტა, რადგან ეს სცენები, ქალებს, ფინანსური პოლიციის თანამშრომლის გულზე ჰქონდათ გათვლილი — ეგებ, როგორმე მოელბოთ და თავი შეეცოდებინათ. ის კი მათკენ არც იყურებოდა. როგორც, ვთქვათ, სამშობლოს მოღალატეებს ვერ შეიცოდებს კაცი, იდგა და მშვიდად ითვლიდა და იწერდა ყუთების რაოდენობას...

რეზი, ცოტა ნასვამი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მოკლავდა ფინანსური პოლიციის ამ თანამშრომელს. თუ არ მოკლავდა, ცემით ხომ მაინც, ნაღდად გააასივებდა. ახლა კი იდგა ყურჩამოყრილი, მომავლის პერსპექტივით შეშფოთებული და ტვინს ამუშავებდა, ცდილობდა, როგორმე გარკვეულიყო, ამდენი ხალხის თავს ეს რა ხდებოდა, ან რა შეიძლებოდა ეღონა... რუსა-რუსიკო-დრუსტიკო გონზე მოიყვანეს და ეს დასაღუპავად და მიწასთან გასასწორებლად გამზადებული ხალხი ცოტა გამხიარულდა კიდეც. თუმცა, ის აგრესია, რომელიც მათ სხეულებში იმწამს ჩაბუდებულიყო, ენერგიად რომ ქცეულიყო, ალბათ, მარტო ლილოს ტერმინალს კი არა, ყველა ტერმინალს ერთად გადაწვავდა...

რეზიმ დრო შეურჩია, მზიას ხელკავი გამოსდო და გვერდზე გაიყვანა.

— რამდენს ითხოვენ? — ჰკითხა მან ჩუმად.

— ათ იმდენს, ვიდრე ეკუთვნით. პირველად ხდება ასეთი რამე!

— და რას აპირებთ?

— რატომ უნდა მივცე?! ვერც მივცემ: თუ მთელი ფული ამათ ჩავაყარე, მე რაღა დამრჩება?!

— მაშ, რას აპირებთ? — გაუკვირდა რეზის.

— უკვე მუშაობს ხალხი: მეც მყავს, თამრიკოსაც ჰყავს პარლამენტში, მდივნად მუშაობს თოდაძესთან.

— მდივნის იმედზე ხართ?!. — გაუკვირდა რეზის.

— აბა, ვინ მართავს სახელმწიფოს, ვინ გგონია შენ?.. — თვალებში მიაშტერდა მზია დამცინავად რეზის.

— ეშმაკმა უწყის! — ჩაიბურტყუნა რეზიმ და თავისიანებს დაუბრუნდა.

— მაგრად დგას! — ჩაულაპარაკა მან სიდედრს.

— მე არა მაქვს იმედი. ნახე, რა ფერი ადევს თამრიკოს, ცხრაჯერ მაინც არის ნამყოფი...

თამრიკო მართლაც, მთლად გათეთრებულიყო. შუბლი მუქარით შეეკრა და ფინანსური პოლიციის თანამშრომელს ისეთი დაბღვერილი უმზერდა, რომ მიეშვათ, ნამდვილად ცოცხლად გადაყლაპავდა. რეზი დაინტერესდა, რას ეტყოდა თამრიკო. მიუახლოვდა.

— მე დოდოს სიძე ვარ... — უთხრა მან, რომ გასცნობოდა.

— მივხვდი, — უპასუხა თამრიკომ ისე, რომ მტრისთვის თვალი არ მოუშორებია. — მთელი გზა შენზე ქაქანებდა.

— რას ამბობდა? — გაუკვირდა საუბრის ასე შემობრუნება რეზის.

— „ფსიხიაო“, — კბილებში გამოცრა თამრიკომ.

„ჩორტებს“ მიგდებს ეს ჩემისაო, — გაიფიქრა რეზიმ.

— თვითონ?.. გამოვა მაგისგან ვაჭარი? — თამრიკოს ნათქვამი „ყურებშუა“ გაატარა რეზიმ.

— გამოვაო?!. ისეთი „ხვატკა“ აქვს!.. გამოსულია და ეგ არის! — უპასუხა თამ-

რიკომ.

— ავტობუსი რომ დაატყვევეს? — თამრიკოს აზრი აინტერესებდა ამ საკითხზე რეზის.

— კაციჭამიების ხელში ვართ და რა გიკვირს?! — უპასუხა თამრიკომ.

— შეიძლება, ჩამოგართვან? — ყველაზე მაგრად ამის ეშინოდა რეზის.

ამ დროს, ერთად შეჯგუფებული ხალხის წრიდან წივილით გამოვარდა ზინა და საწყობის კარს ხელებგაშლილი გადაეფარა:

— არ შეგატანინებთ, არა! — კიოდა ზინა. — სახლი გავყიდე, ხალხო! რატომ? რატომ? რატომ დავაშავეთ, რა უფლებით, რატომ უნდა გამოგვწოვოთ საბოლოო სისხლი, რატომ?! 3 შვილი და ქმარი მყავს, ხალხო, სარჩენი, ქმარი!.. გაუშვი ხელი, გაუშვი, მხეცო! — ზინამ თავის ყუთს ფეხი ჰკრა და მუშას ხელიდან გააგდებინა. — ვერ შეიტან, აბა, ხელი დააკარე! — უკვე ხელიც ჰკრა გამხეცებულმა ზინამ მუშას.

ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა დარეკა და დაცვა გამოიძახა. ზინა კი შეტევაზე გადავიდა და მუშას უკვე მუშტებსაც უშენდა. მუშას ეცინებოდა და ისე იგერიებდა.

— რატომ იცინის, ხალხო, რატომ? — კიოდა ზინა. — მე რასა მთხოვენ? მოსთხოვონ ფირმას, ჩემგან რა უნდათ?! — და უეცრად ხალხს მოუბრუნდა: — ბატებო! ბატებო! რას დგახართ ცხვრებივით?! მეტის ღირსი ხართ, მეტის! ვის ყუთებს მიათრევენ, ხალხო?! ჩვენი ფულით, ჩვენი სისხლით ნაყიდს?!! რატომ, რატომ დგახართ ცხვრებივით? ფუჰ, თქვენი!..

ამ დროს, ზინას დაცვის თანამშრომლები მისცვივდნენ, შებოჭეს და ავტობუსში აათრიეს.

— ხმა! რა გაყვირებს, რა?! — შეუღრინა მაღალმა, მოდღლეზილმა ტიპმა და ბორკილით სკამის ზურგს მიაბა. — ყარე ახლა ტლინკი!.. — და „გამარჯვებული“ ბიჭები ავტობუსიდან ჩამოვიდნენ. ზინა კი ხმამაღლა აზლუქუნდა...

— წყნარად იყავით, თორემ, ყველას თქვენ-თქვენს სკამებზე მიგაბამთ! — დაემუქრა ის მოდღლეზილი სხვებსაც, ფინანსური პოლიციის თანამშრომელს ხელი აუწია და მეორესთან ერთად, უკან წავიდა.

მუშებმა ყუთების თრევა განაგრძეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომელი კი, ისევ თავის ადგილას იდგა, ყუთებს ბრძნული გამომეტყველებით ითვლიდა და ინიშნავდა... რეზიმ ამ უსამართლობას ვეღარ გაუძლო, იქნებ, წინა დღიდან შემორჩენილმა ალკოჰოლმაც იმოქმედა... ჯერ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა — მოკლედ, მიდამო მიზერ-მოზერა... ნაღდად გავასწრებო, — გაიფიქრა და... ფინანსური პოლიციის თანამშრომელს თავს დაესხა. პირველი მუშტი სადღაც, ყურს უკან დაარტყა, მეორე ააცილა, რადგან პოლიციელმა — ვაიო! — დაიძახა და მოიკუნტა. რეზიმ თავი ვერ შეიმაგრა, წამოედო და ძირს გაიშხლართა. ფინანსისტი კი, ზემოდან დაახტა და ცხვირი მიუჭეჭყა, თან, მთელი ხმით აბღავლდა:

— მიშველეთ, მკლავენ, ჯორჯიკ, ღობე, ლევან!

ისეთი წივილ-კივილი ატყდა, ინდონეზია ოკეანის ტალღამ რომ წაიღო, მარტო ის თუ „აჯობებდა“... სანამ დაცვის ბიჭები მიცვივდებოდნენ, კაცებს ქალები მისცვივდნენ გასაშველებლად — თუმცა, ფინანსისტმა ამ „გაშველებისას“, ჩქმეტა და იდაყვის ჩარტყმებიც იგრძნო, სხეულის უადგილო და ოდნავ რბილ ადგილებშიც, ხოლო ერთ მომენტში — მოკასინის წვერის შეხებაც, იმავე „დელიკატურ“ ადგილას... მოკლედ, როცა დაცვის ბიჭები გამოცვივდნენ, მთელი ეს კაცები და ქალები ისე იყვნენ დაგორგლილი, კარგა ხანს ვერც გაერკვნენ ვითარებაში. მერე, მიყარ-მოყარეს ხალხი და სარცხვინელზე ხელმიფარებულმა პოლიციელმა რეზის ჩაშვება მაინც მოახერხა, სწორედ მაშინ, როცა ის გაქცევას ლამობდა.

— ეგ დაიჭით, ეგ! ეგ იყო, ეგ ჩემისა! — დაიყვირა მან და ყველანი რეზის გამოუდგნენ, ჭიშკართან დაეწივნენ, წააქციეს და გადაუარეს. რეზი ხელებით სახეს იფარავდა და მგონი, წკმუტუნებდა კიდეც. სად გაექცეოდა?! მოჰკიდეს, დასისხლიანებულს, ხელი და სამორიგეოში შეათრიეს.

რა უნდა მოჰყოლოდა ამას?.. ჯერ, პატარა ქუჩური გარჩევა — როგორც ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევაში, დაახლოებით ასეთი:

— შენ, ბიჭო, ვინა ხარ, რაებს ბედავ?! მიგაწეპებ ჯვარზე, შენი!.. — და ორი თითი — თვალებისკენ.

რეზი ხმას ვეღარ იღებდა, მძიმედ სუნთქავდა და სიძულვილით სავსე, ამღვრეული თვალებით მიშტერებოდა მოძალადეს. ცუდ დროს ჩამიგდეთ, ყოვებოო, — რაღაც ამდაგვარი სიგიჟე უტრიალებდა მიჩეჩქვილ თავში. სულ პატარა იმედი უბჟუტავდა — კარი გაიღება, დოდო ან ნელიკო შემოვა და დამიხსნისო, — მაგრამ არავინ შემოდიოდა.

— გინდა, ბოთლზე დაგსვა, გინდა, ა?! — უმეორებდა ერთსა და იმავეს ვიღაც პუჭურა, ბრტყელთავიანი „დრაკონი“ და ცერს ზედ გულის კოვზზე აჭერდა, რაც ისეთ სულის შემხუთველ ტკივილს იწვევდა, რომ რეზის სიკვდილი ერჩივნა.

— კაი, შეეშვი, გამოდი აქეთ! — ხელი მოჰკიდა ერთმა ბრტყელთავას და გვერდზე გაიყვანა.

— ვინა ხარ, ბიჭო?! — რაღაც სერიოზულში გადაიტანა მაგიდასთან მჯდარმა ჯორჯიკამ საუბარი. — ეგ საქონელი ერთი ფირმისაა, ვიღაც მზია აროშიძის, შენ რა შუაში ხარ? ცოლია შენი?

რეზი მიხვდა, ხმა არ უნდა ამოეღო, თუმცა ისე იყო გადარეული თავისი მდგომარეობით, ისედაც ვერ ამოათქმევინებდა კაცი სიტყვას.

— შენ გეკითხებიან, ბიჭო! — ისევ თავი გამოიდო ბრტყელთავამ.

— არ ვიცი, რაზე მელაპარაკებით, რაზე მასამართლებთ... — ამოღერღა ბოლოს რეზიმ.

— ამხელა კონტრაბანდას ეზიდებით და აქეთ გვეყიყინები კიდევ?! — მუშტი დაჰკრა მაგიდას ჯორჯიკამ.

— ცოლის სახლი ჩავდე ბანკში... — თავისი ნათქვამის თვითონვე გაუკვირდა რეზის.

— მინიმუმ, ხუთწლიანი მუხლი გაქვს აწეპილი და ცოლის სახლს მისტირი, შე ახვარო?! — გამოტყვრა ისევ ის პუჭურა.

სწორედ ამ დროს, კარი გაიღო და ოთახში ორი პოლიციელი შემოვიდა.

— რა ხდება, ბიჭო, ყველა რომ აქეთ გამოგვრეკეთ? — იკითხა ერთ-ერთმა.

— ამას ჰკითხე, აი, ამ ნახიშტარს, ვიღაცაა... — მიუთითა რეზიზე ჯორჯიკამ.

პოლიციელებმა რეზის შეხედეს, რომელიც ცოტა დამშვიდებულიყო. მიხვდა, ციხეს ვერ გადარჩებოდა... ის ეგოიზმი, რომლის გამოც, იქნებ, სასმელსაც მიეძალა, მუდამ ღუპავდა. მაგრამ იყო რეზი ამის გამცნობიერებელი, როგორც სხვა ათასობით მისი მსგავსი კაცი?.. არა მგონია... მოკლედ, პოლიციელებს ბევრი აღარ ულაპარაკიათ, ისედაც ყველაფერი ნათელი იყო და რეზიც იქ მიაბრძანეს, სადაც ასეთ შემთხვევებში მიჰყავთ დამნაშავენი.

ხოლო სულ მალე, ტერმინალის დირექტორის ოთახში, „ნაბერტყ“ ფინანსურ პოლიციელს, ტერმინალის დირექტორსა და დაყადაღებული ავტობუსის პატრონს — ე.ი. მზიას შორის, დაახლოებით ასეთი საუბარი გაიმართა:

— სულ მინიმუმ, ნახევარი მილიონის საქონელია ალბათ, მეტისაც!.. — ამბობდა ფინანსისტი.

— როგორი? — დაინტერესდა ტერმინალის დირექტორი, რომელიც მთლად ახალგაზრდა ჩანდა და ჟელეგადაგლესილი თმით, ძველ კომკავშირელს ჩამოჰგავდა.

— რა ვიცი, ყველანაირი: ჩანთა, ფეხსაცმელი... იტალიური... ჭურჭელიც კი და ჭაღები, ბრები... ყველაფერი იტალიური... როგორ გამოაპარა, რა გადაიხადა, ვერ ვათქმევინეთ...

— ნუ, არ უნდა, რომ ჩაუშვას ხალხი, გასაგებია. მერე?

— რა მერე?! სადღაც, 120 ათასზე მაინც ადის ბაჟი და ეს კი, 20 ათასზე მეტის გადამხდელი არა ვარო, ამბობს.

— მიეცი მაშინ მსვლელობა და იყურყუტოს 10 წელი ციხეში, შენ რაში გენაღვლება?! — მხრები აიჩეჩა ტერმინალის დირექტორმა.

— რა ნახევარი მილიონის?! ეგ საქონელი მაქსიმუმ 100 ათასის იყოს, სულ სეილებზეა ნაყიდი და ვიხდი 10 ათასს!.. ადრე, 2 ათასზე მეტს ხომ არ ვიხდიდით, არა?.. — გაცხარდა მზია.

— რა სეილებზე? სულ სეზონური საქონელია და ბავშვივით უნდა, რომ მოგვატყუოს!.. კაი, რა, ვინღა ჭამს მაგას?! ჭაღი და — სეილი?!. — არ დაუჯერა ფინანსისტმა.

ამ დროს, ტერმინალის დირექტორის მობილურმა დარეკა.

— დიახ! — უპასუხა მან. — კი, კი, როგორ არა, გიცანით... არა, ამ ერთი საათის წინ კიდევ შეიძლებოდა რაღაც... კი, მაგას ვამბობთ, დავხუჭავდი თვალს, ბოლ-ბოლო... ჰო, თუნდაც, შენი ხათრით... არა, საბუთები რომ არა აქვთ, ეგ ერთია და, ფინანსური პოლიციის თანამშრომელს ნეკნები ჩაუმტვრიეს, დაცვის ბიჭები წიხლქვეშ გაიგდეს და... მეტი რა უნდა ექნათ?! არა, ლუიზა, როგორ გეკადრებათ, რა ფულზე შეიძლება, იყოს ლაპარაკი?! 130 ათასია გადასახდელი, ჰო... მე ყველაფერს ვცდილობ, აქაა ფირმის მეპატრონე ამწუთას, ჩემს კაბინეტშია... ნუ, ხომ იცი, რომ არ არის ეს ტელეფონით სალაპარაკო... კაი, ვეცდები... კი, კი... — ტერმინალის დირექტორმა ტელეფონი გათიშა და მზიას შეხედა: — აუ, ეს მოწოლებიც ხომ!.. ლუიზა იყო, გოგიშვილი.

— მულია ჩემი... — თავი გვერდზე გადაგდო მზიამ.

— ესე იგი, „კრიშა“... — თქვა ტერმინალის დირექტორმა და მაგიდაზე დადგმულ სარკეში ჩაიხედა.

„ნაბიჭვარი!“ — გაიფიქრა მზიამ.

— ძალიან ცუდი სახე მიიღო ამ ყველაფერმა და რანაირად ეშველება, მე თვითონაც არ ვიცი... მთელი ქალაქია ჩარეული უკვე... დილიდან ერთი ცხრა კაცმა მაინც დამირეკა. გამაგიჟებს ეს ხალხი!.. — და ტერმინალის დირექტორი მზიას მიუბრუნდა: — რაც მეტ ხალხს ჩარევთ, უარესია, გეფიცებით! აი, ნახავთ, რას დაიჭერთ ბოლოს... ახლა სხვა დროა, რით ვეღარ გაიგეთ?! წავიდა ის დრო, ჩაბარდა ისტორიას!..

— ქრთამობანას დრო?.. — ეტყობოდა, რომ ათწლიანი მუხლი სულ არ ადარდებდა მზიას. როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ამ სისტემასაც და ამ ხალხსაც. — კიდევ მილიონი საუკუნე რომ გავიდეს, მაინც არ წავა მაგის დრო... ჰო, სანამ ყველას ფრთები არ ამოგვივა ზურგზე და ანგელოზებად არ ვიქცევით... — და ამ ყველაფერს კიდევ უფრო ბრძნული აზრი დააყოლა: — რაც დრო გადის, ადამიანი უკან-უკან მიდის, არა? წინ ხომ არ მიდის!..

სიმართლეს ამბობდა, ალბათ, მზია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

პოლიტიკური მკვლელობების საუკუნე

ალექსანდრ გალიჩის გარდაცვალების საიდუმლო

1977 წლის 16 დეკემბერს, მსოფლიო მასმედიის ახალი ამბების გადაცემები სენსაციური ცნობით იწყებოდა: პარიზში 59 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი საბჭოთა ემიგრანტი-პოეტი და დისიდენტი ალექსანდრ გალიჩი. ოფიციალური ვერსიით, სიკვდილის მიზეზად, ტელევიზორის ანტენიდან დენის დარტყმა(!) გამოაცხადეს. ამ ინფორმაციამ თავიდანვე ბევრი ეჭვი დაბადა — იმდენად დაუჯერებელი იყო დასახელებული მიზეზით ტრაგიკული შემთხვევის შესაძლებლობა, რომ ყველა, „კაგებეს“ „გრძელ ხელზე“ ალაპარაკდა. ამის საფუძველი კი, ნამდვილად არსებობდა.

ბესიკ ალადაშვილი



ალექსანდრ გალიჩის ირგვლივაც უპრობლემოდ მოახერხეს აგენტების „ჩანერგვა“

წინამორბედი წერილი იხ. „გზა“, №3

ალექსანდრ გალიჩის შემოქმედება ორსახიანი იანუსივით იყო — ერთი მხრივ, ის XX საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სცენარისტი, პოეტი და მომღერალი-„ბარდი“ იყო, რომელსაც თავის დროზე, ხელისუფლებისგან „მოფერება“ არ აკლდა; მეორე მხრივ, სწორედ გალიჩი გახლდათ ავტორი მრავალი ძალზე თამამი, ნახევრად დისიდენტური სიმღერისა, რომელსაც თავადვე ასრულებდა ბოჰემურ „ტუსოვკებზე“. გალიჩის პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა და თითქოს არაფერი მოასწავებდა კრახს, მაგრამ საბჭოეთში უკვე სხვა დრო დგებოდა.

ნიკიტა ხრუშჩოვის ე.წ. „ოტტეპელის“ შემდეგ, 60-იანი წლების მეორე ნახევარში ძალზე გამკაცრდა ბრძოლა საბჭოთა რეჟიმის ყველაზე „მსუმბუქ“ კრიტიკოსთა მიმართაც კი. ამ ბრძოლას მეთაურობდა „კაგებეს“ ახალი შეფი — იური ანდროპოვი, რომელმაც პოსტზე დანიშვნისთანავე, საბჭოთა უშიშროების ორგანოებში შექმნა ახალი, „მტრის იდეოლოგიურ დივერსიებთან მებრძოლი“ სტრუქტურა —მე-5 სამმართველო, რომლის უფროსადაც, გამოცდილი „ჩეკისტი“, ფილიპ ბობკოვი დანიშნა. არ დარჩენილა ადამიანის სულიერი ცხოვრების არც ერთი სფერო, რომელიც ამ „მონსტრს“ თავის „კლანჭებში“ არ მოექცია. მწერლები, ჟურნალისტები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები, მეცნიერები, სპორტსმენები და კიდევ მრავალი სხვა პროფესიის წარმომადგენლები ათწლეულების მანძილზე, იმყოფებოდნენ „კაგებეს“ მე-5 სამმართველოს ფარული მეთვალყურეობის ქვეშ. სწორედ ამ წრეში პოულობდა საბჭოთა „საიდუმლო პოლიცია“ მომავალ მსხვერპლს და მის ჯალათსაც...

1968 წლის „პრაღის რევოლუციამ“, რომელიც კრემლმა სისხლში ჩაახშო, ნამდვილი პანიკა გამოიწვია საბჭოთა პოლიტბიუროში. „კაგებეს“ შეფს დაევალა, დაუნდობელი ბრძოლა წარემართა ყველა ლიბერალური იდეის პროპაგანდისტის, განსაკუთრებით კი — ინტელიგენციის წინააღმდეგ. ამ ამოცანის შესასრულებლად, უშიშროება ნაცად ოპერატიულ ხერხს იყენებდა — ქმნიდა აგენტურულ ქსელს თვით შემოქმედებითი ინტელიგენციის წრეებში, რისთვისაც წარმატებით იყენებდა შანტაჟის და მავანთა კარიერისტული ზრახვების ხელშეწყო-

იური ანდროპოვი, რომელმაც პოსტზე დანიშვნისთანავე, საბჭოთა უშიშროების ორგანოებში შექმნა ახალი, „მტრის იდეოლოგიურ დივერსიებთან მებრძოლი“ სტრუქტურა — მე-5 სამმართველო



ალბათ საქართველოშიც ფარულად, ღამით ბევრს მოუსმენია მისი მართლაცდა, საინტერესო რადიოგადაცემები

ბის მეთოდებს.

ალექსანდრ გალიჩის ირგვლივაც უპრობლემოდ მოახერხეს აგენტების „ჩანერგვა“. ისინი ბარდის ყველა არაოფიციალურ კონცერტს ესწრებოდნენ, შემდეგ, პორტატულ მაგნიტოფონზე ჩაწერილი სიმღერები „კაგებეს“ ხელმძღვანელების, ბოლოს კი — პოლიტბიუროს წევრთა გარჩევის საგნად იქცეოდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, გალიჩი „კაგებეს“ მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ იყო მოქცეული. „ჩეკისტებს“ თავი დიდად არ შეუწუხებიათ და როგორც ე.წ. ოპერატიული დამუშავების ობიექტს, „ფსევდონიმად“ „გიტარისტი“ შეურჩიეს. გალიჩის მეთვალყურეობას ახორციელებდა მისი ერთ-ერთი „მეგობარი“ და ამავე დროს, „კაგებესთვის“ სანდო პირი, რომელსაც, როგორც ოპერმუშაკს, მეტსახელად „ფოტოგრაფს“ უწოდებდნენ.

1968 წლის აგვისტოში ჩეხოსლოვაკიაში დატრიალებულ ტრაგიკულ მოვლენებს გალიჩი ძალზე მწვავედ გამოეხმაურა და საკმაოდ მწვავე ანტისაბჭოთა სიმღერა მიუძღვნა. ოფიციოზს მოთმინების ფიალა აევსო — გალიჩი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირში დაიბარეს და მკაცრად გააფრთხილეს.

მაგრამ ბოჰემური, ლაღი ცხოვრების მოყვარული გალიჩი მაინც არ იშლიდა თავისას, განაგრძობდა მწვავე ანტისაბჭოური სიმღერების წერას და ვიწრო წრეში, სუფრასთან მათ შესრულებას. ერთ-ერთი ასეთი ახალი, „ნახევრად“ ანტისაბჭოთა სიმღერის ჩანაწერი პოლიტბიუროს წევრმა, დმიტრი პოლიანსკიმ თავისი ქალიშვილის ქორწილში შემთხვევით მოისმინა და რეპრესიული ქარბორბალაც სწორედ ამის შემდეგ დატრიალდა გალიჩის ირგვლივ.

1971 წლის მილევამდე ორი დღე დარჩენილიყო, როდესაც საბჭოთა პარტიულმა ფუნქციონერებმა გალიჩს ახალი წელი „მიულოცეს“ — პირველი სადამსჯელო ღონისძიება ჩაატარეს და ის საბჭოთა მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. გავიდა თვე-ნახევარი და კინემატოგრაფისტთა კავშირი დაატოვებინეს. გალიჩი ფაქტორივად, უშემოსავლოდ დარჩა.

თითქმის 3 წლის მანძილზე, „კაგებე“ ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიოდა, რათა გალიჩი ემიგრაციაში „საკუთარი ნებით“ წასულიყო.

1974 წლის ივნისში საწადელს მიაღწიეს კიდეც: მან საბჭოთა კავშირი დატოვა. მაგრამ ემიგრირებულმა პოეტმა ამის შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ დაიწყო საბჭოთა „სამოთხის“ გაქილიკება, რისთვისაც დიდი წარმატებით იყენებდა რადიო „თავისუფლების“ ეთერს. ალბათ საქართველოშიც ფარულად, ღამით ბევრს მოუსმენია მისი მართლაცდა, საინტერესო რადიოგადაცემები, სახელწოდებით — „მიკროფონთანაა ალექსანდრ გალიჩი“. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო მისი საბედისწერო შეცდომა, რადგანაც ცნობილია, თუ რა პათოლოგიური ზიზღი ჰქონდა და რა დაუნდობელად ებრძოდა „კაგებე“ ე.წ. ანტისაბჭოთა რადიოსადგურებს. მისი ძალზე მწვავე გადაცემების გამო, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას საბოლოოდ აევსო მოთმინების ფიალა და მისი დავალებით, „ჩეკისტებმა“ მათთვის ჩვეული „ვირტუოზულობით“ მიჰყვეს ხელი გალიჩის ირგვლივ „სიკვდილის ქსელის“ ქსოვას.

პოეტის სიკვდილი კი, საოცრად „პროზაული“ აღმოჩნდა: ოფიციალური ვერსიით, გალიჩმა შეუკვეთა მაშინ ძალზე მოდური ე.წ. სტერეოკომბაინი, რომელშიც ერთიან კომპლექტში გახლდათ ინტეგრირებული: ტელევიზორი, მაგნიტოფონი და რადიომიმღები. ეს ტექნიკა მას სახლში 1977 წლის 15 დეკემბერს მიუტანეს, თან გააფრთხილეს, რომ ჩასართავად სპეციალისტი გამოეძახა. ემოციური და მუდამ თავდაჯერებული გალიჩი ამ სიტყვებმა უფრო დაინტრიგა. მან ტელევიზორის ჩასართავად, ერთი დღის მოთმენა და ვიღაცის ლოდინი პირად შეურაცხყოფად მიიღო და თავად მოინდომა ამ მართლაცდა, სავსებით ჩვეულებრივი, ყოფითი საქმის გაკეთება. თუ რა მოხდა ამის შემდეგ, ალბათ, მხოლოდ „კაგებეში“ იციან ზუსტად...

შინ დაბრუნებულ გალიჩის მეუღლეს ის გარდაცვლილი დახვდა. პარიზის პოლიციამ იმდენად ნათლად და სარწმუნოდ მიიჩნია გარდაცვალების მიზეზი, რომ დაწვრილებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზისთვის თავი დიდად არ შეუწუხებია. ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გალიჩმა ანტენის „შტეკერი“ შეცდომით, მაღალი ძაბვის ხაზში(?!) შეაერთა, დენის დარტყმის შედეგად, წაიქცა და ფეხებით გათბობის რადიატორს შეეხო, რის შედეგადაც ელექტროწრედი შეიკრა და პოეტი სიცოცხლეს გამოასალმა.

ამ ვერსიის სრული აბსურდულობის მიუხედავად, ფიზიკის ელემენტარულ ცოდნას რომც არ დავჯერდეთ და ელექტროტექნიკური დარგის სპეციალისტებს მივმართოთ კითხვით — პრაქტიკულად შესაძლებელია თუ არა მსგავსი შემთხვევა? — პასუხი ერთი იქნება: ტექნიკურად ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტელევიზორის ანტენის ბუდესთან ვინმე ფარულად შეაერთებს მაღალი ძაბვის ელექტროსადენს...

9 წლის შემდეგ, პარიზში, ასევე ძალზე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა ანგელინა — ალექსანდრ გალიჩის მეუღლე. ოფიციალური ვერსიით, ღამით გაჩენილი მცირე ხანძარისგან წარმოქმნილმა კვამლმა მისი გაგუდვა გამოიწვია. ამ ვერსიას კატეგორიულად არ იზიარებდნენ ოჯახის ახლობლები. მათი მტკიცებით, იმ დროს სახლიდან დაიკარგა პოეტის მრავალი გამოუქვეყნებელი ნაწარმოები და პირადი არქივი.

დღესაც ბოლომდე არ არის გარკვეული — ალექსანდრ გალიჩის და მისი მეუღლის ტრაგიკული გარდაცვალება პოლიტიკური მკვლელობა იყო თუ უბედური შემთხვევა. იმედია, მომავალი უპასუხოდ არ დატოვებს XX საუკუნის ამ და მრავალ სხვა საიდუმლოებას. ■

თითქმის 3 წლის მანძილზე, „კაგებე“ ყველანაირ პროვოკაციაზე მიდიოდა, რათა გალიჩი ემიგრაციაში „საკუთარი ნებით“ წასულიყო

„თინეიჯერი არის ადამიანი, რომელიც კანონებს არ ემორჩილება, ცდილობს, ყველაფერი თავად გააკეთოს, რაც ზოგჯერ გამოსდის, ზოგჯერ — არა. მას უჩნდება პროტესტის გრძნობა და ა.შ.“ — მითხრა „ჯეიობარელმა“ ვანომ, რომელმაც პროექტში მონაწილეობა მეუღლესთან, ზიკისთან ერთად მიიღო და როგორც თვითონ ამბობს, ამიტომაც დაიმსახურა ადამიანების უარყოფითი რეაქცია. ასევე, ის აგრეთვე მონაწილეობდა პროექტში — „ყველაზე ჭკვიანი“ და გამარჯვებაც მოიპოვა, 2.500 ლარი მოიგო.

თბილისელი „ბლანქეიანი“ ბოგონები, „შავი“ მენტალიტეტი და შეყვარებულისთვის მიცემული „ცოცხი“

ლიკა ქაჯაია

— ამ ასაკში შენ რის მიმართ გაგიჩნდა პროტესტის გრძნობა?

— თინეიჯერი 90-იან წლებში ვიყავი და მაშინ საზოგადოება სხვანაირად აზროვნებდა. მაგალითად, ვისაც გრძელი თმა ან ბლანჟე ჰქონდა, დიდი პრობლემა ექმნებოდა. ასეთ მამაკაცს ადამიანად ვერ აღიქვამდნენ, ლანძღავდნენ და მომინდა, ხალხისთვის დამემტკიცებინა, რომ ისინი ცდებოდნენ. ამიტომაც მოვიზარდე თმა, დავიყენე ბლანჟე. ნაცნობები მეკითხებოდნენ: ბიჭო, გოგო ხომ არ ხარო?

— რატომ, მაშინდელ თბილისში ბევრი გოგო დადიოდა „ბლანჟეთი“?

— *(იცინის)* მე არ მინახავს, მაგრამ ეტყობა, ისინი ხედავდნენ. ისე, მათ სწორედ ამ კითხვას ვუსვამდი: ასეთი გოგოები სად გინახავთ-მეთქი?

— რა განსხვავებას ხედავ დღევანდელ და შენი თაობის თინეიჯერებს შორის?

— იცი, რა, ჩემთვის ნამდვილი თინეიჯერები არიან ის მოზარდები, რომელთაც პანკებს ეძახიან. რატომღაც, მათ საქართველოში სხვანაირად აღიქვამენ, რადგან თურმე, ჩვენთან ახალგაზრდები კი არ უნდა პანკობდნენ, არამედ, უნდა „იკუზებოდნენ“, ქუჩაში ჩაცუცქულები ისხდნენ...

— „ჩაკუზვაში“ რას გულისხმობ, ძველბიჭობას?

— იცი, რა, 13-14 წლის ასაკში მეც ვძველბიჭობდი, მაგრამ მერე გავიაზრე: რაც არ უნდა მაგარი და ძველი ბიჭი იყო, ამით ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ, გარდა იმისა, რომ ციხეში ამოყოფ თავს...

— ამ ასაკში ბიჭები (განსაკუთრებით, თინეიჯერობის ასაკში) რატომ ცდილობენ, რომ სწორედ ასეთი სახელი დაიმკვიდრონ?

— იმიტომ, რომ მათ ბავშვობაში არ მიაწოდეს ის ინფორმაცია, რომელიც უნდა მიეღოთ. მართალია, ყველა მშობელი ცდილობს, შვილი კარგად აღზარდოს და სწორ გზაზე დააყენოს, მაგრამ ეს ზოგჯერ არ გამოსდის... ჩვენთან მიღებულია, რომ თუ ბავშვი მხოლოდ წიგნზე ფიქრობს, ის ვიღაცამ აუცილებლად უნდა დაჩაგროს.

— როგორ ფიქრობ, ეს რისი ბრალია?

— რა თქმა უნდა, კომუნისტური წყობილების. სწორედ მაშინ დაიმკვიდრა ადგილი საქართველოში ძველბიჭობამ, ქურდობამ და „შავმა“ მენტალიტეტმა. დარწმუნებული ვარ, დღესაც ბევრი მოზარდი ფიქრობს იმაზე, რომ ის აუცილებლად კანონიერი ქურდი უნდა გახდეს. ისინი კარგს და ცუდს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ. მაგალითისთვის ავიღოთ ჩვენი საყვარელი ირაკლი მარხულია, რომელმაც ფული ისე მოიგო, არაფერი გაუკეთებია, გარდა ძილისა. მოიგო იმიტომ, რომ ხალხი მას მაგარ პიროვნებად მიიჩნევდა, რადგან ჩვენთან მიღებულია ის, რომ კაცმა არაფერი უნდა აკეთოს; მხარ-თეძოზე უნდა წამოწვეს ან ქუჩაში იდგეს და ნარდს ან დომინოს თამაშობდეს. და კიდევ, მას ქალი უნდა მოემსახუროს, წინდები დაურეცხოს...

— მაგრამ ყველა ხომ ასე არ ფიქრობს?

— დამიჯერე, ასე აზროვნებს ქართველების 90% და რასაკვირველია, ამ ყველაფერში ბავშვები უფროსებს ჰბაძავენ... ეს პროექტი საზღვარგარეთ რომ ყოფილიყო, მარხულიას გამარჯვების პატარა შანსიც არ ექნებოდა.

— შენ არ გსიამოვნებს, როცა ქალი გემსახურება?

— ვერ ვხვდები, ვინმე რატომ უნდა მომემსახუროს?

— შენი განსხვავებული მენტალიტეტი რითია განპირობებული?

— არსებობს სხვადასხვა სახელმძღვანელო, დაწყებული ტოლსტოით და დამთავრებული კონსტანტინე გამსახურდიას ნაწარმოებებით, რომლებიც აზროვნების სწორად ჩამოყალიბებაში დამეხმარა. ვფიქრობ, რომ რადგან მამაკაცი ვარ, ოჯახში ფული უნდა შევიტანო, ამავე დროს, ჩემმა მეუღლემაც უნდა იმუშაოს, რათა ჩემზე დამოკიდებული არ იყოს, თანაბარი უფლებები გვქონდეს და ა.შ. სანამ ყველა ქართველი ასე არ იმსჯელებს, არაფერი გვეშველება.

— ანუ გინდა თქვა, რომ შენი ასეთი აზროვნება წიგნებმა განაპირობა?

— კი, წიგნებმაც და იმ პერიოდმაც, როცა რუსეთში ვცხოვრობდი...

— მითხარი, რა შუაშია კომუნისტური წყობა და შავი გაგება?

— სწორედ კომუნისტური წყობის პერიოდში დაიმკვიდრეს ადგილი კანონიერმა ქურდებმა. ყველა ძველი ბიჭი თუ უბრალოდ, „მობლატავე“ ადამიანი, პატივს სცემს მხოლოდ ერთ პიროვნებას — ქურდს. მათთვის მისი სიტყვა კანონია... მე კი ნებისმიერს ვცემ პატივს, ვინც იმის ღირსია და არასდროს არავის განვიკითხავ, რადგან ცხოვრებაში ყველას თავისი გზა აქვს არჩეული.

— შენ თუ მოგიპარავს რაიმე?

— დაახლოებით 5 წლის ვიყავი, როცა საღეჭი რეზინის — „ტურბოს“ „ნაკლეიკებს“ ვაგროვებდი და ერთ-ერთი მათგანი, რომელიც იშვიათად ამოდიოდა, ჩემს მეგობარს მოვპარე. თუმცა, როგორც კი კოლექცია შევაგროვე, ავდექი და ის მთლიანად მეგობარს ვაჩუქე. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მაშინაც არაფერი მომიპარავს.

— სკოლაში როგორ მოსწავლედ მიგიჩნევდნენ?

— იყო პერიოდი, როცა ოროსანი ვიყავი — ძველბიჭობის პერიოდში ძლივს გადავდიოდი კლასიდან კლასში, მაგრამ დაახლოებით მერვე კლასში ვიყავი, როცა მივხვდი, რომ ასე არაფერი გამომივიდოდა და სწავლას მოვკიდე ხელი.

— ძველბიჭობა სწავლას კრძალავს?

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ უბრალოდ, მაშინ ამის არც სურვილი გიჩნდება და არც დრო გრჩება.

— ქუჩამ რა მოგიტანა?

— მომიტანა ის, რომ ვარ შეუპოვარი, წინდახედული და უკან არაფერზე ვიხევ.

— როგორ ფიქრობ, ყველა თინეიჯერმა უნდა გაიაროს „ქუჩის აკადემია“?

— რაღაც პერიოდში — კი, მაგრამ ამ ყველაფერს თავის დროზე უნდა დაანებოს თავი. ცხოვრებაში არც ბოლომდე ქუჩის ბიჭი უნდა იყო და არც „დედიკოს ბიჭი“.

— ვინ არიან „დედიკოს ბიჭები“?

— ასეთებს რუსულად „ბოტანიკებს“ ეძახიან. მათ სკოლისა და სახლის მეტი არაფერი იციან. არიან მარტოსულები, არ ჰყავთ მეგობრები.

— რამდენი წლის იყავი, როცა გადაწყვიტე, რომ უნდა გესწავლა?

— 14 წლის.

— მასწავლებლებს არ აბრაზებდი?

— კი, როგორ არ ვაბრაზებდი, ამიტომ კლასიდანაც ხშირად მაგდებდნენ, სკოლიდანაც დამიპირეს გაგდება.

— რატომ?

— რა ვიცი, ამისთვის ათასი მიზეზი ჰქონდათ: ერთხელ, სამასწავლებლოში ასაფეთქებელი, ე.წ. „ხლაპუშკა“ შევაგდე, მეორედ, ის მასწავლებელს კაპიუშონში ჩავუგდე, მესამედ, სკოლაში „დიმუშკა“ მივიტანე, ავაფეთქე, რის გამოც, სწავლა 2 დღით შეწყდა... ანგელოზი ბავშვი ნამდვილად არ ვიყავი.

— ბავშვობაში ტერორისტობაზე ხომ არ ოცნებობდი?

— *(იცინის)* არა, ტერორისტობაზე არა. ეს საიდან მოიტანე?

— „შატალოზე“ არ დადიოდით?

— „შატალოზე“ წასვლის ინიციატორი ყოველთვის მე ვიყავი, მაგრამ ეს არც ერთმა მასწავლებელმა არ იცოდა. ჩუმჩუმელა ვიყავი. კლასში იყვნენ ლიდერები, მაგრამ მათ სკოლიდან გაპარვის იდეა ნაკლებად მოსდიოდათ. ჩუმი ლიდერი ვიყავი — „შატალოზე“ ლაპარაკს ჩამოვაგდებდი და ისინი რომ აიტაცებდნენ, მერე მე გვერდზე ვდგებოდი, რათა მათზე მეტი არ მომხვედროდა...

— არ გყავდა ისეთი კლასელები, რომლებიც გაკვეთილებზე რჩებოდნენ?

— მგონი, ასეთები ყველგან არიან, მაგრამ ისინი არასდროს განმიკითხავს, რადგან ვიცოდი, ზოგს მასწავლებლის, ზოგს კი, მშობლის ეშინოდა.

— სკოლიდან გაპარულებს მეორე დღეს რა მეთოდით გსჯიდნენ?

— ერთხელ კლასი დაგვალაგებინეს (მაგარი მეთოდია, არა?), მეორედ მშობლები დაიბარეს. ისინიც მოვიდნენ, ვითომ გვეჩხუბნენ და ყველაფერი ამით დასრულდა... რა მოხდა, სკოლა ვის არ გაუცდენია?!

— „შატალოზე“ სად მიდიოდით?

— არ მახსოვს, აქეთ-იქით დავფრატუნობდით, ნანგრევებში ვთამაშობდით „დაჭერობანას“, „დახუჭობანას“; მე-11 კლასელები კი, უკვე ძირითადად, „სასტავებად“ ვიყოფოდით და დასალევად მივდიოდით.

— მეგობრებს რის მიხედვით ირჩევ?

— აზროვნების მიხედვით. მისი გარეგნობა და სოციალური მდგომარეობა არ მაინტერესებს. ისე, საერთო ენას ადვილად ვპოულობ ნებისმიერ ადამიანთან, მთავარია, ცხოველი არ იყოს.

— რომელი ცხოველი გიყვარს?

— ძაღლი, კატა, მაჩვი.

— პირველ რიგში, ძაღლი იმიტომ დაასახელე, რომ ის ერთგულია?

— რა თქმა უნდა და იმიტომაც, რომ ფუმფულაა.

— ფუმფულა ძაღლზე რა აზრის ხარ?

— მეც მყავდა ასეთი ჯიშის ცხოველი, მაგრამ ვერ ვხვდები, რა გინდა, რას გადამეკიდე *(იცინის)*...

— თინეიჯერობის ასაკში თუ ცდილობდი, სხვებისგან რაიმეთი განსხვავებული ყოფილიყავი?

— ასეთი ისედაც ვიყავი ჩემი გარეგნობის წყალობით — მეცვა დახეული ჯინსი, „კაზაჩოკები“, მქონდა გრძელი თმა და ბაკები... ასევე, სხვებისგან გამოვირჩეოდი აზროვნებითაც — სხვანაირ გართობას მერჩია, მქონოდა როკჯგუფი, დამეკრა, გავსულიყავი სცენაზე და ა.შ.

— ამის გამო, პრობლემა არ გქონდა?

— ხომ გითხარი, მეუბნებოდნენ: გრძელი თმა რად გინდა, გოგო ხარ თუ „ცისფერიო“?! — და ამის გამო, მიჩხუბია კიდეც — ვიღაცებს ვუცემივარ და მიცემია.

— თინეიჯერულ ასაკში შეყვარებული არ გყავდა?

— 9 წლიდან მომწონდა ვიღაცები, მაგრამ სერიოზულად 15 წლის ასაკში შემიყვარდა გოგონა, რომლის გამო სიგიჟეებიც ჩამიდენია, მაგრამ მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და არც ერთი მათგანი აღარ მახსოვს.

— ზიკი როდის და სად გაიცანი?

— სამხატვრო აკადემიაში გავიცანი. ზიკი თვითონ მოვიდა ჩემთან და გამეცნო.

— რამდენ ხანს იყავით შეყვარებულები?

— დაახლოებით, ერთი წელი.



მეუბნებოდნენ: გრძელი თმა რად გინდა, გოგო ხარ თუ „ცისფერიო“?! — და ამის გამო, მიჩხუბია კიდეც

— და მას თუ უწყობდი სიურპრიზებს?

— ზიკის ყვავილები დიდად არ უყვარს, მაგრამ მოსწონს მინდვრის ყვავილებისგან შეკრული თაიგული. ეს რომ გავიგე, გადავწყვიტე, მისთვის სიურპრიზი მომეწყო. დეკემბერი იყო. წავედი „კოლმეურნეობის“ ბაზარში და სხვა რომ ვერაფერი ვიშოვე, ვიყიდე ყვითელი ყვავილების თაიგული, რომელიც ცოცხს ჰგავდა. ზიკიმ დიდი ამბით მირთმეულ თაიგულს დახედა და მითხრა: ეს ცოცხი საიდან მოიტანეო. მეწყინა, მაგრამ მალე გადავიტანე *(იცინის)*.

— ზოგ შემთხვევაში, თინეიჯერობის ასაკში გოგოებსა და ბიჭებს შორის, რატომღაც აგრესია ჩნდება...

— ეს მარტო საქართველოში ხდება, ისევ და ისევ, ჩვენი მენტალიტეტიდან გამომდინარე. დღევანდელი თინეიჯერი გოგონა თავს ისეთ პიროვნებად მიიჩნევს, რომელიც მამაკაცზე არ არის დამოკიდებული, მაგრამ ბიჭი მას მხოლოდ იმ არსებად აღიქვამს, რომელმაც წინდები უნდა დაურეცხოს. ამიტომაც ჩნდება აგრესია, იბზარება ურთიერთობა.

— თინეიჯერობის ასაკში ვისი ფანი იყავი?

— ჩემი თავის. არასდროს არავისი ფანი არ ვყოფილვარ. უბრალოდ, მომწონდა ბონ ჯოვი, „მეტალიკა“, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ მათზე უკეთეს მუსიკას დავწერდი. არასდროს გამჩენია სურვილი, მიმებაძა მათთვის და უფრო მეტიც, ფაქტობრივად, სკოლის პერიოდიდანვე პოპულარული ბიჭი ვიყავი და როცა გოგოების 70 პროცენტი გიყურებს და გიღიმის, სხვისი მიბაძვა რატომ უნდა გინდოდეს?!.

— პოპულარობა როგორია?

— ჩვეულებრივი. ის ერთი მხრივ, კარგია, მეორე მხრივ — მომაბეზრებელი.

— რატომ, გოგოების ყურადღების ცენტრში ყოფნა მომაბეზრებელია?

— ამის გამო, ზოგჯერ ძალიან ამაყი ხარ, მაგრამ ხდება ისეც, რომ არ ხარ იმ განწყობილებაზე, რომ ვიღაცას თვალი ჩაუპაჭუნო და შენ მიმართ გამოჩენილი ზედმეტი ყურადღება ნერვებს გიშლის.

— ისე, როცა გოგო ბიჭს უყურებს, მისთვის თვალის ჩაპაჭუნება აუცილებელია?

— არა, მაგრამ... ახლა ხომ ვარ პოპულარული, თითქმის მთელი საქართველო მიცნობს და თუ ადრე „რუსთაველის“ მეტროდან „თავისუფლებამდე“ ფეხით 10-15 წუთში ჩავდიოდი, ახლა ამისთვის 3 საათი მჭირდება.

— რატომ? გაჩერებენ და ავტოგრაფებს გთხოვენ?

— ჰო. ზოგი მეუბნება, რომ ჩემი ფანია, უნდა ავტოგრაფი ან პირიქით, მლანძღავენ — რას ჰგავხარ, ვინ წაგიყვანსო *(იცინის)*... როცა მეუბნებიან: თქვენ — შენ და შენი მეუღლე ძალიან არ მომწონდით „ჯეოპარშიო“, ვპასუხობ: ვაიმე, როგორ მაინტერესებს თქვენი მოსაზრება, ხომ აზრზე ხართ-მეთქი.

— უფროსი თაობის წარმომადგენლები გლანძლავენ?

— არა, პირიქით, ისინი უფრო კარგად გვხვდებიან, ვიდრე თინეიჯერები. პატარა გოგონები ხშირად მეუბნებიან, რომ არ „მბალელშჩიკობდნენ“ და არ იციან, ამას როგორ განვიცდი *(იცინის)*. საერთოდ, პოპულარობას 2 მხარე აქვს: უარყოფითი და დადებითი. დღეს საქართველოში ადამიანი პოპულარული თუ გახდა, მასზე აუცილებლად იტყვიან, რომ ის ან ბოზია, ან პედერასტი. ისე, ასეთი ჭორები სოფელში უფრო ვრცელდება. ამ ცხოვრებაში არაფერი მიკვირს, ხალხი ჭრელია — პროექტში ცოლთან ერთად ვიყავი და მაინც, ჩემზეც თქვეს: მგონი, „ცისფერიაო“. ხალხნო, ნუთუ, ამის საწინააღმდეგოზე ჩემი ცოლი მაინც არ მეტყველებდა?

— რას ურჩევდი თინეიჯერებს?



პროექტში გამარჯვებული მე რომ ვყოფილიყავი, ბინასაც ვიყიდდი და მეგობრებსაც ვაქეიფებდი

— იყვნენ უფრო თავისუფლები, ნუ მოექცევიან რაღაც ჩარჩოებში და დატკბნენ ცხოვრებით.

— „ჯეიობარელებიდან“ ვისთან მეგობრობ?

— ვლასთან, ის არაჩვეულებრივი ადამიანია.

— გოგოებიდან?

— საერთოდ, ყველასთან ვმეგობრობ, გარდა მარხულიასი, რომელთანაც მისი გამარჯვების შემდეგ აღარც დამირეკავს.

— რატომ?

— არ მინდა იფიქროს, რომ მისგან რაღაც მჭირდება. ძალიან ამაყი ვარ. პროექტში გამარჯვებული მე რომ ვყოფილიყავი, ბინასაც ვიყიდდი და მეგობრებსაც ვაქეიფებდი.

— ამისთვის თანხა დაგრჩებოდა?

— აუცილებლად.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა, შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, დაგვიმესიჯე ნომერზე: 8.99.17.35.27.*

დასაწყისი იხ. გვ. 25

საბერძნეთში რომ წავალ, ენას მეც ვისწავლი. ჩემო კარგო, საერთოდ, მეგრელები გონებაგახსნილი ხალხი ვართ (არავის ეწყინოს). ჰოდა, აქედან გამომდინარე, უცხოეთში კარგად „იშლება“ ჩემი მეგრული ტვინი და უცხო ენას ადვილად ვითვისებ.

— ამბობენ, რომ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა შეუძლებელია...

— მეხიც მაგათ დაეცეს!.. ისე, რა თქმა უნდა, შეიძლება, მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდოს, მაგრამ მე ისეთ მაგალითს გეტყვი, რომ გააფრენ: ერთი ჩემი ახლობელი გათხოვდა, ცოლად მოცეკვავეს გაჰყვა. ის ბიჭი „პოხონდრია“ ტიპი აღმოჩნდა, ბავშვი „გააკეთა“ და მერე, ცოლს გაშორდა. ქალს ამის მიზეზს დიდხანს უმალავდა, მაგრამ მერე გამოუტყდა: მიყვარხარ, მაგრამ ცოლივით კი არა, დასავითო... რადგან ეს გაიგო ჩემმა ყურმა, სხვა რა უნდა გამიკვირდეს?!. მაგრამ ჩემს შემთხვევაში, ეს არ მოხდება. ქართულ ტრადიციულ ოჯახში ვარ აღზრდილი და იმ ადამიანის ცოლად მოყვანაზე, რომელსაც დად მივიჩნევ, არასდროს ვიფიქრებ.

ნიკოლი:

— ძალიან ძნელია ბიჭებთან მეგობრობა, მათთან საერთო ენის გამონახვა, მაგრამ როცა ასეთ ადამიანს იპოვი, დარწმუნებული ხარ, რომ ეს მეგობრობა მყარია. მას, გოგონებისგან განსხვავებით, შენი არასდროს შეშურდება, ყოველთვის კარგ რჩევას მოგცემს...

— ჯაბა, თუ იცი, ნიკოლი რა სუნამოს ისხამს?

— ალბათ, ბერძნულ, ფრანგულ სუნამოებს. სიმართლე გითხრა, არ ვიცი... იცი, იმდენად ეგოისტი ვარ, რომ არც ვეკითხები, რადგან შეიძლება, ჭკუიდან გადავიდე და წავართვა *(იცინის)*... ისე, ძალიან ბევრი სუნამო მაქვს. ჩემთვის ის განწყობილების ასამაღლებელი საშუალებაა და კიდევ, ვგიჟდები ჭამაზე. 13 იანვარს დავიფიცე, რომ დიეტას დავიცავდი 13 მარტამდე (ჩემს სოლო კონცერტამდე), მაგრამ 22 იანვარს ცუდად გავხდი — არ მინდა კონცერტი, უნდა ვჭამო-მეთქი! — და დიეტა დავარღვიე.

— ნიკოლ, შენ თუ იცავ დიეტას?

— ეს რა სიტყვაა?.. ჩემს „ლექსიკონში“ ასეთ სიტყვას ვერ იპოვით, რადგან ჭამა ძალიან მიყვარს. ზოგჯერ ღამითაც ვდგები, მაცივართან მივდივარ და რაც მომეწონება, ვჭამ.

ჯაბა:

— აი, ხომ ხედავ, ამასაც უყვარს ჭამა და ამიტომ — ჯაბა კვებას!..

— დუეტის ჩაწერას არ აპირებთ?

— კი, ეს იქნება ორენოვანი, თურქულ-ბერძნული დუეტი და მასზე ისეთ კლიპსაც გადავიღებთ, რომელიც მაყურებელს დაშოკავს. ეს სიმღერა შეიძლება, ჩემს სოლო კონცერტზეც, მარტში აჟღერდეს. სულ 2 კლიპი მაქვს: ერთი — ეთერ კაკულიასთან, მეორე — ანი გადაბაძესთან ერთად და არც ერთ მათგანში არ ვარ ნამდვილი ჯაბა, ხელოვნური გახლავარ.

— რას ვერ აპატიებთ მეგობარს?

ჯაბა:

— ტყუილს.

— ნიკოლ, გარდა ჯაბასი, რომელი ქართველი მომღერალი მოგწონს?

— ეკა კვალიაშვილი.

ჯაბა:

— ეკამ ნიკოლი გაიცნო და მან პირადი საუბრისას აღნიშნა — ეს გოგო „კარგი მასალააო“... არაა გამორიცხული, რომ ჩვენ სამმა ერთობლივი კონცერტი გავმართოთ.

ნიკოლი:

— გავიგე, ჯაბამ რაც თქვა და მას აბსოლუტურად ვეთანხმები. მეგობარმა ერთხელ თუ გიღალატა, მერე ვეღარ ენდობი.

— რას ურჩევდით მეგობრებს?

ჯაბა:

— ერთმანეთს გაუფრთხილდნენ.

ნიკოლი:

— ჰქონდეთ წრფელი მეგობრობა და არ მიაქციონ ვიღაცების ნათქვამს ყურადღება, რადგან მესამე პიროვნებას ყოველთვის შეუძლია, მათ ურთიერთობაში ცუდად ჩაერიოს, მეგობრობა დაანგრიოს...

ეს იქნება ორენოვანი, თურქულ-ბერძნული დუეტი და მასზე ისეთ კლიპსაც გადავიღებთ, რომელიც მაყურებელს დაშოკავს

ქართული ტრადიციების მიმდევარი, შოუმენი ნიკა არაბიძე, როგორც გაირკვა, საკმაოდ კარგი თამადა ყოფილა. თურმე ის 300-კაციან სუფრასაც თავისუფლად უძღვება. უყვარს იმერული ღვინო და იმერლებთან ქეიფი. ამიტომ მისი აზრით, იმერელი კაცი ყველაზე მაგარი თამადაა.

შპრიცი, ოცლიტრიანი ბოცა, ჩაის ჯოვზი, ჯრამიტი და გადატენილი თოფი – ნიკა არაბიძის საყვარელი სასმისები

ეკა მინდაძე

— პირველად ალკოჰოლური სასმელი მე-8 კლასში დავლიე. შრომითი სემესტრის პერიოდში კლასელებმა გადავწყვიტეთ, თითო ჭიქა დაგველია. 6 ჭიქის შემდეგ, მეხსიერებამ გვიღალატა და მეორე დღეს არც ერთს არ გვახსოვდა სახლამდე როგორ მივაღწიეთ.

— ამის გამო მშობლები ძალიან გაგიბრაზდნენ?

— სხვათა შორის, დიდად არა, თუმცა მირჩიეს, მეორედ არ დავმთვრალიყავი.

— თამადობა რა ასაკიდან დაიწყე?

— 19-20 წლიდან.

— ნიკა, როგორი უნდა იყოს თამადა?

— თამადა, პირველ რიგში, ენაკვიმატი და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე ადამიანი უნდა იყოს. თამადობას განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება იმისათვის, რომ სუფრის წევრები აიყოლიოს და ერთ მუშტად შეკრას.

— სუფრისთვის რა არის მთავარი?

— ჩემი აზრით, სუფრისთვის მთავარია, კარგი ღვინო და თამადა. ბოლოს და ბოლოს, მარტო ჭამა ხომ არ არის?! ხომ გაგიგონია: „ყველი და პური, კეთილი გულიო“.

— რამდენკაციან სუფრაზე გითამადია?

— მართალი გითხრა, საერთოდ, არ მიყვარს თამადობა. განსაკუთრებით კი, დიდ სუფრაზე. თუმცაღა, ახალ წლამდე ჩემი ბიძაშვილის ქორწილში 300-კაციანი სუფრის თამადა გახლდით. თამადობა ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ ვინ დამაყენა? მთელი სანათესავო ამიჯანყდა, გინდა თუ არა, თამადა შენ უნდა იყოო. მეც რაღას ვიზამდი, იძულებული გავხდი, მათი სურვილი შემესრულებინა. სხვათა შორის, არ მინდა, ტრაბახში ჩამეთვალოს, მაგრამ ფაქტია, შესანიშნავად გავუძეხი ქორწილის სუფრას.

— საყვარელი სადღეგრძელო თუ გაქვს?

— კი, როგორ არა. ძალიან მიყვარს დედის სადღეგრძელო. მიყვარს აგრეთვე, ჩემი მშობლიური იმერეთის სადღეგრძელოც. საქართველოში, ჩემი აზრით, ყველა კუთხეს თავისი ხიბლი და ფუნქცია აქვს დაკისრებული: კახელებმა ღვინო უნდა დააყენონ, აჭარლებმა აჭარული ხაჭაპური უნდა აცხონ, რაჭველებმა — პური; მეგრელებმა ღომი და ელარჯი უნდა მოამზადონ, ფშავ-ხევსურებმა საზღვრები უნდა დაიცვან, იმერლებმა კი მაგის დედაც ვატირე, უნდა ვიქეიფოთ *(იცინის)*. ღმერთმა ქნას, რომ მუდამ ქეიფის განწყობილებაზე ვიყოთ. აი, ასეთი კარგი სადღეგრძელო ვიცი.

— სასმელებიდან ყველაზე მეტად რომელი გიყვარს?

— იმერელი კაცი ვარ და უპირატესობას იმერულ ღვინოს ვანიჭებ.

— რამდენის დალევა შეგიძლია?

— შემიძლია, დავლიო 5 ლიტრი ღვინო.

— რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნია სუფრაზე განსხვავებული სასმისების გამოყენება?

— ვერ წარმომიდგენია ნამდვილი ქართული სუფრა ყანწის გარეშე. როცა მეგობრები ვიკრიბებით, მირჩევნია, ღვინის ჭიქით დალევა, ხოლო დიდ სუფრებზე ქართული ტრადიციული სასმისები აუცილებელია. ამიტომაც, ყოველთვის ვიყენებ მათ თამადობის დროს.

— უცნაური და განსხვავებული სასმისებით თუ დაგილევია ღვინო?

— კი, როგორ არა?! დამილევია: შპრიცით, ოცლიტრიანი ბოცით, სადაც ერთი ჭიქა ღვინო იყო ჩასხმული, კოვზით, ლამპის შუშით, კრამიტით. ხარაგაულში, დატენილი თოფითაც დამალევინეს. დალეული მაქვს ხორცსაკეპი მანქანითაც. თამადამ ამით სიყვარულის სადღეგრძელო შესვა და მეც, როგორც მისმა მოადგილემ, დავლიე, მაგრამ გაკვირვებულმა გავიფიქრე — თუ ასეთი მიხრილ-მოხრილია სიყვარული, დროა, თავი დავიძვირინო-მეთქი: სწორედ ამ ქეიფის შემდეგ, შეყვარებულს დავშორდი.

— სასმისების კოლექცია ხომ არ გაქვს?

— არ ვიცი, რამდენად შეიძლება მას კოლექცია დავარქვა, მაგრამ სახლში არაერთი საყვარელი სასმისი მაქვს. მამაჩემიც მოქეიფე კაცი იყო და უყვარდა განსხვავებული სასმისები. მაქვს, როგორც თიხის ჭინჭილები და ფიალები, ასევე ხის და მინის სასმისები.

ახალ წლამდე ჩემი ბიძაშვილის ქორწილში 300-კაციანი სუფრის თამადა გახლდით

— თამადობისთვის წინასწარ არასოდეს მომზადებულხარ?

— ასეთი რამ არასოდეს გამიკეთებია. ბევრ ისეთ თამადას ვიცნობ, რომელიც წინასწარ ხიზილალას და კარაქს ჭამდა, ღვინო რომ არ მოჰკიდებოდა. ბევრს ჩემთვის ასეთი რამ უთქვამს: თუ გინდა, რომ ადვილად არ მოგეკიდოს ღვინო, წვნიანი უნდა ჭამოო, მაგრამ ეს არასოდეს გამიკეთებია. უაზროდ არასოდეს დავმთვრალვარ. თუ შევატყობ, რომ აღარ შემიძლია, ვცდილობ, ღვინის დალევა შევამცირო. მთავარი მარტო დალევა ხომ არ არის? მთავარია, სუფრაზე დრო ატარო და სხვასაც ასიამოვნო.

— იმისათვის, რომ კარგად ითამადო, რა არის საჭირო?

— თამადა პირველ რიგში თანამეინახეებზეა დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა საზოგადოებაში გიწევს თამადობა.

— „შაბათის შოუს“ ბიჭებთან თუ გითამადია?

— არა, სხვათა შორის. ყველამ იცის, რომ კარგი თამადობა შემიძლია, მაგრამ ვინაიდან ჯერჯერობით ახალი შემომატებული ვარ, სხვებს ვაცლი. ისე, ეს საქმე მათაც შესანიშნავად გამოსდით.

— ბიჭებიდან რომელია კარგი თამადა?

— ჩაინიკა, ოთო ლომთაძე, ავთო მარგველაშვილი (ვართე) და ალეკო მალხაზიშვილი.

— ნიკა, შენთვის რამდენად მისაღებია ა-ლა-ფურშეტი?

— მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ ეტიკეტს პატივს ვცემ, მაინც ტრადიციულ ქართულ სუფრასთან ჯდომა მირჩევნია.

— ალბათ ბევრი კურიოზი შეგმთხვევია სუფრაზეც. თუ შეგიძლია რაიმეს გახსენება?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ამის ენით გადმოცემა ცოტა ძნელია. მახსოვს, ერთხელ, ქორწილში ჩემმა მეგობრებმა მალულად, პიჯაკის ჯიბეში ნახევარი ქათმის ხორცი ჩამიდეს. მთელი ქორწილის მანძილზე ვერ შევამჩნიე, არადა, თურმე როგორც მერე მითხრეს, საკმაოდ შესამჩნევი ყოფილა. სახლში რომ მივედი, მაშინ დავინახე ჯიბეში შემწვარი ქათმის ბარკალი. ისე გავმწარდი, ვიფიქრე, მოვკლავ ამის გამკეთებელს-მეთქი, მაგრამ მეორე დღეს, წყენამ სულ გამიარა... ერთხელ, თანამშრომელმა დაბადების დღეზე დაგვპატიჟა. მე და ჩემი ერთ-ერთი მეგობარი მასთან შინ მივედით. გაიღო თუ არა კარი, გაღიმებული შემოგვეგება უცნობი ქალბატონი. ვიფიქრეთ, იუბილარმა ვერ მოიცალა და დედამისს გადმოაბარა ჩვენი მიღება-თქო. დავსხედით სუფრასთან, გადავწვდი ერთ ნაჭერ ხაჭაპურს, შევჭამე და მივხვდი, რომ მისამართი შეგვეშალა: სუფრასთან მსხდომთაგან ვერავინ შევიცანით. აი, მაშინ დავეჭვდით და გარეთ გამოვედით... სხვა რა გითხრათ? ჩამოდი ერთხელ იმერეთში, დავსხდეთ სუფრასთან და შენი თვალით ნახავ, რა კურიოზიც მოხდება. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

რადიკულიტი გაწუხებთ?



რადიკულიტის სამკურნალოდ, შესანიშნავია მდოგვის საფენები: 1 ს/კ მდოგვის ფხვნილი იმდენ თბილ წყალში გახსენით, რომ არაჟნის კონსისტენციის მასა მიიღოთ, წაუსვით დოლბანდზე, წელის არეზე დაიფინეთ და ზევიდან ქაღალდი დააფარეთ. წყლის ტემპერატურა დაახლოებით 50 გრადუსს უნდა უტოლდებოდეს. უფრო დაბალ ტემპერატურაზე ფერმენტი, რომელიც მწველ ეთერზეთებს გამოყოფს, უეფექტო იქნება, უფრო ცხელში კი — დაიშლება. მდოგვის ნაცვლად შეგიძლიათ, პირშუშხა გამოიყენოთ. წვას ნაკლებად იგრძნობთ, თუ გახეხილ პირშუშხას არაჟანს გაურევთ.

რბილი ქსოვილის ნაჭერი შავი ბოლოკის წვენში დაასველეთ, დაიდეთ მტკივან ადგილას და თბილი ქსოვილით შეიხვიეთ. თუ წვამ მეტისმეტად არ შეგაწუხათ, კომპრესს 2 დღის განმავლობაში ნუ მოიხსნით. აუცილებლობისას, პროცედურა რამდენჯერმე გაიმეორეთ.

40-გრადუსიან სპირტზე ან არაჟანზე დამზადებული ბირკავის (ოროვანდის) ფესვების 10%-იანი ხსნარი კარგია კომპრესისთვის და დასაზელად. კომპრესს ოროვანდის ფოთლებისგანაც ამზადებენ. ფოთლები გარეცხეთ, გააშრეთ და დაიდეთ მტკივან ადგილას ამობრუნებული (უკანა მხრიდან). შეიხვიეთ კომპრესის ქაღალდით ან პოლიეთილენით, ზევიდან კი ბამბის სქელი ფენა დააფინეთ. ■

ხელოვნური განაყოფიერებისთვის ღეროვანი უჯრედი გამოიყენეს

გერმანელმა მეცნიერებმა ემბრიონის ღეროვანი უჯრედებისგან მიღებული სპერმატოზოიდით თაგვები გაანაყოფიერეს და შთამომავლობაც მიიღეს.

გიოტინგენის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჯგუფის მიღწევა, მედიცინას მამაკაცთა უშვილობის მკურნალობის პრინციპულად ახალი მეთოდისკენ უხსნის გზას.

ექსპერიმენტატორებმა თაგვის რამდენიმე დღის ემბრიონისგან აიღეს ღეროვანი უჯრედები, მათგან გამოზარდეს სპერმატოზოიდი, რომლითაც თაგვის კვეცხუჯრედი გაანაყოფიერეს და მიიღეს ემბრიონი, რომელიც მდედრ თაგვს გადაუნერგეს. შედეგად დაიბადა შვიდი თაგუნა, რომელთაგან ექვსმა ზრდასრულ ასაკს მიაღწია.

„ჩვენ პირველებმა შევქმენით ცოცხალი არსება ხელოვნური სპერმისგან“, — განაცხადა სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელმა. მისი თქმით, ექსპერიმენტის შედეგი მამაკაცის უშვილობის მკურნალობის ახალ, ეფექტურ მეთოდებს სახავს. მაგალითად, შესაძლებელი გახდება, უშვილო მამაკაცის სპერმა მისივე ღეროვანი უჯრედებისგან მიიღონ. მაგრამ ასეთი ტექნოლოგიების მედიცინაში გამოყენება ჯერჯერობით არ შეიძლება — ექსპერიმენტულ თაგუნებს განვითარების მრავალი დეფექტი აღმოაჩნდათ და ბუნებრივი გზით დაბადებულ თაგვებზე გაცილებით ნაკლები იცოცხლეს. ამის მიზეზების დაზუსტებას წლები დასჭირდება. ■

რატომ ვითარდება ინსულტი

ინსულტი თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევაა, რომელსაც თან სდევს ტვინის ქსოვილს დაზიანება და მისი მმართველი ფუნქციის მოშლა.

იშემიური და ჰემორაგიული

ინსულტი ორგვარია: **იშემიური** (ტვინის სისხლძარღვის დახშობით გამოწვეული) და **ჰემორაგიული** (ვითარდება ტვინის მკვებავი სისხლძარღვის გასკდომის შედეგად და ტვინში სისხლის ჩაქცევით მიმდინარეობს).

იშემიური ინსულტი ზოგჯერ ერთბაშად, მოულოდნელად ვითარდება, ზოგჯერ — თანდათანობით, ძილშიც კი. ის 40-50 წელს გადაცილებულებს ემართებათ. სისხლძარღვის გაუვალობის მიზეზი ყველაზე ხშირად, ათეროსკლეროზული ფოლაქების ნაწილი — მოწყვეტილი თრომბი ან სისხლძარღვის ხანგრძლივი სპაზმია. ამ ფაქტორთა გამო ტვინის უჯრედებს ვეღარ მიეწოდება სისხლი, რომელიც ჟანგბადითა და საკვებით ნივთიერებებით ამდიდრებდა მათ და იწყება ტვინის ქსოვილის დარბილება.

ჰემორაგიული ინსულტი ადამიანს მეტწილად აქტიური ცხოვრების პერიოდში ემართება. მის პროვოცირებას ახდენს წნევის მკვეთრი ცვლილება, გონებრივი ან ფიზიკური გადატვირთვა, სტრესი, ამ დროს სისხლძარღვი სკდება, სისხლი ტვინის ქსოვილში იღვრება და წარმოიქმნება ტვინში სისხლჩაქცევა, რომელიც თავისუფალ სივრცეს ავსებს. ჰემორაგიული ინსულტის მსხვერპლნი მეტწილად, 40 წლამდე ასაკის პირები არიან. შემთხვევათა დაახლოებით 70% სიკვდილით სრულდება.

რა ხდება ინსულტის დროს

ინსულტის მომენტში ადამიანი თავის ძლიერ ტკივილს გრძნობს, ხშირად გონებასაც კარგავს, ზოგჯერ სხეულის ნახევარი უკანკალებს, ტემპერატურა კი 38-39 გრადუსამდე მატულობს. სახე წამოწითლდება, ერღვევა სუნთქვა, ზოგჯერ ამ ყველაფერს მრავალჯერადი ღებინებაც ერთვის.

ინსულტის შედეგად შეიძლება, დადამბლავდეს სხეულის ნახევარი, თავის ტვინის დაზიანებული ნაწილის საპირისპირო მხარეს. პარალიზებული კიდურები მთლიანად კარგავს მგრძნობელობას. მარჯვენა მხრის დამბლას ხშირად, მეტყველების დარღვევა სდევს თან, ხოლო მარცხენა მხრისას — ფსიქიკური გადახრები: ადამიანი გონზეა, მაგრამ ვერ ცნობს ახლობლებს, ვერ იხსენებს, სად არის, რა ჰქვია და რამდენი წლისაა.

ვის ემუქრება ინსულტი

ინსულტის მსხვერპლთა დაახლოებით 30% ინსულტამდე, ინტელექტუალური სამუშაოთი იყო დაკავებული, 33% — ფიზიკურით, 27% კი — გონებრივ და ფიზიკურ შრომას ერთმანეთს უთავსებდა. ასე რომ, ინსულტის განვითარებას ადამიანის საქმიანობის სფეროსთან უშუალო კავშირი არ აქვს.

ინსულტის რისკფაქტორებია:

- არტერიული ჰიპერტენზია;
- გულის დაავადებები;
- ცხიმოვანი ცვლის დარღვევა (ქოლესტერინის მომატება);
- თამბაქოს მოწევა;
- სტრესი;
- მოციმციმე არითმია;
- შაქრიანი დიაბეტი;
- გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტი.

ინსულტი ხშირად, მოულოდნელად გვატყდება თავს, თუმცა, არცთუ ისე იშვიათად, მისგან წინასწარ „შეტყობინებასაც“

ვიღებთ, მაგრამ ყოველდღიური საქმიანობით დაკავებულები, ყურადღებას არ ვაქცევთ.

ინსულტის ორივე ფორმას შეიძლება, წინ უძღოდეს მოულოდნელი თავის ტკივილი (ხშირად — ერთ-ერთ ნახევარში), ხმაურისა და სიმძიმის შეგრძნება, თავბრუსხვევა, სისუსტე და ძილიანობა. მათგან ყველაზე საყურადღებო სიმპტომი, თავის ტკივილია.

ჩამოთვლილთა გარდა, იშემიური ინსულტის წინ თავს იჩენს ხელების ან ფეხების სისუსტე და მეტყველების ნაწილობრივი დარღვევა, რომელიც რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათამდეც კი შეიძლება, გაგრძელდეს.

თუ ხსენებული სიმპტომებიდან ერთი მაინც შეამჩნიეთ, დაუყოვნებლივ მიმართეთ ნევროლოგს. თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დროებითი დარღვევა, თვალის ფსკერის ცვლილებები და ცვლილებები ეკგზე კარგს არაფერს მოასწავებს.

„სასწრაფოს“ მოსვლამდე

„სასწრაფო დახმარების“ ბრიგადის მოსვლამდე ინსულტიანი ავადმყოფი დააწვინეთ, შეუხსენით ქამარი და საყელო. ამოუწმინდეთ ნაღებინარი მასა, მოაშორეთ საგნები, რომელმაც შეიძლება, სუნთქვაში ხელი შეუშალოს. კბილების პროთეზი, საღეჭი რეზინი, საკვები და ა.შ. თავქვეშ ამოუდეთ ბალიში, კისერი გაუსწორეთ, თავზე კი ქსოვილში გახვეული ყინული დაადეთ.

გახსოვდეთ: ინსულტის დროს პირველი წუთები და საათები გადამწყვეტია. სწორედ ამ დროს არის ყველაზე შედეგიანი, სამედიცინო დახმარება.

ინსულტის შემდეგ

ინსულტის შემდეგ ადამიანი შეიძლება მთლიანად დაუბრუნდეს ნორმალურ ცხოვრებას. ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

ინსულტგადატანილთათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოძრაობას. თუ უკუჩვენება არ აქვს, ადამიანმა წამოჯდომა იშემიური ინსულტის მესამე-მეხუთე დღეს, ხოლო ჰემორაგიული ინსულტის მეხუთე-მეათე დღეს უნდა სცადოს. რაც უფრო ადრე დაიწყებს იგი მოძრაობას, მით უფრო მეტად დაეხმარება საკუთარ თავს იმაში, რომ დაუბრუნდეს აქტიურ ცხოვრებას და, რაც მთავარია, ამით ღრმა ვენების თრომბოზს აიცილებს თავიდან.

ინსულტგადატანილთა რეაბილიტაციაში უდიდესი წვლილის შეტანა შეუძლიათ ახლობლებს, მეტადრე — ოჯახის წევრებს. მათ დღეში 3-ჯერ მაინც (უკეთესია, 5-7-ჯერ) უნდა აამოძრავებინონ ავადმყოფს კიდურები — გააკეთებინონ პასიური მოძრაობები: ხელები იდაყვებში მოახრევინონ, წრიულად აამოძრავებინონ მტევნები, შეაკვრევინონ და გააშლევინონ მუშტი, ფეხები მუხლებში მოახრევინონ, აამოძრავებინონ ტერფები... ყოველი ვარჯიში 10-12-ჯერ უნდა შესრულდეს. ავადმყოფს საწოლში მდგომარეობა ყოველ 1-1,5 საათში უნდა შეაცვლევინოთ, დასვათ, ერთი გვერდიდან მეორეზე გადაბრუნოთ. სხვაგვარად, სახსრებსა და კუნთებში განვითარდება მეორეული ცვლილებები, რომლებიც მის მდგომარეობას დაამძიმებს, გაუჩნდება ნაწოლები, შეუგუბდება ფილტვები.

კარგია მასაჟიც, თვითმასაჟიც შეიძლება: ტონუსმომატებულ კუნთებს ნელა, ნაზად მოუსვით ხელი, ტონუსშეუცვლელი კუნთები კი შედარებით სწრაფად დაიზილეთ.

თუ ინსულტის შედეგად კუნთები დაიკრუნჩხა, არ არის რეკომენდებული ისეთი ვარჯიშები, რომლებიც დაძაბვას გააძლიერებს — მაგალითად, ვარჯიშები რეზინის ბურთით ან რგოლით.

ვიმკურნალოთ მცენარეებით

ინსულტის შემდგომი დამბლის დროს

√ 1/2 ჩ/ჭ დაქუცმაცებული ასკილის ნაყოფს დაასხით 1 ჩ/კ მდუღარე წყალი და 15 წუთი ადუღეთ. მიიღეთ დღეში 2-ჯერ ნახევარ-ნახევარი ჭიქა. მკურნალობის კურსი 30 დღეა.

√ 1 ს/კ სალბს დაასხით 1 ჩ/კ მდუღარე წყალი და 1 საათით გააჩერეთ თავდახურულ ჭურჭელში. 1,5 ჩ/კ ნაყენი გააზავეთ 10 ლ წყალში და ნელთბილ აბაზანაში ჩაასხით. მკურნალობის კურსია 20-30 აბაზანა.

■

ქისი უდიდეს ულვაშია „ოსკარის“ სამსახურში

„მე მსოფლიოს ხელმწიფე ვარ!“ — იუწყება პლაკატი, რომელიც ლოს-ანჯელესის ქუჩებს უკვე ერთი თვეა ამშვენებს. „მსოფლიოს კინოპრემიათა ხელმწიფედ“ წოდებული „ოსკარის“ ცერემონიამდე კარგა ხნით ადრე, ჰოლივუდი წინასაკონკურსო ციებ-ცხელებამ მოიცვა. სხვადასხვა ნომინაციაზე წარდგენილი კინოვარსკვლავები უმშვენიერეს და უძვირფასეს სამოსს არჩევენ, სახელოვან სტილისტებთან მიღებაზე წინასწარ ეწერებიან და გამარჯვების შემთხვევაში წარმოსათქმელ სამადლობელ სიტყვებს, წინასწარ თხზავენ. „ოსკარის“ ცერემონიის წინა დღეებში ყველაზე დატვირთულნი ამ არაჩვეულებრივი შოუს ორგანიზატორები არიან.

„ოსკარებით“ დაჯილდოებისთვის მზადება, ცერემონიის ჩატარებამდე რამდენიმე თვით ადრე იწყება. ორგანიზატორები, უპირველეს ყოვლისა, შოუს პროდიუსერს არჩევენ, რომელიც შემდგომ მაყურებელთა დარბაზში მსახიობთათვის ადგილის მიჩენიდან დაწყებული — ჟურნალისტთათვის მომზადებული ბუტერბროდების რაოდენობით დამთავრებული, ყველაფერზე პასუხისმგებელი იქნება. მზადების მეორე ეტაპი — ცერემონიის წაყვანის კანდიდატურის შერჩევაა. წელს ეს საკითხი უმტკივნეულოდ გადაიჭრა. 25 თებერვალს, თვალისმომჭრელ შოუს ცნობილი ტელეწამყვანი — ელენ დე ჯენერისი გაუძღვება, მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება. მაგალითად, 2004 წელს, შოუს ორგანიზატორებს მოულოდნელად პრობლემა შექმნათ. მელ გიბსონმა წამყვანის როლზე უკანასკნელ წამს უარი განაცხადა, რადგან შიშობდა, რომ სკანდალური ფილმის — „ქრისტეს ვნებანი“ რეჟისორს მაყურებელი ცუდად შეხვდებოდა.

„ოსკარის“ ცერემონიალზე მოხვედრის მსურველმა უბრალო მოკვდავმა, ამისთვის დიდი ხნით ადრე უნდა იზრუნოს. 30-იანი წლების დასაწყისში, ცერემონიალზე დასასწრები ბილეთის შეძენა, სულ რაღაც 10 დოლარად შეიძლებოდა; ახლა, დარბაზის გარეთ, წითელ ხალიჩასთან მოხვედრაც კი, მხოლოდ მოსაწვევი ბარათითაა შესაძლებელი. მაგრამ შანსი ყველას აქვს. სექტემბერში, მხოლოდ ერთი კვირის განმავლობაში მსურველები „ოსკარის“ ოფიციალურ საიტზე ანკეტას ავსებენ, რომლის მეშვეობითაც გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. გათამაშების შემდეგ, 600 იღბლიანი წითელ ხალიჩასთან განთავსებულ ტრიბუნაზე მიწვევას მიიღებს.

ცერემონიამდე ორი კვირით ადრე, ჰოლივუდის ბულვარზე მოძრაობა იზღუდება, რადგან 2002 წლიდან მოყოლებული, ცერემონია ამ ბულვარზე მდებარე კინოთეატარ „კოდაკში“ ტარდება. შოუმდე ერთი კვირით ადრე, ბულვარი მთლიანად იკეტება და ქუჩა „ოსკარის“ გიგანტური ქანდაკებებით, ყვავილებითა და წითელი ხალიჩით მშვენდება. ჩვენს მკითხველს იმედი უნდა გავუცრუოთ და უნდა გავუმხილოთ, რომ საყოველთაოდ ცნობილი „წითელი ხალიჩა“ სინამდვილეში წითელი ფერის არ არის. ბურგუნდიული ღვინის ფერის ხალიჩა, სატელევიზიო გამოსახულების მეშვეობით „ტრანსფორმაციას“ განიცდის და ტელეეკრანებზე წითლად მოჩანს. უკვე ათი წელია, რაც „ოსკარის“ ცერემონიალიისთვის წითელ ხალიჩას კომპანია American Turf & Carpet ამზადებს. ხალიჩა ორ წელიწადში ერთხელ იცვლება. პირველი ხმარების შემდგომ, მას გულმოდგინედ წმენდენ, სიგარეტის ფერფლისგან, უამრავი საღეჭრეზინისა და სხვა ჭუჭყისგან ასუფთავებენ და მომავალ წლამდე სპეციალურ საწყობში ინახავენ. მეორე ცერემონიის შემდეგ, ხალიჩის ნაწილი განადგურდება. ერთი ნაწილი კი გაიყიდება. ცერემონიის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, კინოთეატრი „კოდაკი“ მაღალი სტუმრების მისაღებად სრულ მზადყოფნაშია!

ცერემონიალის დაწყებამდე ორი საათით ადრე, კულისებში ვითარება უკიდურესობამდე იძაბება. კინოთეატრის მიმდებარე კვარტალები პოლიციელთა ალყაში ექცევა, რათა სტუმრების ლიმუზინები „კოდაკამდე“ დაუბრკოლებლად მივიდნენ. მაღაზიები, კაფეები და მეტროს უახლოესი სადგურები იკეტება. ჟურნალისტები ცერემონიის დაწყებამდე 3 საათით ადრე, ადგილზე არიან, რათა მოხერხებული ადგილები დაიკავონ. წითელი ხალიჩის სიახლოვეს ტელევიზიების 300 თანამშრომელი, 100 ფოტოგრაფი და 100 კორესპონდენტი მოგროვდება. 150 ქვეყანაში ცერემონის პირდაპირი ტრანსლაციის უფლება ABC-ს საკუთრებაა. უკვე დადგენილია 30-წამიანი სარეკლამო რგოლის ღირებულებაც, მაგრამ ეს ინფორმაცია პრესისთვის საგულდაგულოდაა დაფარული. ცნობილია, გასულ წელს 30-წამიანი რეკლამის ღირებულებამ 1,7 მლნ დოლარი შეადგინა (რაც 2005 წლის ფასზე, 100.000 დოლარით ძვირია), უნდა ვიფიქროთ, რომ წელს ეს ღირებულება კიდევ უფრო გაიზრდება.

ცერემონიალის დაწყებამდე ორი საათით ადრე

ერთადერთი საკითხი, რომელიც ცერემონიის ორგანიზატორებს ჯერაც გადაუ-

გასული წელს კი, საჩუქრების ღირებულებამ 100.000 დოლარს გადააჭარბა, რასაც საგადასახადო პოლიციის სწრაფი რეაქცია მოჰყვა

ჭრელი დარჩათ, ვარსკვლავთათვის განკუთვნილი საჩუქრებია. სმარტფონების, ძვირფასი კურორტების საგზურების, თვალის ლაზერული კორექციის კუპონებისა და ძვირფასეულობისაგან შემდგარი პაკეტები უკვე „ოსკარის“ ცერემონიალის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. 2002 წელს, ცერემონიის წამყვანთა, ნომინანტთა და სტუმართათვის განკუთვნილი სასაჩუქრო პაკეტის ღირებულება 20.000 დოლარი იყო. გასული წელს კი, საჩუქრების ღირებულებამ 100.000 დოლარს გადააჭარბა, რასაც საგადასახადო პოლიციის სწრაფი რეაქცია მოჰყვა. საგადასახადო უწყება ითხოვს, რომ ამიერიდან ვარსკვლავებმა გულუხვი საჩუქრის ღირებულების ოფიციალურად დადგენილი პროცენტი გადაიხადონ; ასე რომ, შოუს ორგანიზატორებს ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. მათ დღემდე ვერ გადაუწყვეტიათ: საჩუქრების ღირებულება შეამცირონ, თუ იაფფასიანი საჩუქრებით თავი არ შეირცხვინონ და ამ ტრადიციაზე საერთოდ უარი თქვან?!

„ოსკარის“ ქანდაკების სიმაღლე 34 სანტიმეტრია. სადგამის დიამეტრი — 13 სმ, წონა 3,85 კგ. ქანდაკების დამზადება 5 ეტაპს მოიცავს: თუჯისა და ტყვიის შენადნობი ჯერ სპილენძით იფერება, შემდეგ ნიკელით, ვერცხლით და ბოლოს ქანდაკება 24-კარატიანი ოქროს ფენით იფარება.

„ოსკარის“ დიდი ქანდაკებების სიმაღლე — 2,5 მ, წონა 550 კგ-ს აღწევს. ბოჭკოვანი მინისგან დამზადებული ქანდაკება ალუმინის უთხელესი ფირფიტებით იფარება და ყვითელი საღებავით იღებება. აღსანიშნავია, რომ ოქროს წყალი საღებავით ეკონომიის მიზნით არ შეუცვლიათ. უბრალოდ, სოფიტების შუქზე სპეციალური ყვითელი საღებავით დაფარული გიგანტური „ოსკარი“ უფრო ლამაზია, ვიდრე მოოქრული ქანდაკება.

„ოსკარის“ დიდი ქანდაკებების სიმაღლე — 2,5 მ, წონა 550 კგ-ს აღწევს

წითელი ხალიჩის სიგრძე — 150 მ, სიგანე — 10 მ, ხალიჩა რამდენიმე 135-კილოგრამიანი ნაჭრისგან შედგება, მისი საერთო წონა კი, 5 ტონაა. ხალიჩა კინოთეატრთან ცერემონიამდე 4 დღით ადრე მიაქვთ. მის დაფენას, ნაწილების შეერთებასა და გასწორებას 21 ადამიანის ორდღიანი შრომა სჭირდება. ხალიჩას ცერემონიის დაწყებისთანავე იღებენ და ამ საქმეს მუშები 4 სთ-ს ანდომებენ.

იმისათვის, რომ მსახიობებმა თავიანთ ადგილებს იოლად მიაგნონ, სავარძლებზე სპეციალური პლაკატებია განთავსებული, რომლებზეც სტუმრის სურათი და სახელია აღნიშნული. პროდიუსერი ვარსკვლავთა ოჯახურ მდგომარეობასაც ითვალისწინებს და მეუღლეებს, დანიშნულებსა და საყვარლებს მსახიობთა გვერდით მიუჩენს ადგილს.

კინოვარსკვლავთათვის წითელ ხალიჩაზე გავლის მკაცრად დადგენილი წესები არ არსებობს

„კოდაკში“ შესვლამდე, დაცვა თავად ვარსკვლავებსაც კი საგულდაგულოდ ამოწმებს. პოლიცია ჯერ იმ ლიმუზინებს გააკონტროლებს, რომლებითაც მსახიობები ცერემონიაზე მიბრძანდებიან, შემდეგ, წითელ ხალიჩაზე გავლამდე, თითოეულ სტუმარს სპეციალური აპარატურით ამოწმებენ.

კინოთეატრი „კოდაკი“ Hollywood Highland-ის ცენტრში მდებარეობს — და მულტიპლექსის, რესტორნების, ღამის კლუბების, მაღაზიებისა და 640-ნომრიანი ოთხვარსკვლავიანი სასტუმროსგან შედგება. დარბაზი, რომელშიც ყოველწლიურად „ოსკარის“ ცერემონიალი ტარდება, 3300 მაყურებელს იტევს. დარბაზთან ახლოს მდებარეობს საყოველთაოდ ცნობილი „მწვანე ოთახი“, სადაც წამყვანი და ის ვარსკვლავები ისვენებენ, რომელთაც გამარჯვებულთა სახელების გამოცხადებისა და პრიზების გადაცემის საპატიო მისია ეკისრებათ.

„ოსკაროსანი“ მსახიობები „კოდაკის“ გვერდით მდებარე სასტუმროს — Renaissance Hollywood მიაშურებენ, სადაც მათ პრესის წარმომადგენლები ელიან. გამარჯვებულნი თავდაპირველად, „ფორუმში“ შევლენ და მოოქრული ქანდაკებებით ხელში ფოტოგრაფების წინაშე პოზირებენ, შემდეგ კი, „პრესრუმში“ გადავლენ და ჟურნალისტების შეკითხვებს პასუხობენ.

კინოვარსკვლავთათვის წითელ ხალიჩაზე გავლის მკაცრად დადგენილი წესები არ არსებობს. ყველა იმ დროს მიდის, როცა მოესურვება, მთავარია, ცერემონიის ამ ნაწილისთვის გამოყოფილ დროში ჩაეტიონ. მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული ტრადიციის თანახმად, წითელ ბილიკზე პირველად, ნაკლებად ცნობილი მსახიობები ჩაივლიან. მათ შედარებით სახელგანთქმულნი მოჰყვებიან. ამ კატეგორიის ვარსკვლავთათვის დროის შერჩევა ყველაზე რთულია: მათ, ერთი მხრივ, პირველები არ უნდა დაჩრდილონ, მეორე მხრივ კი ისინი მეგავარსკვლავთა სიკაშკაშემ ბოლომდე არ უნდა დაჩრდილოს...

მაყურებელთა ტრიბუნები წითელი ხალიჩის ბოლოს, ტელეკამერებისთვის მიფარებულ ადგილზეა განლაგებული. ალბათ ამიტომაც, ჟურნალისტებისგან განსხვავებით, მაყურებლისთვის, ცერემონიაზე გამოსასვლელი ტანსაცმლით მისვლა სავალდებულო არ არის.

კამერონ დიასის შემოსავლები

ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ კამერონ დიასმა ერთ-ერთ სარეკლამო კამპანიაში მონაწილეობისთვის, გასამრჯელოდ 3 მლნ დოლარი მოითხოვა. ვარსკვლავმა ამხელა თანხა ასე მოკლე დროში პირველად გამოიმუშავა. 3 მლნ დოლარი კამერონ დიასმა ტოკიოში, სატელეკომუნიკაციო გიგანტის — SoftBank Mobile Corp სარეკლამო რგოლში მონაწილეობისთვის მიიღო, რომლის გადაღებები იანვარში, ლოს-ანჯელესში

მიმდინარეობდა. სარეკლამო რგოლში მსახიობი მისთვის ჩვეული ქერათმიანი ლამაზმანის სახითაა წარმოდგენილი. მწვანე კაბაში გამოწყობილი დიასი ქუჩაში ჯგუფ Aerosmith-ის მუსიკალური კომპოზიციის — Walk this way აკომპანიმენტის თანხლებით დასეირნობს, მის გარშემო კი კინოპერსონაჟები: უცხოპლანეტელები, კოვბოები და მეკობრეები დათარეშობენ. როგორც ამბობენ, მსახიობი არაჩვეულებრივი სანახავია. კლიპში კამერონ დიასთან ერთად, ბრედ პიტიც მონაწილეობს. SoftBank კლიპის შექმნის ფინანსურ მხარეს არ ახმაურებს, რადგან კონტრაქტის თანახმად, იაპონიაში რეკლამის პირობების ამერიკულ პრესსამსახურებთან განხილვა, სასტიკად იკრძალება. თუმცა, Washingtonpost მკითხველს გადაკვრით მიანიშნებს, რომ ამერიკელ ვარსკვლავებს თითოეულს 1,7 მლნ დოლარზე მეტი გადაუხადეს. ეს თანხა გაცილებით მეტია იმაზე, რაც ოდესმე იაპონიაში რეკლამისთვის გადაუხდიათ. აღსანიშნავია, რომ იაპონური კომპანიები საკუთარი სარეკლამო კამპანიისთვის ჰოლივუდის ვარსკვლავებს უდიდესი სიამოვნებით ქირაობენ, რადგან ფიქრობენ, რომ ეს მათ მომხმარებლის მიზიდვაში დაეხმარება.

ანორექსიის პრობლემას ნაომი კემპბელიც გამოესმაურა

ანორექსიასთან ბრძოლაში საკუთარი წვლილი ნაომი კემპბელმაც შეიტანა. მან პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოდელთა პრობლემები თავად მოდელთა ბრალია და რომ მოდის ინდუსტრია, არაფერ შუაშია. ლონდონში გამართული Elle Style Awards-ის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე ნაომის საუკეთესო სუპერმოდელის ტიტული საზეიმო ვითარებაში უბოძეს. დაჯილდოების შემდგომ, კემპბელმა „ულტრამოხდენილ“ მოდელთა მტკივნეული პრობლემების შესახებ ილაპარაკა. „გოგონების ფსიქიკის შერყევაში მოდის ინდუსტრიის დადანაშაულება არ შეიძლება. ანორექსია ისეთივე დაავადებაა, როგორიც ალკოჰოლიზმი და ნარკომანიაა. ინდუსტრია კი არაფერ შუაშია“. ინტერვიუში ისიც გაირკვა, რომ ნაომი კემპბელისთვის სტილის იდეალს მისი მეგობარი და კოლეგა სუპერმოდელი კეიტ მოსი წარმოადგენს: „კეიტს ყოველთვის ვაღმერთებდი და ახლაც ვაღმერთებ“, — ამბობს ნაომი. მკითხველს შევახსენებთ, რომ მოდის ინდუსტრიაში შექმნილი სიტუაციის თაობაზე, ჟიზელ ბუნდხენსაც ანალოგიური შეხედულება აქვს. მოდელი ფიქრობს, რომ ანორექსიით დაავადებულ გოგონებს უპირველეს ყოვლისა ფსიქიკა აქვთ დარღვეული.

ამასობაში კი, ბრიტანეთის დედაქალაქში მოდის კვირეულიც ჩატარდა (ამ კვირეულზე ნაომი კემპბელმა ჯულიენ მაკდონალდის კოლექციის ჩვენებაში მიიღო მონაწილეობა), სადაც ნულოვანი წონის მოდელების პოდიუმზე გასვლის აკრძალვის გადაწყვეტილება არ ამოქმედდა, მაგრამ ორგანიზატორებმა ყველა მონაწილე თავიდანვე გააფრთხილეს იმის შესახებ, რომ „ჩვენებაში მხოლოდ ჯანმრთელი მოდელები მიიღებდნენ მონაწილეობას“. „ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ მოდელთა წონაზე შეზღუდვები არ ამოქმედდებოდა, რადგან, შესაძლოა, ეს დისკრიმინაციად მიეღოთ, რადგან მხოლოდ გარეგნული იერით, ანორექსიის დიაგნოზის დასმა, შეუძლებელია. იქნებ, გოგონას ასეთი აღნაგობა ბუნებრივად აქვს?!“ — ამბობს ორგანიზაცია British Fashion Council-ის აღმასრულებელი დირექტორი ჰილარი რივა. ანალოგიურად ფიქრობს მოდური ბრენდის — Noir დამაარსებელი ცნობილი დიზაინერი პიტერ ინგვერსენიც: „აკრძალვა პრობლემას ვერ გადაჭრის. კანონის მიღება, შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი ვერ იქნება. ერთადერთი გზა — მოდელთა აღზრდა-განათლებაა“.

მრიუს უილისი გაშიშვლომას აპირებს

ჭეშმარიტი მამაკაცისთვის 50 წელი არაფერია. სწორედ ამის დამტკიცება სურს მსახიობს, რომელიც საკულტო „ბოევიკის“ — „კერკეტი კაკალი“ — მეოთხე ნაწილში კადრში გაშიშვლებას აპირებს. ბრიუს უილისმა შარშან 50 წლის იუბილე იზეიმა. მსახიობი აცხადებს, რომ ახლა ბევრად უკეთესი სექსუალური ცხოვრებით ცხოვრობს, ვიდრე 25 წლის წინათ. ამჟამად მსახიობი დიეტას იცავს და სპორტდარბაზში აქტიურად ვარჯიშობს, რათა ფილმის — „კერკეტი კაკალი: იცხოვრე თავისუფლად ან მოკვდი“ (Live Free or Die Hard) სექსუალურ სცენებში იდეალური სხეულის გამოჩენის არ შერცხვეს. „რამდენიმე სცენაში გაშიშვლებას ვაპირებ, ამიტომ მსურს, კარგად გამოვიყურებოდე, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ჩემი სხეულის ნულოვან ზომამდე დაყვანას ვფიქრობდე“, — ამბობს მსახიობი. ასე რომ, მის თაყვანისმცემლებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ. მათ კერპს ანორექსია არ ემუქრება! როგორც ამბობენ, ახალი „კერკეტი კაკალი“ ლეგენდარული ექშენის ღირსეული გაგრძელება იქნება. სურათის პირველი ნაწილის პრემიერიდან 18 წლის შემდეგ, ბრიუს უილისის გმირი — მუდამ გაუპარსავი, სისხლით მოსვრილ მაისურში გამოწყობილი, მამაცი პოლიციელი ჯონ მაკლეინი ეკრანზე იმისთვის ბრუნდება, რომ სამყარო კვლავაც გადაარჩინოს. სხვათა შორის, ფილმში მაკლეინის ქალიშვილის, ლუსის როლს, ბრიუს უილისის ქალიშვილი, რუმორი განასახიერებს (რუმორი 1988 წელს დაიბადა. სწორედ იმ წელს, როდესაც ეკრანებზე პირველი „კერკეტი კაკალი“ გამოვიდა). ლუსის როლის მისაღებად, კასტინგი ისეთმა ვარსკვლავებმა გაიარეს, როგორებიც არიან: ჯესიკა სიმფსონი და ბრიტნი სპირსი. როგორც ამბობენ, ამ როლის მიღება თავად პერის ჰილტონსაც კი სურდა, მაგრამ ამაოდ. როგორც ჩანს, მამაშვილური კავშირი ყველანაირ კავშირზე უფრო ძლიერია...

გვენ სტეფანი მეორე შვილის გასაჩენად ემზადება

ამ დღეებში გვენ სტეფანი ჟურნალისტებს იმის შესახებ ესაუბრა, თუ რა გეგმები აქვს დასახული მას შემდგომ, როდესაც მისი ალბომის — The Sweet Escape სარეკლამო ტურნე დასრულდება. მომღერალმა შესაძლოა სოლო კარიერაზე უარი თქვას და ისევ No Doubt-ს დაუბრუნდეს. გვენ სტეფანის სამომავლო გეგმები მხოლოდ მუსიკალურ კარიერას როდი უკავშირდება. გვენი ამობს, რომ მეორე შვილის გაჩენას აპირებს (მას 8 თვის ვაჟი — კინგსტონი ჰყავს) და „ამ საქმეს ის და მისი მეუღლე გევინ როსდეილი გასტროლების დამთავრებისთანავე მიხედავენ“. მომღერალმა განაცხადა, რომ პირველი ორსულობისგან განსხვავებით, მეორე ორსულობის პერიოდში, საკონცერტო გამოსვლებსა და საგასტროლო მოგზაურობაზე უარს იტყვის.

ჯენიფერ ლოპესი — მექჰემის ოჯახის თანი

დევიდ და ვიქტორია ბექჰემებმა ამერიკაში გადაბარგება ხეირიანად ვერც კი მოასწრეს, რომ მათმა ოჯახმა ცნობილ ადამიანთა წრეში საოცარი პოპულარობა მოიპოვა. ბექჰემები ყველგან სასურველი და განსაკუთრებულად პატივსაცემი სტუმრები არიან. უფრო მეტიც, ჰოლივუდში მათი საუკეთესო მეგობრის „წოდების“ მოსაპოვებლად ნამდვილი შეჯიბრი გაჩაღდა. ტომ კრუზისა და კეიტ ჰოლმსის გარდა, ბექჰემებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ ჯენიფერ ლოპესი და მარკ ენტონი. ერთ-ერთ ინტერვიუში ჯეი ლომ გულწრფელად აღიარა, რომ ვიქტორიასა და დევიდისადმი განსაკუთრებული სიმპათია აქვს: „ვიქტორია ტომისა და კეიტის ქორწილში გავიცანი. ის თავიდანვე მომეწონა. ბექჰემებს არაჩვეულებრივი ოჯახი აქვთ და უზადო გემოვნებითაც გამოირჩევიან! მარკი დევიდს დაუმეგობრდა. ისინი ერთმანეთს ხშირად ურეკავენ და დიდხანს საუბრობენ“.

სკარლეტ იოჰანსონი ჯორემს უარყოფს

სკარლეტ იოჰანსონი ჯასტინ ტიმბერლეიკთან რომანის შესახებ გავრცელებულ ჭორებს უარყოფს. მას შემდეგ, რაც სკარლეტი ჯოშ ჰარტნეტს დაშორდა, ჯასტინმა კი კამერონ დიასთან ურთიერთობა გაწყვიტა, ახალგაზრდები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. მათ უკვე ჰოლივუდის მთავარ წყვილსაც კი უწოდებენ. მიუხედავად იმისა, რომ სკარლეტს და ჯასტინს მაიამისა და ლოს-ანჯელესში ერთად ხშირად ხედავენ, 22 წლის ვარსკვლავი მაინც ირწმუნება, რომ ისინი მხოლოდ მეგობრები არიან. Grammy-ს დაჯილდოების ცერემონიაზე სკარლეტ იოჰანსონმა განაცხადა: „ჩვენ ბევრი საერთო მეგობარი გვყავს. ჯასტინი მშვენიერი ყმაწვილია. მისი ხილვა მუდამ მსიამოვნებს. პრესა ჩვენ შესახებ მრავალ ჭორს ავრცელებს, მაგრამ ვცდილობ, ეს გაზეთები არ წავიკითხო... როდესაც გოგონას და ახალგაზრდა ვაჟს ერთად ხედავენ, ადამიანებს გიჟური აზრები უჩნდებათ“.

კეიტ უინსლეტი ქორნალ Grazia–ს სასამართლოში უჩივის

მსახიობი კეიტ იუნსლეტი ჟურნალ Grazia-ს სასამართლოში უჩივის. სარჩელის მიზეზი ჟურნალში გამოქვეყნებული ინფორმაცია გახდა, რომლის თანახმად, კეიტმა წონაში დაკლების მიზნით, კალიფორნიელ დიეტოლოგს დახმარებისთვის მიმართა. ჟურნალი ირწმუნება, რომ მსახიობი სანტა-მონიკაში მდებარე ჩინურ კლინიკაში ზედმეტი წონისა და კისრის არეში მტანჯველი ტკივილებისგან გასათავისუფლებლად დადის. „ვწუხვარ, ეს სრული სიცრუეა, მე არ მსურს, ხალხს ეგონოს, თითქოს დიეტოლოგთან დავდივარ. ეს არასოდეს გამიკეთებია და არც გავაკეთებ... კარგად ვიცი, რომ მრავალი გოგონასთვის მისაბაძი მაგალითი ვარ. და ამას ძალზე სერიოზულად ვუდგები. სულაც არ მინდა, ვინმემ იფიქროს, თითქოს ვთვალთმაქცობ და ჩუმ-ჩუმად დიეტოლოგებთან დავდივარ“, — ამბობს 32 წლის კინოვარსკვლავი, რომელმაც ცოტა ხნის წინ, ძალზე გამხდარი მსახიობები მკაცრად გააკრიტიკა.

კეიტ უინსლეტის აგენტმა, სარა კინმა განაცხადა, რომ სამი წლის წინ, კეიტი ექიმთან მართლაც მივიდა, მაგრამ ვიზიტი წონის პრობლემებს არ უკავშირდებოდა. „კეიტი ფიქრობს, რომ მას სრულიად ნორმალური სხეული აქვს. ქალებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის რწმენა უნდა ჰქონდეთ და მოდის ინდუსტრიის პროვოკაციებს არ უნდა აჰყვნენ. კეიტს ყველაფერი წესრიგში აქვს და საკუთარი გარეგნობით სრულიად კმაყოფილია.

წლევანდელი „ოსკარის“ ნომინანტმა მსახიობმა (ფილმში — „როგორც პატარა ბავშვები“ ნათამაშები როლისთვის) ძალზე გამხდარი მსახიობები მკაცრად გააკრიტიკა და ისინი ქალთა შორის ანორექსიის გავრცელების პროვოცირებაში დაადანაშაულა. კეიტ უინსლეტი ამბობს, რომ მყვირალა გარეკანიანი ჟურნალები შინ არასდროს მიაქვს, რათა 6 წლის ქალიშვილი მია ამ ჟურნალების მავნე ზეგავლენისგან დაიცვას.

„...იმისთვის მოვედი, რომ საკუთარი ცოდვები მეგლოვა“



მამა ილარიონ ქართველი (ახალი)

2002 წლის 15 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმინდანთა დასში შერაცხა ათონის წმინდა მთის არაერთ მონასტერსა და სკიტში მოღვაწე ქართველი მართლმადიდებელი მამა — ილარიონ ყანჩაშვილი და მას წმინდა ილარიონ ქართველი (ახალი) უწოდა. მისი ხსენების დღედ კი 27 თებერვალი დააწესა. ეს არის დღე, როდესაც ასკეტური ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე ასულმა მამა ილარიონმა მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს და ზეციური სასუფევლის მკვიდრთ შეუერთდა.

მორენა მერკვილაძე

6 წლის ასაკიდან დაწყებული ღვთისკენ სავალი გზა

მამა ილარიონი — ერისკაცობაში იესე ყანჩაშვილი — დაიბადა 1776 წელს, შორაპნის მაზრის სოფელ ლოსიათხევში, ღვთისმოსავი აზნაურების — ხახული და მარიამ ყანჩაშვილების ოჯახში.

6 წლის ყოფილა მამა ილარიონ ქართველი, როდესაც მათ სოფელში დედამისის ძმა — ტაბაკინის მონასტერში მოღვაწე ბერი, სტეფანე ჩასულა. მამა სტეფანე დის ოჯასაც ეწვია. მას არ გასჭირვებია იესეს ღვთისმოსავი მშობლების დარწმუნება იმაში, რომ პირველშობილი ყრმა უფლისათვის მიეძღვნათ. მონასტერში წასვლისას, ყრმა იესე თან წაიყვანა. ბიძა და დისწული ტაბაკინის მონასტრის მახლობლად მდებარე ტყეში, ერთ პატარა სენაკში დამკვიდრდნენ. 12 წელი დაყო ასკეტი ბერის გვერდით, მხოლოდ იშვიათად თუ მოინახულებდა მშობლებს. ამ ხნის მანძილზე ბიძასთან განმარტოებით მოღვაწე ყრმა მრავალ ქრისტიანულ სათნოებაში განმტკიცდა — ისწავლა მდუმარება, თავმდაბლობა, მორჩილება, ლოცვა, მარხვა... შემდეგ მამა სტეფანე გარდაიცვალა. მისი ანდერძის თანახმად, იესემ სენაკი დატოვა და ტაბაკინის მონასტერში გადავიდა. მაგრამ დიდხანს არც იქ დარჩენილა. სწავლა-განათლების მიღების სურვილმა მონასტრის დატოვება გადააწყვეტინა: იქ მოღვაწე ბერებისგან შეიტყო, რომ თბილისში სასულიერო სასწავლებელი გაიხსნა და დედაქალაქისკენ გამოეშურა. გზად, კურთხევის მისაღებად ნიქოზის ეპისკოპოს ათანასესთან შეიარა. როდესაც მამა ათანასეს იესეს ლოცვა მოუსმენია და მისი განვლილი ცხოვრების შესახებ შეუტყვია, უთქვამს: „შვილო ჩემო, სკოლაში შენ ვერაფერს შეიტყობ ისეთს, რაც უდაბნოში არ გისწავლია. დაბრუნდი სახლში და შენი ბერის ლოცვით უფალი ღმერთი ჩვენი, რომელმაც გასწავლა ეს ლოცვები, წაგიძღვება იმ სიმაღლემდე, რომ შენ იქნები სარგო როგორც ქრისტეს ეკლესიისთვის, ასევე ერისთვის“. ეპისკოპოსის სიტყვას ხომ არა გადავიდოდა! ამიტომ, მშობლიურ სახლს მიაშურა.

მეფის ჯარი და მღვდლად ჯურთხევა

მალე იესე მამამისმა ქუთაისში წაიყვანა და მეფის კარზე მიაბარა. მეფე სოლომონ II-ეს მალევე შეუნიშნავს ჭაბუკის გამჭრიახი გონება და განსწავლულობა. თავისი უახლოესი კაცი, თავადი გიორგი წერეთელი იხმო და ახალგაზრდა იესე მას მიაბარა. მაინც სულიერი ცხოვრებისკენ ილტვოდა ჭაბუკის სული. ესეც მალევე შეუნიშნავთ სასახლის კარზე, ამიტომაც ჯრუჭის მონასტერში მოღვაწე მამა გერონტი სოლოღაშვილთან გაგზავნეს. აქედან დაიწყო მისი სულიერი აღმასვლის მეორე ეტაპი: მამა გერონტიმ მასში კვლავ გააღვიძა ქრისტიანული სათნოებები — განუწყვეტელი ლოცვა, მღვიძარება, მკაცრი მარხვა, მორჩილება. მამა გერონტიმ მას საერო განათლებაც მისცა: შეასწავლა გრამატიკა, არითმეტიკა, კალიგრაფია და ა.შ. 3 წელი დაყო იესემ მამა გერონტის გვერდით, შემდეგ კვლავ სოლომონ მეფის კარზე გადავიდა. 2 წელი მეფის სახლთუხუცესად იმსახურა. ამავე პერიოდში დაქორწინდა კიდეც — თავადის ასულ მარიამზე. მცირე ხნის შემდეგ, მღვდლადაც აკურთხეს. ეს თავად სოლომონ მეფის სურვილიც იყო, რათა მამა იესეს სახით, სულიერი მოძღვარი და უერთგულესი ადამიანი ჰყოლოდა. იმ ხანებში ხომ მძიმე დრო ედგა იმერეთის სამეფოს — რუსეთის იმპერატორს იმერეთის ანექსირება სურდა. მეფეს კი, ცოტა თუ ჰყავდა ერთგული, ამიტომ გვერდიდან არ იცილებდა მამა იესეს. პირად მოძღვარს ხშირად საერო საქმეების მოგვარებასაც ავალებდა, მისი რჩევის მიღებამდე კი არც ერთ მნიშვნელოვან საერო საკითხს არ წყვეტდა. მეფის სამსახურმა იესე ოჯახს დააშორა, მარიამი კი ძალიან განიცდიდა მეუღლესთან ყოველ განშორებას, იქამდეც კი, რომ ბოლოს, დარდისა და სევდისგან მძიმედ დასნეულდა და მალე გარდაიცვალა კიდეც.

მამა იესეს პირად სატკივარს ერის სატკივარიც დაემატა — ქართლ-კახეთის შეერთების შემდეგ, რუსეთმა იმერეთის ხელში ჩაგდებაც სცადა. ქვეყანაში შექმნილი დაძაბული პოლიტიკური ვითარების გამო, სოლომონ მეორე არჩევანის წინაშე დადგა — ან რუსეთში უნდა წასულიყო და სიცოცხლის ბოლომდე პატივში ეცხოვრა, რისთვისაც რუსეთს დიდძალი თანხაც ჰქონდა გამოყოფილი, ან თურქეთში გაქცეულიყო და იქიდან ეზრუნა იმერეთის ბედზე. სოლომონმა თურქეთში გაქცევა არჩია. არც ამ მძიმე წუთებში მიუტოვებია მამა იესეს იმერეთის უკანასკნელი მონარქი — დევნილობის ჟამს გვერდით ედგა და მის ყველა ჭირსა და ტკივილს იზიარებდა, წამითაც არ მოშორებია უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. სწორედ მამა იესემ დაუხუჭა თვლები უცხო მხარეში აღსრულებულ სოლომონს.

მეფის დაკრძალვის შემდეგ, მამა იესე იმერეთში დაბრუნდა. გადაწყვიტა, ტაბაკინის მონასტერში წასულიყო და განმარტოებით მოღვაწეობას შესდგომოდა. სწორედ ამ დროს მიიღო სოლომონ მეფის თანამეცხედრის, დედოფალ მარიამის წერილი (მარიამი, სოლომონ მეფის თურქეთში გადასვლის შემდეგ ჩაიყვანეს მოსკოვში და იმპერატორის სასახლეში ამყოფებდნენ). რუსეთში მყოფი დედოფალი იესეს თავისთან იხმობდა. ის მართლაც, ჩავიდა მოსკოვში და დედოფალმა თავისთან დატოვა, რათა მისი სახით, ქართველი სულიერი მოძღვარი ჰყოლოდა.

ღვთისმოსავმა სულმა ვერ აიტანა რუსეთის იმპერატორის კარზე გამეფებული ფუფუნება და განცხრომა, მალე შენიშნა, რომ მარიამსა და მის ამალასაც დავიწყებოდათ ქრისტიანული მოვალეობები, შეეცადა მათ შეგონებას, მაგრამ ამაოდ — დედოფალსა და მის მხლებლებს საერო

ცხოვრება და სხვადასხვაგვარი გასართობი უფრო იზიდავდათ. ნეტარ მამას სასახლის დატოვება სურდა, მაგრამ დედოფალი ნებას არ რთავდა. ბოლოს მაინც გამოიპარა მოსკოვიდან, თუმცა, საქართველოში აღარ დაბრუნებულა, კონსტანტინოპოლს მიაშურა.

ათონის წმინდა მთაზე

როდესაც მამა იესე კონსტანტინოპოლში ჩავიდა, შემთხვევით შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს, რომელიც კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. ნეტარ მამას წმინდა მიწის მოლოცვა სურდა, ამიტომ იერუსალიმის პატრიარქს ესაუბრა. მან ურჩია, რომ ზამთარი ათონის მთაზე გაეტარებინა, დიდმარხვაში კი, იერუსალიმში ჩასულიყო და იქ, უფლის საფლავთან შეხვედროდა აღდგომას. მამა იესემ ათონისკენ მიმავალი გემი იპოვა და წმინდა მთისკენ გაემგზავრა. ეს მოხდა 1819 წელს. გზად სამოსი გამოიცვალა, ძველმანები ჩაიცვა და ისე მიადგა ივერთა მონასტერს. ერთხანს იქვე დარჩა. ბერძნული არ იცოდა, ამიტომ უმეტეს დროს ლოცვასა და მდუმარეობაში ატარებდა. მამა იესეს სული ასკეტური მოღვაწეობისკენ ილტვოდა, ივერთა მონასტერში კი მსუბუქი ტიპიკონი იყო, ამიტომ მკაცრი განაწესის მიმდევარ წმინდა დიონისეს მონასტერში გადავიდა. იქვე აღიკვეცა ბერად და სახელად ილარიონი ეწოდა. მას ახალი სამონასტრო შესამოსელი მიართვეს, მაგრამ არ ისურვა მისი ჩაცმა, ითხოვა — ჩემი გაცვეთილი სამოსის ტარების უფლება მომეცითო.

მამა ილარიონმა 2 წელი გაატარა მძიმე მორჩილებაში. ძირითადად, მას სამზარეულოსა და სატრაპეზოში მორჩილების კუთრხვევა ჰქონდა, მაგრამ ხშირად, მძიმე მორჩილებასაც ავალებდნენ, რასაც ყოველთვის უსიტყვოდ ასრულებდა. ამიტომაც იყო, რომ ღმერთმა იგი გააძლიერა, როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ ღვაწლში. ყველამ შეიყვარა მორჩილი და თავმდაბალი ქართველი ბერი. თუმცა, მეფის ყოფილი პირადი მოძღვარი ყველას უპოვარი და უბრალო წარმომავლობის ეგონა.

მამა ილარიონს ერთადერთი რამ აწუხებდა: რადგან ბერძნული არ იცოდა, მოკლებული იყო ღვთის სიტყვის მოსმენას. მხოლოდ თურქული ენის მცოდნე მონასტრის წინამძღვართან და რამდენიმე ბერთან ახერხებდა ურთიერთობას. მონასტრის იღუმენს სთხოვა, ივერთა მონასტერში წასვლის ნება მიეცა, ქართული წიგნების გამოსათხოვად. ქართველთა მონასტერში შემთხვევით შეხვდა ერთ ბერძენ არქიმანდრიტს, რომელსაც მამა ილარიონი მოსკოვში ყოფნისას დაუახლოვდა. გამჟღავნდა ილარიონის საიდუმლო — მალე მთელმა ათონმა შეიტყო, რომ უბრალო სამოსში შემოსილი ბერი ილარიონი ერთ დროს, სასახლის კარზე მსახურობდა, მეფის პირადი მოძღვარი და უახლოესი ადამიანი იყო. ამის შემდეგ ყველა უდიდესი პატივითა და მოკრძალებით ეპყრობოდა. თავმდაბალი და მორჩილი ასკეტი ბერის სული ვერ შეეგუა ამგვარ ყოფას: „ივერთა მონასტერში წასვლა ჩემთვის არ გამოდგა სასარგებლო. უმჯობესი იქნებოდა, საერთოდ არ წავსულიყავი იქ. წმინდა მთაზე იმისათვის მოვედი, რომ საკუთარი ცოდვები მეგლოვა და ჩემთვის უკეთესი იქნებოდა, ამ პატივის გარეშე ცხოვრება“, — უთქვამს, წმინდა დიონისეს მონასტრის წინამძღვრისთვის, რომელიც უკან დაბრუნებულ მამა ილარიონს, ხელგაშლილი მიჰგებებია. მალე მამა ილარიონი დიონისეს მონასტერთან ახლოს მდებარე სენაკში დამკვიდრებულა და განმარტოებით მოღვაწეობას შესდგომია.

მამა ილარიონი წმინდა მთის კიდევ არაერთ გამოქვაბულსა და მღვიმეში, უდაბნოსა და სკიტში მოღვაწეობდა განმარტოებით, მათ შორის, კატუნაკის მონასტრის მახლობლად მდებარე უდაბნოში. აქ მან ყველაზე მკაცრ პირობებში გაატარა სამწელიწად-ნახევარი: „ამ ხნის მანძილზე, იგი არ ჭამდა არც პურს და არც სხვა რამეს მოხარშულს, იკვებებოდა მხოლოდ მწვანილით, ფესვებით და წაბლით. არც დღისით და არც ღამით სხეულს მოსვენებას არ აძლევდა. ვინც მას იცნობდა, ამბობდა, რომ კატუნაკის უდაბნოში ცხოვრებისას, არც მთა დარჩენილა და არც მიწის მტკაველი, მამა ილარიონის ღამე აღვლენილი ლოცვის ცრემლებით რომ არ ყოფილიყო დანამული. ნახვითაც არავის ნახულობდა, თუ შემთხვევით რომელიმე მეუდაბნოე შეხვდებოდა, გაურბოდა მას და არ არღვევდა მდუმარე ლოცვას“, — მოგვითხრობს მამა ილარიონის ცხოვრების აღმწერი, ათონის მთაზე მოღვაწე ბერი, მამა პაისი. მართალია, უდაბნოში მოღვაწეობა მის სულიერ ცხოვრებას განამტკიცებდა, მაგრამ მღვიმის სინესტემ ჯანმრთელობა შეურყია. თმაც გასცვივდა, ძლიერი სიცივის გამო ფეხები უსივდებოდა. ერთხელ, ავადმყოფობის დროს, წყალიც გაუთავდა. ბერს წყალზე წასასვლელად ძალა არ ეყო და ლოცვა დაიწყო. მცირე ხანში, უფალმა მოუვლინა ღრუბელი, რომელიც ასკეტის გამოქვაბულის შესავლელთან გაჩერდა და წვიმა წამოვიდა. როდესაც ყველა ჭურჭელი გაივსო, წვიმამ გადაიღო...

მამა ილარიონ ქართველს განმარტოებით მოღვაწეობისას მრავალი სხვა განსაცდელის გადატანაც მოუხდა. ყველაზე ხშირად მაინც ბოროტ სულთან ბრძოლა უხდებოდა. ეშმაკი ხან მხეცის სახით ესხმოდა თავს, ხან ადამიანის სახეს იღებდა და ისე ცდილობდა მის დამორჩილებას.

შემდეგ, მისი ადგილსამყოფელი გამჟღავნდა და წმინდა მოღვაწესთან მრავალმა ადამიანმა იწყო მისვლა, მას კი კარჩაკეტილი ცხოვრება სურდა, ამიტომ, წმინდა პავლეს მონასტრის წინამძღვრის კუთხევით, ზღვის მეკობრეებისგან თავის დასაცავად აგებულ ნეა სკიტის კოშკში განმარტოვდა სადაც — 3 წელი დაყო. ამ ხნის მანძილზე, მხოლოდ ხმელი პურით საზრდოობდა, იმასაც დღეში ერთხელ იხმევდა, პარასკეობით საერთოდ არაფერს ჭამდა, წყალსაც კი მხოლოდ ერთ პატარა ჭიქას სვამდა დღის განმავლობაში. როგორც მამა პაისი ათონელი მოგვითხრობს, ამ პირობებში მამა ილარიონი სულიერებისა და გონებით ლოცვის ზღვაში ჩაიძირა.

წლების მანძილზე უმკაცრესმა ასკეტურმა ცხოვრებამ — განუწყვეტელმა მძიმე მარხვამ, მღვიძარებამ (მამა ილარიონს დღე-ღამეში მხოლოდ 2 საათი ეძინა, ერთი — კვერთხზე დაყრდნობილს, მეორე — ჩამომჯდარს), ნესტიან სენაკებსა და გამოქვაბულებში ცხოვრებამ ფიზიკურად დააუძლურა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ხშირად ესხმოდნენ თავს დემონები, რომლებიც ფიზიკურ ზინასაც აყენებდნენ ასკეტ ბერს. როგორც მამა პაისი მოგვითხრობს: „განდეგილური ცხოვრების ბოლოს, მამა ილარიონმა იხილა ეშმაკთა ჯარების უთვალავი რაოდენობა“. ცემით სიკვდილის პირას მიუყვანიათ. ამის შემდეგ, მამა ილარიონი იძულებული გახდა, უარი ეთქვა ასკეტურ ცხოვრებაზე. ათონის მთაზე მოღვაწე ბერებმა მასზე ზრუნვა მის უახლოეს მეგობარ — მამა ბენედიქტეს (ქიოტიშვილს) მიანდვეს. მან მართლაც შეძლო დაუძლურებული ბერის გამოჯანმრთელება. გამოჯანმრთელების შემდეგ, ივერიონის მონასტერში გადავიდა. სწორედ იმ პერიოდში შეადგინა ქართული ხელნაწერების კატალოგი, პლატონ იოსელიანის თხოვნით. ივერთა მონასტერში 6 თვე დაყო, შემდეგ, ათონის მთის სხვადასხვა მონასტერში მოღვაწეობდა.

ნეტარი აღსასრული

სიცოცხლის მიწურულს წმინდა ილარიონი მძიმედ დასნეულდა — უკურნებელი სენი შეეყარა. მძიმე და მტანჯველი სნეულების მოვლინებისთვის ხშირად მადლობდა უფალს, იტყოდა ხოლმე: „დიდება უფალს! მსურდა მოწამეობა, მაგრამ ღმერთმა არ მაღირსა, ახლა კი ავადმყოფობა მომივლინა. ეს მოწამეობის ტოლფასია, თუ მოთმინებით და ღვთის ნების ერთგულებით გადაიტან“. ერთი წელი იავადმყოფა, 1864 წლის 14 თებერვალს (ძვ. სტილით) კი, მშვიდობით შეჰვედრა სული უფალს.

ათონის წმინდა მთის წესისამებრ, 3 წლის შემდეგ მამა ილარიონ ქართველის საფლავი გახსნეს. როდესაც სამარხს ხსნიდნენ, იქიდან საოცარი კეთილსურნელება იფრქვეოდა. მისი წმინდა ნაწილები წმინდა ანას მცირე მონასტერში გადაბრძანეს, გზად საოცარი კეთილსურნელება იფრქვეოდა.

მამა პაისის მონათხრობის თანახმად, „ნაწილების გადასვენების შემდეგ, ერთ მეუდაბნოეს ხილვა ჰქონდა: ბიზანტიური დროით ხუთ საათზე დღის კაშკაშა ნათელში, მამა საბას სენაკში დაინახა მზისდაგვარი სფერო, რომელიც ყველა მხრივ ასხივებდა სინათლის სხივებს, რაც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა“... ■

„სარეველასაც აღმოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთო...“

რატომ დახვრიტეს ვაჟა-ფშაველას შვილი

ვაჟა-ფშაველას ვაჟის, ლევან რაზიკაშვილის ტრაგიკული ბედის ამბავი, საზოგადოებისთვის დიდი ხნის მანძილზე, ბურუსით იყო მოცული. „ჩეკას“ მიერ დახვრეტილი ლევანი, უკანასკნელ დრომდე არ იყო რეაბილიტირებული. ამ პიროვნების შესახებ მოგონებები ზეპირად, თაობიდან თაობებს გადაეცემოდა, მოგვიანებით კი, დაემატა მკვლევართა მიერ სუკის არქივებში აღმოჩენილი ინფორმაცია და შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხს ტაბუ მოეხსნა. რატომ გაწირა ვაჟა-ფშაველას შვილი საბჭოთა ხელისუფლებამ? რა ურთიერთობა ჰქონდა მას ქაქუცა ჩოლოყაშვილთან? ვინ მისცა „ჩეკას“ ჩვენება რაზიკაშვილის წინააღმდეგ? როგორი პასუხი გასცა ლევანის ბედით დაინტერესებულ მწერლებს სერგო ორჯონიკიძემ? რატომ გააჭიანურეს გამოტანილი სასიკვდილო განაჩენის აღსრულება? — ეს ის კითხვებია, რომლებზე პასუხიც ჩვენს ქვეყანაში დიდი ხნის მანძილზე, ერთეულების გარდა, არავინ იცოდა.

თამუნა კვინიკაძე

ვაჟა-ფშაველას უფროს შვილს — ლევან რაზიკაშვილს განათლება თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად მიუღია. შემდეგ, თანხის არქონის გამო, სწავლა ვეღარ გაუგრძელებია. შვილის ბედით შეწუხებულ მამას 1910 წელს წერილი მიუწერია ნიკო ცხვედაძისთვის, სადაც კერძოდ, ნათქვამია: „შეუძლებელს მე არაფერს ვთხოულობ, პირადად ჩემი თავი ჯანდაბას, ჩემმა შვილმა რა დააშავა... მოწმობით დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია და უსახსროების გამო, ორი წელიწადია შინა მყავს სოფელში... ეს ჩემთვის მეტისმეტად გულსაკლავი მოვლენაა... მოგმართავთ თქვენ, როგორც პატიოსან ქართველ კაცს, უანგარო მუშაკს და გთხოვთ, როგორმე გამგემ სარაჯიშვილების სტიპენდიებისა, დაუნიშნოს ჩემს შვილს სტიპენდია, რომ გავგზავნო სწავლის გასაგრძელებლად ყირიმში ან სხვაგან სადმე“.

სერგო ორჯონიკიძეს მიუცია რეკომენდაცია ხევსურეთში დახვრეტების ჩატარების შესახებ (სტალინი და ორჯონიკიძე თბილისში, 1925 წ.)

მიუხედავად იმისა, რომ ლევანი სასწავლების დამთავრების შემდეგ სოფელში ცხოვრობდა, ქაქუცასთან მეგობრული ურთიერთობა არ გაუწყვეტია. ხევსურეთში ასული ჩოლოყაშვილისთვის ხანჯალი და ნაბადიც კი მიურთმევია. გადმოცემით ისიც ცნობილია, რომ ქაქუცა ჩარგალში ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღესაც იმყოფებოდა.

ლევან რაზიკაშვილი 1914 წლიდან, გორის ლაზარეთში ცენტრალური კანცელარიის მდივნად მუშაობდა. 1917 წლიდან, სოფელ ჩარგალში, მამისეულ სახლში იმყოფებოდა და იქ ცხოვრების პერიოდში 1918 წლის 18 სექტემბრიდან ჯერ მილიციელად, შემდეგ კი კომისრად — ანუ მილიციის უფროსად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე იყო მაშინ, როცა ხევსურეთში ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით, აჯანყება მოხდა. მის მონაწილეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების გატარების მომხრე იყო სერგო ორჯონიკიძე. ამას მოწმობს „სამხედრო ცენტრის“ პოლკოვნიკის, როსტომ მუსხელიშვილის ჩვენება, რომელიც მკვლევრებმა სუკის არქივში აღმოაჩინეს. ჩვენებაში წერია, რომ მუსხელიშვილი ხევსურეთის აჯანყებულთა წინააღმდეგ ოპერაციების განხორციელებამდე, კავკასიის არმიის სარდლობამ თბილისის რკინიგზის სადგურში გაჩერებული სპეციალური სამხედრო მატარებლის შტაბბინაში გამოიძახა. იქ მას დახვდნენ: წითელი არმიის სარდალი ეგოროვი და შტაბის უფროსი პუგაჩოვი. მოგვიანებით მათთან მივიდა სერგო ორჯონიკიძეც და სარდლებს სათანადო მითითებები მისცა. მისი გეგმის თანახმად, ჯარის მსხვილი სამხედრო შენაერთები ხევსურეთის სიღრმეში უნდა შეჭრილიყო, აჯანყება უმოკლეს ვადაში ჩაეხშო და ამბოხებულებს სასტიკად გასწორებოდა.

პოლკოვნიკის ჩვენებიდან ისიც ჩანს, რომ ჯარის მეთაურებისთვის სერგო ორჯონიკიძეს მიუცია რეკომენდაცია ხევსურეთში დახვრეტების ჩატარების შესახებ.

არ დაგვავიწყდეს, რომ მაშინ, როცა ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავის რაზმთან ერთად ხევსურეთისკენ ილაშქრებს, მისი მეგობარი ლევან რაზიკაშვილი ფშავის რაიონის მილიციის უფროსია. ამ ორი პიროვნების მეგობრობის ამბავი მაშინ ხელისუფლების ყურამდეც მისულა. ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანებთან არათუ მეგობრობა, არამედ მათი სახელის ხსენებაც კი ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად აღიქმებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ „ჩეკადან“ ხევსურეთში წითელი არმიის დამატებითი ძალები გაუშვეს, რათა აჯანყებულებისთვის გზა გადაეკეტათ და გაენადგურებინათ, ქაქუცამ თავის რაზმთან ერთად სამშვიდობოს გასვლა მოახერხა. ამ წარუმატებლობის შემდეგ, ხელისუფლებას თიანეთის სამაზრო მმართველების მიმართ სერიოზული პრეტენზიები გასჩენია. თიანეთის აღმასკომის თავმჯდომარე სერგო სურგულაძე თანამდებობიდან გაუთავისუფლებიათ. იგი ალბათ დაჭერასაც ვერ გადაურჩებოდა, მაგრამ შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა იმ ჩვენებით მოახერხა, რომელიც შემდეგ, უშუალოდ ლევან რაზიკაშვილის დაპატიმრების საფუძვლად იქცა. ეს მოხდა 1922 წლის 30 სექტემბერს, საქართველოს შინსახკომის თავკაცის მოადგილის და მილიციის სამმართველოს უფროსის, იოვიძის მეთაურობით. სურგულაძის ჩვენებაში ვკითხულობთ: „გზის გადაკეტვისთვის 12 ამხანაგის (მილიციელის) თანხლებით გავემგზავრე ორწყალისაკენ. სოფ. არტაანთან არმისული, ჩემ მიერ ორი მილიციელი იქნა გაგზავნილი რაზიკაშვილთან. იგი გავაფრთხილე, არ წამოსულიყო არაგვით, რადგან ბანდიტები (იგულისხმება ჩოლოყაშვილი და მისი რაზმის წევრები) უკან იხევდნენ და შეიძლებოდა შეჰყოდნენ. იგი მთების შემოვლით უნდა გადმოსულიყო. მან ყურადღება არ მიაქცია ჩემს წინადადებას, არაგვით წამოვიდა და ბანდიტებს გადაეყარა. ჩემ მიერ გაგზავნილი მილიციელიდან ერთი მოკლული, მეორე კი განიარაღებული იქნა. თვითონ ყველა მილიციონერითურთ ტყვედ დანებდა... შემდეგი სათანადო ცნობებით გაირკვა, რომ რაზიკაშვილმა ერთი მილიციონერით (რომლის გვარი უცნობია) ჩოლოყაშვილი ხევსურეთიდან ჩარგალზე, შემდეგ, არტაანის თემზე გავლით, პანკისში გააცილა, სადაც იგი გაქრა“. ეს ამბავი სურგულაძეს ხევსურეთში ასული იოვიძისთვის უამბნია. მას კი გაუცია ბრძანება ლევან რაზიკაშვილის დაპატიმრებისა და ყველა საბრალდებო მასალის საქართველოს „ჩეკაში“ გაგზავნის თაობაზე.

ლევანის დაპატიმრების შემდეგ, იმ საბედისწერო ჟამს, ერთ-ერთ ქომაგს საკუ-

თარ თავზე უტვირთია ფშავის მოსახლეობის სახელით საგანგებო კომისიაში წარსადგენი შუამდგომლობის შედგენა და ხელმოწერების შეგროვების სასწრაფოდ ორგანიზება. „ამ მოწმობას ვაძლევთ მილიციის უფროს ლ. რაზიკაშვილს, — ნათქვამია მასში. — არის სინდისნამუსიანი, პატიოსანი და ყოველმხრივ სანდო პიროვნება... მშრომელთა დამცველი, სასტიკი მდევნელი ყველა ბოროტმოქმედებისა. ბანდიტ-ყაჩაღებისა ბევრჯერ სიცოცხლის განსაცდელში ჩამგდები...“ ხელი მოუწერია 56 პიროვნებას და საქართველოს „ჩეკასთვის“ გაუგზავნიათ.

ძიების მასალები და ლევანის ჩვენებები ცხადად მოწმობს იმას, რომ ძირითადი ბრალდებები დასტურდება. ისიც ჩანს, რომ ცალკეული ბრალეულობის გამო, ლევანი ცდილობს და ზოგჯერ ახერხებს კიდეც, ალიბის წარმოდგენას, მაგრამ საერთო ჯამში, მისი აღიარებით მტკიცდება, რომ იგი და მის დაქვემდებარებაში მყოფნი, ქაქუცას რაზმელებს მართლაც უბრძოლველად დანებდნენ. შესაძლოა, ლევანმა თავისი რაზმის მოძრაობის გრაფიკი, ქაქუცას წინასწარ შეატყობინა. ამის შემდეგ, ქაქუცამ ის თან გაიყოლა, როგორც მეგობარი, ორი დღე თავის ბანაკში ამყოფა, თანამებრძოლებს გააცნო, ხოლო როცა გამოისტუმრა, მას ხევსურეთზე მოიერიშე წითელარმიელთა ზურგში დასარტყმელად, ფშავის მოსახლეობის ამბოხება დაავალა.

ლევან რაზიკაშვილის ბრალდებათა გამოძიებას აწარმოებდა საქართველოს „ჩეკას“ ბანდიტიზმთან ბრძოლის განყოფილების რწმუნებული ხოჯევანოვი. მან 1922 წლის 25 ნოემბერს მოამზადა დასკვნითი დადგენილება — ბანდიტიზმში თანამონაწილეობისა და სამსახურის თვითნებურად მიტოვების ბრალდებით. „მან შეგნებულად დაარღვია საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი და პრესტიჟი. მშრომელი ხალხისა და პროლეტარიატის თავგამოდებულ მტერს მიესაჯოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. საქმე დამთავრდეს და ჩაჰბარდეს არქივს. პატიმარი იმყოფება გამასწორებელ სახლში“. ამ შემთხვევაში, ხოჯევანოვის პირით, „ჩეკასა“ და საერთოდ, ხელისუფლების აზრია გადმოცემული. როცა 1922 წლის მიწურულს გაირკვა, რომ ლევანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ვაჟა-ფშაველას შვილის ბედით დაინტერესებულ ქართველ მწერლებს — კოტე მაყაშვილს, პაოლო იაშვილს, პავლე ინგოროყვას, ალექსანდრე აბაშელსა და სხვებს, სერგო ორჯონიკიძისთვის თხოვნით მიუმართავთ, ლევანისთვის სიცოცხლის შენარჩუნების შესახებ. ორჯონიკიძეს უპასუხია: ვაჟას შვილი კი არა, ცოცხალი რომ იყოს, ვაჟასაც დავხრეტდიო...

ლევან რაზიკაშვილი განაჩენის გამოტანიდან უახლოეს დღეებში არ დაუხვრეტიათ. მისი საქმის გამოძიება დეკემბერშიც გრძელდებოდა. დამატებით დაკითხვა 2-ჯერ — 20 და 31 დეკემბერს მოუწყვიათ. ლევანს არ ხვრეტდნენ იმიტომ, რომ მისგან იმ პირთა ვინაობის დასახელება უნდოდათ, რომლებიც ქაქუცას ახლდნენ ხევსურეთში 1922 წლის 7 დეკემბერს. იგივე ხოჯევანოვს დაუწერია: „საჭიროდ ვთვლი, შეჩერდეს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა, იმისთვის, რომ მიწერილი ბრალდების ფაქტები დაზუსტდეს“. როგორც ჩანს, საქართველოს „ჩეკას“ ხელმძღვანელები ფრთხილობდნენ, რომ გამოუსწორებელი შეცდომა არ დაეშვთ და ამიტომ ქმნიდნენ ლევანის დახვრეტის გაჭიანურების იურიდიულ საფუძველს. ლევანის დახვრეტის საკითხი მარტო ორჯონიკიძის გადასაწყვეტი არ იყო, „ჩეკას“ ბობოლა ჩინოსნები კიდევ ელოდნენ ხელმძღვანელობისგან დასტურს — ეს ფაქტი ხომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უკიდურესად მძიმე პერიოდს დაემთხვა — პერიოდს, რომელსაც „დამკომის“ წევრმა, იასონ ჯავახიშვილმა „საგანგაშო დრო“ უწოდა. იმაზე, თუ რას ნიშნავს „საგანგაშო დრო“, ყველაზე კარგ პასუხად შეიძლება, „ჩეკისტი კაკოს“ მონათხრობი ჩაითვალოს (იგი ბერიას უახლოესი თანამებრძოლი გახლდათ, შემდგომ კი, ცოდვების მონანიების მიზნით, ბერად აღიკვეცა). მისი მონათხრობი ასეთი იყო: „საქართველო ძალას არ იშურებდა, გათავისუფლებულიყო ეროვნულ-განმათავისუფლებლებისგან. 1921-22 წლებში ბოლშევიკთა წინააღმდეგ ორი აჯანყება მოეწყო (სვანეთსა და ხევსურეთში), რომლებიც სისხლში ჩაახშვეს, მაგრამ ნამდვილი სიმშვიდე არ დამდგარა, კონფლიქტები და მღელვარება პერიოდულად მეორდებოდა. საბჭოთა მთავრობამ სტალინს წინადადება მისცა, გამგზავრებულიყო კავკასიაში და ქართველებისთვის აეხსნა, რომ ისინი ცეცხლს ეთამაშებიან. პარტიული მისიის დასრულების შემდეგ, ქართველმა მეგობრებმა სტალინს დიდებული გაცილება მოუწყვეს. თამადამ, რომელიც სხვებზე ნაკლებს სვამდა, დასკვნითი სადღეგრძელო ქართულ ენაზე წარმოთქვა — საქართველოში სარეველამ იმძლავრა, საქართველო უნდა გადაიხნასო... ძველმა ქართველმა ბოლშევიკებმა — ბუდუ მდივანმა, ფილიპე მახარაძემ, მამია ორახელაშვილმა უსიტყვოდ გადაყლაპეს ღვინოც და სადღეგრძელოც. მერიქიფემ კი, თამადას უთხრა — სარეველასაც აღმოვფხვრით და საქართველოსაც გადავხნავთო, — და სასმისი დაცალა. თამადას საპასუხო სადღეგრძელო მოეწონა — იგი იოსებ სტალინი გახლდათ, ხოლო მერიქიფე — ახალგაზრდა „ჩეკისტი“ ლავრენტი ბერია, რომელიც მეორე დღესვე „ჩეკას“ უფროსის მოადგილედ დაინიშნა. ეს მოხდა 1922 წლის მიწურულს“.

იმ დღეებში ლევან რაზიკაშვილის დახვრეტის დადგენილებას ამტკიცებს საქართველოს „ჩეკას“ ხელმძღვანელი, ეპიფანე კვანტალიანი. მას მხარს უჭერს ლავრენტი ბერიაც. როგორც ჩანს, „საქართველოს გადახვნის“ და „სარეველას აღმოფხვრის“ დრო დამდგარიყო.

1923 წლის იანვრიდან, ბერიამ „საიდუმლო განყოფილება“ შექმნა და ანტისაბჭოთა მოძრაობას აქამდე არნახულად შეუტია. 1923 წლის 10 თებერვალს, გურიაში „ჩეკისტ“ ობოლაძის მკვლელობას, 150 კაცის დახვრეტით უპასუხა. სასტიკი იერიშები განავითარა ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეამბოხე რაზმის მხარდამჭერთა წინააღმდეგ. ამ „საგანგაშო დროს“ შეეწირა ლევან რაზიკაშვილი, რომლის სიცოცხლის შესანარჩუნებლად თავგამოდება ახლა უკვე აღარავის ძალუძდა. ბერიას ძალას სტალინისა და ძერჟინსკის ფარული თუ ხილული მხარდაჭერა ამაგრებდა. ლევან რაზიკაშვილის საქმის ბოლო „აქტში“ ნათქვამია: „საქართველოს „ჩეკას“ 1923 წლის 13 თებერვლის და საქართველოს „ჩეკას“ პრეზიდიუმის 1923 წლის 15 თებერვლის 913-ე მიწერილობის საფუძველზე, ჩემი, „საქჩეკას“ კომენდანტის მიერ 1923 წლის 15 თებერვლის ღამეს, 2 საათზე სისრულეში იქნა მოყვანილი სასიკვდილო განაჩენი — დახვრეტა. ქვემოთ დასახელებული განსასჯელია ლევან ლუკას ძე რაზიკაშვილი, 35 წლის. ყურადღებიანი დათვალიერების შემდეგ, ცხედრები დაფლული იქნა დახვრეტის ადგილას“.

ორჯონიკიძეს უპასუხია: ვაჟას შვილი კი არა, ცოცხალი რომ იყოს, ვაჟასაც დავხრეტდიო...

ლევანთან ერთად, 15 თებერვალს, ღამით კიდევ 9 პატიმარი გამოასალმეს სიცოცხლეს, მათ შორის — 3 ქართველი, „შანტაჟის“, „ყალბი ბანკნოტების გაყიდვის“, „შეირაღებული ძარცვის“ ბრალდებით.

„დახვრეტის აქტში“ არ არის მითითებული, თუ სად მოხდა განაჩენის აღსრულება. ეს საბჭოურ-„ჩეკისტური“ წესებით სასჯელის ერთგვარი ფორმა იყო და ამიტომ მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. სუკის არქივებში მომუშავე მკვლევრებს მხოლოდ ერთხელ შეხვდათ დახვრეტის ადგილის მიახლოებითი ორიენტირი: „სიკვდილმისჯილებს ვხვრეტდით თბილისიდან მე-18 კილომეტრზე, სოღანლუღთან. ამ კვალის მიდევნებით და სოღანლუღში მცხოვრებ უხუცესთა გამოკითხვით დადგინდა ზუსტი ადგილსამყოფელი. მაგრამ ეს, 30-იანი წლების მასობრივი დახვრეტების ადგილი აღმოჩნდა. ხოლო ის, თუ სად ხდებოდა პატიმართა დახვრეტა 20-იან წლებში, დღემდე უცნობია. უცნობია ისიც, თუ სად განისვენებს ლუკა რაზიკაშვილი. არქივმცოდნე ნ. ხუციშვილის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტიდან ჩანს, რომ „1923 წლის 10 ივლისს ფშავებსა თუ ხევსურებს, გოგონას გაუპატიურების საბაბით მოუკლავთ ლევანის ჩამშვები (სერგო სურგულაძე). ერთხელ კი, მწერალ გივი ბუთხუზისთვის ვიღაც მოხუცს გაუმხელია: „ლევან რაზიკაშვილი ჩვენ დავხვრიტეთ, ერთხელაც არ შეუხრია წარბი, გვეძახდა სამშობლოს გამყიდველებს, ხალხის მტრებს, მკვლელებს, მოტყუებით ჩამიგდეთ, ძაღლებო, არაო?.. არ შეგრჩებათ ჩემი დახვრეტა, მოვა დრო, ისევ აღდგება საქართველო, მომავალი თაობები კეთილად მოიხსენებენ სამშობლოსთვის დაცემულთ და ბრალი თქვენი, თქვე უწმინდურებო, რომ მომგონებელიც აღარავინ იქნება თქვენიო...“

■



ბოჩა მანველიძე

თეთრი სიკვდილი

დასაწყისი იხ. „გზა“, №34-7

ნიკა უღონოდ დაეშვა მუხლებზე და ანას ფრთხილად მოეფერა ხელზე. წამით მოეჩვენა, რომ მან შეხება იგრძნო და პასუხად უდნავ აამოძრავა თითები.

— ანა... — სახეში ჩააცქერდა ნიკა, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

— ანა... — აკანკალებული ხმით გაიმეორა ნიკამ.

— მას არ ესმის თქვენი... უგონოდაა, — მხარზე შეეხო ექიმი.

— არა, მას ესმის ჩემი!.. — ნიკამ მხარის გაქნევით მოიცილა ექიმი, წინ წაიწია, ანას მხრებზე მოხვია ხელები და კიდევ ერთხელ ჩასძახა: — ანა!

— შეჩერდით! — ექიმი ქურთუკში ჩააფრინდა და თავისკენ მოზიდა. — თქვენ მის მდგომარეობას გაართულებთ!

— ხელი გამიშვი! — შეეწინააღმდეგა ნიკა, მაგრამ ექიმი აღარ მოეშვა. წამის შემდეგ კი, პალატაში ორი სანიტარი შემოვარდა. გაერთიანებული ძალებით მათ შეძლეს ნიკას შებოჭვა და დერეფანში გაყვანა.

— შეგიძლიათ, მომისმინოთ? — განაგრძო ექიმმა, როდესაც ნიკა ოდნავ დამშვიდდა. — მე თქვენი დახმარება მჭირდება.

— რით დაგეხმაროთ?

— ჩემთან წამობრძანდით, — ექიმმა იქვე მყოფ მედდას, ანასთან დარჩენა უბრძანა და ნიკა თავისი კაბინეტისკენ წაიყვანა.

ექიმთან საუბარი მძიმე აღმოჩნდა ნიკასთვის. მან პირდაპირ უთხრა, რომ ანას გადარჩენის ძალზე მცირე შანსი ჰქონდა.

— და ეს ყველაფერი არ არის... — მცირე პაუზის შემდეგ დაამატა ექიმმა.

— გთხოვთ, ნურაფერს დამიმალავთ, — საფეთქლები მოისრისა ნიკამ.

— პაციენტი რა არის თქვენი?

— ცოლი.

— სწორედ თქვენთან მინდოდა ამაზე საუბარი. თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია მისი ორსულობის შესახებ...

— ორსულობის?! — გაფითრდა ნიკა.

— როგორ, თქვენ არაფერი იცოდით?! — გაუკვირდა ექიმს, მაგრამ ნიკას პასუხი არ გაუცია. გაგონილით გაოგნებულმა, სახე ხელებში ჩარგო და ფიქრს მიეცა.

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ანა მართლაც, უცნაურად გამოიყურებოდა. პერიოდულად, თავბრუ ესხმოდა და გულისრევაც აწუხებდა. მაგრამ ნიკას მაინც არაფერი გაუმხილა. მხოლოდ პირობა მისცა, რომ ჭელიძეების საქმის დასრულების შემდეგ, სასიამოვნო სიურპრიზს მოუწყობდა.

— რა სიურპრიზს? — უმალ დაინტერესდა ნიკა.

— საქმის შემდეგ... — თბილი ღიმილით უპასუხა მაშინ ანამ და აკოცა...

— ...ცუდად ხომ არ გრძნობთ თავს? — ექიმის კითხვამ ნიკა ფიქრს მოსწყვიტა.

— ნაყოფს რამე ემუქრება?

— სამწუხაროდ, ემუქრება, — ამოიოხრა ექიმმა.

— ექიმო, გთხოვთ, გადამირჩინეთ შვილი. მე არაფერს დავიშურებ ამისთვის! — გაჭირვებით წარმოთქვა ნიკამ.

— ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამისთვის. მაგრამ მაინც უნდა გაგაფრთხილოთ: შესაძლებელია, დედის სიცოცხლის შესანარჩუნებლად, უარი ვთქვათ ნაყოფზე.

— ეს ჯერ კიდევ გასარკვევია?

— დიახ. ჯერჯერობით, ზუსტი პროგნოზის გაკეთება შეუძლებელია. თქვენი მეუღლე უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება. დაზიანებული აქვს თავის ქალა, შინაგანი ორგანოები. ამასთან ერთად, დამსხვრეული აქვს თეძოს ძვალი... კლინიკაში მოყვანისას, მას მხოლოდ გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინეს. იმ წუთებში ჩვენ მისი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ვიბრძოდით. მაგრამ სრული გამოჯანმრთელებისთვის აუცილებელი იქნება რთული ოპერაციის ჩატარება. ოპერაცია იმდენად რთული იქნება, რომ მისი გადარჩენის გარანტიასაც ვერ მოგცემთ...

— ოპერაცია თქვენ უნდა ჩაატაროთ? — ყრუდ იკითხა ნიკამ.

— ოპერაციას ექიმთა ბრიგადა ჩაატარებს და მასში მეც ვიქნები. თქვენს მეუღლეს უკვე ამზადებენ საოპერაციოდ. მალე კონსილიუმი შედგება, რომელზეც საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ.

— ჩემზე რა არის დამოკიდებული?

— ჯერჯერობით, არაფერი. მხოლოდ ერთი თხოვნა მაქვს: ხელს ნუ შეგვიშლით და პალატაში შესვლას ნუ შეეცდებით.

— კეთილი, — ყრუდ ჩაილაპარაკა ნიკამ, — როდის გამცემთ პასუხს ჩემს კითხვაზე?

— მხოლოდ ოპერაციის შემდეგ. ახლა კი, მაპატიეთ. პაციენტთან უნდა დავბრუნდე, — თქვა ექიმმა და ადგა.

ნიკამ უბედური შემთხვევის დეტალები საავადმყოფოში გამომძიებლის მოსვლის შემდეგ შეიტყო. ავარია მაშინ მოხდა, როდესაც ის ბიბილურის ოპერაციის შედეგს ელოდა.

გამომძიებელმა მოკლედ უამბო მომხდარის შესახებ. ანა და გოგა ერთად მიდიოდნენ ქუჩაში, როდესაც მოსახვევიდან გამოვარდნილი მანქანა დაეჯახათ. ყველაფერი ძალზე სწრაფად მოხდა. შეჯახების შემდეგ, მძღოლს არც კი უფიქრია შეჩერება. პირიქით, სისწრაფეს მოუმატა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ავარია ტრაგიკული შედეგით დასრულდა: ანა მძიმედ დაშავდა, გოგა კი ადგილზევე გარდაიცვალა.

— მძღოლის შესახება რა იცით? — ნიკამ ხელით მოიწმინდა ოფლით დაცვარული შუბლი.

— არაფერი. ხომ გითხარით, ის შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. შემთხვევას ათამდე თვითმხილველი ჰყავდა. მათ აღწერეს ავტომობილი და დაიმახსოვრეს სანომრე ნიშნებიც. მაგრამ ამან არაფერი მოგვცა... მანქანა მალე აღმოვაჩინეთ. ის იმდენად დაზიანებულა, რომ მოძრაობის გაგრძელება შეუძლებელი გახდა და მძღოლმა ორიოდე გზაჯვარედინის გავლის შემდეგ მიატოვა.

— მისი ვინაობა ვერ დაადგინეთ?

— ჩვენ მხოლოდ ავტომობილის მფლობელის ვინაობა დავადგინეთ. მაგრამ მანქანა გატაცებული აღმოჩნდა, თან, მფლობელმა ჯერჯერობით, არაფერი იცოდა ამის შესახებ...

ნიკამ უნდობლობით სავსე მზერა ესროლა გამომძიებელს.

— საეჭვო არაფერია, — სწრაფად დაამატა მან, — ეს ზუსტადაა დადგენილი. ავტომობილი ვინმე ზარიძეს ეკუთვნის. ის სასურსათო მაღაზიის მფლობელია და მისი თანამშრომლები და კიდევ ათამდე მოწმე ადასტურებენ, რომ მან მთელი დღე მაღაზიაში გაატარა. ზარიძემ ასეთი ჩვენება მომცა: ის დილით მივიდა მაღაზიაში, მანქანა გვერდით ქუჩაზე, ჩიხში გააჩერა. რაც შეეხება ავტომობილის გატაცებას, — ეს ამბავი ზარიძემ ჩვენგან შეიტყო.

— სულ ეს არის?

— ჯერჯერობით, სულ ეს არის. თქვენც ხომ არ მომცემთ ჩვენებას? — პაუზის შემდეგ ჰკითხა გამომძიებელმა.

— მე?.. რა ჩვენებას ელით ჩემგან?.. — გაუკვირდა ნიკას.

— ჯერჯერობით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ეს მართლაც, უბედური შემთხვევა იყო. მაგრამ განზრახ მკვლელობასაც ვერ გამოვრიცხავთ. მით უფრო, რომ საქმე თქვენს მეუღლესა და გოგა წერეთელს ეხება. არავინ ვიცით, რა გარემოებები გამოიკვეთება შემდგომი ძიებისას და თქვენი დახმარების იმედიც მაქვს. თქვენ ახლო ურთიერთობა გქონდათ წერეთელთან. რამე ხომ არ გსმენიათ მისი მტრების შესახებ ან თქვენს მეუღლეს ხომ არ ემუქრებოდა ვინმე?

ნიკამ დაძაბული მზერით უპასუხა.

— უცნაური გკითხეთ რამე? — დაიბნა

გამომძიებელი.

— არა. მაგრამ მაინც არაფერი მაქვს სათქმელი, — ჩაილაპარაკა ნიკამ, შემდეგ, გამომძიებელს მხარი აუქცია და კარს მიაშურა, რომელშიც იმწუთას ნანამ შემოაბიჯა.

— როგორ მოხდა ეს? — ნანა ტირილით ჩაეკრა მკერდში. — სად არის?.. სად არის ანა?

— საოპერაციოში გაიყვანეს...

— ღმერთო ჩემო! — ტირილით გაანაგრძო ნანამ. — რა საშინელებაა!.. ცოტა ხნის წინ მაცნობეს ამის შესახებ. არ მჯერა... ვერ წარმომიდგენია, რომ გოგა დაიღუპა. ანა კი... რა გვეშველება, ნიკა?!

— არ ვიცი, ნანა. ახლა რამეზე ფიქრი არ შემიძლია. როგორ შევცდი: არ უნდა გამეშვა მარტო... ყველაფერს დავთმობდი, რომ იმ წუთებში მის გვერდით ვყოფილიყავი. ვიცოდი, რომ გოგას უნდა შეხვედროდა და ამან დამამშვიდა. გოგა კი... უხ, თქვენი!.. — ნიკამ ბრაზით გააღრჭიალა კბილები.

— ეს შემთხვევითობა არ არის, — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ნანამ.

— რა იცი ამის შესახებ? — მოიღრუბლა ნიკა.

— ანამ არაფერი გითხრა?

— არა. მხოლოდ ის მითხრა, რომ გოგას უნდა შეხვედროდა რაღაც საქმეზე.

— ჰო... გოგას უნდა შეხვედროდა, მაგრამ რისთვის?

— მაგაზე წარმოდგენა არ მაქვს. მგონი, არაფერი იყო მნიშვნელოვანი. ანას მშვიდად ეჭირა თავი.

— უბრალოდ, შენ დაგამშვიდა. იმ დღეს კი, მათი ოფისი გაქურდეს...

— გაქურდეს?! — გაუკვირდა ნიკას,.— რა უნდა წაეღოთ ოფისიდან?.. კომპიუტერი და პრინტერი?..

ნანამ ახლოს მიიწია ნიკასთან და ჩურჩულით უთხრა:

— ქურდებს სხვა რამ აინტერესებდათ: ჩელებაძის ვიდეოკასეტა!.. ოფისიდან არაფერი წაუღიათ. იქაურობა საგულდაგულოდ გაჩხრიკეს და როდესაც კასეტას ვერ მიაგნეს, ოფისიდან წავიდნენ... ანა დარწმუნებული იყო, რომ სწორედ იმ ჩანაწერს უკავშირდებოდა ქურდობა, მხოლოდ ერთი რამ ეჩვენებოდა უცნაურად: საიდან უნდა შეეტყოთ ჩანაწერის არსებობის შესახებ? ეს ჩვენ სამის გარდა არავინ იცოდა!..

— ნანა!.. — გაჭირვებით წარმოთქვა ნიკამ და თანამოსაუბრეს სახეში ჩააცქერდა.

— რა დაგემართა?! — ნანას შიში მოჰგვარა მისმა ამღვრეულმა მზერამ.

— არა, ეს შეუძლებელია!.. ყველაფერს დავიჯერებ, მაგრამ ამას — ვერა!.. — გაჭირვებით თქვა ნიკამ.

— რას გულისხმობ?

— არა... არაფერს... — ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა ნიკამ. — იქნებ, ეს მხოლოდ დამთხვევაა?..

— დამთხვევა?! ანამ პოლიციასაც კი არ აცნობა მომხდარის შესახებ. კასეტა სამალავიდან ამოიღო, რომ სხვაგან გადაემალა. ოფისიდან გამოსულს კი, მანქანა დაეჯახა... შენ შემთხვევითობა გგონია ეს?!

— მაშინ, სად გაქრა კასეტა? საავადმყოფოში მითხრეს, რომ მობილურისა და რაღაც ჩანაწერების მეტი ვერაფერი აღმოუჩინეს. მას ხელჩანთაც კი არ ჰქონია თან... — ნიკა გაჩუმდა, დაბნეული მზერა ესროლა ნანას და შემდეგ დაამატა: — მე რომ დამშორდა, ხელჩანთა ჰქონდა...

— ჰქონდა... და კასეტაც თან ჰქონდა. ოფისიდან გასვლის წინ, ტელეფონით დამიკავშირდა და მითხრა, რომ კასეტა საიმედო ადგილას უნდა გადაემალა...

— კასეტა გაქრა... — ჩაილაპარაკა ნიკამ.

— გაქრა, — დაუდასტურა ნანამ, — ხვდები, ვის ინტერესებში შედიოდა მისი გაქრობა?

— ვხვდები... მაგრამ მისთვის მოგვიანებით მოვიცლი. ახლა მთავარია, ანა გადარჩეს, სხვა არაფერი მაინტერესებს.

ნიკამ სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ საოპერაციოდან მისმა ნაცნობმა ექიმმა გამოაბიჯა და მისკენ წამოვიდა. ექიმის გადაღლილმა სახემ და ჩამქრალმა მზერამ უმალ მიახვედრა, რომ სასიხარულო ცნობის მოსმენის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

— როგორ არის? — ნიკამ ძლივს მოიკრიბა ძალა, ამ უბრალო კითხვის დასასმელად.

— ოპერაცია ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ მე უკვე შემიძლია გითხრათ, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება. ის იცოცხლებს და ჯანმრთელობასაც აღიდგენს, — უპასუხა ექიმმა.

— ნაყოფი?.. — გაუბედავად განაგრძო ნიკამ.

ექიმი კარგა ხანს იდგა გაჩუმებული, შემდეგ, უარის ნიშნად, თავი გააქნია და ყრუ ხმით დაამატა:

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მისი შენარჩუნება. ეს შეუძლებელი აღმოჩნდა...

ნიკას თვალთ დაუბნელდა. მოეჩვენა, რომ გარემომცველმა სამყარომ არსებობა შეწყვიტა. აზრმა, თუ როგორ მიიღებდა ანა ამ ცნობას, მტკივნეულ ტალღად გაურბინა გონებაში.

— ნაყოფი?! — სადღაც შორიდან მისწვდა ნანას აკანკალებული ხმა.

— ჰო... ის ორსულად იყო... — გამოერკვა ნიკა. — მეც არაფერი ვიცოდი ამის შესახებ...

— ღმერთო ჩემო!.. — ნანამ ცხვირსახოცით შეიმშრალა თვალზე მომდგარი ცრემლი. — ანა ვერ გადაიტანს ამას!

— მან არაფერი უნდა შეიტყოს ამის შესახებ! — ნიკამ ექიმს გაუსწორა მზერა.

— უკაცრავად, მაგრამ მე არ მაქვს დიაგნოზის დაფარვის უფლება, — დაიბნა ექიმი.

— არ უნდა შეიტყოს!.. გესმით?!. — ხმას აუწია ნიკამ. — თავის დროზე, მე თვითონ ვეტყვი ყველაფერს!

— კეთილი...

ნიკა რამდენიმე წამი უხმოდ იდგა. შემდეგ შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით გასასვლელისკენ წავიდა.

— ნიკა!.. — უკან დაედევნა მისი საქციელით გაოგნებული ნანა. მაგრამ ის აღარ შეჩერებულა. კარი უკან მოიტოვა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

დედა სიხარულით სავსე მზერით შეეგება ნიკას. ის ძალიან განიცდიდა მასა და დავითს შორის მომხდარ დავას და იმედოვნებდა, რომ ადრე თუ გვიან მამაშვილი მაინც გამონახავდა საერთო ენას და ოჯახი ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა.

— ასე როგორ შეიძლება, შვილო?! — თავისი გულისტკივილი გაუმხილა დედამ. — საერთოდ მოგვიძულე. რამდენი ხანია, რაც სახლში არ მოსულხარ?! როდემდე შეიძლება, გაგრძელდეს ასე?! დავითი დარდისგან დაილია. ცდილობს, არ მაგრძნობინოს, მაგრამ მაინც ვხვდები, რომ ძალიან განიცდის.

ნიკამ დუმილით უპასუხა.

— ერთი თხოვნა შემისრულე, — განაგრძო დედამ, — არ წახვიდე ახლავე. დავითი ახლახან გავიდა სახლიდან. დავურეკავ... ერთად ვივახშმოთ და ყველაფერი გავარკვიოთ. კარგი იქნება, თუ ანასაც მოიწვევ... ოდესმე ხომ უნდა მოეღოს ბოლო ამ გაუგებრობას?!

— ვერ მოვიწვევ, — შეაწყვეტინა ნიკამ. — ანა ავარიაში მოყვა და ახლა საავადმყოფოშია...

— და შენ აქ ხარ?! — დაიბნა დედა.

— საქმეზე მოვედი. დავითის სეიფის გასაღები მჭირდება!

დედამ დაბნეული მზერა ესროლა. კარგად იცოდა, რომ დავითი არავის აძლევდა მის სეიფში ჩახედვის უფლებას.

— გასაღები მჭირდება, დედა, — გაიმეორა ნიკამ.

ალბათ ფული სჭირდებაო, — გაიფიქრა თამარმა და გასაღების მოსატანად საძინებელს მიაშურა.

...ნიკამ სწრაფად მიაგნო იმას, რასაც ეძებდა — რამდენიმე პისტოლეტს, სათადარიგო მჭიდებსა და ვაზნებს, რომლებიც სეიფის ქვედა თაროზე ელაგა. სეიფის გახსნასა და პისტოლეტის წაღებას დავითის გაშმაგება რომ მოჰყვებოდა, კარგად იცოდა, მაგრამ ამას მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. ახლა თვალწინ მხოლოდ მესხი ედგა, რომლისთვისაც უკვე გამოტანილი ჰქონდა განაჩენი...

ნიკამ პისტოლეტებიდან ერთ-ერთი შეარჩია. დატენა, ჯიბეში სათადარიგო მჭიდიც ჩაიდო, კარს დასაკეტად წაეტანა და სწორედ ამ დროს, მისი ყურადღება ზედა თარომ მიიზიდა: იქ ვიდეოკასეტა იდო. ნიკამ ყურადღებით დაათვალიერა კასეტა, შემდეგ, უსიამოვნო მოლოდინით შეპყრობილი, შებრუნდა და ვიდეომაგნიტოფონი ჩართო...

ჩანაწერმა თავზარი დასცა: ეს ჩელებაძის კასეტა იყო!.. ნანახით გაოგნებული, უღონოდ დაეშვა სკამზე. სწორედ ამ დროს, ოთახში თამარი შემოვიდა. მან სწრაფი მზერა ესროლა ტელევიზორის ეკრანს, ნიკას გაფითრებულ სახეს და ჰკითხა:

— რა მოგდის, შვილო?

— დავითი სად არის?

— არ ვიცი, მაგრამ წასვლის წინ გამაფრთხილა, მალე დავბრუნდებიო, — უპასუხა დედამ.

— დაურეკე და უთხარი, რომ ველოდები, — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა ნიკამ, შემდეგ, თვალები დახუჭა და ფიქრს მიეცა.

დავითი იმაზე სწრაფად მოვიდა, ვიდრე ნიკა ვარაუდობდა. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ ჩქარობდა. სახეზე კი, აშკარად ემჩნეოდა მღელვარების კვალი.

ოთახში შემოსულმა, სწრაფად გახედა სეიფის ღია კარს. შემდეგ, ნიკას მიაბჯინა მზერა. შვილს არაფერი უთქვამს. მხოლოდ ვიდეომაგნიტოფონს გადასწვდა და ჩართო...

— და რა ამით?.. — ყრუ ხმით ჩაილაპარაკა დავითმა.

— მე მხოლოდ ერთ კითხვას დაგისვამ: საიდან გაქვს ეს კასეტა?

— დაგავიწყდა?.. — გაიკვირვა დავითმა. — შენ არ მომეცი კასეტა?

— მამა!.. — მთელი ხმით შეჰყვირა ნიკამ. — კმარა! როდემდე უნდა მატყუო?!

დავითმა მზერა აარიდა და აკანკალებული ხელით მოისრისა შუბლი.

— ეს ის კასეტა არ არის. ჩანაწერის ასლი მე თვითონ გავაკეთე და კარგად მახსოვს, როგორი იყო ის კასეტა, — ამ სიტყვებთან ერთად, ნიკამ ვიდეომაგნიტოფონიდან კასეტა ამოიღო და ლაპარაკი განაგრძო: — ეს კი — ორიგინალია! პირველი ჩანაწერი, რომელიც ჩელებაძემ გააკეთა და რომელმაც შეიწირა გოგა და ანა. იქნებ, ისიც მითხრა, რომ არაფერი იცი ამის შესახებ?!

— ვიცი, — ყრუდ ჩაილაპარაკა დავითმა.

— დღეს ვხვდები, რა ბეცი ვიყავი და რამხელა შეცდომა დავუშვი, როდესაც ის ჩანაწერი მოგეცი...

დავითისთვის ჩანაწერის გადაცემის შესახებ, ანასთვის, გოგასა და ნანასთვის არაფერი იყო ცნობილი, ეს გადაწყვეტილება ნიკამ მარტომ მიიღო. რისთვის მოიმოქმედა ეს?.. ამას მხოლოდ ერთი მიზეზი ჰქონდა: ნიკა დარწმუნებული იყო, რომ ჩანაწერის ნახვის შემდეგ, დავითი მესხის დაცვას შეწყვეტდა.

— მე გენდე. მინდოდა, რეალურად დაგენახა, თუ ვინ არის მესხი, — მღელვარე ხმით განაგრძო ნიკამ, — შენ კი... ხვდები, რა გააკეთე?

დავითმა ისევ დუმილით უპასუხა.

— იმას თუ ხვდები, რომ ხაზი გადაუსვი ჩვენს წარსულს და ახლა, როგორც შვილი, ისე არ გელაპარაკები?..

— მაშ, როგორ მელაპარაკები? — შუბლი შეიკრა დავითმა.

— როგორც მტერს! — ცივად მოსხიპა ნიკამ.

— მტერს?!

— სხვა რა ვუწოდო ადამიანს, რომელმაც მკვლელები მიუგზავნა ჩემს ცოლს?!

— ა-ა, თურმე ასეც ყოფილა საქმე!.. მაგრამ რატომ ხარ დარწმუნებული, რომ მე რაიმე მაკავშირებს ამ საქმესთან?

— მაშ, საიდან მოხვდა ეს კასეტა შენთან?

— ამის უამრავი გზა არსებობს...

— ერთი მაინც დამისახელე! — ხმას აუწია ნიკამ.

— ნუ ყვირი! — ბრაზი მოერია დავითს. — დედაშენს ყველაფერი ესმის!

— მე არაფერი მაქვს დასამალი. მან უნდა იცოდეს, ვინ ხარ შენ! დღეს აქ მხოლოდ ერთი მიზნით მოვედი — პისტოლეტისთვის, რათა მესხისთვის საკუთარი ხელით გამეხვრიტა შუბლი. ჩემი მეგობრისა და ცოლის სისხლი ამეღო!.. — ამ სიტყვებთან ერთად, ნიკამ პისტოლეტი მოიმარჯვა. — რა ვქნა ახლა? ვინ მოვკლა?..

— შენ რა, ხომ არ გგონია, რომ მე მახარებს ეს ამბავი?! — დავითმა შეფარული მზერა ესროლა პისტოლეტს. — მესხმა მართლაც, გადაამლაშა და ამით საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი. ამას არავინ შეარჩენს!..

— რას უზამ?.. სამსახურიდან დაითხოვ?.. ადრე გქონდა ამის შესაძლებლობა, დღეს კი — აღარ!.. მესხი ჩემი ხელით უნდა მოკვდეს. მაგრამ ახლა საქმე მას არ ეხება. ჯერ მე და შენ უნდა გავერკვეთ ერთმანეთში!..

— უკვე გითხარი, რომ ასეთი ჩანაფიქრი არავის ჰქონია. იმ ნაბიჭვარს შენამდე მე მოვუღებ ბოლოს!.. მართალი ხარ. შენი მოცემული ჩანაწერი მესხს ვუჩვენე. მაგრამ მე არ დამივალებია მისთვის თავდასხმის მოწყობა, მით უმეტეს — ვინმეს მოკვლა. მე მხოლოდ ერთი რამ ვთხოვე: სასწრაფოდ გაერკვია ურთიერთობა წერეთელთან და მდივანთან, მანამდე, ვიდრე ეს ინფორმაცია გაჟონავდა.

— მაინც, როგორ უნდა გაერკვია ურთიერთობა?.. — ჩაეძია ნიკა.

— ამის ბევრი გზა არსებობდა. თუნდაც, ჭელიძეების გათავისუფლება შეეთავაზებინა ან ნაღდ ფულად ეყიდა მათი დუმილი... ეს ჩემი საქმე არ იყო. იმ ნაბიჭვარმა კი, „კოზა ნოსტრას“ სტილში თავდასხმა მოაწყო და მერე, ერთ-ერთი თავისი ახვარის ხელით გამომიგზავნა კასეტა და შემოთვალა: მორჩა, ყველაფერი რიგზეაო!.. როგორ გგონია, გამიხარდა?.. წარმოიდგინე, რა მოჰყვება წერეთლის დაღუპვასა და მდივანის დასახჩრობას და — უფრო უარესი — ამ ჩანაწერის ამოტივტივებას?!. ჩვენ ხომ ცოცხლად შეგვჭამენ!..

— სხვა არაფერი გადარდებს?

— რა? — კითხვით უპასუხა დავითმა.

— გოგა და ანა... მე!..

— მერწმუნე, ნიკა, ძალიან ვწუხვარ, ასე რომ მოხდა. მაგრამ ახლა, რაღა დროსია?!. დროზე უნდა ჩამომეშორებინა ის ნაბიჭვარი საქმიდან... — შემრიგებლური ტონით ჩაილაპარაკა დავითმა.

— ისევ მატყუებ! ამაზე რაღას იტყვი?.. — ამ სიტყვებთან ერთად, ნიკამ მაგიდაზე ანას ჩანაწერები დაყარა.

— რა არის ეს? — დავითმა სწრაფი მზერა ესროლა ფურცლებს.

— ეს ანას ჩანაწერებია. ჩვენ მაინც მოვახერხეთ ის, რასაც მესხი გაურბოდა — ამოვყარეთ ჩვენთვის საინტერესო ტელეფონის ნომრები!

— რომელ ნომრებზეა ლაპარაკი?

— ჩვენ უკვე გვქონდა ამაზე საუბარი. ზარანდია-ფურცელაძის საქმეს ვგულისხმობ!

— ჰო... მახსოვს, — პაუზის შემდეგ ჩაილაპარაკა დავითმა.

— ეს ნომერი თუ გეცნობა? — ნიკამ ფურცელს დაადო თითი.

— არა... — დავითმა უყოყმანოდ გააქნია თავი.

— მე კი მეცნობა, — მზერა გაუსწორა ნიკამ, — ეს შენი ნომერია!.. იმ ღამით მკვლელები სამჯერ დაგიკავშირდნენ!!!

— რა სისულელეა! — დავითი სახეზე მშვიდი გამომეტყველების შენარჩუნებას ცდილობდა, მაგრამ ნიკამ მაინც შეატყო, რომ ის აღელდა.

— ეს ერთ-ერთი შენი ნომერია, რომელიც იმ საქმის შემდეგ მოიშორე თავიდან. გუშინ, გუშინწინ ამაზე ფიქრიც კი სისულელედ მომეჩვენებოდა, მაგრამ დღეს ვეღარაფერი გამაკვირვებს. ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ჩემთვის უკვე გასაგებია, რატომაც ცდილობდი საქმიდან ჩემს ჩამოშორებას, რატომ გადაეცი ძიება რომანს და როგორ მეურვეობას მიწევდა მესხი. დღეს ვხვდები, რომ მესხი არაფერ შუაშია. შენ... შენ იდექი ამ საქმის უკან და თურმე, მთელი ამ ხნის მანძილზე შენზე ვნადირობდი!..

ამის გაგონებაზე დავითმა ავად დააკვესა თვალები და უხეშად მიუგდო შვილს:

— ნუ ეჩრები იქ, სადაც არაფერი გესაქმება! ჩემთვის რომ გესმინა, ასეთ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით!.. როგორც ვხედავ, ისეთივე ჩიტირეკიად დარჩი, როგორიც ბავშვობაში იყავი. რა გგონია, შენ, მდივანი, წერეთელი რამეს შეცვლიდით?!. თუნდაც, მთელი საქართველოსთვის გეჩვენებინათ ის იდიოტური ჩანაწერი!.. გამოფხიზლდი, სხვა თვალით შეხედე სამყაროს. რას შეცვლის ის კასეტა?.. მესხსა და ერთი-ორ ნაბიჭვარს თუ გადაიყოლებს და რა მერე?!. ამით არაფერი შეიცვლება. არ შეიცვლება, იმიტომ, რომ სამყაროს პიროვნებები კი არა, რეალობა წარმართავს და ვიდრე ამქვეყნად არსებობს მწარმოებელი და მომხმარებელი, იარსებებს მომწოდებელიც!.. შენ კი, ერთ რამეს გირჩევ: ჯერ კიდევ გაქვს უკან დახევის შანსი. დაივიწყე ყველაფერი და ისარგებლე შესაძლებლობით, რომელიც ცხოვრებამ მოგანიჭა!..

ნიკა დიდხანს დუმდა. შემდეგ, ყრუ ხმით ჩაილაპარაკა:

— არ ველოდი შენგან ასეთ გულახდილობას. იმაზე სასტიკი ყოფილხარ, ვიდრე მეგონე. ვერ ხვდები, რომ ამით ჩემი ყველა ეჭვი დაამტკიცე და ამასთან ერთად, სამუდამოდ დამკარგე!..

— რაც გინდა, ის ქენი. მე მომბეზრდა ეს ჩიჩინი. სათქმელი გითხარი და არჩევანის უფლებაც მოგეცი. დანარჩენი შენი საქმეა, — ცივად მიახალა დავითმა.

ნიკამ სწრაფი მზერა ესროლა. შემდეგ ადგა, პისტოლეტი ქამარში გაირჭო, ვიდეომაგნიტოფონიდან კასეტა ამოიღო და თქვა:

— ბოროტება მაშინ იმარჯვებს, როდესაც კარგი ადამიანები გულხელდაკრეფილი სხედან!..

— რას მიაღწევ ამით? — ირონიული ღიმილი მოერია დავითს. — მესხის გაფარჩაკებას?.. ეს უშენოდაც მოხდება. თანაც, ერთი რამ გაითვალისწინე: საბრალდებო სკამზე მის მოხვედრას არავინ დაუშვებს...

— არა, — თავი გააქნია ნიკამ, — უფრო მაღლა ვუმიზნებ...

— მე გყავარ სამიზნეში? — გაეცინა დავითს.

— ჰო, — მშვიდად დაუდასტურა ნიკამ.

— და რით აპირებ ჩემთვის ანგარიშის გასწორებას?.. ეგ ჩანაწერი მაგისთვის არ გეყოფა. არც სატელეფონო ზარები...

— ვიცი, მაგრამ იქნებ ეს დამეხმაროს, — ამ სიტყვებთან ერთად, ნიკამ ჯიბიდან მინიატიურული დიქტოფონი ამოიღო.

იმის წარმოდგენამ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, ნიკა საუბარს იწერდა, დავითი გააშმაგა. ის სწრაფად წამოიჭრა ფეხზე და იყვირა:

— რა გინდა?! რის მიღწევას ცდილობ?! მე უნდა მომიღო ბოლო?! დედაშენზე თუ იფიქრე?..

— მე სწორედ მასზე ვფიქრობ. ვხვდები, რომ შენს შეჩერებას ვეღარ შევძლებ და არ მინდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ, რომელიღაც კაბინეტში ვინმე ისე ლაპარაკობდეს შენზე, როგორც შენ ლაპარაკობდი მესხზე!.. არ მინდა, რომ შენ რაიმე უბედურება შეამთხვიო დედაჩემს... მე ყველაფერი გითხარი და მივდივარ. ორივე ჩანაწერი თან მიმაქვს. დანარჩენი შენი გადასაწყვეტია. შეგიძლია, მესხი და სხვა მკვლელები ჩამიყენო კვალში, მაგრამ არ გირჩევ. ყველას საკუთარი ხელით დავანთხევინებ ტვინს!..

— პავლიკა მოროზოვივით იქცევი!.. — ბრაზით წამოიძახა დავითმა.

— პავლიკა მოროზოვი მამის სახით, იდეურ მოწინააღმდეგეს ებრძოდა და არა შვილის მკვლელს!..

— რა თქვი? — გაფითრდა დავითი.

— შენ მე დაუბადებელი შვილი მომიკალი, გესმის? საკუთარი შვილიშვილი მოკალი!.. ახლა კი იფიქრე, შეძლებ თუ არა ამის მონანიებას!.. — ცივად გამოცრა ნიკამ და კაბინეტის კარი გაიჯახუნა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

დასაწყისი იხ. გვ. 8

PEPSI-ს ქილა – 100 ათას დოლარად (?!.)

საკუთარი პროდუქციის გაყიდვის საგრძნობი ჩავარდნის შემდეგ, ლეგენდარული PEPSI თავისი ჭირვეული და ცვალებადი ხასიათის მყიდველის ინტერესის ხელახლა გაღვიძებას სულ სხვადასხვა გზით ცდილობს. ერთ-ერთი მათგანია, 100 ათას დოლარად შეფასებული ქილის გამოშვება. ვერცხლისგან დამზადებული ეს ქილა მთლიანად უძვირფასესი ქვებით — 3 ბრილიანტით, ასობით საფირონითა და ლალითაა შემკული.

TOPNEWS.RU

ანა ნიკოლ სმიტი პოლიტიკოსებს „ემუქრება“

„პლეიბოის“ ყოფილი ვარსკვლავს, ანა ნიკოლ სმიტის იდუმალებით მოცულ გარდაცვალებას პრესაში მისი პიკანტური ფოტოების გამოქვეყნება მოჰყვა. ბაჰამურმა გაზეთმა The Tribune of Nassau-მ თავის მკითხველს სმიტის საძინებელში გადაღებული ფოტოები შესთავაზა. მათზე ყოფილი ვარსკვლავი საკუთარ საძინებელში, ბაჰამის იმიგრაციის მინისტრ შეიხ გიბსონთან ჩახუტებულია აღბეჭდილი (ცნობისთვის, სწორედ გიბსონი გახლავთ ის თანამდებობის პირი, ვინც სმიტს ნასაუში მუდმივი ცხოვრების ოფიციალური უფლება მისცა). მიუხედავად იმისა, რომ „პლეიბოის“ ყოფილი ვარსკვლავი და ბაჰამის იმიგრაციის მინისტრი საწოლზე ჩაცმული არიან წამოწოლილნი, ამ ფოტოებს მაინც სერიოზული პოლიტიკური სკანდალი მოჰყვა.

TOPNEWS.RU

მოამზადა რუსუდან ლებანიძე

რუდ გულიტი — როკმუსიკოსის იმიჯის მქონე ფეხბურთის ვარსკვლავი

ალექსი რეხვიაშვილი

ჰოლანდიური ფეხბურთის ისტორიაში ორი „ოქროს ხანაა“: პირველი, გასული საუკუნის 70-იანი წლების ბრწყინვალე გუნდთან ასოცირდება, რომელშიც კრუიფი, ნეესკენსი, რენსენბრინკი თამაშობდნენ. მეორე პერიოდს კი, ჰოლანდიის ის ნაკრები უნდა მივაკუთვნოთ, რომლის ღირსებასაც, ასევე გასული საუკუნის 80-იან წლებში გულიტი, ვან ბასტენი და რაიკაარდი იცავდნენ. პირველ გუნდში „წმინდა“ ჰოლანდიელები თამაშობდნენ, ხოლო მეორის მაისურით არაევროპეოიდული რასის წარმომადგენლებიც ასპარეზობდნენ — წარმოშობით, ყოფილი კოლონიებიდან — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან და ვესტინდოეთიდან. ფერადკანიანმა ოსტატებმა მართლაც, გაამდიდრეს ტიტების ქვეყნის ეროვნული ნაკრების ფეხბურთი, როდესაც ჰოლანდიურ ტაქტიკურ ხელოვნებას, საკუთარი მოქნილობა და გრაცია შეუხამეს.

ასეთ ფეხბურთელთა რიგს უპირველესად, სურინამური წარმოშობის რუდ გულიტი უნდა მივაკუთვნოთ. ბრწყინვალე კარიერის პერიოდში მას გარეგნობით როკვარსკვლავს უფრო ადარებდნენ, ვიდრე სპორტსმენს. გრძელი, შეკრული თმით დღეს მოედანზე ვერავის გაკვირვებ, მაგრამ გასული საუკუნის 80-იან წლებში, საფეხბურთო სამყაროში ეს ჯერ კიდევ იშვიათი მოვლენა იყო. ამიტომ, შეიძლება ითქვას, გულიტი ერთ-ერთი იმ მოთამაშეთაგანია, რომელმაც სპორტის ნომერ პირველ სახეობაში განსხვავებულ ვარცხნილობას გაუწია რეკლამირება.

რუდ გულიტი მეტისი გახლავთ: მამით — სურინამელი, დედით — ჰოლანდიელი. უკვე ბავშვობაში, მისთვის ფეხბურთი იმაზე მეტი იყო, ვიდრე თამაში. სხვათა შორის, იგი ჰოლანდიური ფეხბურთის კიდევ ერთ ცოცხალ ლეგენდასთან, „ბარსას“ ამჟამინდელ მთავარ მწვრთნელ, ფრენკ რაიკაარდთან ახლოს ცხოვრობდა. ამიტომ ფრენკი

მინიდოსიე

დაბადების თარიღი: 1962 წლის 1-ელი სექტემბერი
დაბადების ადგილი: ამსტერდამი
ამპლუა: შემტევი ნახევარმცველი

გუნდური მიღწევები: ევროპის ჩემპიონი (1988); ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი (1989, 1990); ევროპის სუპერთასის მფლობელი (1990); საკონტინენტთაშორისო თასის მფლობელი (1990); ჰოლანდიის სამგზის ჩემპიონი; იტალიის სამგზის ჩემპიონი; ჰოლანდიის, იტალიის და ინგლისის თასების მფლობელი; იტალიის სუპერთასის სამგზის მფლობელი

პირადი მიღწევები: მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის ფედერაციის ვერსიით, XX საუკუნის პლანეტის საუკეთესო მოთამაშეთა რეიტინგში მე-18 ადგილი უკავია; ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი (1987); ევროპის ნომერ მე-2 ფეხბურთელი (1988); მსოფლიოს ნომერ მე-3 ფეხბურთელი (1988, 1989 — ჟურნალ „უორლდ სოქერის“ ვერსიით); ჰოლანდიის საუკეთესო ფეხბურთელი (1984, 1986); ჰოლანდიის საუკეთესო სპორტსმენი (1987).

და რუდი ერთად დასდევდნენ ბურთს ამსტერდამში. „მათ მიყოლებით 4 თამაშის ჩატარება შეეძლოთ“, — იხსენებს რუდის მამა.

ჰოლანდიის ნაკრების მომავალი კაპიტანი ყოველთვის, უფროსი ასაკის ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაშს ცდილობდა, რაშიც მას ფიზიკური მონაცემებიც ხელს უწყობდა. რუდი თანატოლებზე ერთი თავით მაღალი იყო, თან, ორჯერ უფრო სწრაფად დარბოდა. ისეც ხდებოდა, რომ გულიტი ბურთს თავის კართან ახლოს იღებდა, მეტოქის მთელ გუნდს ატყუებდა და გოლი გაჰქონდა. 15 წლის ასაკში ის

ჰოლანდიის სასკოლო ნაკრების ღირსებას იცავდა. უკვე მაშინ, ბრწყინვალე პროფესიონალურ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ 16 წლისა, მოულოდნელად, „აიაქსის“ სკოლაში დაიწუნეს. მასთან ერთად, ამ სკოლაში მოხვედრას ფრენკ რაიკაარდიც ცდილობდა და მიიღეს კიდეც. „მითხრეს, რომ უფრო გონივრული იქნებოდა, თუ შედარებით მოკრძალებულ გუნდში გავაგრძელებდი კარიერას“, — იხსენებდა შემდგომ, გულიტი. „შედარებით მოკრძალებულ გუნდად“ „ამსტერდამი“ იქცა, რომელშიც მისი დებიუტი შედგა. 17 წლის ასაკში კი, რუდმა თავისი პირველი პროფესიონალური კონტრაქტი „ჰარლემთან“ გააფორმა. ნაკრებში კი, მაშინ მიიწვიეს, როცა 19 წლის იყო. მაგრამ გუნდის ძირითად მოთამაშედ 3 წლის შემდეგ მოევლინა გულშემატკივრებს.

რუდის აღმასვლა 1982 წლიდან დაიწყო, როდესაც ის „ფეინოორდში“ აღმოჩნდა. სწორედ მაშინ, იმავე კლუბში იოჰან კრუიფი სათამაშო კარიერას ასრულებდა. გულიტის თქმით, „მფრინავ ჰოლანდიელთან“ ერთად თამაში მისთვის, დიდ სიამოვნებასთან ერთად, ოსტატობის ამაღლების ჩინებულ შესაძლებლობასაც წარმოადგენდა. როტერდამს ხშირად, ამსტერდამისადმი ანტაგონისტურად განწყობილ ქალაქად მოიხსენიებენ, მაგრამ როგორც რუდი ამბობს, მას ეს ანტაგონიზმი არ უგრძნია — შეიძლება, იმიტომ, რომ „აიაქსის“ ფანი არასოდეს ყოფილა.

„ფეინოორდის“ შემადგენლობაში გატარებული პერიოდიდან, საუკეთესო აღმოჩნდა 1983-1984 წლების სეზონი. გუნდმა „ოქროს დუბლი“ შეასრულა — ჰოლანდიის ჩემპიონატსა და თასის გათამაშებაში გაიმარჯვა. გულიტით კი, ეინდჰოვენის პსვ დაინტერესდა. რუდი ახალ კლუბში გადავიდა. „ფეინოორდში“ იგი ლიბეროს პოზიციაზე გამოდიოდა, ხოლო პსვ-ში მას მოიერიშე მოთამაშის ფუნქცია დააკისრეს. ამგვარად, გულიტი პლეიმეიკერად იქცა. უჩვეულო სისწრაფის (100 მ-ს 10 წმ-ში გარბოდა), მოედნის ხედვის უნაკლო ნიჭის, ბრწყინვალე ტექნიკისა და არაორდინარული საფეხბურთო აზროვნების წყალობით, რუდ გულიტი ჯერ პსვ-ს, მოგვიანებით კი — „მილანისა“ და ჰოლანდიის ნაკრების ლიდერი გახდა. ის თანაგუნდელებს გამოზომილი პასებით ამარაგებდა, მეტოქის შეტევებსაც შლიდა და გოლებიც გაჰქონდა. 1985-1986 წლების სეზონში, ჰოლანდიის ჩემპიონატში 24 გოლი გაიტანა, ხოლო შემდგომ პირველობაში 22-ჯერ გამოიჩინა თავი. ორივე შემთხვევაში ეინდჰოვენელებმა პირველი ადგილი დაიკავეს.

გასაკვირი არ უნდა ყოფილიყო, რომ ამის შემდეგ, სუპერკლუბების მესვეურებმა მის მიმართ დიდი ინტერესი გამოიჩინეს. მათ შორის ყველაზე მეტად, სილვიო ბერლუსკონი აქტიურობდა. მედიამაგნატს ახ-

ალი ნაყიდი ჰქონდა „მილანი“. მას სურდა, რომ კლუბისათვის ძველი დიდება დაებრუნებინა. ამიტომ, სენიორ სილვიომ გულიტის სანაცვლოდ, იმ დროისთვის სარეკორდო თანხა — 10 მილიონი დოლარი გაიღო. ამასთან, ფეხბურთელის შრომის ანაზღაურებაც სარეკორდო გახლდათ — წელიწადში 2,2 მლნ. გულიტთან ერთად, ბერლუსკონიმ რაიკაარდიც შეიძინა, ოღონდ — უფრო იაფად. ასე აღმოჩნდნენ ძველი მეგობრები იტალიური ფეხბურთის საკლუბო გრანდში. ტელემაგნატის კიდევ ერთ სუპერშენაძენად მარკო ვან ბასტენი იქცა, თუმცა ამ უკანასკნელს ტრავმის გამო, „მილანში“ პირველი სეზონი პრაქტიკულად, ჩაუვარდა. სამაგიეროდ, გულიტი თავიდანვე უმაღლეს დონეზე ათამაშდა. ერთხელ, ის ფაქტობრივად, მარტო გაუსწორდა „ნაპოლის“ (4:1), რომელშიც უკვე მარადონა ბრწყინავდა. ჟურნალისტებმა კი, 1987 წლის, ევროპაში საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. რაც შეეხება „მილანს“, — 10-წლიანი პაუზის შემდეგ, გუნდმა კვლავ მოიპოვა „სკუდეტო“.

1988 წლის ზაფხული ჰოლანდიის ნაკრებისთვის ტრიუმფული იყო ევროასპარეზზე. ამ ტურნირის ფინალური შეხვედრიდან, რომელშიც ჰოლანდიელებს მეტოქეობას საბჭოთა ფეხბურთელები უწევდნენ, ძირითადად, ყველა, ვან ბასტენის სუპერგოლს იხსენებს, მაგრამ მანამდე, დასაევის კარი გულიტმა აიღო.

სამწუხაროდ, 1988 წლის შემოდგომაზე გულიტმა სერიოზულად დაიზიანა მუხლი, რის გამოც, არაერთი ოპერაცია გაუკეთეს. 1989 წლის 19 აპრილს, „მილანმა“ ერთ-ერთი თავისი ბრწყინვალე მატჩი ჩაატარა, როდესაც ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში, „რეალი“ 5:0 დაამარცხა. თითო-თითო გოლი გულიტმა, რაიკაარდმა და ვან ბასტენმა გაიტანეს. რუდმა ტრავმირებული მუხლი კვლავ იტკინა, რის შემდეგაც, ისევ დასჭირდა ქირურგიული ჩარევა. ოპერაცია 21 აპრილს გაუკეთეს. „სტიაუასთან“ ფინალურ შეხვედრამდე, თვე და სამი დღე რჩებოდა — დრო, რომელიც მოედანზე გასასვლელად საჭირო კონდიციის დასაბრუნებლად საკმარისი ნამდვილად არ იყო. მიუხედავად ამისა, გულიტმა მაინც შეძლო ბარსელონაში „ნოუ კამპზე“ გასვლა, თუმცა ექიმები ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ. „მილანმა“ 4:0 მოიგო. გულიტმა და ვან ბასტენმა ორ-ორ გოლი გაიტანეს. „მატჩის დაწყებიდან მხოლოდ 5 წუთი იყო გასული, როდესაც მივხვდი, რომ გავიმარჯვებდით, — იხსენებს რუდი, — ძალიან კარგად ვთამაშობდით. მოედანზე ნამდვილად გენიალურები ვიყავით“.

ტრავმის გამო, 1989 წლის ივნისიდან, 1990 წლის აპრილამდე, გულიტი მოედანზე არ გასულა. მას კიდევ 3 ოპერაცია გაუკეთეს. „მილანში“ კი, მოედანზე მისი დაბრუნების აღარც სჯეროდათ და შემცვლელის მოძებნასაც აპირებდნენ. ასეთად გეორგ ჰაჯის მიიჩნევდნენ, რომელიც იმხანად, „რეალში“ თამაშობდა. მაგრამ ჩემპიონთა თასის მომდევნო გათამაშების ფინალურ სტადიაზე რუდმა ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ჩამოწერა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო: „მილანმა“ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ბენფიკა“ და ეს ერთადერთი გოლი, გულიტის შესანიშნავი პასის წყალობით, რაიკაარდმა გაიტანა.

1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატიდან ჰოლანდიის ნაკრები სამშობლოში უმედლოდ დაბრუნდა. „გულიტი და კომპანია“ გერმანიის ნაკრებთან დამარცხდა, რომელიც ოქროს მედლებს დაეუფლა. ჰოლანდიელებმა გერმანელებზე რევანშის აღება „ევრო 1992“-ის ჯგუფურ ეტაპზე მოახერხეს (3:1). თანაც, გულიტმა თავისი მეურვე, მიხაელ ფრონცკეი აბსოლუტურად დაჯაბნა. ჰოლანდიის ნაკრები ტურნირზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო, მაგრამ ნახევარფინალში, პენალტების სერიის შედეგად, მომავალ ჩემპიონ — დანიის გუნდთან დამარცხდა. იმ პერიოდში, „მილანის“ მთავარი მწვრთნელის პოსტი, არიგო საკის ნაცვლად, ფაბიო კაპელომ დაიკავა. ამ ცვლილებით ყველაზე მეტად გულიტი დაზარალდა. იმ თავისუფლებისგან, რომელსაც ჰოლანდიელ ვარსკვლავს საკი ანიჭებდა, კაპელოს შემთხვევაში, აღარაფერი დარჩა. ახალი მწვრთნელი რუდს მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებდა, სადაც ჰოლანდიელი სრულად ვერ ამჟღავნებდა თავის პოტენციალს. ამასთან, ის სულ უფრო ხშირად ხვდებოდა სათადარიგოთა სკამზე. რუდი ჯერ „ბაიერნში“ გადასვლას აპირებდა, მაგრამ შემდეგ, გადაწყვეტილება შეცვალა და უპირატესობა „სამპდორიას“ მიანიჭა. ახალ კლუბში მას აგრძნობინეს, რომ მოედანზე ყველაფრის გაკეთება შეეძლო, რაც მოესურვებოდა. იმ სეზონში 15 გოლი გაიტანა და „სამპდორიას“ იტალიის თასი მოაგებინა. 1994 წელს ჰოლანდიელი სერია A-ს საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

1995 წელს რუდ გულიტმა ისეთი მაცდუნებელი წინადადება მიიღო „ჩელსისაგან,“ რომ უარი ვერ თქვა. შემტევი ნახევარმცველის ამპლუაში მრავალწლიანი თამაშის შემდეგ, ლონდონურ კლუბში გულიტი ისევ ლიბეროს პოზიციას დაუბრუნდა. მომდევნო წელს, „ჩელსის“ მოთამაშე მწვრთნელმა ადგილი გულიტს დაუთმო. ჰოლანდიელმა ჯერ ჯანლუკა ვიალი შეიძინა, შემდეგ, გუნდთან ერთად, ინგლისის თასი მოიგო. 1998-ში მან მოულოდნელად დატოვა გუნდი, და ამის მიზეზად, გადაღლა დაასახელა...

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გასული საუკუნის 80-იან წლებში, გულიტს გარეგნობით როკმუსიკოსს ადარებდნენ. ახალგაზრდობაში ის მართლაც, გატაცებული იყო მუსიკით. რუდი გიტარაზე უკრავდა და ერთ დროს როკჯგუფსაც ედგა სათავეში. 1988 წელს, გერმანიაში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ, გულიტი და რაიკაარდი ერთად ისვენებდნენ, როდესაც რუდმა თავისი სიჭაბუკის მეგობართან სტუმრობა გადაწყვიტა. მათ ერთად „ძველი, კეთილი, როკ-ენ-როლური დრო“ გაიხსენეს, მაგრამ რას წარმოიდგენდა გულიტი, რომ ეს ყველაფერი მაგნიტოფირზე იწერებოდა?! მალე, რუდის მეგობარმა ამ ჩანაწერით ფირფიტა გამოუშვა. კომერციული გათვლა უშეცდომო აღმოჩნდა: საფეხბურთო დიდების მწვერვალზე მყოფი გულიტისა და რაიკაარდის ჩანაწერი, რომელიც წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით არაფრით გამოირჩეოდა, დიდი ტირაჟით გაიყიდა, რისი წყალობითაც, მისმა გამომცემელმა საკმაოდ დიდი თანხა იშოვა. ამონაგებიდან თავად ფეხბურთელებს არაფერი ერგოთ, მაგრამ მათ სულგრძელობა გამოიჩინეს და პროექტის ავტორისთვის სასამართლოში არ უჩივლიათ...

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108



(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

MK

ვინ გააქრომს თუნიკოლორგე ანძას?

გასულ კვირას, ერთ-ერთი წიგნის მაღაზიაში შესვლისას ჩემი ყურადღება ილუზიონისტ ზურაბ ვადაჭკორიას წიგნმა — „111 ფოკუსი“ მიიქცია. ის შარშანდელი წლის დამლევს არის გამოცემული. წინასიტყვაობაში ავტორი წერს: „გადავწყვიტე, 111 ფოკუსი გაშიფრული სახით ფართო საზოგადოებისთვის მიმეწოდებინა, რათა ამ ჟანრით დაინტერესებულ ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონდეთ, ილუზიის საიდუმლოებას გაეცნონ და დამოუკიდებლად შეძლონ ახალი ფოკუსის შექმნა. ეს კი ჯანსაღი კონკურენციის საწინდარია“.

ზურაბ ვადაჭკორიას ეტყობა, რომ არ აშინებს თუკი, ვთქვათ, მე და ჩემს მეგობარ ჟურნალისტებს მისი წიგნიდან ნასწავლი ფოკუსების კეთება შეგვიტყუებს და ერთ მშვენიერ დღეს, მაგალითად, ქანდაკების გაქრობის სურვილიც გაგვიჩნდება. მით უფრო, 103-ე გვერდზე თავიდან ბოლომდე გაშიფრულია ამ ფოკუსის გაკეთების საიდუმლო. „ორ სვეტს შორის ქანდაკება დგას. სვეტებზე ოქროსფერი ქსოვილი ეშვება. შემდეგ, ქსოვილი ძირს ეცემა და ქანდაკებაც ქრება“...

ფოკუსი კი ასე იხსნება: ოქროსფერი ქსოვილის პარალელურად, შავი ქსოვილი ეშვება, შემდეგ ოქროსფერი ქრება, შავი კი რჩება და ქმნის ილუზიას, თითქოს, ქანდაკება გაქრა. ფოკუსი თურმე, აუცილებლად სიბნელეში ანუ ღამით უნდა გაკეთდეს, რათა აღწერილი მანიპულაცია მაყურებლისთვის შესამჩნევი არ იყოს.

თქვენი არ ვიცი და წიგნში ნანახ სხვა ფოკუსებს: „ქალის გახერხვა“, „ქალის დაპრესვა“, „სასიკვდილო ხერხი“, „ქირურგიული ოპერაცია“ — ისევ „ქანდაკების გაქრობამ“ გადასძლია და ამ მეთოდით თბილისის სატელევიზიო ანძის გაქრობის სურვილი გამიჩნდა, რადგან მიმაჩნია, რომ უფრო ორიგინალური და ეფექტური იქნება.

ჰო, მართლა, როგორც მახსოვს, ზურაბ ვადაჭკორია რამდენიმე წლის წინ, „ქართველის დედის“ გაქრობას აპირებდა, მაგრამ მას ეს პროექტი, რატომღაც განუხორციელებელი დარჩა. ამ ყველაფრის შემდეგ, სურვილი გამიჩნდა, ზურაბ ვადაჭკორიასთვის რამდენიმე კითხვით მიმემართა.

— „ქართველის დედის“ გაქრობა რატომ არ მოხდა?

— ამ ფოკუსის გაკეთება ჯერ კიდევ 1993 წელს დავაპირე და იქიდან მოყოლებული, სულ ვცდილობდი, რომ როგორმე ქალაქის ხელმძღვანელობასთან ჩემი გამეტანა და მიზნისთვის მიმეღწია, მაგრამ ეს ეროვნული საკითხია — „ქართველის დედას“ ნუ შეეხებიო, — მითხრეს. არადა, თავად ძეგლის ავტორთან, ბატონ ელგუჯა ამაშუკელთან მივედი და მისგან ნებართვა ავიღე. თან ინჟინერიც მახლდა, რომელსაც ამ პროექტში მონაწილეობა უნდა მიეღო. ისე, ბატონმა ელგუჯამ ერთი კი მკითხა: ძეგლს ხომ არაფერი მოუვაო?.. როდესაც გაიგო, რომ მე მას ხელით არ შევეხებოდი, დამშვიდდა.

— ქალაქის ხელისუფლებიდან ვისი დასახელება შეგიძლიათ, ვინც ამ საქმეზე უარი გითხრათ?

— ვანო ზოდელავა, გია შერაძე, ნიკო ლეკიშვილი. სხვათა შორის, ჯუმბერ ლეჟავა, როგორც ფიზიკოსი, მეცნიერი მეხმარებოდა, მას აინტერესებდა ეს ფოკუსი. მერე, საბოლოოდ რომ მითხრეს — მაგ საქმეს თავი დაანებეო, შევეშვი. მართლაც, მაშინ პოლიტიკურად რთული სიტუაცია იყო საქართველოში...

— პროექტს ალბათ, დიდძალი თანხა სჭირდებოდა. სპონსორი თუ გყავდათ?

— რა თქმა უნდა. იყო მოსკოველი ბიზნესმენი, ინვესტორი, რომელიც სერიოზული თანხით აფინანსებდა ამ საქმეს. თან ვაპირებდი, რომ ღამით კი არა, დღისით გამეკეთებინა, რაც უფრო მეტ სახსრებს მოითხოვდა — ამისთვის სპეციალური ტექნიკა იყო საჭირო.

— იმის გამო, რომ ფოკუსი — „ქანდაკების გაქრობა“ არ განგახორციელებინეს, მერე ადექით და თქვენს წიგნში გაშიფრეთ?

— დიახ. 2005 წელს, ჯერ ჩემს საიტზე — www.Magiczura.com — ავხსენი და ბოლოს, 2006 წელს გამოცემულ ჩემს წიგნში — „111 ფოკუსი“.

— იცით, რომ მე ტელეანძის გაქრობის სურვილი გამიჩნდა, მას მერე, რაც თქვენი წიგნი წავიკითხე?

— არ არის პრობლემა. თან, შენ კი არა, მაგ ფოკუსის გაკეთება ყველას შეუძლია. მე მომეწონა, რომ შენ არა ძეგლს, არამედ ანძის გაქრობის სურვილი გაგიჩნდა. უფრო მაგარი იქნება. ■

ჯაბა ქარსელაძე „გასამდა“

მომღერალ-ფინანსისტ-ბიზნესმენი ჯაბა ქარსელაძე გვპირდებოდა — შოკის მომგვრელი კლიპის პრეზენტაციას ვგეგმავ და აბა, გამაგრდითო!.. დადგა ეს ნანატრი დღეც და უამრავი ადამიანი შეიკრიბა რესტორან „თუ საიდში“. იყვნენ ადამიანები სხვადასხვა სფეროდან, თუმცა, უმეტესობა მაინც შოუბიზნესიდან გახლდათ. ერთი შეხედვით, მაინც ბევრი ახალი სახე შევნიშნეთ, ძველი, ცნობილი, კაშკაშა ვარსკვლავები უფრო მწირად იყვნენ წარმოდგენილნი. საპრეზენტაციო საღამო ლიზა ვადაჭკორიამ გახსნა და შესაბამისად, თავადვე გაუძღვა ღონისძიებას. შემდეგ კი, რეჟისორ ირაკლი ჯაოშვილის ნამუშევარიც აჩვენეს — ჯაბას ახალი კლიპი, რომელიც ცნობილ ფრანგულ კომპოზიციაზეა შექმნილი. ამ ყველაფრით კი დაიმსხვრა მითი იმის შესახებ, თითქოს ვიდეორგოლი ფრანგების მიერ იყო გადაღებული. თუმცა, მთავარი ინტრიგა წინ გველოდა. ჯაბა ქარსელაძე კლიპის ფინალში

თვალსა და ხელს შუა გაგვისამდა, ერთი ჯაბა კი არა, სამი სხვადასხვა სახის ჯაბა გვიმღეროდა და გვიმზერდა ეკრანიდან. როგორც გვითხრეს, მთავარი ინტრიგაც ეს არისო.

მომღერალს ეს ნამუშევარი საფრანგეთში მიაქვს და ტელეარხ MSM-ზე უჩვენებენ. კლიპი დეკემბერში კლუბ „გვირაბში“ გადაუღიათ. „გასამებულ“ ჯაბასთან ერთად, სამი ულამაზესი ქართველი გოგონაც მონაწილეობს. კლიპის შეფასებას მაყურებელი ჩვენი კომენტარის გარეშეც იოლად მოახერხებს — ის ჩვენს ტელეეთერში უკვე გადის და ბევრი ადამიანისგან ამ კლიპის მიმართ საქებარი სიტყვებიც მსმენია. მიუხედავად ამ ყველაფრისა, მომღერალი შოუბიზნესში დაბრუნებას მაინც არ აპირებს, ამბობს, რომ ეს მხოლოდ ერთჯერადი პროექტი იყო. ■

„არტ-ფორუმისა“ და „რუსთავი 2“-ის „ძმური“ პროექტი

ჯაბა ქარსელაძის კლიპის პრეზენტაციის პარალელურად, კლუბ „ნაით ოფისში“ საპროდიუსერო კომპანია „არტ-ფორუმის“ და „რუსთავი 2“-ის მიერ ორგანიზებული კონცერტი დაიწყო. ეს ორი კომპანია ცოტა ხნის წინ შემოქმედებითად გაერთიანდა. „არტ-ფორუმის“ პროექტების სარეკლამო მხარე „რუსთავი 2“-მა თავის თავზე აიღო. იმ საღამოს კლუბ „ნაით ოფისში“ ლეგენდარული ჯგუფი „რიკი ე პოუერი“ მღეროდა. ისინი დაპირებული ორსაათიანი პროგრამის ნაცვლად, სცენაზე სამ საათს დარჩნენ და მგონი, რაც კი ცხოვრებაში საერთოდ უმღერიათ, ყველა სიმღერა შეასრულეს, რითიც უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს იქ მყოფებს (რომელთა რიცხვი არცთუ ისე ცოტა გახლდათ). საღამო ნანიკო ხაზარაძემ გახსნა, შემდეგ მიკროფონი ქართველ მომღერალ კიკის გადასცა, რომელმაც სტუმარმასპინძლობის რიტუალი ჩაატარა და ორი სიმღერა შეგვისრულა, შემდეგ კი, სამი ლეგენდა სცენაზე გამოჩნდა და დარბაზი აიყოლია.

„არტ-ფორუმსა“ და „რუსთავი 2“-ს სულ მალე ანჟელიკა ვარუმის ჩამოყვანა აქვს განზრახული, რისთვისაც მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

ხოლო რაც შეეხება „რიკი ე პოუერს“, — ჯგუფმა გასული საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო სვლა პოპულარობისკენ და არაერთი უკდავი ჰიტი შეასრულა, დაამტკიცა, რომ დღესაც აქტუალური და პოპულარულია. ■

რატომ გააცარა ვალენტინობის დღე გოგა ხაჩიძემ სამშობიაროში

გასულ კვირას, სილამაზის სალონში სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორის, გოგა ხაჩიძის ვაჟი — 11 წლის ***მევიკო ხაჩიძე*** *გავიცანი. სწორედ მისგან შევიტყვე, რომ ბატონ გოგას 14 თებერვალს — ვალენტინობის დღეს მეორე ვაჟი შეეძინა. მევიკო იმ საღამოს სალონში თავის დეიდას — თეა აბაშმაძეს (შალვა რამიშვილის მეუღლე) ახლდა.*

— რა დაარქვით ბატარას?

— დაჩი.

— ვის ჰგავს?

— (საუბარში თეა ერთვება) ჩემს დას. არის ჯანმრთელი და ლამაზი ბავშვი. წონით 3 კილო და 500 გ დაიბადა, სიგრძით — 52 სმ. ჩემი და უზომოდ ბედნიერია.

— ბავშვის მამა სამშობიაროში თუ იყო მისული?

— რა თქმა უნდა! ვალენტინობის დღე ყველამ ერთად, სამშობიაროში გავატარეთ. როგორც ჩემმა დამ მითხრა, გოგამ თავის მეუღლეს იმ დღეს, სიყვარული კიდევ ერთხელ აუხსნა და სამშობიაროდან გამოსვლის შემდეგ, სიურპრიზს დაჰპირდა.

— მევიკო, რას მეტყვი, როგორი მამიკო გყავს?

— ის ბოლო დროს, ახალციხეშია და მე ძირითადად, ტელეფონით ვუკავშირდები, ხანდახან თავისთან მივყავარ ხოლმე. მამა ჩემ მიმართ მკაცრიც არის, კეთილიც და მხიარულიც.

— ის წარსულში მომღერალი იყო. დღესდღეობით, სახლში თუ მღერის ხოლმე?

— ხანდახან და თან, ტამტამებზეც უკრავს.

— შენ არ მღერი?

— მე ვიოლინოსა და ფორტეპიანოზე დავდივარ. ცოტას ვზარმაცობ. მამიკო მეჩხუბება — ისწავლე, იმეცადინეო.

— ცელქი ხარ?

— ცოტა.

— რომელ სკოლაში სწავლობ?

— 55-ში. ჩვეულებრივი მოსწავლე ვარ.

— რა საგნები გიყვარს?

— ბუნება და ლიტერატურა.

— უცნობ ადამიანებს თავს როგორ აცნობ ხოლმე?



— იცით, ერთი მეგობარი მყავს, როდესაც ვიღაცას ვეცნობით, ის მასწრებს და ჩემზე ეუბნება — ეს გუბერნატორის შვილიაო, — რაც არ მსიამოვნებს.

— რატომ?

— მერე, რა მოხდა, თუ გუბერნატორის შვილი ვარ?! რაში მჭირდება ასეთი გაცნობა?! ცუდი არ არის, მაგრამ ცოტათი ვბრაზდები ხოლმე.

— შენს ძამიკოს როგორ მოექცევი?

— დედას მის გაზრდაში უნდა მოვეხმარო. პირველ დღეს, როცა დაიბადა, მე და მამამ ერთად ვნახეთ და მივხვდი, რომ სამივენი ერთმანეთს ვგავართ...

— გილოცავ ძამიკოს დაბადებას!

— მადლობთ! ■

Opel-ის კონცეპტუალური მოდელი

კომპანია Opel ჟენევის ავტოშოუზე წარსადგენად, ახალ კონცეპტუალურ მოდელს ამზადებს, რომლის შესახებაც ინფორმაცია ჯერჯერობით გასაიდუმლოებულია. მიუხედავად ამისა, კონცერნ Europe-ის სპეციალურ საიტზე, რომელიც ავტოშოუს ეძღვნება,

სიახლის მხოლოდ ერთი გამოსახულებაა განთავსებული. ზუსტად რის ჩვენებას აპირებს „ოპელი“ შვეიცარიაში, უცნობია. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს შეიძლება, მოდელის — Opel Vectra — სრულიად ახალი თაობის პროტოტიპი იყოს, რომლის დებიუტიც, 2008 წლისთვის იგეგმება. სხვები მიიჩნევენ, რომ ჟენევაში დამთვალიერებლები სამოდელო რიგის ახალი ფლაგმანის წინასერიულ ვერსიას იხილავენ — ავტომობილს, რომელიც Opel Omega-ს მსგავსი იქნება. აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ ჟენევის ავტოსალონზე „ჯენერალ მოტორსი“ ოთხი ევროპული და ოთხი მსოფლიო პრემიერის მოწყობას გეგმავს. ■

Mercedes G-Class ცხადდება

Mercedes G-Class, რომელიც 29 წელია, რაც სერიოზული ცვლილებების გარეშე გამოდის, მიმდინარე წელს კვლავ უმნიშვნელოდ შეიცვლება. მოდერნიზებული ავტომობილის პრემიერა ჟენევის ავტოშოუზე იგეგმება, ხოლო გაყიდვა ზაფხულისთვის დაიწყება. გარეგნულად, განახლებული G-Class პრაქტიკულად, არ შეცვლილა. გაცილებით თვალში საცემია ინტერიერის ცვლილება. გარდა ამისა, მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ის საფირმო მულტიმედიური სისტემით — COMAND — აღჭურვილი შეუკვეთოს, რადგან საბაზო ვერსიისთვის ის ოპციას წარმოადგენს, ხოლო G 55 AMG-ისთვის სტანდარტულ კომპლექტაციაში შევა. G-Class-ის ოპციის სრულ ჩამონათვალში უკანა ხედვის კამერა, საბურავების წნევის მაკონტროლებელი სისტემა, აგრეთვე სალონის ახალი ვარიანტებიც იქნება გათვალისწინებული. აქვე დავძენთ, რომ ისევე, როგორც ადრე, Mercedes G-Class ძარასა და ძრავას სამ-სამი ვარიანტით (G 320 CDI, G 500 და G 55 AMG) გამოვა. ■

Mazerati Coupe-ს ჟენევის ავტოშოუსათვის ამზადებენ

ახალი თაობის კუპეს — Mazerati Coupe — მსოფლიო პრემიერა მიმდინარე წლის მარტში, ჟენევის საავტომობილო სალონზე გაიმართება. ტრადიციისგან გადახვევით, მანქანის დიზაინი არა Jujaro-ში, არამედ Pininfarina-ში შეიმუშავეს, რომელიც Ferrari-ს ძველი პარტნიორია. წინასწარი ილუსტრაციების თანახმად, სიახლე Mazerati Quattroporte-ს სტილისაა, თუმცა ამ უკანასკნელისგან დიზაინის უფრო ეფექტური ელემენტებით იქნება გამორჩეული. გარდა ამისა, Coupe უფრო განიერი იქნება და როგორც მოსალოდნელია, სამი ტიპის ძარათი გამოვა: კუპე, რბილსახურავიანი კაბრიოლეტი და ოთხადგილიანი კუპე-კაბრიოლეტი. კუპე Mazerati-ს ახალი თაობა Ferrari-სგან ნასესხები 4,2-ლიტრიანი, 420 ცხ.ძ. სიმძლავრის V8 ძრავით დაკომპლექტდება, ხოლო ტოპ-ვერსიები — 4,5-ლიტრიანი, 500 ცხ.ძ. სიმძლავრის მოტორით. ახალი ავტომობილის შესახებ სხვა მონაცემები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. სავარაუდოდ, სიახლე თავის წინამორბედზე ძვირი ეღირება. ■

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(22 – 28 თებერვალი)

ვერძი 21.03-20.04

ამ კვირას მთელი თქვენი ყურადღება ინტიმური ურთიერთობებისკენ იქნება მიმართული, ძალზე მგრძნობიარე გახდებით. თანაგრძნობის უნარი, კეთილგანწყობილება და მიმზიდველობა ახალი სასიყვარულო და საქმიანი კავშირების დამყარებაში დაგეხმარებათ.

კრავი 21.04-20.05

ერთნაირად კეთილგანწყობილი იქნებით ყველა ადამიანის მიმართ, მისი ხასიათისა თუ მონაცემების მიუხედავად, გაგიჩნდებათ სურვილი, გაჭირვებულებს დაეხმაროთ. ამ დღეებში ახალი საქმეების წამოწყება არ ღირს. უმჯობესია, ბუნების წიაღში დაისვენოთ.

ტყუპი 21.05-21.06

ამ დღეებში თქვენ გარშემო უამრავი თაყვანისმცემელი მოიყრის თავს. შეიძლება, ზოგიერთი ძველი მეგობარი სასიყვარულო პარტნიორადაც იქცეს. უქმე დღეები აქტიურ დასვენებას დაუთმეთ, მაგრამ თავი აარიდეთ ალკოჰოლურ სასმელს.

კიბო 22.06-22.07

თქვენ დაინტერესდებით რელიგიითა და ფილოსოფიით, შორეული ქვეყნებითა და მივიწყებული ცივილიზაციებით. დიდ სიხარულს მოგგვრით ყველა ის ჯილდო თუ საჩუქარი, რომელსაც საჯაროდ გადმოგცემენ. ეს კვირა უდავოდ წარმატებული იქნება.

ლომი 23.07-23.08

მართალია, საფრთხე მაგნიტივით მიგიზიდავთ, მაგრამ შეეცადეთ, გვერდი აუაროთ სახიფათო ადგილებს. თავი შეიკავეთ მგზავრობისგან, განსაკუთრებით არასასურველია თვითმფრინავით მგზავრობა. აგრეთვე, ნუ გამოიტანთ ბანკიდან კრედიტს და ნუ ჩაებმებით ფინანსურ ოპერაციებში.

ქალწული 24.08-23.09

შეეცდებით, კავშირი დაამყაროთ საინტერესო და უჩვეულო ადამიანებთან. შეიძლება, მონაწილეობა მიიღოთ პრეზენტაციებში, სარეკლამო აქციებსა და საქმიან შეხვედრებში. თქვენი ენთუზიაზმით ადვილად შეძლებთ ადამიანების შთაგონებას და მათ ჩართვას საერთო საქმეში.

სასწორი 24.09-23.10

მოულოდნელ დაბრკოლებებს წააწყდებით, რის გამოც, საჭიროა დიდი ყურადღებით მოეკიდოთ თქვენს ჯანმრთელობას, აგრეთვე პირნათლად შეასრულოთ თქვენი სამსახურებრივი ვალდებულება. ამ კვირას იყავით დამთმობი, ნუ ჩაერევით სხვის საქმეებში.

მორიელი 24.10-22.11

ბევრ დროს დაუთმობთ თქვენს გარეგნობასა და ჩაცმულობას, შეეცდებით არც ერთი წვრილმანი არ გამოგეპაროთ, მაგრამ გირჩევთ, მნიშვნელოვანი ნივთების შეძენა მომავლისთვის გადადოთ, რადგან მათ შეიძლება, ხარვეზები აღმოაჩნდეთ.

მშვილდოსანი 23.11-21.12

ამ კვირას მეტწილად საოჯახო საქმეებითა და ოჯახის წევრებთან ურთიერთობების გარკვევით დაკავდებით, რაც თქვენი ემოციურობით იქნება გამოწვეული. შეეცადეთ, დიდსულოვნება გამოიჩინოთ და ახლობლებს პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ.

თხის რქა 22.12-20.01

ამ დღეებში ძალზე აქტიური და კომუნიკაბელური იქნებით. ამიტომაც, თქვენ ირგვლივ მყოფებს მოწყენის საშუალებას არ მისცემთ. დაიმახსოვრეთ, ბოლომდე ნუ დაიხარჯებით, თორემ მომავალ კვირას, „გამოწურულ ლიმონს“ დაემსგავსებით.

მერწყული 21.01-19.02

თქვენი ქცევა ახლობლებს ძალზე წინააღმდეგობრივი და ყოველგვარ ლოგიკას მოკლებული მოეჩვენებათ. თუ რაიმე შემოქმედებითი საქმიანობით ხართ დაკავებული, ეს პერიოდი ძალზე ნაყოფიერი იქნება. პრობლემებს შეგიქმნით მხოლოდ თქვენი არამდგრადი ემოციური ხასიათი.

თევზები 20.02-20.03

ამ დღეებში თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოკიდებული იქნება თქვენს განწყობილებაზე. მრავალი ახალი იდეა გაგიჩნდებათ, თუმცა, მათი განხორციელება სასურველია რამდენიმე კვირით გადადოთ. დაღლილობას ყველაზე უკეთ მუსიკისა და მხატვრული ნაწარმოებების დახმარებით გაუმკლავდებით.

მალე! მარტის ნომერი



თქვენ ხელ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით...

მარი, გენაცვალე, იცი, რატომ რჩებიან ქართველი ქალები გაუთხოვრები? — პირდაპირ ასე დაიწყო საუბარი ერთმა მკითხველმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ მესიჯი კი არ გამოეგზავნა, არამედ, უშუალოდ გამსაუბრებოდა. რა თქმა უნდა, დავინტერესდი ქართველი ქალების გაუთხოვრობის მიზეზის მისეული ვერსიით. — იმიტომ, რომ კომპლექსი აწუხებთ. როგორც კი სექსზე დაელაპარაკები, მაშინვე გარბიან. ჩვენ, ქართველ კაცებს ქალი სამზარეულოში კი არა, ლოგინში გვინდაო... საინტერესო ვერსიაა, მაგრამ მე ამის რეალურ მიზეზად მაინც სხვა რამეს მივიჩნევდი. რას? მაგალითად, იმას, რომ მამაკაცების მიერ გამოგზავნილი მესიჯების უმეტესობა ასეთი ხასიათისაა: გამარჯობა, მარი. ძალიან გთხოვ, ისეთ გოგოს მისცე ჩემი ნომერი, რომელიც ცხოვრებას ამაწყობინებს. გათხოვილზე ან ჩვილბავშვიანზე პრეტენზია არ მაქვს... თუმცა, არც ჩემი ვერსიაა უნივერსალური — ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ინდივიდუალურია, რაც „მესიჯომანიაში“ მოსულ მესიჯებშიც კარგად ჩანს.

იმისათვის, რომ „მესიჯომანიაში“ თქვენი მესიჯი მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA, გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ, მესიჯი გამოაგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი „ესემესებია“) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოაგზავნოთ.

qalebi

1. გარეგნულად საკმაოდ ლამაზი, 33 წლის ქალი ვარ, მაგრამ მარტოსული. მყავს გოგონა. სტაბილური ურთიერთობისთვის გავიცნობდი 40-50 წლის მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს.

2. ვეხმაურები ადამიანს, რომლის მესიჯიც დაიბეჭდა „გზის“ წინა ნომერში, რიგით — 72. ალბათ, ამ პიროვნებით მისი პროფესიიდან გამომდინარე დავინტერესდი. პირველად ვრისკავ. იმედია, მეგობარს შევიძენ.

3. ვეხმაურები ლაშას, ფოთიდან. ვარ 29 წლის, ქმარს გაცილებული. მყავს ერთი შვილი. მინდა, შევქმნა ლამაზი ოჯახი. თუ დაგაინტერესებ, ნომერს მარი მოგცემს. მაია.

4. ისრაელში გადახვწილო, რატომღაც მომინდა შენი გაცნობა. ვფიქრობ, რომ კარგი მეგობრები გავხდებით. გამიცნობ? „მწვანეთვალება ანგელოზი“.

5. არ მიყვარს მესიჯობანა. იქნებ, შემიყვარდეს კაცი? ეს მესიჯი კი „გზის“ ბრალია.

6. მარი, მინდა 25 წლის გიორგის ნომერი. ვარ 23 წლის ლეკა.

7. ვეხმაურები ლევანიკოს. დამაინტერესა მესიჯმა. ვნახოთ, რა მოხდება. ვარ 177/23. შავგვრემანი და ეშხიანი. მეც მინდა ნორმალური, სერიოზული ბიჭის გაცნობა. ანასტასია.

8. გამარჯვებისა და წარმატებისკენ სწრაფვა, ცხოვრების აზრი და თვითონ ცხოვრება, ადამიანობა, გაგება, სიყვარული, მეგობრობა და ღმერთის რწმენაა. ვეხმაურები „მისტერ-X“-ს. სიამოვნებით დაგეხმარები. თუ სურვილი გექნება, დაამესიჯე... ღმერთი გფარავდეს და ცხოვრების გზა გაგინათოს! ყველა შენი ოცნება რეალობად იქცეს! „კლიტუშკა“.

9. ვეხმაურები ლევიკო-25-ს. ვარ სერიოზული, ეშხიანი, შავთვალება, 23 წლის, მაღალი, გამხდარი გოგო. ლევიკო, ჩემს ნომერს მარი მოგცემს, თუ დაინტერესდები. კეტრინ ზეტა-ჯონსი.

10. ვეხმაურები „ქვრივთა პარტიის“ ავტორს, ანას. კარგი იქნება, თუ გავერთიანდებით. „პუშსიკა“.

11. ვარ 18 წლის. ვმუშაობ და თან, ვსწავლობ. გავიცნობ 25 წლამდე ასაკის, სერიოზულ ბიჭს. ნომერი მარისთანაა. მარი, ეს ჩემი პირველი მესიჯია. გთხოვ, დამიბეჭდო. სალო, თელავი.

12. ვეხმაურები 47-ე მესიჯის ავტორს. ვარ 30 წლის, თბილისელი გოგო. ძალიან მომწონს სამხედრო პირები. „ყვავილი“.

13. გამარჯობა, მარი. ვეხმაურები 25 წლის ლუკას. მართლა გამაკვირვე შენი სიტყვებით — ერთგული ვარო. მამაკაცებს გაქვთ კი ამის უნარი? გამომეხმაურე, მარი ვარ, შენსავით ერთგული.

14. ვეხმაურები №5-ში 222-ე ნომრით გამოქვეყნებული მესიჯის ავტორს, გიგას. შენით რატომღაც დავინტერესდი. მაინტერესებს, სად ცხოვრობ. იმ ადამიანს მიგამსგავსე, ვისაც მე ვიცნობ. მარი-23.

15. ვეხმაურები 24-ე მესიჯის ავტორს, 29 წლის მამაკაცს, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს. მისი მესიჯი ისე მაცდუნებლად გამოიყურება, ალბათ, უამრავი გოგო გამოეხმაურება. თუმცა, ყველა ვერ დააკმაყოფილებს მის გემოვნებას. ბიზნესის, სახლის და კოტეჯის გამო არ ვეხმაურები (ეგ მამაჩემსაც აქვს), უბრალოდ, სერიოზულ ადამიანთან მინდა ურთიერთობა. გვანცა.

16. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 30-35 წლის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. მატყუარები ნუ გამომეხმაურებიან.

17. მარი, „ქალებში“ მომახვედრე. წინა ნომერში „უსქესოობის“ მე-2 ნომერი, 91-ე მესიჯის ნომერს ითხოვდა. ის ადამიანი მე ვარ. მარის დაურეკე და ჩემი ნომერი გამოართვი. ინა.

18. გამარჯობა. ვარ სერიოზული, კეთილი, მაგრამ „სტერვა“ ადამიანი. სამეგობროდ გავიცნობდი ასევე სერიოზულ და სიმპათიურ ადამიანს, 20 წლის ზევით. სოფო, 19 წლის.

19. ყველა ბიჭი ერთ ორმოში უნდა ჩაყარო და ზედ ცხელი კუპრი გადაასხა. მოღალატეები არიან, ჩვენი ფასი არ იციან. ჩემი ნომერი მარისთანაა. ნაზი გოგო.

20. ვეხმაურები მისტერ შოკს. ვარ მაღალი, ეშხიანი გოგო. უკომპლექსოც, ოღონდ, ზომიერად. ნომერი მარისთანაა. მისის შოკი. გელი, სიხარულო.

21. გავიცნობ სიმპათიურ მამაკაცს, 27 წლის ზევით.

22. ვეხმაურები 25 წლის გიას. თუ სურვილი ექნება, ჩემს ნომერს მარისთან ვტოვებ. ანანო.

23. ვეხმაურები „გზა“ №7-ის 35-ე მესიჯის ავტორს, მამაკაცს. გთხოვთ, ნომერი მოგვცეთ.

24. გავიცნობ 35-40 წლის სერიოზულ, ბინიან და სამსახურიან მამაკაცს.

25. მინდა, SMS-მეგობარი ბიჭი, 16-17 წლის. ვარ გამხდარი, მაღალი, შავგვრემანი და თაფლისფერთვალება გოგო.

26. ჩემი დაქალი ქმარს გაშორდა. ის 26 წლისაა. მისთვის ვეძებ მაღალ, ცისფერთვალება „პრინცს“, ოღონდ, სერიოზულს. ჩემს დაქალს მაიკო ჰქვია.

27. მე ნატო ვარ, 15 წლის და ვეძებ 17 წლის ბიჭს. ისეთს, ვისაც ვეყვარები!

28. მარი, პირველად გიმესიჯებ. გამეცნოს ქართველი, დასაქმებული, 26 წლამდე ასაკის, ერთგული, სერიოზული, მოწესრიგებული ბიჭი. თუ ვინმეს მიგაჩნიათ, რომ ასეთი ხართ, გამომეხმაურეთ.

29. 45-ს ვეხმაურები (აუ, რა ტეხაავს) ვ.ი.პ. პერსონა, მგონი, ხომ? ცოტა „სვეტსკი“ როგორი, ეგეთიიი??? ლიკა.

30. ვეხმაურები მე-6 მესიჯის ავტორს, თემოს. ორი თამამი დაქალი ვართ, ქეთი და ნათია. თუ დაგაინტერესებს, გამოგვეხმაურე.

31. მარორიტა, სიხარულო, დამიბეჭდე, არ გამაწბილო. სად არიან 35 წელს გადაცილებული, ნაღდი მამაკაცები? იცით, რამდენი კარგი ქალი იკლავს გრძნობებს გულში? ქეთინო.

32. გვყავს 40 წლის, საუკეთესო მეგობარი, რომელიც არის არაჩვეულებრივად მზრუნველი, პატიოსანი, მეოჯახე, კულინარიაში მართლაც, რომ ბადალი არ ჰყავს.

33. ვეხმაურები „ურაგანს“. ვგიჟდები ფორმიან მამაკაცებზე. მახსოვს, ძალოვან სტრუქტურაში რომ ვმუშაობდი, ჩემი უფროსის პირველი დარიგება ასეთი იყო, რომ ცხოვრების თანამგზავრად არ ამერჩია ჩემს წოდებაზე დაბალი წოდების მამაკაცი. ის უპირატესობაც გეყოფა, მანდილოსანი რომ ბრძანდებიო. ნუუუ, თუ ლეიტენანტზე მაღალი წოდება გაქვს, შეგიძლია გამომეხმაურო. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა, ხუმრობაა. ჩემთვის ყველაფერზე მთავარი მამაკაცში, „ნამდვილი მამაკაცის“ წოდებაა. ნიკი ვერ შევარჩიე. უბრალოდ, ეკა.

34. ვარ 34/174/60. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სერიოზულ მამაკაცს.

35. ღმერთო, მაპოვნინე ჩემნაირი, ვინც გამიგებს, ვეყვარები და ბოლომდე გვერდით დამიდგება... იმიტომ, რომ დავიღალე, მარტო ძნელი ყოფილა... (42-45 წლის მამაკაცი უნდა იყოს). ნ.

36. ვეხმაურები „ურაგანს“. ვარ მაღალი, შავგვრემანი, სამსახურით უზრუნველყოფილი. თუ დაგაინტერესებ, ჩემი ნომერი მარისთანაა.

37. მარი, საღამო მშვიდობისა. ამ ტელეფონის პატრონი ჩემი დაქალია. სამსახურის გარდა არაფერი აინტერესებს და იქნებ, დააკავშირო „გზა“ №7-ში გამოქვეყნებული 35-ე მესიჯის ავტორს.

38. მომწყინდა მარტოსული ცხოვრება, როცა ჩემ გარშემო ამდენი ადამიანია. არც მთლად მახინჯი ვარ, მაგრამ მაინც, მარტო გახლავართ. ვარ მწვანეთვალება, 170/45/23. მის 13-07.

39. ვარ მაგარი ნაშა, იოლად შესაბმელი. თუ ჩემი გაცნობა გინდათ, დამიმესიჯეთ ამ ნომერზე: 8.93. 90.67.28. გელოდებით, ლომბო! თიკო.

40. ვოცნებობ, გავიცნო კახა კობიაშვილი. მართლა მაიმუნი ხარ, რა! კოჩ ქალი, გაკოცე „ბერი“... „ბერი“...

41. მარი, მაპატიე, ვიცი, რომ გვიანია. მგონი, „მისტერ-X“ ჩემი ყოფილი ქმარია. ვიცი, ბევრი რამ მოხდა. იქნებ, შემოვირიგო? მისი ნომერი მინდა. თამუნა.

42. მე ნინი ვარ. ოდესღაც მე და „მისტერ-X“ საუკეთესო მეგობრები ვიყავით. როდესაც მისი მესიჯი წავიკითხე, მაშინვე ვიცანი. ჩემთვის ბევრჯერ უთქვამს იგივე, მაგრამ მან დიდი შეურაცხყოფა მომყენა და დავშორდი. ახლა კი მინდა ვუთხრა, რომ ნაწყენი აღარ ვარ. ალბათ, ჩემი პატიება არც სჭირდება, მაგრამ მაინც იცოდეს. სხვებს ვეხმარებოდიო, რომ ამბობს, ვიცი, მეც მიგულისხმა და მართლაც, ასე იყო... და მაინც, მერაბ, რა მოხდა შენს ცხოვრებაში? ასე რატომ ლაპარაკობ? იმედია, მე არ მიტკენია შენთვის გული.

43. ვარ 30 წლის მანდილოსანი. სამეგობროდ გავიცნობ 28-30 წლის მამაკაცს. მსუქნები და დაოჯახებულები არ გამომეხმაუროთ. აბიბუნა.

44. „პრივეტ“, მარი. ვარ 60 წლის ქალბატონი. მეუღლე გარდამეცვალა და მარტოობას განვიცდი. იქნებ, გამომეხმაუროს ჩემი შესაფერისი მამაკაცი. მარი, უყურადღებოდ ნუ დატოვებ ჩემს მესიჯს. წინასწარ დიდი მადლობა. ქეთევანი, ბოლნისი.

45. ვარ 29 წლის, ქალწულობის ინსტიტუტის მომხრე. გავიცნობდი მამაკაცს, ოჯახის შექმნის მიზნით. ეკუშა.

46. შენ ყველაზე ლამაზი, ყველაზე მიმზიდველი, ყველაზე საყვარელი, ყველაზე ზრდილობიანი, ყველაზე ენერგიული, სიკეთით აღსავსე ანგელოზი გიგზავნის ამ მესიჯს. ვეხმაურები 44-ე მესიჯის ავტორს, ნუკრის. ვარ 17 წლის.

47. ვარ 18 წლის. მინდა, გავიცნო ისეთი ბიჭი, რომელიც არ მომატყუებს. ბარტყი თიკო.

48. ძალიან მინდა, გავიცნო „სტიქია“. არ ვიცი მისი ასაკი, სქესი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მაინტერესებს, როგორც ადამიანი. ვიქნები მისი SMS-მეგობარი. თუ დაინტერესდება, ჩემი ნომერი მხოლოდ მას მიეცით. ირიშა.

48. ვარ 25 წლის გოგო. დიდი სიამოვნებით გავიცნობ მამაკაცს, რომელიც ფსიქოლოგიაში მაგრად ერკვევა და ასევე, უნდა იყოს ისეთი, როგორიც ნამდვილ, ქართველ ვაჟკაცს შეჰფერის. გასართობად არ მცალია. ჯეიქი.

49. ვარ საბურთალოელი და ძალიან მაინტერესებს, თუ არსებობს 180 სმ სიმაღლის, მწვანეთვალება, შავთმიანი, რომანტიკული ბუნების ბიჭი. ასეთს დიდი სიამოვნებით გავიცნობდი. ისიც საბურთალოელი უნდა იყოს. გარეუბნელები ნუ შეწუხდებიან. ქეთი.

mamakacebi

1. „პუპსიკა-28“-ის ნომერი მომაწოდეთ, დილით ვსაუბრობდით, მერე მობილურს პროგრამა წაეშალა და ნომერი დავკარგე ისე, რომ არ მიპასუხია. გელოდებით, ალექს-30 ვარ.

2. ვარ სტუდენტი ბიჭი. ვცხოვრობ თბილისში, მარტოდმარტო. ვეძებ თავისუფალ, უკომპლექსო, ფილოსოფიურ აზროვნებას ნაზიარებ, კოსმოპოლიტენ გოგონას. მარი, მიეცი ასეთ გოგოს ჩემი ნომერი.

3. ვარ 31 წლის, სექსუალური მამაკაცი, ათლეტური აღნაგობის. ვარ მარტო იმიტომ, რომ მატერიალურად მიჭირს. გამომეხმაუროს 40 წლამდე ასაკის, შეძლებული მანდილოსანი. პაკო.

4. ვარ 21 წლის, მაღალი, ლამაზი და მხიარული ადამიანი. ვცხოვრობ თბილისში. მსურს გავიცნო მაღალი, ლამაზი გოგო. წუნია ვარ. იმედია, გულის სწორს გავიცნობ. 8.93.90.75.31. ლადო.

5. მარი, გილოცავ ვალენტინობას. მაგრად მომინდა ოცნების გოგოს გაცნობა. დათუჩა, თუ ვინმეს სურვილი ექნება, აქა ვარ, რა!

6. გამარჯობათ, ვარ 17 წლის, 170 სმ სიმაღლის ბიჭი. მინდა, გავიცნო გოგონა, ახლო ურთიერთობისთვის. ჩემი ნომერი დაბეჭდე. 8.55.35.34.91. მიშკა.

7. ვარ 28 წლის. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 25 წლამდე ასაკის გოგონას. ჩემი ნომერი მარისთან იქნება. გასართობად ნუ გამომეხმაურებით. დათო.

8. ვარ 26 წლის, 190 სმ სიმაღლის ბიჭი. მაქვს კარგი სამსახური. გავიცნობ 170-180 სმ სიმაღლის გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის.

9. მარი, გული გამიხარე და „ჯაან“ საყვარელი გოგოს ნომერი მომეცი, 15-16 წლის რომ იყოს. მე თვითონ 17-ის ვარ... კარგი გოგო მინახე, გელოდები...

10. გავიცნობ ლამაზ გოგონას. ვარ 18 წლის, სიმპათიური ბიჭი, 185 სმ სიმაღლის. 8.55.49.00.28 გთხოვთ, გამოაქვეყნეთ. ჯაბა.

11. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, სექსუალურ, დამოუკიდებელ, თხელ ქალბატონს, ხანგრძლივი, თუნდაც, ანონიმური ურთიერთობებისთვის. 28/65/178. თბილისელი, სიმპათიური, სერიოზული „პიერო“.

12. სამეგობროდ გავიცნობ ისეთ გოგოს, რომელიც იქნება ლამაზი, სერიოზული და არ უნდა ჰქონდეს სექსუალური სხეული და მანერები. გელოდებით. მარი, ჩემი ნომერი არავის მისცე.

13. ვეხმაურები 28 წლის „მოწყენილ გოგოს“, რომელსაც სურს სერიოზული ურთიერთობა. ვარ 29 წლის, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი. შენი ნომერი შემატყობინე ან ჩემს ნომერს მარი მოგცემს.

14. ვარ უცოლშვილო, დასაქმებული, ყოველნაირად უზრუნველყოფილი და ვეძებ კარგ მანდილოსანს, 30 წლამდე. ემზარი-36.

15. გამარჯობა, ყველას, ვინც ამ მესიჯს წაიკითხავს და იმედი მაქვს, ამ მესიჯს დაბეჭდავთ. ვარ 16 წლის ბიჭი და სიამოვნებით გავიცნობდი 15-16 წლის გოგონას. ვერმიცანა.

16. ვეხმაურები სტომატოლოგს. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი, ცოლს გაშორებული, ბინით და სამსახურით უზრუნველყოფილი. მინდა, სერიოზული ურთიერთობა. გთხოვ, დამიმესიჯო. ზაზა.

17. ვარ 27 წლის მამაკაცი, 183/85. კარგ და საინტერესო გოგონებს გავიცნობდი.

18. ვეხმაურები „გზა“ №7, მე-14 მესიჯის ავტორს, „ჯეინა თამარს“. მარი, გთხოვ, მომეცი მისი ნომერი.

19. ძალიან გთხოვთ, იმ გოგოს ნომერი მომეცეთ, ერთგულ გიორგის რომ დაუმესიჯა, ან ჩემი ნომერი მიეცით. მადლობა.

20. ვეხმაურები 35-ე მესიჯის ავტორს, 30 წლის ერთშვილიანს. შენისთანა მეგობარი მჭირდება. ნომერი მარის გამოართვი.

21. ვარ 30 წლის „მშვილდოსანი“. მინდა, პატიოსანი გოგონა გავიცნო. სასურველია, კახელი იყოს. მალე, გერმანიაში მივდივარ. არ დაგვიანოთ, ჯეკი. აბა, ცოლი მინდა, ცოოოლიიი!

22. გავიცნობ კარგი გარეგნობის, არამსუქან გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. მე ვარ სიმპათიური, 183/24. მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა არ მაინტერესებს! ერთი მეგობარი.

23. ვარ მაგარი სექსუალური და საყვარელი ქუთაისელი ბიჭი. 15-18 წლის გოგონები შემეხმიანონ. ლამაზო გოგოებო, გააქტიურდით! როკერი.

24. ვარ მაგარი ბიჭი. თუ გსურს ჩემი გაცნობა, დამიმესიჯეთ, არ წაგებთ. გელით. კახა.

25. ვარ 27 წლის, თვალებცქრიალა და სექსუალური ბიჭი. ვმუშაობ ბანკში. ლამაზი გოგონები გამომეხმაურონ. ირაკლი.

26. 45-ე გზავნილის ავტორს, თიკოს. ვარ 31 წლის. მინდა, ვიმეგობროთ. ჩემს ნომერს მარი მოგცემს. გია.

27. „ბალის“ გოგო, სიამოვნებით გაგიცნობ. ვარ 23/180/60. ერთი ჩვეულებრივი ბიჭი. მარი, გთხოვ, ნომერი გამომიქვეყნე — 8.99.36.14.03.

28. ვეხმაურები „მარი ანგელს“, სამეგობროდ. სიამოვნებით გაგიცნობდი. „კარგი ბიჭი“, „პრომეთე“, 24 წლის.

29. ვარ 28 წლის. მსურს გავიცნო 28 წლამდე გოგონა, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვემსახურები საქართველოს. იმერელი „ბოკოტინი“.

30. ვარ 37 წლის, დასაოჯახებელი. შემოდგომამდე პატიმრობაში ვიქნები. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ შესაფერისი ასაკის გოგოს. ოჯახიანები არ დამიკავშირდნენ. თემური.

31. ვარ 22 წლის, 178 სმ სიმაღლის, შავგვრემანი მამაკაცი. ვმუშაობ კარგი ანაზღაურებით. ვარ უცოლო. სამეგობროდ გამომეხმაუროს 30 წლამდე ასაკის გოგონა, რომელიც იქნება ერთგული. დათო.

32. ვეხმაურები იანას. ვარ 24 წლის, მწვანეთვალება. თუ სურვილი გაქვს გამიცნო, ჩემი ნომერი მარისთან იქნება. ვატო.

33. ვეხმაურები 30 წლის სტომატოლოგს. ვარ 32 წლის, მაღალი, სიმპათიური მამაკაცი. ნომერს მარი მოგცემს.

34. ვარ 27 წლის, სახელად — ლაშა. ვეძებ მანდილოსანს, რომელიც იქნება ჩემი ფრანგული კონიაკი, რომელსაც გადავყავარ ირეალურ სამყაროში...

35. ვარ 33 წლის, 185 სმ სიმაღლის ბიჭი. გავიცნობდი კარგ გოგონას, 26 წლამდე. ჩემი ნომერია: 8.99.57.65.66. გოგა.

36. ვარ სერიოზული, ჩამოყალიბებული, 24 წლის ცოლიანი მამაკაცი, უზრუნველყოფილი. ახლო ურთიერთობისთვის გავიცნობდი ლამაზ, კარგ გოგოს. ვისაც სურვილი გექნებათ, ნომერი მარის გამოართვით.

37. სალამი ბათუმელ მანდილოსნებს, რომლებსაც სურთ თავი ნამდვილ ქალად იგრძნონ, სიმპათიური და მომაჯადოებელი მამაკაცის დაკუნთულ მკლავებში. „ფროიდი“ გელით.

38. მარი, 46 წლის მამაკაცი ვარ და სამეგობროდ გავიცნობდი გარეგნულად ლამაზ და სულიერად უკეთეს მანდილოსანს. უცოლო ვარ და მომავალში მასზე დავოჯახდები კიდეც.

39. მარი, გთხოვთ, მომცეთ 45-ე მესიჯის ავტორის, თიკოს ნომერი.

40. „ჯეინა თამარ“, თუ იუმორიც ვუპი გოლდბერგის გაქვს, მაშინ ჩემი ნომერი მარის გამოართვი.

41. ვარ 32/195/80, შავგვრემანი, სექსუალური, ვნებიანი კაცი. გავიცნობ თბილისელ, მარტო მცხოვრებ, სექსუალურ, მატერიალურად უზრუნველყოფილ 20-40 წლის მანდილოსანს, ინტიმშეხვედრებისთვის. დამიმესიჯეთ ნომერზე: 8.93.48.47.46. ოთო.

42. ვარ შავგვრემანი ბიჭი, 28/180/85. მახინჯი, ღარიბი, არც ფული მაქვს, არც მანქანა. ნეტავ, ისეთი მანდილოსანი კიდევ თუ არსებობს, ერთგული რომ იყოს. ნუ იქნება მატყუარა და გაიძვერა. „მერწყული-28“.

43. გამარჯობა, მარი. ძალიან გთხოვ, ისეთ გოგოს მისცე ჩემი ნომერი, რომელიც ცხოვრებას ამაწყობინებს. გათხოვილზე ან ჩვილბავშვიანზე პრეტენზია არ მაქვს.

44. მსურს გავიცნო 35 წლამდე ასაკის, ნორმალური გარეგნობის მანდილოსანი, სამეგობროდ. დანარჩენს პირადად გეტყვით. „თავისუფალი მამაკაცი“.

45. ვარ 37/182. ლამაზი, ერთგული, იურისტი. ოჯახის შექმნის მიზნით ვეძებ მოსიყვარულე, სიმპათიურ ქართველ მანდილოსანს. დამირეკეთ: 8.99.78.69.94 ზაზა.

46. ეჰ, ჯესი, მეც შენს დღეში ვარ. თუ გამომეხმაურები, ნამდვილ ბედნიერებას გაჩუქებ. ვარ 17 წლის, 180 სმ სიმაღლის. ჩემი ნომერია: 8.55.16.54.70.

47. გაუმარჯოს, როგორ ხართ? პირველად გიმესიჯებთ. ვეხმაურები გოგონას, 47-ე მესიჯის ავტორს და ნომერი სადაა? თოკო.

48. გავიცნობ სექსუალურ გოგოს, 17-22 წლამდე, სექსუალური ურთიერთობისთვის. ვისაც სიამოვნება უნდა, ნომერი მარისთანაა. მსუქნები და დაბლები არ შეწუხდნენ. კუნტა.

49. მე ილია ვარ, 19 წლის. გავიცნობდი კარგი გარეგნობის, უკომპლექსო და თავისუფალ გოგოს, ოღონდ თბილისელს. გმადლობთ.

50. მინდა, გავიცნო გოგო. ცხოვრობდეს მარტო, ჰქონდეს თავისი საქმე. არაფერს ვითხოვ და ნურც შენ მომთხოვ ნურაფერს! უბრალოდ, ერთმანეთს ყოველი დღე გავულამაზოთ. ვარ კახელი. სულელი და სულით კახპა გოგონები არ გამომეხმაურონ. ჩემი ნომერი რედაქციაში იქნება. გელოდები, განუმეორებელო. პირობითად, ვაჟკაცი კახეთიდან!

51. ვეხმაურები „კეთილ ანგელოზს“. თუ გამომეხმაურები და გულს სიყვარულით ამივსებ, კარგი იქნება. აი, ჩემი ნომერი 8.55.16.54.70. არ ინანებ.

52. მგონი, ანუკის ვიღაც ბიჭის გაცნობა უნდოდა. ჰოდა, მეც აქ ვარ. 8.55.16.54.70. დამიმესიჯე, საყვარელო, მეც გაკოცებ. შეუდარებელი კოცნა ვიცი. დამიბეჭდე, მარი. მაჩო.

53. ვარ 22 წლის, მაქვს შავი თმა, მწვანე თვალები. გავიცნობ სასიამოვნო გოგონას. დათო. 8.9?.18.36.42.

54. მარი, ანიტას ნომერი მომწერე.

55. „გზის“ მე-7 ნომერში გამოქვეყნებული, 31-ე მესიჯის ავტორის კოორდინატები მომეცი, „ცისფერი“ ბიჭის გაცნობა რომ უნდა სადაქალოდ.

56. მარი, რატომ არ მიგზავნი ვინმე კარგი გოგოს ნომერს? მე ნიკა მქვია, ვარ 22 წლის. გთხოვ, ვინმე კაი გოგოს ნომერი გამომიგზავნე. ვმუშაობ დაცვაში. პასუხი მომწერე, კაი? ნიკა.

57. სიმპათური, მეგობრული და სანდო ბიჭი (23/183/78) ეძებს მეგობარს, ინტიმურთიერთობისთვის. დამიმესიჯეთ: 8.93.27.52.75. გიო.

58. დამევასე ნამეტანი, შენთან მინდა პაემანი./ დამიჯერე, ლამაზო, ეს პონტი არ გამაზო./ თვალებზე მაქვს ცრემლები./ შენ რომ გხედავ, ვეცემი/ შენთან მინდა ყოფნა./ გინდ მეტიროს ყოფა. ლუკა, 16 წლის. თუ გინდათ ჩემი გაცნობა, დაამესიჯეთ ამ ნომერზე: 8.55.63.17.95.

59. ვარ 35 წლის, სიმპათიური მამაკაცი, ყოფილი სპორტსმენი, ამჟამად, პოლიციაში ვმუშაობ. მყავს უცხოური ავტო, ვეძებ ბინით უზრუნველყოფილ ქალიშვილს, 30 წლამდე. ბაჩო.

60. ვარ 38 წლის, უკბილო. გავიცნობდი სტომატოლოგს. სანდრო.

61. ჰო, მართლა, თუ გამოიცნობთ, საიდან გიმესიჯებთ, თქვენც წამოგიყვანთ სტამბოლში. გოგონები „შემეხმიანონსავით“. 905.392.870.56? ბოლო ციფრი მარის ჰკითხეთ. ზურტო-23. მპუები.

62. გმომეხმაურეთ, გოგონები. თქვენს გარეგნობას მნიშვნელობა არ აქვს, გულს არავის ვატკენ. 8.98.33.12.57. ზაზა.

63. ვეხმაურები 30 წლის სტომატოლოგს, №54-ს. მიეცით ჩემი ნომერი. მახო.

64. მარი, ვისთვისაც გემეტები, იმ გოგონებს მიეცი ჩემი ნომერი, 17-დან 47 წლამდე. მე 37 წლის ვარ. თამაზი.

65. ვარ 20/178/72. სამსახურით, ავტომობილითა და ბინით უზრუნველყოფილი. მინდა, ოჯახის შექმნის მიზნით სერიოზული გოგონა გავიცნო. მიშა.

66. ვისაც მეგობარი მამაკაცი სჭირდება, გამომეხმაუროს. ველოდები ყველას. შეგიძლია, ჩემი ნომერი დაბეჭდო. 8.55.64.70.32. ცოლიანი დათო.

67. მარი, დაბეჭდე ჩემი ნომერი. ვეძებ SMS-მეგობარს. გიგა. 306.994.395.434.

68. მარი, გამოაქვეყნე ჩემი ნომერი. ვარ შავთმიანი, შავი თვალ-წარბით, 177/77, არ ვეწევი, არ ვსვამ, ვვარჯიშობ, ვმუშაობ და ვარ უცოლო. მიყვარს რომანტიკა, ბუნება, მოგზაურობა და რომანტიკული სექსი. ვისაც ასეთი მამაკაცი მოგწონთ, დამიკავშირდით. 8.98.24.94.45. ოცნების მამაკაცი.

69. მარი, ერთი იმ ანგელოზის ნომერი მომეცი, ნინა რომ ჰქვია. ქერა, მწვანეთვალება, სიმაღლით 172 სმ რომ არის. ვიტალი.

70. „გზის“ 48-ე ნომერში არის ოცნების გოგოს მესიჯი და გთხოვთ, მისი ნომერი მომცეთ. და კიდევ, ჯესის ნომერი. წინასწარ დიდი მადლობა.

„usqeso“

1. მარი, გამარჯობა! თუ შეიძლება, მომწერეთ 27-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

sxvadasxva

• აუ, მარიმიშონ, ეს რა მიქენი? „მესიჯომანია“ წავიკითხე თუ არა, პირველი, რისი გაკეთებაც შევძელი, ის იყო, რომ შეშინებულმა შარვალი ჩავიხადე და ჩემი კაცობის დამადასტურებელი ატრიბუტი მოვსინჯე. ეს მას შემდეგ, რაც ჩემი მესიჯი „უსქესოებში“ წავიკითხე. თურმე, დამავიწყდა მიმეწერა, რომ ჩემი ნიკი „ბოხო“ იყო. მარი, ძალიან გაფასებ.

• შენზე ფიქრებში გამითენდება,/ უშენოდ ძლიერ გამიჭირდება,/ 2 წლის წინ ვიყავი თავისუფალი,/ ახლა შენ გახდი ჩემი უფალი. ნათი, მიყვარხარ! ჯოტია.

• ღმერთო, დაეხმარე ყველას, ვინ სუსტია და ოხრავს,/ ვინც ფრთებს ვერ შლის და სიყვარულის მაგივრად, ფორთხავს,/ ვისაც წაართვეს და მწარე სინანულით მოსთქვამს,/ ვინც ელოდება უკვე დაკარგულის მოსვლას./ ღმერთო, დაეხმარე ყველას, ვინც ბოროტია და სცოდავს,/ ვინც ფრთებს ვერ შლის და ლოცვის მაგივრად, ბოდავს/ ღმერთო, დაეხმარე ადამიანს, უბრალოს, მოკვდავს.

• ლაგოდეხის მგლებო, ყველას მოკითხვა. გაუმარჯოს პირველრაზმელებს. ლეო-91.

• ამირან კობახიძეს. რატომ არ მეხმიანები? გამეცი პასუხი.

• იყო დრო, როცა მეგონა, რომ ბედნიერების მაღალ მწვერვალებს ვიპყრობდი. სუნთქვა მეკვროდა, როცა ოცნებაში თაკუნას ლამაზ სახეს ვხედავდი. მე ის მიყვარდა ისე ძალიან, რომ სამყაროში ვერავის და ვერაფერს ვამჩნევდი. ეს არ იყო სიყვარული, ეს სიგიჟე იყო. მე ახლა მკვდარი ვარ... მე ის დავკარგე... სხვამ წამართვა... საკუთარი თავი მეზიზღება, რომ უძლური ვარ და არაფრის შეცვლა არ შემიძლია. თაკო ძნელაძე, მიყვარხარ იმაზე მეტად, ვიდრე წარმოგიდგენია. ჩემს მაგივრად სხვა გეფერება. ვიცი, მალე დედა გახდები. შენ და შენი პატარა ჩემი საფიცარი იქნებით. მეზიზღება მთაწმინდა, რადგან ამ ქუჩებში არ მხვდები შენ. ჩემო „კულულა“ გოგო, ვგრძნობ, რომ გავგიჟდი და ჩემი ცხოვრება მხოლოდ შენ ხარ. მარი, გთხოვ, დამეხმარე, შენ მაინც ნუ „გადამაგდებ“, მინდა, ხმა მივაწვდინო ჩემს პატარა გოგოს და ვუთხრა, როგორ მიყვარს. მინდა, დიდი დოზით ნამალი გავიკეთო და ჩემს ტანჯვას წერტილი დავუსვა. მარი.... გთხოვ.... გიორგი.

• ჩემი სადღეგრძელო მხოლოდ ნაღველია,/ ღვინის წვეთებივით გულში ჩაღვენთილი,/ ჩემი სადღეგრძელო მხოლოდ ლექსებია,/ ცხოვრების წიგნში გრძნობით ჩაწერილი.

• ეს პატარა, ლამაზი ლექსი მე დავწერე მხოლოდ შენთვის,/ რომ ჩამაფიქრებ მთვარიან ღამეს და ვარსკვლავებსაც ატირებ ჩემთვის. გინდა, გავგრძელო? გელოდები, გიგილო!

• უცნაურია, არა? მანანას გამოვეხმაურე და მერაბი შემეხმიანა. ქალის ხმას ველოდი, მაგრამ... მანანა, რატომ არ შემეხმიანე? თუმცა, მერაბიც დაიკარგა. რამ შეაშინა, ნეტავ? ნანა.

• ირაკლი ლეკიაშვილო, ახლა გავიგე, რომ ანას შეურიგდი. არ ვიცოდი. ბედნიერებას გისურვებ. მაგას მაინც გაუფრთხილდი, ეყოფა, რაც გაუკეთე. ღმერთმა სწორი გზით გატაროს. ნინი.

• დედოფლისწყაროელ ჟურნალისტს, ჩემს სიცოცხლე ილია მარტყოფლიშვილს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მაგრად მომწონს. ილია, გთხოვ, ყურადღება მომაქციე, თავს ნუ იფასებ. ნატა.

• ცხოვრება ტკივილის მომტანია, ცხოვრება იმედგაცრუების მაგალითია, ცხოვრება სიყვარულით გამოწვეული სევდაა და საერთოდ, ცხოვრება ბრძოლაა!

• მინდა, გიომ გაიგოს, რომ ძალიან მიყვარს. ვიცი, ჩემი არასოდეს გახდება, მაგრამ მაინც. ღვთისმშობელს ვთხოვ, დაიფაროს ჩემი სიყვარული. ნანო, ქუთაისი.

• მარი, პირველად ვგზავნი მესიჯს და გთხოვ, იმედს ნუ გამიცრუებ. თუმცა, ძნელია ჩემი სიცოცხლე, მაგრამ შენს გამო, მაინც ვიცოცხლებ! მე შენ მიყვარხარ, მუხრანელო...

• ხალხო, ყველამ გაიგეთ, რომ მირიან ჯიშკარიანი ძალიან მიყვარს. მირიოოო... „მიკალქალ“, ბიჭო, მენატრები უზომოდ, ოღონდ, თავში არ აგივარდეს! გიჟი.

• მოგესალმებით ყველას! თურმე, სიყვარული სათუთი გრძნობაა. ის ძლიერია, როგორც სიკვდილი და მსხვრევადია, როგორც მინა. გაუფრთხილდით ამ გრძნობას. მწვანეთვალება ეშმაკუნა.

• ოჰ... 1-2 ღერი ფიცარი, ან ცოტა მეტი, ანდა ნაკლები... მე რომ მოვკვდები, დედას გაფიცებ, ხომ დაგაკლდები? გიოს. პატარა დედოფალი.

• აქ მგონი, ვიღაც ორმაგ თამაშს თამაშობს. ქალბატონო კაკუ, შენ თიკო გქვია? თემო ქობულეთში ცხოვრობს? ყველაფერს გაფიცებ, არ დამიმალო.

• ვაიმე, დღეს ხუთშაბათია? არ მჯერა! ახლავე მივფრინავ, ჩემი სიცოცხლე „გზა“ უნდა ვიყიდო! რ...

• მაგარი მხეცი ნაშაა ეს ტრანსექსუალი. კრისტის 1000 თავით სჯობია. მეთანხმებით? ჩემი ნომერი არავის მისცე, მარი.

• ხალხო, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ მინდა, ჩემს ძმას ჩავეხუტო და ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს. ის პატიმარია... დათა კიკვაძეს, ნათია კიკვაძისგან.

• მარი, იმედია, არ მიწყენ, თუ გეტყვი, რომ რამდენიმე ნომრიდან გიმესიჯებ. ყველას სხვადასხვა სახელს ვაწერ. ჰოოდა, 1 კვირის წინ ერთ-ერთ ნომერზე მესიჯი მოვიდა. მამაკაცი მეხმაურებოდა. თან, ისე ნაზად და ლამაზად... ავდექი და ვუპასუხე. უკვე 1 კვირაა, ვმესიჯობ და ჭკუაზე არ ვარ. ისეთი მესიჯები მომდის და ისეთი მაღალფარდოვანი სიტყვებით მაბამს, რომ თავი სიზმარში მგონია, მაგრამ როცა რეკავს, ხმას არ ვიღებ. ის კი იქიდან ისეთი სექსი ხმით და ისეთ რაღაცეებს მეუბნება, روووომ... ცოლი ყურადღებას აღარ მაქცევს, მგონი, საყვარელიც ჰყავსო, — წუწუნებს. — იქნებ, მე და შენ გამოგვივიდეს რამეო.... ახლა ვზივარ და ვფიქრობ, რა გავუჩალიჩო ამ „დამპალ“ კაცს. იცი, რატომ? იმიტომ, რომ მისი ცოლი მე ვარ და არც საყვარელი მყავს და თანაც, 13 წლის წინ უკვე შემაბა. არა, რა, ჭკუა თუ არ ვასწავლე, რა მომასვენებს? საკუთარ ცოლს აბამს და რას დაიჭერს, ვნახოთ! თამუნია...

• შენ რა გინდა თქვა, რომ კაპელომ, დონადონიმ, როსიმ, ტრაპატონიმ, მაცოლამ, ბარეზიმ და ჩეზარე და პაოლო მალდინებმა ფეხ-

ბურთს სილამაზე დაუკარგეს? ეეეეე... კაი, რა�ა! „ნინო-მილანი“.

• გამარჯობა ყველას, ვინც ამ მესიჯს წაიკითხავს. ამ ჟურნალს დიდი ხანია, ვკითხულობ და მხოლოდ ახლა გადავწყვიტე დამემესიჯებინა. იმედი მაქვს, დაბეჭდავთ.

• რუსთავის №1 კოლონიის პატიმრებო, აკეკოვ და ნიკა კიკვაძეე, თქვენ გეგონათ, მოგატყუებდით? ვაი, თქვენს პატრონს! პატარა გამომძიებელი.

• იმ ქალს გაუმარჯოს, ქმარს რქებს რომ ადგამს. ისეთ კაცს რა ვუთხარი, ჩემი გაცნობა რომ მოუნდა მის ცოლს. მერე დამირეკა და ქმარმა მკითხა: მართლა მოგეწონა ჩემი ცოლიო?

• თქვენ გენაცვალეთ, ძლივს არ ალაპარაკდით ფეხბურთზე? რა აზრი აქვს, ვინ ვისი ფანია. ყველას ერთი, ყველაზე მთავარი — ფეხბურთის სიყვარული გვაერთიანებს. გაიხარეთ. „ნინო-მილანი“.

• ჩემს მეუღლეს, ქოსოვიჩს ვულოცავ ქორწინების 2 წლისთავს. ძალიან მალე ერთად ვიქნებით და სუუულ ბედნიერად ვიცხოვრებთ. ზურა, გაიხსენე 21 თებერვალი. პატარა ლელა.

• არ არსებობენ, არ არსებობენ უშნო ქალები/ მაგრამ თუ მაინც უშნოა ქალი/ ამაში კაცებს მიგიძღვით ბრალი. გვანცა-17.

• ძალიან მიყვარხარ, შენ ჩემი ცხოვრება ხარ. ინდირა.

• მარუშკი, გთხოვ, ჩემი ნომერი აღარავის მისცე.

• ეჰ, „ვალენტინობა“ ყველამ კარგად მოილხინა. არავისი მშურს და ყველა წყვილს ბედნიერებას ვუსურვებ... დარდიანი ვხდები, როცა ვფიქრობ: მე რატომ არავის ვუყვარვარ?

• ამდენმა ფიქრებმა დამღალა/ უშენოდ ყოფნა მძულს/ შურით გავხედე შენს ქუჩას/ გრძნობ? მისი ბედი მშურს/ ნეტავ, მაქცია ბალახად/ ფეხით გამთელო მინდა...

• ახალი ამბავი იცი? დღეს საავადმყოფოში დამაწვინეს — თირკმელში კენჭი აღმომიჩინეს, ფილტვში — წყალი, სისხლში — შაქარი და გულში — ქოსოვიჩი! პატარა ლელა.

• გწერთ ვინმე ბიჭი, „სტიქია“/ ამბობთ: რამხელა ნიჭია?/ ან ვინმე ბიჭი, ან არის/ კივის „კნეინა თამარი“!.../ არა, არ იქნა საშველი.../ გამოჩნდა „მაქსი მაშველი“.

• ამ სიყვარულით აღსავსე გულში არის პატარა ქვის სალოცავი, სადაც წერია, რომ მეგობრობა არის უკვდავი და საოცარი. მის-777.

• „მისტერ-X“, ორნი ციხის გისოსებიდან იცქირებოდნენ. ერთი ხედავდა ვარსკვლავებს, მეორე — წუმპეს! გაჩნია, ვის რისი დანახვა სურს... შეხედე, ცხოვრება მშვენიერია! „ფინტიკოზა“.

• შეყვარებული დაგეღუპა? სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა? ვეღარავის ვეღარ შეიყვარებ? მაშინ რატომ დაუმეგობრდი უცხო ბიჭს? რატომ მოუშვი ახლოს? ხომ შეიძლება, შეჰყვარებოდი? ...და შეუყვარდი კიდეც... რატომ არ უთხარი თავიდანვე სიმართლე? ახლა ძალიან მოტყუებული და იმედგაცრუებულია... გავა დრო და შენ დაავიწყდები, მაგრამ არ უნდა, დრო რომ გავიდეს...

• თუ დაბრუნდები, შენი მოსვლა უკვე არ მინდა/ ნუ გაოცდები, რადგან გული უკვე გაცივდა/ ნუ დამაბრალებ, დამშორდი და დღეებიც გავიდა/ არ გაუფრთხილდი და სიყვარულიც უცებ წავიდა.

• ქვრივთა პარტია? მაგარია, ანა! მე მარტო შენ გიცნობ. აბა, ორს რა პარტია გამოგვივა? მაკუ ვინ არის? ისიც ქვრივია? გავიცნოთ, რა, ერთმანეთი. „ცხოვრებისგან დაჩაგრული“.

• ის შეიყვარე, ვინც ჩუმად გეტყვის/ რომ სილამაზე შენით იწყება/ რომ შენ გარეშე მისი ცხოვრების/ დილა არასდროს არ დაიწყება! თემოს. კაკუ.

• ახლა ვკითხულობდი თქვენს ჟურნალში დაბეჭდილ ლექსებს და გამაღიზიანა ზოგიერთმა მესიჯმა. რა შეჭამეთ ეს „სტიქია“? კაცს უნდა და წერს. ამდენი კრიტიკა არ მოგბეზრდათ? თამო.

• მე მგონი, ელენემ ყველას გადაუჯოკრა. „ტაკ ჩტო“, მისტერს დაემშვიდობეთ! არა, არ მესმის, რა ყველა მდიდარს და ლამაზს ეძებს? ღარიბ და უბრალოდ მშრომელ, კეთილ ადამიანებს არ უნდათ ოჯახი?

• არც პოეტობას ვიკვეხნი/ არც გოდერძი ვარ ჩოხელი/ შენ ვინ გაკურთხა პოეტად/ უტ....კო ყარაჩოხელი??? ეძღვნება „სტიქიას“. ნენე.

• ნეტავ, რატომ ხდება, რომ ახალგაზრდა ადამიანს სიცოცხლე სძულდება? ვიღაცა ძალიან ბედნიერია, ვიღაცა — ოდნავაც არა. არავისი მშურს. უბრალოდ, მეც მინდა პატარა ბედნიერება.

• ნეტავ, ვიცოდე, სად დამეკარგე/ საით გაფრინდა შენი ფიქრები/ ნუთუ, შენს გულში ჩემო სიცოცხლევ/ ჩემთვის არ არის ცოტა ადგილი?.. ეჰ, ჩემს დაკარგულ სიყვარულს მივტირი.

• მაგრები ხართ, „გზის“ მკითხველებოოო... დათო, მიყვარხარ. ნატუშკები.

• „გზა“ რა მაგარი ყოფილა/ გადავირიე კაცი/ მეც გადავწყვიტე, ყოველთვის/ დაგიმესიჯოთ „აწი“./ მე თუ არ ჩამრევთ საქმეში/ არ დაგადგებათ საშველი/ სულ ახალი ვარ თქვენ შორის/ სახელად მქვია „საშლელი“./ ზოგისთვის რისხვა ვიქნები/ ზოგიერთისთვის — მაშველი/ აქეთ კაცები გელიან/ იქით — ქალები, არჩევით./ ზოგი იწუნებს მეგრელებს/ ზოგი უბერავს კახურს/ ზოგს ყველა ერთად ვუყვარვართ/ თემური უყვარს — კაკუს/ ერთი კრიტიკას აწვება/ მეორე საღად მსჯელობს/ მესამე ამბობს, მიშველეთ/ არავინ მიყვარს ჯერო.../ ეჰ, რა გაუძლებს ხუთშაბათს/ ამდენ „ჯავრებს“ და „ოხვრებს“/ მარი ჩალიჩობს ნაღდად/ რომ სამოთხეში მოხვდეს./ მეც ხომ აქა ვარ, დღეიდან/ მიწასაც მოვხნავ რქებით/ თქვენ დამიძახეთ „საშლელი“/ მე — ინკოგნიტოდ ვრჩები.

• თქვენთვის მეც მცალია/ და რა გიხარიათ?/ უშნო ვარ ძალიან!/ თვალი მაქვს ერთი/ და ისიც თეთრი/ სიმაღლე ჩემი/ სულ ერთი მეტრი/ სისხლსაც ვსვამ ცოტას...

• ვის უნდოდა თავისუფალი სექსი და არავითარი პასუხისმგებლობა? რა გაჭირვებაში ყოფილხარ, შე საბრალოვ... მაგრად თანაგიგრძნობ. ისე, ჯობია, სპეციალურ დაწესებულებას მიაკითხო.

• მარი, ჩემო კეთილო ადამიანო, ასე იმიტომ მოგმართავ, რომ კეთილ და კარგ საქმეს აკეთებ. ამ ცხოვრებაში ყველას თავისებურად უჭირს: ზოგს მეგობარი უნდა, ზოგს — ქმარი...

• გაქრა ნუგეში და ოცნების მე აღარ მჯერა/ რომ ჩვენ ოდესმე შეგვახვედრებს ეს ბედისწერა. ეძღვნება დათო მორბელაძეს. მარიშასგან.

• მოვალ, ჩაგხედავ ლამაზ თვალებში/ და შენ კი ფრთხილად გულში ჩამიკრავ/ მოგეფერები და ჩუმად გეტყვი/ შენ წახვალ სხვასთან/ მე ვერ ავიტან. თაკო.

• ყველა ჯარისკაცს გაუმაარ... ვინც პროფესიად „სამხედროობა“ აირჩია! ყველაზე კარგი კაცი??? ვინ ვართ ჩვენ? გეცნობათ? ღერთი გფარავდეთ! კლიტუშკა.

• ცხოვრება შანსია, არ გაუშვა იგი!/ ცხოვრება სილამაზეა, აღიქვი იგი!/ ცხოვრება ოცნებაა, განახორციელე იგი!/ ცხოვრება თამაშია, ითამაშე იგი!/ ცხოვრება საიდუმლოა, ამოხსენი იგი!/ ცხოვრება სიყვარულია, შეიყვარე იგი!/ ცხოვრება ბედნიერებაა, თავად შეიქმენი იგი!/ ...და მაინც, ცხოვრება მშვენიერია, სიცოცხლე ღირს და თუ შენი ცხოვრება არად გიღირს, ჩემთვის იცოცხლე! მივმართავ ყველა იმ ადამიანს, ვინც ცხოვრებამ დააჩოქა. იბრძოლეთ, რომ თავად მოახერხოთ ეს... წინ! გამარჯვებისკენ! „კლიტუშკა“.

• გუშინ ბებო მოვატყუე, ლექსებს ვწერმეთქი. აბა, წამიკითხეო. ჰოოდა, მოვაღე პირი და „სტიქიას“ ლექსები ჩამოვურაკრაკე. ქალი აღფრთოვანდა. „გზას“ კითხულობს და მას ახლა ვუმალავ.

• ლეოს მინდა მივმართო: მეგრელებზე აცრილო სულელო, ბევრს კარგავ, მეგრელები რო არ „გევასება“. „სტიქიავ“, შენი ფანი ვარ. იქნებ, ჩემი ნიკიც გალექსო?!ბის კაპასა.

• გაზაფხულზე ამოვიდა ყვავილები, სხვადასხვანი/ ჩემი შეყვარებულია პატრული და თანაც, სვანი... ეძღვნება კოტეს.

• ბუსუსკა, ტყუილად ნერვიულობ, სულაც არ ვარ სხვის ქმრებზე მონადირე... ისე, თუ „ემინემის“ ცოლი ხარ, კიმს რაღა უკეთებია? „ემინემა“.

• ძალიან მინდა, ვნახო ცეცხლის გადმოსვლა იერუსალიმში. ეს ჩემი ბავშვობის ოცნებაა. ამ ოცნებას ვინმე ხომ არ ამისრულებს? თქვენი ერთგული მკითხველი, სანათა.

• ოცნების კოშკი ავიგე/ ხალიჩად ფიქრი დავიგე/ იქნებ, მწვერვალზე ავიდე/ იქიდან ზეცად გავიდე.../ იქ ხომ სამოთხე ყოფილა/ აქ ვერაფერი გავიგე!.. მარი, გაიხარე.

• მინდა, ნათია კუპრაძეს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. ჩემო ქერა გოგონავ, იცოდე, მოგიტაცებ და მაინც ჩემი იქნები. ზურა, ბათუმი.

• მარი, მე დამსხვრეული გული ვარ. რა ძნელი და მტანჯველია ეს სიყვარული. ქართველო მამაკაცებო, ცოტა რომანტიკა შემატეთ თქვენს გრძნობას, „აზიატები“ ნუ ხართ. „რომანტიკოსი“.

• მარი, ძალიან მინდა, ჩემი ტკივილი „გზის“ მკითხველს გავანდო და პატარა რჩევაც მივცე გოგონებს.

• მოგესალმებით ყველა „გზის“ ერთგულ მკითხველს. ხალხო, როგორ გგონიათ, ნამდვილი, წრფელი, ჭეშმარიტი და უანგარო სიყვარული, მეგობრობა და ძმაკაცობა არსებობს?

• ჩემო ბასასუნა, ამას რომ წაიკითხავ, მე ქუთაისში აღარ ვიქნები. ბაჩუ, დამელოდე, არ გათხოვდე, თორემ, ნატუჩის შენზე შავების ჩაცმა მოუწევს. გკოცნი, შენი ჩრიტინა.

• ციდან ეშვება თეთრი ფიფქები/ გპირდები, მუდამ შენთან ვიქნები/ მუდამ გახსოვდეს ჩემი სიტყვები/ მე არასოდეს დამავიწყდები.

• საფერფლეზე გდია ჩუმად, გდია უხმოდ/ შენი ტუჩით ნაწვალები ნამწვავები/ შენ წახვედი, მაგრამ მაინც ამჩნევია/ მაგ ბაგეთა სიტკბოების ნაკვალევი!

• მომენატრე, როგორც არასოდეს/ ლამის შევიშალე ლოდინით/ ფიქრებს შევატოვე სულის სიმარტოვე/ და შენს მონატრებას ვკოცნიდი.

• რა იყოთ, ჩემი მესიჯები ასე გაღიზიანებთ? ძალიან ვწუხვარ! კაკუ.

• ტაძარში, ხატის წინ სანთელი დნებოდა/ ბიჭი კი სიყვარულს ღმერთს ევედრებოდა/ წმინდაო მარიამ, მარტო ნუ დამტოვებ/ ჩემს ლამაზ სიყვარულს აცალე, ადროვე.

• კაკუ როკკი ყველაზე მაგარი. აბა, რა, მაგარი თუ არ ვიქნები, ამ ცხოვრებაში დავიჩაგრები. როკკი კი უუუუმაგრესიაااااა... კაკუ.

• ხალხო, საკუთარი თავის რწმენა არასოდეს დაკარგოთ და მერწმუნეთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება. კაკუ.

• ისა, დამავიწყდა, რომ ჩემი წლოვანება დამეწერა. 14 წლის ვარ. ეჰ, წავედი, დავიძინო, თორემ, რა ადგება დილით... „პაკა“, ხვალამდე. კაკუ.

• კახა გოგლიჩიძე, ძალიან მიყვარხარ და უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია. დაანებე გოგონების დევნას თავი და მარტო ჩემი იყავი. მარი, ჩემი ნომერი არ გასცე, სიხ.

• დღეს 18 თებერვალია, მიტევების დღე. თუ რამე გაწყენინეთ, მაპატიეთ. გოგონებო, მგონი, თქვენ ხართ ჩემზე ნაწყენი. მაპატიეთ, გთხოვთ. კაკუ.

• ყოველ დილით გაგაღვიძებს კოცნა/ და ეს კოცნა შენ მოგიძღვნა მზემ/ შემოგახვევს ის

გარშემო სხივებს კონად/ და არასდროს არ გაგიშვებს ხელს. გკოცნი, პატარავ!

• რა მაინტერესებს, იცით, ხალხო? აკრედიტირებული ცისარტყელა გინახავთ ვინმეს? მარი, „უსქესოებში“ არ მიმაწერო, რა�ა... უხერხულია. უი, დამავიწყდა, „ფეხებგაპარსული“ ცისარტყელა თუ გინახავთ? დავიბენი...

• გიმზერ, ვითარცა უმზერენ შორეთს,/ ვფიქრობ, ხარ ჩემთვის რამხელა დარდი.../ კიდევ კარგი, რომ არ იცი, თორემ/ ასეთ სიმძიმეს ვერ აიტანდი. ამიკო, მენატრები. მანჩო.

• რა დედამ გშობა ასე ლამაზი,/ რა მოწიწებით გიმღერა „ნანა“,/ არავინ დადის კიდევ მარტყოფში/ შენზე ლამაზი და შენისთანა. ეჭვი ნუ შეგეპარებათ, რომ ჩელე მაგარია.

• მარი, გთხოვ, დამიბეჭდე, ოღონდ ჩემი ტელეფონის ნომერი არავის მისცე. თაკო პატრიშვილო, ძალიან მიყვარხარ. შენ მე მიცნობ, მაგრამ არ იცი, ჩემი გრძნობების შესახებ.

• მე აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე,/ რადგანაც შენი ნახვა მწყურია,/ ადრე ვფიქრობდი, იყო თუ არა,/ ახლა კი ვიცი, სიყვარულია. ეძღვნება თაკო პატრიშვილს.

• გამარჯობა ყველას. მოვიკითხავ ვარციხეში გაცნობილ საგარეჯოელებს — ლალი, ციცინათელა, ნუცკა, ლიკა, გვანცა, მაგრები ხართ. ბანაკელი ბაჩო.

• ეჰ, რა უბედურებაა, ვერაფრით ვერ ვწერ გეოგრაფიას, რა ჯანდაბაა, ასეთი არაფერი გამიგია. წავედი, დედაჩემს დავიხმარებ! კაკუ.

• „პრივეტ“. მინდა მოვიკითხო დათო მჭედლიძე, ზედმეტ სახელად „ხუჭუჭა“ და ვუთხრა, რომ ძალიან მენატრება და მისი ნახვა მინდა. მეგობარო, მაგარი ხარ. მაო.

• რომ გაწვიმდება, იგრძნობ სიცივეს,/ აგითრთოლდება როცა ტუჩები,/ რომ შეწუხდები მარტოობისგან,/ მოვალ და მაგრად ჩაგეხუტები. ეძღვნება ილიას. შენი ციცქნა.

• სული მეყინება, ისე მენატრები,/ თვალებს უშენობა ცრემლად დასდენია,/ ვიცი, სულ ბოლომდე ისე მეყვარები,/ მე ხომ შენს თვალებში გული დამრჩენია. ზვიადი რომანაძეს. ნათია.

• რა კარგი ხმა გაქვს, ნეტავ, ვინა ხარ,/ საიდან რეკავ ან კიდევ, სად ხარ?/ ფიქრებში დაგეძებ ყოველდღე, კარდაკარ,/ პატარა მესიჯი მომწერე ხანდახან.

• იცით, რას გეტყვით? სანამ მეგრელებს ახსენებთ, პირი გამოირეცხეთ! ჰო, კიდევ, „სტიქიას“ შეეშვით, რას გიშავებთ, რომ გადაეკიდეთ? მეგრელი გოგო.

• კაცს ჰგონია, რომ თვითონ ირჩევს ქალს. სინამდვილეში, ის ყურადღებას აქცევს იმ ქალს, რომელმაც იგი უკვე აირჩია. თ.მ.

• გამარჯობა, მარი. რატომ არის, რომ ყველა ლამაზს დაეძებს?/ ყველას გული ლამაზ თვალებს ნებდება?/ ულამაზომ ნეტავ, რა დაშავა,/ სიყვარული განა, მას არ ეხება! ვიკა.

• ო, რა კარგია წვიმა, როცა მე გული მტკივა... ჯიუტი გოგო.

• ო, რა კარგია მზიანი დილა,/ ო, რა კარგია როცა გიყვარვარ.../ ო, რა კარგია ეს „გზავნილები“,/ როცა მე ვგზავნი გულს „გზავნილებში“.

• მწარე სიტყვას თუ არ მიწყენ,/ გამახარებ „სტიქია“,/ რადგან შენი პოეზია/ გულში ხშირად მიქია. ცოტამ იცის, როგორ უნდა გაიტანოს გოლი, ამბიცია ულევია, ინტელექტი — ნოლი. ნენე.

• საგარეჯოელო თია, „ჯავახას“ გოგოვ, დიდი ხნის აუხდენელი ოცნება ხარ ჩემთვის. რომ იცოდე, ვინა ვარ, უფრო დაპატარავდები! შენზე დაცემული.

• ჩემი გიჟი ბარტყი ნეტავ, მატყუებს? ამას ვერ ავიტან. გზააბნეული.

• რამდენიმე წელია, „გზას“ ვკითხულობ და გადავწყვიტე, ჩემს სიდედრს შევეხმიანო. ზორაიდე, ძალიან კარგი სიდედრი ხარ და ძალიან მიყვარხარ. შენი საყვარელი სიძე, ბ...

• „სტიქია, „ანარქია“... მაგარი ნიკებია. მეც მინდა, ასეთი ორიგინალური ნიკი. „გრაფინია“.

• შენ გგონია, გამექცევი?/ ფეხს დაგიდებ, წაიქცევი,/ ჩემს მახეში გაებმები,/ მერე ვნებით აივსები,/ განა რამეს ისეთს ვითხოვ?/ არა, მხოლოდ ჩემთან გიხმობ,/ თუკი ვინმემ ჩემზე გკითხოს,/ უთხარი, რომ მე არ მიცნობ./ ახლა ვიცი, ჩუმად ფიქრობ,/ ვინ არის და ძილს რად მიფრთხობს./ მინდა კოცნა, ბევრი სითბო,/ სიყვარული მინდა ვიგრძნო,/ როცა გნახავ, გეტყვი თვითონ,/ ყოველლამე შენზე ვფიქრობ,/ ერთი რაღაც უნდა გკითხო,/ ახლა ჩემზე შენ რას ფიქრობ?

• წინა ნომრის მამაკაცების სვეტის მე-8 ნომერი მესიჯის ავტორისთვის ზნეობა და მორალი არავის უსწავლებია? მარი, არ მისცე ჩემი ნომერი მაგ არანორმალურს. დეზდემონა.

• ყურადღება, ყურადღება! ვინაიდან „გზა“ მხოლოდ ხუთშაბათს გამოდის, კვირის სხვა დღეებს ვაუქმებ და მხოლოდ ხუთშაბათი იქნება. ხომ მიჭერთ მხარს? „გრაფინია“.

• ტარას, ძალიან მენატრები. უშენოდ არ შემიძლია, შემეხმიანე, გთხოვ. მარი, დამიბეჭდე, რა.

• „ფიროსმანა“, ფერეიდანში რა გინდოდა?

• მაღალიც ვარ, გამხდარიც, პარამეტრებშიც ვჯდები და არც მამაკაცების უყურადღებობას ვუჩივი, მაგრამ ვითომ, ეს საკმარისია? ხალხო, გამოფხიზლდით და რაიმე ღირებულზე იფიქრეთ.

• მარი, ერთი გოგოს ნომერი მომეცი, თორემ, ყველაფერი ტყუილია.

• მოვალ, მოგიტან სითბოს კონებად,/ დაგვრჩება ორივეს, მოსაგონებლად,/ მოვალ და ბინას შენთან დავიდებ,/ თუკი გამიგებ.

milocva

• ჩელე, გილოცავ სიყვარულის დღეს. ლოვიკა.

• ყველას გილოცავთ ვალენტინობას. სულ ლამაზი სიყვარული გქონოდეთ. გაიხარეთ, გამრავლდით. სოფო, განსაკუთრებით შენ გილოცავ. ნინოსგან.

• დაგვიანებით ვულოცავ ვალენტინობას ბესო ოზურთემაშვილს და მის დაიკოს, ნინიკოს. ასევე თათია, ნინო და ვანკა მოსეშვილებს. გისურვებთ ლამაზი სიყვარულის პოვნას. ბესო.

• მინდა, ვალენტინობა მივულოცო ალეკო ოდიშვილს, კასპში. გისურვებ, რომ ბათუმში მალე ჩამოსულიყავი, ჩემს სანახავად. მენატრები და არ დაიგვიანო. გაკოცე? სიხარული.

• დაგვიანებით, მაგრამ ყველას გილოცავთ ვალენტინობას და მირქმის ბრწყინვალე დღესასწაულს. მისი მადლი გფარავდეთ! კაკუ.

• ქოსოვიჩს და პატარა ლელას ვულოცავ ქორწინებიდან 2 წლის შესრულებას და ვუსურვებ ღმერთის მფარველობასა და დიდ სიყვარულს, პატარა ანუკისთან ერთად. ნინო გელაშვილი.

• ქოსოვიჩს ვულოცავ შეუღლების 2 წლისთავს. უფალი ჰფარავდეს ჩვენს დიიდ სიყვარულს. მჯერა, რომ სულ მალე ერთად ვიქნებით. ძალიან მიყვარხარ. შენი პატარა ლელა.

• მარი, „პრივეტ“, გთხოვ, არ გამაწბილო. მამაკაცებს მინდა, კაცების დღე მივულოცო. გისურვებთ სიყვარულს. პირველ რიგში, შენ, გოჭო. „რომანტიკოსი“.

• მინდა, სამტრედიელ ირაკლის და მარის მივულოცო გაბედნიერება. თეონა ბერაია.

• სოფიკო გედენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას, საყვარელ მეუღლესთან ერთად. მიყვარხარ, სოფო! ლონდა.

• ჩემს ქმარს 3 მარტს დაბადების დღე აქვს. უჩა, ჩემო საყვარელო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერებას. ძალიან მიყვარხარ და იმედი მაქვს, მუდამ ასე ბედნიერი ვიქნებით. სიყვარულით, ნინო.

• მინდა, ჩვენს დედიკო, დადუს დაბადების დღე მივულოცოთ. ვუსურვებთ ბედნიერებას და მალე ჩვენს ნახვას. გკოცნით და გეფერებით, შენი 2 ბაჭია. პუდელა და მის 13.07.

• ნათია პაიკიძეს ვულოცავ 19 წლის შესრულებას. მართალია, გათხოვილი ხარ, მაგრამ უზომოდ მიყვარხარ (ნომერი არავის მისცეთ).

• „სეიშენელ“ ზაზა ბანძელაძეს (იგივე, ბაბუს) ვულოცავ გაბედნიერებას. ძალიან, ძალიან მინდა, ბედნიერება ვუსურვო. ბაბუუუუუ... გლოცااااავ! ანი.

• ნათია პაიკიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. 19 თებერვალს 19 წლის გახდა. ვუსურვებ სიხარულს, ნიკოსთან და ბექასთან ერთად. თეა გელაძე.

• ჩემს საყვარელ ძმას ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს და ლამაზ სიყვარულს. ძალიან მიყვარხარ და მენატრები. ეკა.

• 23 თებერვალს ვულოცავ სალონიკელ მიშკას, ზვიადს, ბუტას, გიგას, გიორგის. ვუსურვებ სიხარულს, სიყვარულს და ყოველივე კარგს. ფისო.

• 23 თებერვალს ვულოცავ ჩემს ძამიკოს და ჩემს საყვარელ მამიკოს. ძალიან მენატრებით და მიყვარხართ. ლონდა.

• ჩემს ერთდერთ და საყვარელ შვილს, ნათიას ვულოცავ დაბადების დღეს. გაიხარე ქმარშვილთან ერთად. გისურვებ ულევ სიხარულს, სიყვარულს და ღმერთმა დაგლოცოს. ნინო და როსტომი.

veZeb

• ვეძებ ვაჟა მებაღიშვილს, ნათია ხანდამიშვილს და ნინო ბარბაქაძეს. მართალია, ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ გადავწყვიტე მათი მოძებნა და დამეგობრება, რადგან ჩვენ ბავშვობაში საერთო გატაცება გვქონდა, ჟურნალი „ვარსკვლავები“. ისინი ძალიან ნიჭიერი ბავშვები იყვნენ. ძალიან მინდა, გამომეხმაურონ და გავიხსენოთ ის წლები. ნ.

• ვეძებ თეა იმნაძეს. მისი კოორდინატები დავკარგე. მეც მისამართი შევიცვალე და ვეღარ ვუკავშირდები. თუ ვინმე იცნობთ, გამომეხმაურეთ. თამუნა.

• ვეძებ მამას, რომელიც თხუთმეტი წელია, არ მინახავს. ტატანოვი რობიზონ. ძალიან გთხოვ, მარი, პირველად გიმესიჯებ და წინასწარ გიხდი მადლობას. იქნებ, და ან ძმა მაინც გამომეხმაუროს.

• ვეძებ თამარ მენაბდეს. თუ ვინმემ იცის მისი კოორდინატები, გთხოვთ, გამაგებინეთ. „პუპსიკა“.

• ვეძებ ერთ ბიჭს. არის ქერა და ცისფერთვალება. „ვეჩნად“ სპორტული ჩანთით დადის მეტროში. ხშირად მხვდებოდა და თვალს არ მაცილებდა ხოლმე. არასდროს გამომლაპარაკებია. ყოველთვის „ღრმაღელეში“ ჩადიოდა ხოლმე. დამენახვე, დაკარგულო, „გზაში“ გელი. მეტრო „ნაძალადევი“.

• ვეძებ მერი და კარმენ ბახტაძეებს და მათ შთამომავლობას. ისინი ბავშვობაში ხონში ცხოვრობდნენ. ძალიან ვთხოვ, გამომეხმაურონ. გმადლობთ.

• ვეძებ მარინა გულიაშვილს. თუ ვინმემ იცით მისი ადგილსამყოფელი, გთხოვთ, შემეხმიანოთ. ადრე ცხოვრობდა ნავთლულში. ახლა არ ვიცი. შესაძლოა, ისევ ძველ მისამართზე ცხოვრობს, მაგრამ მე მისი მისამართი არ ვიცი. ძალიან გთხოვთ, გამაგებინეთ თუნდაც სულ პატარა ინფორმაცია.

ჩვეულებისამებრ, შეგახსენებთ: სასურველი ნომრის გასაგებად, უნდა დამირეკოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 და მითხრათ იმ მესიჯის რიგითი ნომერი, რომლის ავტორის კოორდინატებიც გაინტერესებთ. ასევე შეგიძლიათ გამოგზავნოთ „მესიჯომანიასთან“ დაკავშირებული თქვენს თავს გადახდენილი ამბები და მსურველებმა — ფოტოებიც. ნახვამდის. გისურვებთ წარმატებებს!

ირაკლი ლომაია, ცნობილი მკურნალი, შემლოცველი და ექსტრასენსი უმძიმეს ავადმყოფებს კურნავს, მათ შორის, სიმსივნით დასნეულებულებს. მან უამრავი ლოგინს მიჯაჭვული ადამიანი დააყენა ფეხზე საკუთარი რეცეპტით დამზადებული წამლებისა და მალამოების მეშვეობით. ირაკლისთან დახმარების სათხოვნელად ხალხი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოდის, რადგან მისმა ფენომენმა უცხოელებიც გააოცა. სხვათა შორის, მაღალჩინოსნებიც ხშირად აკითხავენ. ირაკლი ენერგეტიკული მეთოდით სვამს დიაგნოზს, ხსნის ჯადოს, თვალს, საგვარეულო წყევლას, მოკლედ, აურას ასუფთავებს.

ირაკლი ლომაია: ღვთიური კანონების დარღვევა ნებისმიერ დაავადებას იწვევს

— როგორ ასუფთავებთ დაბინძურებულ აურას?

— გამოლოცვით!.. ამისთვის ვიყენებ ნაკურთხ წყალსა და სანთლებს. აურის გასუფთავება დროდადრო აუცილებელია, რათა ადამიანმა ცხოვრებისეული სირთულეები აიცილოს და საქმეში წარმატებას მიაღწიოს. ჩემთან გამოსალოცად მოსულმა ადამიანმა უნდა მოიტანოს ღამე თავქვეშ ნადები ორი პატარა საეკლესიო სანთელი (რომელთაც ზედ ოცთეთრიანი უნდა დააკრას) და ერთი ფერადი სურათი (3X4-ზე, ოღონდ, ახალგადაღებული). ენერგეტიკული მეთოდის გამოყენებით შემიძლია ზუსტად ვთქვა, ჯადო აქვს გაკეთებული, დაწყევლილია თუ გათვალული.

— თქვენთან სამკურნალოდ მოსულ პაციენტსაც სჭირდება გამოლოცვა?

— გამოლოცვა ყველას სჭირდება. ჩემთან მოსული პაციენტის მკურნალობა ამით იწყება, რადგანაც დაბინძურებული აურის უარყოფითი ენერგიისგან გაწმენდა მკურნალობის პროცესს საგრძნობლად აჩქარებს.

— რა აბინძურებს აურას?

— ადამიანთა ცოდვები... ღვთიური კანონების დარღვევა ნებისმიერ დაავადებას იწვევს. გამოლოცვა ადამიანს განკურნების შანსს აძლევს. გარდა ამისა, ოჯახისთვის მოაქვს ბარაქა, წინსვლა, წარმატება. როცა ადამიანის დაბინძურებული აურა უარყოფითი მუხტისა და ნეგატიური ასტრალური პროგრამებისგან თავისუფლდება, ბედიც ეხსნება და წარმატებასაც იოლად აღწევს.

— რატომ მოდიან თქვენთან მაღალჩინოსნები და ცნობილი ადამიანები?

— მათ წარმატების მიღწევაში ვეხმარები. დამეთანხმებით, სკამის შენარჩუნება იოლი საქმე როდია, ბიზნესს დაცვა სჭირდება. ჩემნაირი ადამიანების რჩევა თანამდებობის პირთა წინსვლისთვის აუცილებელია.

— ნებისმიერ პაციენტს იღებთ?

— არა!.. სამი დღე მჭირდება იმის გასარკვევად, დაექვემდებარება თუ არა მისი ორგანიზმი მკურნალობას. თუ აღმოჩნდება, რომ ექვემდებარება, მხოლოდ მაშინ ვიღებ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე. წინასწარ ვადგენ ინდივიდუალურ სქემას, როგორ და რითი უნდა განიკურნოს პაციენტი — ექსტრასენსული მეთოდით, სიზმარში ნასწავლი რეცეპტების შესაბამისად ბალახებით დამზადებული წამლებით თუ ორივეთი ერთდროულად.

— რა უნდა ქნას ადამიანმა, თუ სახლში ჯადო იპოვა?

— სამწუხაროდ, მათ ზოგი წვავს, ზოგი — მიწაში მარხავს, იმის მაგივრად, რომ სპეციალისტს წაუღოს. ჯადოს მასალის განადგურება მის მოხსნას არ ნიშნავს.

— ნათელხილვის უნარიც გაქვთ?

— არა, მე პროფესიით ექიმი ვარ, სამედიცინო ფაკულტეტი დავამთავრე. გარდა ამისა, სამკურნალო ენერგიას ვფლობ, მარჩიელობა არ მეხერხება.

ირაკლი ლომაიას პაციენტები

ლიანა ესაძე: ცდას არ ვაკლებდი, მაგრამ სამსახური მაინც ვერ ვიშოვე, თითქოს დათარსული ვიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა ვარ, კომპიუტერიც ვიცი და ინგლისურიც, უმუშევარი გახლდით.

— ირაკლისთან ვისი რჩევით მიხვედით?

— ბებიაჩემმა მითხრა, ჟურნალ-გაზეთებში იმდენ კარგს წერენ ლომაიაზე, გული მიგრძნობს, რომ შენც გიშველისო.

— კმაყოფილი ხართ?

— სიტყვები არ მყოფნის, მადლობის სათქმელად... გამოლოცვის მერე, დაბინძურებული აურა გასუფთავდა და წარმატებამაც არ დააყოვნა. ჩემ მიმართ ფირმების წარმომადგენელთა განწყობილება შეიცვალა, თუ უწინ ზიზღნარევი, ცივი ღიმილით მხვდებოდნენ, გამოლოცვის მერე ნათესავივით მიღებდნენ. ასე რომ, სამსახური იოლად ვიშოვე, საქმე ამოსარჩევად მქონდა. ბატონი ირაკლი რომ არა, არ ვიცი, რა მეშველებოდა. ამიტომაც გულით ვლოცავ და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

ნაზი გოგოლაშვილი: ოჯახი სიყვარულით შევქმენი, მაგრამ მეორე შვილის დალუპვამ მეუღლესთან ჩემი ურთიერთობა საგრძნობლად გააუარესა, გამუდმებით ვჩხუბობდით.

— რა მიზეზით დაგელუპათ ბავშვი?

— პირველმა მშობიარობამ ნორმალურად ჩაირა, მეორე ბავშვი კი დამეღუპა. ასფიქსია დაეწყო, ექიმებმა ვერაფერი უშველეს. დეპრესიაში ჩავვარდი, ქმარ-შვილს აღარ ვუვლიდი, ლოგინიდან არ ვდგებოდი, სახლი საღორეს ჰგავდა. გავხდი, ჭლექიანს დავემსგავსე. აღარ ვჭამდი.

— ამ დროს პირველი შვილი რამდენი წლის იყო?

— თამრიკო 5 წლის იყო, დედის სითბო და ყურადღება სჭირდებოდა, მაგრამ მისი დანახვაც კი არ მინდოდა.

— ირაკლი ლომაიასთან როგორ მოხვდით?

— მეუღლემ მასთან ძალით წამიყვანა და მითხრა: თუ არ იმკურნალებ, იცოდე, გაგეყრებიო. ბატონმა ირაკლიმ დამამშვიდა, დამაწყნარა, სიცოცხლის ხალისი დამიბრუნა, რისთვისაც უღრმეს მადლობას ვუხდი.

ელენე ნამგალაძე: მე და ჩემი ქმარი შეხმატკბილებულად ვცხოვრობდით, 15 წლის განმავლობაში ჩემი ერთგული იყო, 4 შვილი გვყავდა, მაგრამ მერე, მან ჩემზე გული აიყარა, ღამღამობით შინ აღარ მოდიოდა, საყვარელი გაიჩინა. ვიფიქრე, ალბათ, ჩემზე ახალგაზრდა და ლამაზია-მეთქი, მაგრამ როცა გავიგე, ვისზეც გამცვალა, გაოგნებული დავრჩი და ეჭვი შემეპარა, ვიფიქრე, ალბათ ჯადო თუ გაუკეთა, თორემ ამ მახინჯთან რა საერთო აქვს-მეთქი. დაქალის რჩევით, დასახმარებლად ბატონ ირაკლის მივმართე.

— თქვენი მეუღლე მოჯადოებული აღმოჩნდა?

— დიახ, ჩემი ეჭვი ბატონმა ირაკლიმ დაადასტურა.

— დაგეხმარათ მეუღლის დაბრუნებაში?

— მაგიური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა და უცნაურად იქცეოდა, მაგრამ ბატონმა ირაკლიმ გაანეიტრალა ჯადოს ნეგატიური ენერგია და ჩემი მეუღლეც გონს მოეგო, მიხვდა, რაც ჩაიდინა და პატიება მთხოვა, შინ თავისი ფეხით დაბრუნდა.

ვერა ახალაია: მკერდის სიმსივნე დამიდგინეს ექიმებმა და მირჩიეს, ქიმიოთერაპია ჩამეტარებინა, მაგრამ უარი ვთქვი.

— რატომ?

— მატერიალურად გვიჭირს. გარდა ამისა, ქიმიოთერაპიის შედეგები საკმაოდ მძიმეა, ამიტომ გადავწყვიტე, ბატონ ირაკლისთან მოვსულიყავი.

— ვინ გირჩიათ?

— ნათესავმა, რომელსაც ჩემსავით სიმსივნე ჰქონდა. ბატონი ირაკლის წამლის წყალობით, იგი დღემდე ცოცხალია.

— თქვენ როგორ ხართ?

— სასწაული მოხდა!.. მკურნალობის სამი კურსის დასრულების შემდეგ, გამოკვლევა ხელმეორედ ჩავიტარე და თქვენ წარმოიდგინეთ, სიმსივნე აღარ აღმომაჩნდა. ხელის შეხებითაც ვგრძნობ, რომ გამაგრებული კვანძი დაიშალა. მინდა, ბატონ ირაკლის უღრმესი მადლობა გადავუხადო და წარმატებები ვუსურვო.

P.S. დარეკეთ და წინასწარ ჩაეწერეთ! ბატონი ირაკლი პაციენტებს იღებს ყოველდღე, 12-დან 19 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონები: 20.50.51; 899.50.15.78. მონაცემები შეტანილია ინტერნეტში: ვებ-გვერდი: www.ikaextrasens.com, ელ-ფოსტა: ika@ikaextrasens.com.

გაქვთ თუ არა სიხარულის განცდის უნარი?

შეკითხვებს უპასუხეთ სწრაფად, ყოველგვარი დაფიქრების გარეშე — „დიახ“, „არა“, „არ ვიცი“.

1. მშობლიური სახლის გახსენებისას სიხარულის განცდა უფრო მეუფლება, ვიდრე სევდიანი განწყობილება.
2. ხშირად მეუფლება დანაშაულის განცდის გრძნობა.
3. ოპტიმიზმი და გულწრფელობა — აი, ჩემი ხასიათის უმთავრესი ნიშნები.
4. ირგვლივ იმდენი ბოროტებაა, რომ რაღაც წვრილმანებზე სიხარულის გამოხატვა, სისულელედ მიმაჩნია.
5. როცა ჭეშმარიტ სულიერ სიმშვიდესა და დიდი სიხარულის გამოხატვას შორის არჩევანის საშუალება მაქვს, უპირატესობას ყოველთვის ამ უკანასკნელს ვანიჭებ.
6. ჭეშმარიტი სიხარული მხოლოდ ძალზე ახლობელ ადამიანებს შემიძლია მივანიჭო.
7. სხვებისთვის სიხარულის მინიჭებისას, თავადაც სიხარულისა და კმაყოფილების განცდა მეუფლება.
8. ცხოვრებამ დამანახვა, რომ ბოლომდე არავის ნდობა არ შეიძლება.
9. ჩემ გარშემო არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც შემიძლია თვალდახუჭული ვენდო.
10. გულწრფელად რომ ვაღიარო, ჩემს ცხოვრებაში სიხარულს საზრუნავი და მწუხარება სჭარბობს.
11. ჩემს ცხოვრებაში არის ისეთი წუთები, როცა უსაზღვრო სიხარულის განცდა მეუფლება.
12. მშურს იმ ადამიანების, რომელთაც თავდავიწყებამდე მისული სიხარულის განცდა ეუფლებათ ხოლმე.
13. სხვა ადამიანების ჩემი სიხარულის თანაზიარად ქცევის უნარით გამოვირჩევი.
14. ამქვეყნად ყველაფრის ყიდვა შეიძლება, მათ შორის, სიხარულისაც, ოღონდ ფასს გააჩნია...
15. სიხარულის განცდა, რომელიც ხშირად მეუფლება ხოლმე, მიმაჩნია, რომ ჩემი ხასიათის დამსახურებაა.

დაანგარიშეთ ქულები:

1, 3, 5, 7, 9, 11, 13, 15 შეკითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში დაიწერეთ 10 ქულა; ასევე, 10 ქულა დაიწერეთ 2, 4, 6, 8, 10, 12, 14 შეკითხვებზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ხოლო იმ კითხვებში, რომლებსაც უპასუხეთ — „არ ვიცი“, დაიწერეთ 5 ქულა.

ტესტის შედეგები:

100-150 ქულა: თქვენი გრძნობები და განცდები სიხარულითაა აღსავსე. თქვენ მიერ განცდილი სიხარული უფრო ღრმაა, ვიდრე ჩვეულებრივი სიამოვნება ან ხალისია. თქვენ საკუთარი შეგრძნებების საზღვრების გაფართოების იშვიათი უნარით ხართ დაჯილდოებული; როგორც ჭეშმარიტ მკვლევარს, ამა თუ იმ ადამიანური გრძნობის ახალ-ახალი კუთხით განცდა გიტაცებთ და ამით სიხარულს ანიჭებთ საკუთარ თავსაც და ახლობლებსაც.

50-95 ქულა: თქვენს ცხოვრებაში იმდენივე სიხარულია, რამდენიც სხვა დანარჩენი ემოციები. შეიძლება ითქვას, რომ სიხარული თქვენთვის უცხო არ არის, მაგრამ თქვენთვის ასევე ნაცნობია ის მიზეზები, რაც ამ გრძნობის განცდაში გიშლით ხელს. ზოგჯერ, თავს იტყუებთ — საკუთარი თავის დარწმუნებას ცდილობთ იმაში, რომ წვრილმან სიამოვნებას ჭეშმარიტი სიხარულის შეცვლა ძალუძს. იქნებ ჯობდეს, გახალისდეთ, ცხოვრებისეული მიდგომა შეიცვალოთ გარკვეული თვალსაზრისით და დაინახავთ, რომ თვალწინ ახალი ჰორიზონტი გადაგეშლებათ — ეს კი სიხარულის განცდას მოგანიჭებთ.

0-45 ქულა: იმდენად იშვიათად გეუფლებათ სიხარულის განცდა, რომ დროა, ამის თაობაზე დაფიქრდეთ. რა არის ეს — შეძენილი თვისება თუ იმის შენიღბვის მცდელობა, რომ სიხარულის განცდა არ ძალგიძთ? რაც არ უნდა იყოს, გახსოვდეთ, რომ ადამიანი ამქვეყნად სიხარულის პოტენციალით იბადება, რაც მას გენეტიკურად გადაეცემა.

იაპონური სენსაცია სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

4	7	3	2	6	9	1	8	5
8	6	9	5	4	1	3	2	7
1	5	2	8	3	7	9	6	4
5	8	6	1	9	4	2	7	3
9	3	4	7	2	6	8	5	1
7	2	1	3	5	8	4	9	6
2	9	7	4	1	5	6	3	8
3	1	5	6	8	2	7	4	9
6	4	8	9	7	3	5	1	2

5	1	8	9	2	6	4	7	3
4	7	6	8	5	3	1	9	2
9	2	3	7	1	4	5	6	8
3	5	7	1	6	9	8	2	4
6	4	2	5	7	8	9	3	1
1	8	9	4	3	2	6	5	7
8	6	4	3	9	7	2	1	5
2	3	1	6	4	5	7	8	9
7	9	5	2	8	1	3	4	6

4	1	5	8	3	9	7	6	2
8	6	3	7	2	5	4	9	1
2	7	9	1	4	6	3	8	5
6	9	1	5	7	4	2	3	8
3	2	4	9	1	8	5	7	6
5	8	7	2	6	3	1	4	9
1	3	2	6	8	7	9	5	4
9	4	8	3	5	2	6	1	7
7	5	6	4	9	1	8	2	3

* მარტივი

4			3			9	8	
	1		2	9				6
6		8		4		1		
	8			5	9	6		3
5					7			4
1		7	8				2	
		6		7		3		8
8				6	3		9	
	4	5			2			1

** საშუალო

		2			1			8
	1				9	4		
		4	5			2		1
	7				2		4	
9				7				5
	8		9	5			1	
7		8			4	9		
		6	7				2	
2			6			1		

*** რთული

5							3	
	1				3			9
2			4					
8			7			2		
	3						1	
		5			8			6
					6			8
4			8				5	
	6							1

1 მხარე საქართველოში
2 ჯარის რჩეული ნაწილი
3 ებრაული ენა
4 კანადის დედაქალაქი
5 მდინარის ქვიანი ნაპირი
6 ქალთევზა
7 ხალიჩა
8 ადმინისტრაციული ერთეული საბერძნეთში
9 უსინათლოთა შრიფტი
10 კედლის სანათი
11 გახმაურებული სამარცხვინო შემთხვევა
12 ჭიდაკის პარტიის ერთგვარი დასაწყისი
13 პერიოდული გამოცემა
14 დარჩეული კაკლის გული
15 მოფერება
16 სკანდინავური თქმულება
17 ამერიკის შტატი
18 არგენტინული ცეკვა

19 ანტილოპის სახეობა
20 ლითონის სიფრიფანა ფურცელი
21 ლექსის სტრიქონი
22 ცურვის სტილი
23 ცრუ-მოძრაობა ფეხბურთში
24 პტარა ლუზა
25 კურკოვანი ხილი
26 კავკასიონის მწვერვალი
27 ხელზე მოვაჭრე ძვ. თბილისში
28 ორთაბრძოლა რაიმე იარაღით
29 ოფიცრის წოდება
30 დაბა სვანეთში
31 ესპანეთის დედაქალაქი
32 სომხეთის ფულის ერთეული
33 ვლუბა კაძენი
34 ხანჯალი
35 ძაღლის ჯიში
36 გერმანული ავტომობილი
37 ზევსის საჭრელი, პერსევსის დედა
38 მფრინავი
39 უფითე-ბო ხელთათმანი
40 მოკლე მუსიკალური მისალმება
41 ბულა
42 საბუნებისმეტყველო მეცნიერება
43 იაპონიის ფულის ერთეული
44 იაზონის ხომალდი

ᲒᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

1. იმპერატორი; 2. პორტი; 3. იდილია; 4. აკრობატიკა; 5. ბარი; 6. აბანო; 7. ტოტი; 8. ივრითი; 9. ცეცე; 10. ბატკანი; 11. წკირი; 12. ცივილიზაცია; 13. ლორი; 14. კოკო; 15. ნავი; 16. მიდია; 17. იარანგი; 18. თონე; 19. ავიაცია; 20. ჰიჯრა; 21. დირე; 22. სირია; 23. რომბი; 24. ალბინოსი; 25. კაენი; 26. ეიფელი; 27. სლაი; 28. ფერია; 29. ციგა; 30. გრიფი; 31. ლეკი; 32. ყვარელი; 33. სიმინდი; 34. ლოთი; 35. კომპასი; 36. კუ; 37. ურნა; 38. ლავრა; 39. ლოყა; 40. რძე; 41. ნარვალი; 42. ლია; 43. თეირანი; 44. სრა; 45. ალბიონი; 46. სილოსი.

სურათზე: იზაბელ აჯანი; სოფი მარსო.

„დანაშაული დამნაშავე“ ამერიკულად

13 თებერვალს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიციალურად გაათავისუფლეს უილიამ უილიამსი — პატიმარი, რომელმაც გაუპატიურების ბრალდებით ციხეში 22 წელი გაატარა, გასულ წელს კი გენეტიკური ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ უილიამსის უდანაშაულობა აღიარა. მოსამართლე ტომ კემპბელი ამბობს, რომ ბატონ უილიამსს დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ყოველივე საუკეთესოს უსურვებს(!). უილიამსი დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე, ქალის მოტაცებასა და გაუპატიურებაში დაადანაშაულეს. სასამართლომ ბრალდებულს 45-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 2005 წელს, პატიმარმა ჯორჯიის შტატის უფასო გენეტიკური ანალიზის პროგრამას — „უდანაშაულობის პროექტს“ წერილით მიმართა. 2006 წელს, გენეტიკურმა ანალიზმა მისი უდანაშაულობა დაამტკიცა. ■

„განქორწინება ეგვიპტურად“

ეგვიპტელი ქალბატონი ქმართან განქორწინებას ითხოვს, რადგან მისი მეუღლე მთელ დროს ინტერნეტში ატარებს და ცოლს მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ეკონტაქტება. „ჩემი მეუღლე სრულ იგნორირებას მიკეთებს. სამსახურიდან დაბრუნებისთანავე კომპიუტერთან ჯდება, დილამდე ინტერნეტში დასეირნობს და დროს ვირტუალურ ქალებთან ატარებს“, — განუცხადა ქალმა სასამართლოს. ცოლ-ქმარმა ერთად 5 წელი იცხოვრა, ამიტომ ცოლისთვის განქორწინების გადაწყვეტილების მიღება რთული იყო, მაგრამ „...როდესაც ქმარმა ჩემთან საუბარსაც კი თავი დაანება, მივხვდი, რომ ასე გაგრძელება შეუძლებელი იყო“.

ეგვიპტის საოჯახო საქმეების სასამართლოს პირველმა ინსტანციამ განქორწინების საკითხი ვერ გადაჭრა, რადგან ქმარი სასამართლო პროცესზე არ გამოცხადდა. ამიტომ ქალბატონის განცხადება ზემდგომ ინსტანციას გადაეგზავნა რეკომენდაციით, რომ მოპასუხეს სასამართლოს უწყება ელექტრონული ფოსტით გაეგზავნოს. ■

ლუვრის მცველები გაფიცვით იმუქრებიან

პარიზის ლუვრის დაცვის სამსახური გაფიცვის ზღვარზეა. ლეონარდო და ვინჩის უკვდავი ქმნილების — „მონა ლიზას“ მიერ მიყენებული ფსიქოლოგიური სტრესის საკომპენსაციოდ, მუზეუმის მცველები ხელფასის 100 გირვანქა სტერლინგით გაზრდას მოითხოვენ. „სურათის გარშემო მუდამ უამრავი ხალხი ტრიალებს და ფოტოსურათების გადაღებას ცდილობს. ამის გამო, მცველები ძალიან ღელავენ. 100 გირვანქა სტერლინგი — მხოლოდ მორალური ზიანის კომპენსაციაა“, — ამბობს დაცვის წარმომადგენელი. ხელფასის მომატებას „ვენერა მილოსელის“ მცველებიც ითხოვენ: „კვირა დღეს მუზეუმში 65000 დამთვალიერებელი მოდის. ეს ძალზე მძიმე სამუშაოა“, — აცხადებენ გაწამებული მცველები. დაცვის 180-კაციანი სამსახურის მესამედი გაფიცვის მომხრეა. დანარჩენები ჯერჯერობით თავს იკავებენ. ■

ყაზახეთი საშა ბარონ კოენის წინააღმდეგ

ყაზახეთში ინფორმაციის სპეციალური სამსახური შეიქმნა, რომლის მიზანი, ინგლისელი კომიკოსის, საშა ბარონ კოენის მოღვაწეობის შედეგად ყაზახეთის შელახული იმიჯის აღდგენაა. ცენტრალური აზიის ქვეყნების ლიდერები საშა ბარონ კოენის მიერ შექმნილი კომიკური გმირის — ბორატ საგდიევის სახემ აღაშფოთა. ხოლო როდესაც ეკრანებზე ფილმი — „ბორატი: ამერიკის კულტურული კვლევა ყაზახი ხალხის საკეთილდღეოდ“ გამოვიდა, ლიდერები პირდაპირ გაცოფდნენ, რადგან, სურათში ყაზახეთი ანტისემიტურ, ლოთებითა და ბოგანოებით სავსე ქვეყნადაა წარმოდგენილი. ერთთვიანი დებატების შემდგომ, ყაზახეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საერთაშორისო ინფორმაციის სპეციალური ცენტრი შექმნა, რომელიც ქვეყნის შელახული იმიჯის აღდგენაზე იმუშავებს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ საშა ბარონ კოენის წინააღმდეგ არაერთი ზომა უკვე გაატარა. ეს ზომები პირდაპირი მუქარით დაიწყო და მსახიობის

ქვეყანაში მიწვევით დასრულდა (საშა ბარონი ყაზახეთში არასდროს ყოფილა), რათა მან თავისი ხუმრობების ობიექტი კარგად გაიცნოს.

ფილმი „ბორატი: ამერიკის კულტურული კვლევა ყაზახი ხალხის საკეთილდღეოდ“ გასული კინოსეზონის სენსაციად გადაიქცა. სურათის შემოსავალმა 240 მლნ დოლარი შეადგინა და კოენს „ოქროს გლობუსი“ მოუტანა. ფილმი „საუკეთესო ადაპტირებული სცენარის“ ნომინაციაში „ოსკარზეა“ წარდგენილი. ყაზახეთსა და რუსეთის ფედერაციაში სურათის ჩვენება აიკრძალა, უკრაინაში კი მისი დიდ ეკრანზე ჩვენება შეიზღუდა. რუპერტ მერდოკის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, სააგენტო Reuters იუწყება, რომ კოენმა ბორატ საგდიევის თავგადასავლის თემაზე შექმნილი ფილმის მეორე ნაწილის გადაღების შესახებ კონტრაქტს ხელი მოაწერა. ■

ფოტოკუიზები

TB STARS

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელე — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 57 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")